



საქართველოს  
ISSN 0182-600X

# გეოგრაფიკა



1

---

1986



# ენათოცე

საქართველოს  
მწერლების  
კავშირი

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 61-0

№ 1

იანვარი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

წინასწარ საინფორმაციო მატერიალი . . . . . 3

### **XIVII ყრილობის შესახებ**

თეიმურაზ ჯანაშვილი — შედეგები — მოვიდა 1986. ლექსი . . . . . 14  
ლადო მალაშვილი — თუთა ცხვარ-მეცხვართათვის . . . . . 16

### **პროზა, პოეზია**

ილია ჩურუა — მოთხრობები . . . . . 22  
ვახტანგ ჯანაშვილი — ლექსები — . . . . . 29  
კარლო კოვარიძე — უანა ბაბუაშვილის, მოთხრობა . . . . . 34  
მლორ სტურა — ლექსები . . . . . 61  
დავით ბაბუაშვილი — ლექსები . . . . . 65  
ჯემალ ქაჩხაძე — ანთონი და დავითი, მოთხრობა. . . . . 68  
გიორგი მამბერი — ლექსები, ახალბერძნულიდან თარგმანა ან ირქონიქიმ . . . . . 111

### **XIVII ყრილობის შესახებ**

დემეტრე ცინკარაძე — აგროსამართლებრივი ინტერპრეტაცია და სოციალისტური  
საქართველოს ფორმების დაახლოება . . . . . 115

### **კრიტიკა, პუბლიცისტიკა**

გურამ კანკავა — ქვეყნის ახალ ტალღაზე . . . . . 126  
თეიმურაზ მალაშვილი — ტივიან ტახიძე . . . . . 136  
ელეზარ ჯანაშვილი — დილბანდის თუ ფსევდონიმის საკითხი . . . . . 149

(პ. მერაბიანი წერდა).



**შინაარსი (გაგრძელება)**

**მეცნიერება**

წათე გაწაში — ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ჩოვნიბი . . . . 168

**მოსაზრნარი**

აქაბი ურუხაბი — აკადემიკოსი სიორე ვაუხრიშვილი . . . . . 171



---

შთავარი რედაქტორი ბრჩილ სულაბაური

ს ბ რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კ ო ლ ე ბ ი ა:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამასუბელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-  
შიაშვილი, გ. დონანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლეზანიძე,  
ე. შალვაძე, ლ. შრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩა-  
რკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. ბილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. შლივანი),  
რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

---

# წინსვლის საიმედო ქვაკუთხედი

ოცნების გარეშე დიადი და ამადღევებელი აჩაფერი შექმნილა. ოცნება ის მაღლია, რომელიც შხაუნა წვიმასავით არწყულებს ადამიანის სულს, აფართოებს მის თვალსაწიერს. უშედეგებელ უანას რომ ცვარნამი დაეპყრება, დალიან მიწას რომ მზე დაცხუნებს, ისეთი მაკოცლებელი ფენომენია ადამიანთათვის ოცნება ღამაზ მომავალზე. ოცნება, ფაქტი და სწრაფვა ზღაპრული სამაგების მისაღწევად, ოქროცურთავი მწვერვალების დასაპყრობად, შორით მოკიანთე შორიზონების შესაჭრებლად.

ზღვასავით ბოზიარია ადამიანის სული. დაუსაბამოა მისი სარბიელი და თვალსაწიერი. მდინარესავით უღვია მისი ენერგია, მაგრამ თუც მას ღარი არ მიუმარჩვე, თუც გარკვეული მიმართულება არ მიუჩინე და სასურველი გზით არ წარმართე აზრისა და ძალის ქოტურა მდინარეა იმედის ნათურა ვერ აკაფდება, კვეენად ჩამოწოლილ წვედობად ვერ გასინათებს ღამიონი.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა საშუარო, ოცნებამ, პოეტის თქმისა არ იყო, „ფრთები გაშალა“, ფაშთა სვლის კვლობაზე იგი თანდათან რეალობაში გადაიზარდა, ოცნებასა და სინამდვილეს შორის თვალისუხსრატხვად შემცირდა მანძილი. სამომავლო ეტლი გრუბნით მიკვლითავს შარავნას, ძღვეამოსილად მიარღვევს სივრცეს, ორიათასწლეულის მწვერვალებისაკენ.

ძნელი იყო ეს აღმასვლა — ჭერ იყო და რევოლუციის ათასნარი ჭურის მტრებთან, კონტრრევოლუციასთან, კულაკებთან ბრძოლის შედეგად გამოწვეული ცენოზიკური სიძნელები, გაკირება და ფეხზე დადგომა, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის ქანცამომსვლელი ბატალიები. იარას ახალი იარა ემატებოდა, კვეყანა თითქოს სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ სასწაულებრივად კვლავ აღიმართებოდა, კვლავ მოიცმობდა ძალას, მოიყენებდა ხევისა და ხარაქას... კვეყნის ძღვეამოსილების არსი სოციალისტური წყობილების სამართლიანობიდან მომდინარეობდა. მისი მუმანური, მარქსისტულ-დენისტური მოძღვრების საფუძვლებიდან იღებდა სათავეს. უოველი მომდევნო ხუთწლეული ახალი საფეხური იყო სოციალისტური მშენებლობის გზაზე, ახალი ნაბიჯი იყო კომუნისმისაკენ. და ამავე დროს იგი უფრო მასშტაბურ და გრანდიოზულ ამოცანებს, პრობლემებს აუენებდა ხალხისა და მთელი საზოგადოების წინაშე. ეს პრობლემები და ამოცანები ახალი საერთაშორისო ვითარების ფონზე იკვეთებოდა, ეს ვითარება კი, როგორც ცენოზიკური, ასევე სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით თანდათან დაძაბული, თანდათან რთული ხდებოდა. უოველივე ეს კი მძიმე ტვირთად აწევბოდა სახელმწიფო ბიუჯეტს, ხალხის კეთილდღეობის ხარჯზე ხდებოდა მისი გაწონასწორება.

ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, მშრომელებს, მთელ სახელოთა საზოგადოებას უოველითვის ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი შექმნილი სიტუაცია და მუდამ ითვალისწინებდა ამ თავიებურებას. წარსულის მწარე გაკეთილებმა უკვალოდ როდი ჩაიარა დღესაც უოველ ჩვენთაგანს ჩავვაგონებენ ისინი, რომ საშობლოს სამსახური მისი საიმედო დაცვა ჩვენი უპირველესი ვალია. დაძაბულ ხუთწლეულებს ხუთწლეულები ცვლიდა, ჩვენ წინ მივიწვედით, ვიზრდებოდი, ვმტკიცდებოდი, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, შესაბამისად რთულდებოდა მთელს მსოფლიოში ცენოზიკური და სოციალური ვითარება, ჩვენი მტრეველობისა და ცენოზიკის წინაშე ახალ-ახალი პრობლემები იჩენდა თავს. ჩვენ კვლავ ვიშუავებოდი სამომავლო გეგმებს, მეცნიერულად შემუშავებულ სამოქმედო პროგრამებს, გრანდიოზულ ამოცანებს ვისახავდით, ვწუვებდით, შესაძლოა, ზოგი რამ

საქ. სპ. რუსთაფ. ბიბლიოთეკა

განხორციელებული გერჩებოდა, მაგრამ მთლიანობაში მაინც წინ მივიწვიდით... საკუთარ შედეგებზე ვსწავლობდით, რადა თქმა უნდა, სხვის მოწინავე გამოცდილებასაც კინარკუნებით და ახალ საშუალებებს ვესწრაფვოდით...

ასე იყო დღემდე...

მაგრამ მრავალ ვეგმასა და ჩანაფიქრთა შორის, შეიძლება თამამად ითქვას ამის თაობაზე, ახლანდს მიღებულ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტს, გამოჩნეული ადგილი უკავია ამ უკვლისშომაველ დოკუმენტში მართლაც მთელი სისხვებით იგრძნობა ჩვენი დიადი სახელმწიფოს მძლავრი სუნთქვა, მისი უკიდვანო თვალსაწიერი, მაჯისცემი, უკვლადღიური რიტმი, განწყობილება, ფიქრი და საქმენი, სამომავლო გეგმები, და არა მარტო სამომავლო... ამ არის პირუთენელი შეფასება შექმნილი ვითარებისა, აღიარება შეცდომებისა, გათვალისწინება წარსულის გაკვეთილებისა...

კერძოდ ამ ნათქვამია, რომ განვიღო ხუთწლიანი „მნიშვნელოვნად გაიზარდა ეკონომიკური პოტენციალი, ეროვნული შემოსავალი 1980 წელთან შედარებით გადიდა 17 პროცენტით. სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, საცხოვრებელი ბინების, სოციალურ-კულტურული და სხვა ობიექტების მშენებლობას მოხმარდა 840 მილიარდ მანეთზე მეტი... ამოქმედდა ათასზე მეტი ახალი თანამედროვე საბრწევლო საწარმო...“

„დედებოთი შედეგებია მიღწეული წარმოების ინტენსიფიკაციაში, ეფექტიანობის გადიდებაში. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების თითქმის 90 პროცენტი...“

„სრულდება სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამა. დაჩქარებით ვითარდება ატომური ენერგეტიკა, რომლის წილდაც მოდის ქვეყანაში გამოუშვავებული მთელი ელექტროენერჯის მეთოთედი. საბჭოთა კავშირი, რომელსაც აქამდე პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში ნავთობის მოპოვების მხრივ, მიმდინარე ხუთწლიელში იმავე ადგილზე გავიდა გაზის მოპოვებითაც. აშენდა მაგისტრალური გაზსადენები და მათი განუტობანი, რომელთა საერთო სიგრძე 48 ათას კილომეტრს შეადგენს...“

„ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. მუშა მოსამსახურეთა საშუალო თვითრმა ხელფასში 18 პროცენტით მოიმატა და 1985 წელს 190 მანეთს მიაღწია. საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 29 პროცენტით გადიდა და თვეში 150 მანეთს აღემატება...“

სოციალურ-ეკონომიკური პროგრების ცხოველმყოფელობა ჩვენი მრავალფეროვანი უოფის უველა უბანს შეეხო, მათ შორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეთ მეტად მწვავე პრობლემურ სფეროსაც, როგორიცაა დემოგრაფიული ვითარება, რაც გამოიხატა იმაში, რომ ამ წლებში განხორციელდა ბავშვიანი ოჯახებისა და მომუშავე დედების დახმარების დიდი ღონისძიებანი. დედებისათვის შემოღებულია ნაწილობრივ ანაზღაურებელი შევებულება ერთ წლამდე ასაკის შვილის მოსაუღლად, გაიზარდა ერთდროული დახმარება შვილის ღებების გამო.

„გადიდა კვების ხარჯის ნორმები სკოლამდე მავშვთა დაწინებულებებსა და სკოლინტერნატებში. შემოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა უფასო უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით“.

მრავალი სხვა სიკეთეც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში გასული ხუთწლიდის მანძილზე... ვეღა იმის ჩამოთვლა ერთობ შორს წავიყვანდა.

როგორც ითქვა, ისევე როგორც სკვპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, ძირითად მიმართულებებშიაც მიღწევებისა და წარმატებათა გვერდით მოცემულია პირუთენელი შეფასება წარსულში დაშვებულ ობიექტურ თუ არაობიექტური ხასიათის შეცდომებისა, რითაც ხაზგასმულია ჩვენი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისათვის დამახასიათებელი მექანიკური ბათობის, წარსულისადმი დიალექტიკური დამოკიდებულების ერთგულება, დიდი ღენინის სიბრძნისადმი პატივისცემა, რომლის არსიც შეიძლება მოკლედ შემდეგი სტრუქტურით გამოიხატოს — ადამიანი და ასევე მთელი საზოგადოება წარსულის შეცდომებზე იზრდება, ამ შეცდომების გათვალისწინება მას ეხმარება წინსვლაში...

და მართლაც, გრანდიოზული წარმატებების ფონზე მცირე ხარვეზების აღიარება, სულაც ვერ აუნებს ჩრდილს საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის შთამბეჭდავ ხანამდვილეს, ძირითად მიმართულებებში, კერძოდ, ამასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ბოლო წლებში „სახალხო მეურნეობაში შენედა განვითარების ტემპი, სულად ბორციელებოდა წარმოების



ენტენილიყო. წარმოების, მართვისა და მეთუნეობის სტრუქტურის გარდაქმნა. არასა-  
მარის ტემპით მიმდინარეობდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ათვისება წარმარებაში. შეე-  
რი წარმოების, მათ შორის სახალხო მონხარების საქონლის ტექნიკური დონე და მარხმის მხარე  
მორჩება თანამედროვე მოთხოვნებს... არის სინდელეზი ცალკეული საქონლით მოსახლე-  
ობის უზრუნველყოფაში.

სოფლის მეთუნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მოცულობა დაგეგმილზე  
ნაკლები იყო, რამაც მოითხოვა გამოძენილიყო დამატებითი საექსპორტო რესურსები და  
სავალტო სახსრები ხალხსათო საქონლის ამორტისათვის..."

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში კი  
ამ ხარვეზებთან დაკავშირებით ვითხოვლობთ:

„პარტია ითვალისწინებს, რომ 70-იანი წლების დასაწყისს და 80-იანი წლების დასაწყისს  
ქვეყნის განვითარებაში მიღწეულ უდევო წარმატებებთან ერთად გვიწინა გარკვეული არასა-  
ხარბილო ტენდენციები და სინდელეზი. მნიშვნელოვანწილად ისინი დაკავშირებული იყო იმ  
გარემოებისთან, რომ დროულად და ჭეკონად არ შეეფასეთ ეკონომიკური სიტუაციის  
ცვლილებები, ცხოვრების უველა სფეროში ღრმა მერების საქიროება, არ გამოვიჩინეთ ჭეკო-  
ნი სიმტკიცე მათი განხორციელებისათვის. ეს ხელს უშლიდა სოციალისტური წყობილების  
წესამდებლობათა უპირატესობის უფრო სრულ გამოყენებას, აფერხებდა წინსვლას..."

დღევანდელ ეტაპზე, პარტია, რომელიც თავის საქმიანობაში ჭეშმარიტ სოციალისტურ  
ფემოკრატის ანეთარტებს და ამკვირებს, თვითრიტორულად, შთილის ვაბედულობითა და  
სითამილო აფასებს წარბულის შეტვირთვებს, რომელთა აღარებისა და გათვალისწინების გარეშე  
მას შეუძლებლად ეხახება შემდგომი წინსვლა, სამომავლო ოპტიმალური დასკვნების გაკეთება  
და საბოლოო ქამში ახალი მიწუნების მიღწევა, დასახული ამოცანების განხორციელება. უზომოტ-  
მულის ნათელ მაგალითად გამოდგება ვ. მ. ჩებრაკოვის მოხსენება დიდი ოქტომბრის სო-  
ციალისტური რევოლუციის 68 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე კრემლის ურ-  
ლობათა სახახლეში 1986 წლის 5 ნოემბერს. თავის გამოსვლაში მან, კერძოდ, აღნიშნა:

„საბჭოთა საზოგადოება ახლა უაღრესად შეინარხიან და პასუხსავებ პერიოდში ცხოვრობს.  
უველანი ვგრძნობდით, რომ გარკვეული დროის მანძილზე, თუმც კი გრძელდებოდა წინსვლა,  
ქვეყანაში გრკოდებოდა პრობლემები, მათი გადაწყვეტის ვაქიანურებას კი ეკონომიკური და  
სოციალური სინდელეზი მოჰყვებოდა. შეუფრხდა შრომის ნაყოფიერების ზრდა და წარმო-  
ების განვითარების საერთო ტემპი, მართვის სხვადასხვა დონეზე თავი იჩინა ნევატიურმა  
მოვლენებმა — უწყებრიობამ, თავუდევიობამ, თვალისაყვამ. კადრების ერთმა ნაწილმა  
დაკარგა ცხოვრებით ნაკარნახევი რეფორმებისა და სიახლეების დროული განხორციელების  
უნარი. ელიდებოდა გაბედულ გადაწყვეტილებათა შიში, ბიუროკრატიაში და კონსერვატიზში.  
პარდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს ცუდ გავლენას ახდენდა ვითარებაზე.“

სწორი არ იქნებოდა ვეფოქრა, რომ უველაფერი რაც ხდებოდა, შეედველობის არის მიღმა  
რჩებოდა. არა, ნაკლავანებებს ხელადენენ, მათ შეხახებ ლაპარაკობდენენ, მათი აღმოფხვრის-  
თვის მოუწოდებდენენ. და მინც მდგომარობა არ უმჯობესდებოდა. მიღებული ზომები ზორად  
სწახებოდა სისათვის, არათანმიმდევრული იყო და მოლომდე არ ზორციელდებოდა.

სოლო დროს პარტიაში შესძლო ქვეყანაში პოლიტიკური და მორალური აღმოსფერ-  
ვაშიკოცხლები და გაქანსლება. ამის შედეგად შესამჩნევად შეიცვალა განწყობილება საზო-  
გადოებაში, გაიზარდა მშრომელთა დანტერესება უველა საქმით, უველგან აღინიშნება, რომ  
დამუარდა მეტი წესრიგი, მტკიცდება დისციპლინა — ძლიერდება მომთხოვნელობა, იზრდება  
ნოქადაქიობარევი პასუხისმგებლობის გრძნობა..."

სამივე ამონაწერი თავისი არსით ერთმანეთს ავსებს და მთელი სისრულით წარმოა-  
ჩენს სახალხო მეთუნეობისა თუ კულტურული ცხოვრების სფეროში დაშე-  
ზულ მთელ რიგ შეცდომებს. ეს საკითხები კი ითხოვს უსწრაფეს რეაგირებასა და ოპ-  
ტიმალურ გადაწყვეტას. ამ შეცდომების დაძლევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება შეც-  
ნიერულ-ტექნიკური პროგრების დაჩქარება გახლავთ, რაც ჩვენს სინამდვილეში წარმოების  
ეფექტიანობის გაზრდის უველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტია. პარტიის ეკონომიკური სტრატე-  
გიის ქმედითუნარბიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება,  
ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკა ეკონომიკის კონსერტიარებული გამოხატულება  
გახლავთ.

ზემოთ მოყვანილ ამონაწერებში აკუშულირებულად არის წარმოჩენილი ის უმთავრები  
საფუძვლები, საიდანაც უნდა დაიწყოთ ჩვენს სამომავლო დაშქობებში მეცნიერული ათვლა-  
მაშ, ანუ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრების დაჩქარების, ეკონომიკური პოლიტიკისა და



ქვეყნის საწარმოო ძალების ქმედითუნარიანობის ამაღლების აუცილებლობას, რას გულისხმობს უპირველესად ამ ცნებებში კომუნისტური პარტია?

როგორც უოველთვის ამოსავალი ამჭერადაც ჩვენი საზოგადოების, შრომობილი მასების, ინტელიგენციის ძირითადი ინტერესები ვახლავთ, რაც თვალნათლად არის ჩამოყალიბებული ძირითად მიმართულებათა პროექტის მეორე ქვეთავში — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი და ამოცანები“. აქ ნათქვამია:

„პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზანი იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუზღვრელი აღმავლობა. მომავალ პერიოდში ამ მიზნის რეალიზაცია მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, წარმოების უოველმზრივ ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. მოგვიწევს თავისთავად ახალ დონეზე აყვავანით საწარმოო ძალებს და წარმოებითი ურთიერთობას, კარდინალურად დეაჩქარაო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უზრუნველევით სწრაფი წინსვლა ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებით, შევექმნათ საწარმოო პოტენციალი, რომელიც თავისი მასშტაბით მთელ წინა წლებში დაგროვილი პოტენციალის ტოლი იქნება...“

წარმოების უოველმზრივი ინტენსიფიკაცია უპირველესად გულისხმობს შრომის ეფექტიანობის ზრდას, რაც მიღწეული უნდა იქნას არა საწარმოო ძალების გაფართოების ხარჯზე, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ზოლმე წარსულში, არამედ წარმოებაში ავტომატიზაციის, გამოიშველვის მანქანების, კომპიუტერული მექანიზმების, თანამედროვე ურთულესი და მეტად ეკონომიკური რობოტების დანერგვის და ასევე მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული ოსტატობის დონის, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლების, შრომისაღმა მამულშიშველდრი დამოკიდებულების ხარჯზე. ეს გულისხმობს აგრეთვე რთული საწარმოო საზღვრის ეფექტურ გამარტავებას, რაციონალიზაციულ წინადადებათა მუნიციერ დანერგვას, რას აუცილებლობასაც ამჟამად ხმამაღლა აყენებენ ჩვენი შრომობლები. ეს ნიშნავს, რომ 400 საშტატო ერთეულისათვის დაპროექტებულ საწარმოში ზუსტად 400 ადამიანი იყოს დასაქმებული და არა, მაგალითად, ორათასი და ათაზე მეტი, რისი შეშთხვევებიც, სამწუხაროდ, არტულ შვიათი იყო. ასეთი არეკონომიკური ეკონომიკით, ზუნდებრთავა, წარმოების განვითარების დღევანდელ პირობებში შორს ვერ წავა ადამიანი, მითუმეტეს საბელშიშველ.

შოლთლოს მოწინავე ქვეყნებში უკვე მილიონობით რობოტია დანერგილი, რომელთაც განითულეთი მანქანები მართავენ, კომპიუტერებია ურთულეს უზენაზე გამოყენებული, მაღლიონობით ოპერაციის თვალისუსწრაფესად ასრულებენ ისინი, მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანისაგან, მუშა-პერსონალისაგან განსხვავებით უგრძობობანია არიან ისეთი მნიშვნელოვანი და მეტად ძვირადღირებული ფაქტორებისაღმი, როგორცაა სიბოლო-სიყვარის რეჟიმი, საშუალო დროის ხანგრძლივობა, დღე-ღამის მონაცვლეობა, გაყდენები, მშოლოს კი, რაც ყველაზე არსებობია, შრომითი ანაზღურება...

მაგარმ აქვე ორიველი სიტყვით უნდა ოქვას მედლები მეორე მხარეზედაც, კერძოდ იმაზე, რომ კაპიტალისტურ საშუაროში რობოტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესი მეწარმის, კაპიტალისტის წისქვილზე ასხამს წყალს. მას სიხარული და შეება რიდი მოაქვს შრომობელთა მსახეისაგან, პარტიით, უოველად ასეთი დანერგვა, ესე იგი, ტექნიკური სიახლეების დანერგვის უედმაღად უოველი ახალი შტატის ათვისება აქ ნიშნავს უმუშეარათა არმიის ახალ შევებას.

ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში კი ასეთი არასაზრველი შედეგა გამოიკვებულა. სოციალისტის ქვეყნებში შრომის კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება იყოს უმუშეარათობა, დაუშვებელია მშრომელი მასების ინტერესების უგულვებელყოფა ეკონომიკური და ანგარებაანი მოსაზრებებით. ყველა ტექნიკური სიახლე მშოლოდ ხალხის, მთელი საზოგადოების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, სხვა მნიშვნელობა მას არ გააჩნია და არც შეიძლება განდედეს, ორ არსებობს უფრო მაღალი მიზანი ვიდრე ხალხის კეთილდღეობა.

საკეშიოო ტიღევიზიით ამას წინათ გადაცემულ პრესკონფერენციაზე, რომელიც საბჭოთა და საზღვარგარეთელი ურჩაღისტებისათვის მოეწყო, რობოტიზაციის შესაძლო უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე ჩვენმა მუშებმა ასეთი პასუხი გასცეს: პროცესი რობოტიზაციისა ტექნიკური თვალსაზრისით ერთ მიზანს ემსახურება მთელს შოფ-ლიოში — ეს გახლავთ წარმოების ტექნოლოგიის ეფექტურობის სრულყოფა, მუშახლების განითავისუფლება, მაგარმ არსისა და მნიშვნელობის მხრივ, ჩვენი, საბჭოური ვარაანტი ამბო-ლიტურად განსხვავებულა დასავლურისაგან, რადგანაც ტექნიკის დანერგვა ჩვენში არ იწვევს შტატების თეიმპიზნურ შემცირებას, იგი მშოლოდ ამ შტატების გადადივლებას, ახალ ობიექ-



ტაზე გადამწილებას გულისხმობს. ამიტომაც საბჭოური ვარაიტი უფრო მუშაობს და ზოგადი სახალხო თავის ხასიათით, ვიდრე კაპიტალისტურა...

დასაღწურისაგან განსხვავებით სოციალიზმის ქვეყნების კონსტიტუციები არა მარტო აკონტროლებენ შრომის უფლებას, არამედ მისი განხორციელების გარანტიებსაც ითვალისწინებენ. სსრ კავშირის კონსტიტუციით შრომის უფლება ნიშნავს გარანტირებულ სამუშაოს მიღებას, რომელიც ანაზღაურებული იქნება შრომის ჩაოდენობისა და ხარისხის, შესაბამისად და სულ მცირე სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ოდენობით. ეს უფლება ითვალისწინებს შოროდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნებთანაა გათვალისწინებით პროფესიის, სამუშაოს არჩევას...

დასავლეთში კი არსებობს სხვადასხვა კონცეფციები, რომლებიც უარყოფენ სრული დასაქმების აუცილებლობას, რაც თითქმის ანულებს შრომის ენოლუზმს ადამიანებში. აქ აგრეთვე თვლიან, თითქმის უმუშევრობა „ინდივიდის თავისუფლების გამოხატულება იყოს“, რამდენადაც იგი მისი ნება-სურვილის გამოხატულებაა. სინამდვილეში კი უველაფერი ეს მოჩვენებითი ფასადია, რომლის მიღმა უფრო რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენები იმალება, ეს გახლავთ კაპიტალისტური ჩავერისა და ხელის მოთხოვის სისტემისათვის დამახასიათებელი შრომელთა ნახების ნება-სურვილზე ძალადური ზემოქმედების ბერკეტი; სინამდვილეში უმუშევრობა მათთვის წარმოადგენს ახალი და ახალი ალტრასიანი და უბრუნებელი შრომითი რესურსების რეზერვს, უკეთ შრომელთა შორის ქვეშევსეული და მუდმივი კონკურენციისა და კიშის, შიშისა და დამახურობის უსიამო ფაქტორს, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ზემოთ ხსენებულ ყხადალებულ კონცეფციასთან — თითქმის აქ არსებული უმუშევრობის ფაქტი კაპიტალისტური სამუაროსათვის დამახასიათებელი პიროვნების ათვისუფლების ერთგვარი გამბრუნებულება იყოს... რასაც ასე ხშირად აცხადებენ კაპიტალიზმის სოციალიზმად.

ჩვენთან და უფრო ფართო მასშტაბით — სოციალიზმის ქვეყნებში კომუნისტურ წყობილებას საფუძვლად უდევს საყოველთაო შრომა. ხოლო ვისაც ამის შესაძლებლობა არ გააჩნია (ქანობის, მხეგობის გამო) უნდა ვეწიოს მატერიალური დახმარება. ამით გამოიხატება სოციალური სამართლიანობა და უბრუნებელი იქნება ადამიანისათვის ღირსეულ არსებობის პირობები, და რაც მთავარია, უმუშევრობა არ გამოიყენება, როგორც მუშაკ, ზემოქმედების იარაღი და საშუალება.

ხოლო რაც შეეხება კომპიუტერიზაციისა და რობოტიკის შედეგად წარმოქმნილ ვარბი მუშა-ძალის დასაქმების პრბლემას, აქაც კვლავ სოციალისტური სამართლიანობის, შრომელთა ინტერესებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთიანობის კანონები მოქმედებს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ „სახელმწიფო ირგანოები გააუღებთ ადვანტენ თვალს შრომითი რესურსების რიცხვისა და სტრუქტურის ცვლას, მათი სამუშაო ადგილის ჩაოდენობას და ამის საფუძველზე დროულად ანზორცილებენ წარმოქმნილი დისბალანსების აღმოფხვრას“. ხდება ვარბი მუშახელის გადამწილება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სისხლნაკულ ახალ უბნებზე“.

სოციალისტურ საზოგადოებაში უკველდლოური ურთადება ექცევა სრულ დასაქმებას და მუშაკთა გარანტირებულ მატერიალურ უზრუნველყოფას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ცალკეული საწარმოები შეფერხების განიცდიან ენერგიით, ნედლეული, მასალებით მომარაგებაში და ასევე წარმოების რაციონალიზაციის განხორციელების დროს ჩვენი კანონმდებლობა არ დაუშვებს მუშაკთა განთავისუფლებას ისე, რომ არ იზრუნოს თითოეული მათგანის შრომითი ნაწყოებაზე:

„უენერგოში იმ საწარმოთა მუშაკებისათვის, რომლებიც წარადიანობის გამო იხურება ექმნება ხელახალი მომზადების კურსები. საამისო ხარჯებს სახელმწიფო კისრულობს, ხოლო შესაძლო განსხვავებას წინა ხელფანთან შედარებით ხელახალი მომზადების პერიოდში მუშაკს უნაზღაურებს საწარმო, რომელმაც ავი ახალ სამუშაოზე მიიღო... ანალოგიური წები არსებობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წოგიერთ სხვა ქვეყანაშიც“... — წერდა ნენეი პრესა.

ასეთი გახლავთ უმუშევრობის კაპიტალისტური ვარაიანის ნამდვილ არსსა და ჩვენს მუშაურ, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებულ შრომის კანონმდებლობას შორის განსხვავება.

ჩვენ ვსაუბრობოთ წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციაზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაქარბების აუცილებლობაზე, იმ უმნიშვნელოვანებო ბერკეტების სრულყოფის აუცილებლობაზე, რაც მირითად მიმართულებათა პროექტში უპირველეს ამოცანად არის დასახული ცენტრალური კომიტეტის მიერ, მაინც რას გამოველით მეცნიერულ-ტექნიკური ექვანის სასურველ დონეზე წარმართვისაგან? რას ნიშნავს იგი?



წარმოების ურველმზრავი ინტენსიფიკაცია უპირველად გულისხმობს მას, რომ უშუალოდ წიორ წარმოების ტექნიკური დონის კარდინალურ ამაღლებას, უწინარესად ამ ტექნიკურმა ცვლილებამ ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკა, თავი მოუყაროს რესურსების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით — ელექტრონიკის, ატომური ენერჯეტიკის, კომპლექსური ავტომატიზაციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ახალი მასალების დამუშავების დარგში, სივლით ხუთწლიელში საზოგადოებაში შრომის ნაყოფიერების მატების სულ ცოტა ორი შესამედი მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების გზით.

განვახორციელოთ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. მეორე მხრივ ხუთწლიელში 1,5-2-ჯერ, გავაზაროთოთ პროგრესული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება. უზრუნველყუოთ, რომ სახალხო მეურნეობაში ფართოდ დაინერგოს პრინციპულად ახლებური ტექნოლოგიები — ელექტრონულ-სიხვიური, პლასტიკური, იმპულსური, ბიოლოგიური, რადიოელონი, მებრძოლი, ქიმიური და სხვა ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მრავალჯერს გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გააძლიეროთ რესურსების გამოყენების ეფექტიანობა და შევამციროთ წარმოების მასალატევადობა...

და, აი, კვლავ მოვადგეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის „აქილესის ქუსლს“, რაც უპირველესად საწარმოო ხაზების არასაკმარის ქმედითუნიანიობაში გამოიხატება. რაც უფრო გასაგები ენით ნიშნავს მას, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებაში დამანდებლად ჩარხების ერთი მესამედი რემონტზე დაყენებული, წარმოების საშუალებათა ამორტიზაციის ვადა, რომელიც 18 წელი, ხშირად არღვევა. ხშირად ახალი ტექნოლოგია აუთოიბნლად აწყვიტა წლების მანძილზე, ამასობაში კი იგი უკვე მორალურად ცვდება, კარგავს მხოლოდო არენაზე კონკურენციის უნარს; იმისათვის, რომ წარმოებათა საშუალებების მთელი პარკი ფარამიტე წლის მანძილზე გააზღდეს, ურველწლიურად უნდა ხდებოდეს მისი მთელი მოცულობის, დაახლოებით, 5-6-ის გააზღება, სინამდვილეში კი ჩვენ ვახერხებთ მხოლოდ 2 პროცენტის გამოცვლას. ამავე დროს, როცა ახალ ნაერთებზე დაპარკო აქ იგულისხმება ფოლადოუქსამსხმელი მრეწველობაში ტრადიციული მეთოდების, მასალათა და ნაერთთა ტექნოლოგიების ეკონომიკური გამარავალდეროვნების, ივისებრივი გარდაქმნების აუცილებლობა, რათა ჩარხი, დანადგარი, ინსტრუმენტი გაცილებით მსუბუქი, ნაკლებმასალატევადო და ამავე დროს გაცილებით ეფექტური იყოს მის წინამორბედზე.


მაგრამ ისეთი ეკონომიკური, ახლებური მიდგომა ებება არა მარტო მიიშე მრეწველობის დარგებს, იგი თანაბრად მოიცავს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სფეროსაც. მსუბუქ მრეწველობასაც, ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს...

აქ წინა პლანზე დგება აგრეთვე უწინარესო წარმოების მიზანშეწონილობა, ანუ გულის აღება უწინარესო მრეწველობის დანერგვისაკენ. ჩვენში, პირობათად რომ ვთქვათ, ურველი ასი კლოჯარაში ნედლეულიდან ვარჯისია მხოლოდ 7 კლოჯარაში. დანარჩენი კი იურება, ზეადდება უშედეგოდ გროყებისა და შიების სახით, რაც უშედეგოში ქქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს და მრავალ თავსატეხს უჩენს საზოგადოებას, იწირება დიდძალ თანხებს... აქამდე მოვავართ ვიწროუწყებრივ დამოკიდებულებებს საქმისადმი — არა და ჩხირად, სწორედ ამ ვიწროუწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ გორებს იქროსაც ვაყოლებთ თურმე და ამის შესახებ ჩვენს პრესაშიც საკმარად დაიწერა. ქვენახშირის ამომღებ სულ არ იდარდება თუ კი ნარჩენებს რაიმე სხვა ძვირფას მდლან გადაყოლებს. შესაძლოა, ქვენახშირზე გაცილებით ძვირადღირებულნიაც კი... მან თავისი გეგმა უნდა შეასრულოს და დანარჩენი არაფერი იდარდება, ფართო სახელმწიფოებრივი ინტერესი მას არ ამოძრავებს... ახეთი გახლავთ სწორედ ვიწროუწყებრივი პოლიტიკის ჰედვი. ამ მოვლენის მსჯელობის ხასიათი...

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აკადემიკოს არბატოვის სიტყვები, — „უკელაზე დიფიციტური ჩვენში ეკონომიკური აზროვნებააო“.

მართლაცა, ზეგონიერული ეკონომიკური აზროვნება ჩვენი მრავალ სატკივარს მალაშოდ მოცუბებოდა. ამიტომაც არის რომ პარტია და მოაჯრობა, როგორც სკკე პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, ისევე ძირითად მიმართულებათა პროექტშიაც მოთვარეუროდლებს თანაფეროვე საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მთავარებს. ამის თანხაზე ხაზგასმით არის ნათქვამი ძირითად მიმართულებათა შესახებ ქვეთავში — „სსრკ-ის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1146-1990 წლების ძირითადი ამოცანები“.

მეორე მხრივ ხუთწლიელის მოავარი ამოცანაა გავაძლიეროთ ეკონომიკის განვითარების ტემპი და ეფექტიანობა ამ ხაზზე, რომ დავაიპროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განვახორციელოთ წარმოების ტექნიკური განახლება და რაციონალურად, ინტენსიურად გამოვიყენოთ შექმნილი საწარმოო პოტენციალი, სრულყოთ მართვის სისტემა, საპურნეო პე-

ქანში და ამ საფუძველზე მიაღწიოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას...  


მაგრამ ვიდრე „ცნონოციური აზროვნების“ სხვა ასპექტებზე გადავიდოდეთ კვლავ მივუბრუნდეთ უნარჩუნო წარმოების პრობლემას, იმ გორბას საკითხს, პირამიდებზე რომ აღმართულან სამრეწველო რაიონებში, მადნეულის კარბონატების ადგილებში. როგორ უცვალდეს მათ აქაურ ჩვეულ და ბუნებრივ ლანდშაფტებს სახე... ოქროს რომ თავი გავანებოთ, რადენ სასარგებლო წიაღისეულს, გამოუყენებელ სიმდიდრეს შეიცავენ ეს პირამიდები! გამორიცხული როდია, რომ ადამიანებს კვლავ მოუხდეთ მათდამი მობრუნება და ერთხელ უკვე „ვიწრო-უწყებრივად გამოქაჩული“ ქანების ხელახალი გადამუშავება. ეს, რაც შეეხება წიაღისეულ სიმდიდრეთა მოპოვების დარგში არსებულ ვითარებას, ამ სფეროში „ცნონოციური აზროვნების“ თანამედროვე დონეს, იგივე ითქმის სოფლის მეურნეობის სფეროზედაც — აქაც, ნაკლებ წარადიან წარმოებასთან რაღაც გვაქვს საქმე: კოლმეურნის შრომითა და გარჯით მოპოვებულა საზოგადოებრივი დოვლათის 20-25 პროცენტი იყარგება, ვიდრე იგი მომზარებლამდე მიადევებს. არც მეტი, არც ნაკლები—იყარგება გზაში ვიდრე მას მინდვრიდან და ფერმიდან მაღაზიაში მიიტანენ. ეს გახლავთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიისათვის დამახასიათებელი სენი, რომელიც უზღვევ მატერიალურ-ცნონოციურ და გენეზურ იდეურ-პოლიტიკურ წარადს აყენებს ჩვენს საზოგადოებას, სასურსათო პროგრამის სათანადო დონეზე წარმართვის საქმეს, ხალხის კეთილდღეობის ამჟღეობის საფუძველ ამოცანას, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას...

მართლაც და, როგორი საქმეა, მოწოდული ჰქონდა ხალხის მეოთხედი რომ ქარს გაატანო! გლეხკაცი უკან მოხვევა ჰქონდა ხალხით და წყვილ მარხილს და ძირს დაკვენილ თავთავეებს საგულდაგულად კრთავს.. აქ კი, პირიქით ხდება უკუგლეხე — მარხილის ერთი მეოთხედი გზაში იხრება.. ერთობ შთაშებედავი კონტრასტული სურათითა და ამან თვითიული ჩვენგანი უნდა ჩააფიქროს, რათა საკუთარ თავში გამოვიმუშავოთ მეტი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმეხადაში, ერთგულება საზოგადოებრივი იდეალებსადმი, უპირთიანობა და ხელშეწყობა. რა უყვლება უბანზე. ერთი სატყუთი, ბევრ ვინმეს მართებს ამჟღეობა მეურნე გლეხკაცის დეკორი მომადლებული შინაგანი კულტურის, შესაძლოა პოლემოდ გაუანადიბებელი ზოგადპოპულარიული კულტურის იდეალების, მოქალაქეობრივი მრწამსის დონემდე...

როცა კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის მუშა თუ ბრედადირი, დირექტორი თუ სხვა თანამშრომელი უკან გამოყვება ჰქონდა ხალხით დატვირთულ მარხილს, სათუთად აკრთავს უყველ მარცვალს და უდამარცვალ დაბინავეებს სახელმწიფო მარხილი და ასეთივე პასუხისმგებლობით იღვარებს ხარატი თავის დაზგასთან, შერადი—სწერ მავდასთან, მძღოლა—სატყარით მანქანის საჭესთან და მეცნიერი—ტელეფენტებთან თუ ლაბორატორიაში, თერაპი—თავის ქიზურსი და ატელიეში, მანქანებებელი—სკოლაში და სხვები და სხვები თავთავით ადგილებზე და ეს სანიშნო იდილია, საერთო-სახელმწიფოებრივ მარხინად იქცევა, იმ სანუგეარ დღეს კიდევ უფრო ცხოველმყოფელობით გამოზრწინდება ჩვენი სოციალისტური წყობილებსადმი წინანდობილი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამადლებულობა და სიდადე... კიდევ უფრო ძალუმად გაცხადდება, თუ რა უდამდებს შესაძლებლობებს შეიცავს მშრომელი მანხეის განთავისუფლებული ინვიატიანობის ძალა, რა მძღავრ ბერკეტს წარმოადგენს სოციალისტური კოდექტივიზში და ინტერნაციონალიზში, ამხანაგობა, საბჭოთა პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზში, საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა...

ცნონოციური აზროვნება..

ჩვენი შეცნიერება ჩერ კიდევ დიდ ვალშია მთლიანად სახალხო მეურნეობის წინაშე. და კვლავ ტექნოლოგიური ზახებისა და საწარმოო სიკვლების შემოქმედობა და უნათობა დგება წინა პლანზე: რკინიგზის ვაგონის საშუალო სიჩქარე კავშირის მასშტაბით 18 კილომეტრია. ასეთ ვითარებაში ხილბოსტენულისა და სხვა მადნეულებადი პროდუქციის, ასევე სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ნედლეულის თუ მახალების გადაზიდვის რა ეფექტურობაზე შეიძლება ლაპარაკი?

ძირითად მიმართულებათა პროექტის შექცევა თავში, „აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება და სასურსათო პროგრამის რეალიზაცია“ სწორედ ამ მომენტზე არის უფროდლება გამახვილებული:

„გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. აღმოკვებრათ დანაკარგები წარმოებისა და რეალიზაციის ყველა სტადიაზე. სატელევიო გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა განლაგება, დაეუბლოვოთ ისინი ნედლეულის ბაზას. უფრო უფროდ დანერგოთ წარმო-



ების ინდუსტრიული და უნარჩუნ ტექნოლოგიები. გავაუმჯობესოთ პროდუქციის გადაზიდვის, გადაჭრუშვებისა და შენახვის ორგანიზაცია... — ვითხოვლობთ პროექტში.

ამ საპროგრამო დოკუმენტებში ჩაწერილი ყოველი ფრაზა ფართო ტრადიციისა და მრავალწინაშეწოდებისაა აზრის შემცველია. აქ აქუსულირებული და განზოგადებულია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის დამახასიათებელი მრავალი მტკიცეული საკითხი. ამ საკითხების გაშლა, დანაწერება და ყოველმხრივი ანალიზი უკვე თვითული ჩვენთაგანის საქმეა; ზემოთ ჩვენ სხვადასხვა სახის ნაკლოვანებებზე ვსაუბრობდით, ჩვენს წინსვლას რომ აფერხებენ. ამ უმარისობის პრინციპი ექვედა ტექნოლოგიური მოუქნებლობაში ასევე სხვა სფეროებშიაც. მართლაც, კუს ნაბიჯი ზოგანი ნამდვილად არ შეესაბამება ჩვენს საბელმწიფოში სოციალურ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე ტემპებს, არ შეეფერება ჩვენი სახელმწიფოს მძლავრი წინსვლის მანძილებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საბჭოურ ხასიათს...

როცა ვლადიმერმა მოუქნელ ტექნოლოგიაზე ზოგადად, ანდა კუს ნაბიჯი ზოგინზე აქ მხედველობაში გვაქვს ასევე მშენებლობათა ჩვენეული არც თუ იშვიათად მოძველებული, არაეკონომიური და არაინტენსიური პრაქტიკაც და კიდევ მრავალი სხვა რამაც...

არ ვიცი, რა მოსაზრებით, მაგრამ რატომღაც ჭარბად, ქარხნებს, სხვადასხვა ობიექტებს ვაწინებთ, ტალახიან მტკრიან გზებზე მანქანებს ვკვეთთ, ბენზინს ვხარკავთ, ზედმეტ დროსა და ენერჯიას ვყარავთ, და მხოლოდ ბოლოს ვიწყებთ შიდა გზების მშენებლობას. ერთი შეხედვით ეს იმას ჰგავს — სოფლის კლუბში, კულტურული რევოლუციის გარე-რამზე, პირველი კინო რომ ჩვენეს, და უყოღნიარობით ფარი უკუღმა დაატრიალეს, ხალხი მინც იძახოდა — დიდებული რამ იყო!

რა თქმა უნდა, აქ არავინ ამბობს—დიდებული რამაო, მაგრამ პრინციპში თავში გასაქვადებული რომ ბოლოში კეთდება ამას რა ბევრი მტკიცება უნდა. ახლა ვაფიქსირებოთ ჩვენს სამშობლოში მშენებლობათა მანძილები, ხომ უდავო ფაქტია, რომ საბჭოეთი ამჟამად რენ უშვებდებელ სამშენებლო პოლიგონს წარმოადგენს, და დავრწმუნდებით, რომ აქ ღრულად ვგმართებს ჩაფიქრება, ამ უზანზე მართლაც რომ დიდი ეკონომიკური რეზერვები გავაჩნია. დღეს კი სწორედ შენიშნავენ ეკონომისტები და კომპეტენტური სპეციალისტები, რომ — „თავის დროზე საწარმოო ინტრასტრუქტურის განვითარებლობით გაკლებული მძტ-სა ვყარავთ, ვიღაც გზებისა და სხვა დამხმარე საშუალებათა უწინარესი განვითარებით“.

და არა მარტო ეკონომისტები და სპეციალისტები, უკვე ბევრი ვინმე მივიდა ამ დასკვნამდე. ე. ი. საწარმოო ინტრასტრუქტურის უწინარესი განვითარების აუცილებლობამდე. ამ საკითხზე ხაზგასმით არის გამაზელებული ყურადღება ძირითად მიმართულებათა პროექტში, სადაც საგანგებო თავი აქვს მიძღვნილი კაპიტალური მშენებლობის შემდგომი სასულყოფის ამოცანებს, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს. აქ შრომის მოწინავე ფორმების დანერგვის აუცილებლობის შესახებ ნათქვამია, რომ მომავალში მეტად უნდა იქნას გათვალისწინებული „პროგრესულ მდენიერულ-ტექნიკური მიღწევების, რესურს და ინტერდასწრული ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის, ეკონომიკური ნოყვლობით — საგვმარებელი გადაწყვეტილების, კონსტრუქციების, მანქანების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეოთხედის ფართოდ გამოყენება. ამასთან თანამდევრულად შევამჯობროთ ერთეულ პროდუქციაზე მატერიალური სათბობ-ენერჯიტკული და შრომითი რესურსების ხარჯვა“...

მთელი რიგი ეს უმარისობანი მეტ-ნაკლებად ეხება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებსაც, განსაკუთრებით კი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროს, რომლებიც ქმნიან კიდევაც ქვეყანაში ეკონომიკურ ამინდს, ესე იგი, განსაზღვრავენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონეს, უფრო მეტად, კვლავ ლენინის სიტყვები რომ მოვიხვედოთ, ქმნიან პოლიტიკას, მასების განწყობილებას.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით არადაამკეთოფილებელი სურათი ვა-ეაჩნდა სოფლის მეურნეობის დარგშიაც. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოცდამეექვსე ურილობაზე, სხვადასხვა პლენუმებსა და ჩვენი ხელმძღვანელების გამოსვლებში, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს, ამხანავ გორბაჩოვის სიტყვებში ხაზგასმით არის გამოკვეთილი სოფლის მეურნეობის რადიკალური გარდაქმნის, მისი ინტენსიფიკაციის აუცილებლობის ამოცანა. ყოველთვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ჩვენთვის საზოგადოებრივი სექტორის წამოწევა კერძო სექტორის გამოსავლიანობის დონემდე, მათ შორის არსებული გარკვევის ლიკვიდაცია საზოგადოებრივი სექტორის განვითარების ხარჯზე, მიწების მცირე გამოსავლიანობა, მათი მოდერნი ვეღა დროში გაუმართლებელი იყო, მით უფრო გაუმართლებელია იგი დღეს, როცა იმპერიალისტური სამხაროს მიწეწით მთელი მსოფლიო შეიარაღების მისტი-რიაში მოიცვა, რასაც, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანაც ვერ წაუდრებებს. ეკონომიკური დასუსტების პროგრამა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რომ შეიმუშავეს ჩვენს საწინააღმდეგოდ, რაც

გამაღებელი შეიარაღებაში გამოწვევის ნეშეობით სურთ განახორციელონ, რა ღქმ. უნდა, მრავალი სხვა ეკონომიკური და სავაჭრო სანქციისა და ღონისძიების ანალოგიურად ამოავითვე ჩასაფურშავადაა განწირული; შექმნილი რთული სიტუაცია კიდევ უფრო მეტ შრომოსტენებს გვიყენებს ამჟამად. ისევე, როგორც წარსულში, ჩვენი ქვეყნისათვის შეტად შებენ და კრიტიკულ მომენტებში მთელი ძალისხმევა უნდა შევკვალოთ ძირითად მიმართულებათა პროექტში დასახული მიზნების განხორციელებას, კერძოდ კი სახალხო მეურნეობის სფეროში ძირეული გარდაქმნების ამოცანას, რაც ცოდურების ერთ მიზნავს, რომ „14-16 პროცენტით გავზარდოთ მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა, უმთავრესად განვითარების ინტენსიური ფაქტორების, შეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე პრაქტიკის უახლესი მიღწევების დანერგვის, შექმნილი საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების გზით...“

„...გავადიდოთ მარცვლეულის მთლიანი მოსავალი 1990 წელს 250-255 მილიონ ტონამდე, ...ურძენისა — 10,5—11,5 მილიონ ტონამდე...“

„...ურსუნველეფოთ მეტსოველობის პროდუქციის სტაბილური ზრდა. 1990 წელს ხორცის წარმოება გავადიდოთ 21 მილიონ ტონამდე (საქლავის წონით), რძისა — 106-110 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 80-82 მილიარდ ცალამდე...“

აქვე დასახულია ერთი შეტად მნიშვნელოვანი ამოცანა — რაც სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების ზღვრებს შავაღობად გვესახება. ეს ვახლავთ ზრუნვა კერძო სექტორის განვითარების შემდგომი სრულყოფისათვის.

„სურსათის რესურსების შევსების მიზნით... დავებმართო მოქალაქეთა პირად დაზმარე მეურნეობებს სათიბებისა და საძოვრების გამოყოფის, საყვების, თესლის, სასუქების, პარტუჯიისა და ფრინველის, მოზარდულის მიყიდვის გზით. გავაუჭობესოთ მოსახლეობისაგან ნაშტის პროდუქციის შესყიდვის ორგანიზაცია...“ — ნათქვამია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში.

მართლაც რომ გრანდიოზული ამოცანებია. და აი, იმისათვის, რომ ეს ზღაპრული მიზნდასახულობანი არ დარჩეს „ხშირდ მღადადებლისა უდაბნოსა შინა“ ჩვენი პარტია და მთავრობა, დიდი ხანია, იძებოს სოციალისტური მეურნეობრიობის ახალ ეფექტურ ფორმებსა და მეორედებს. ამ ძიებამ ფართოდ გავლდა მხრები ჩვენი რესპუბლიკაშიაც და საბოლოოდ იგი აგრესამრწველო კომპლექსის სახით ჩამოყალიბდა. მართლაცა ამ თვალსაზრისით, შეიძლება თამამად ითქვას ამის თაობაზე, ჩვენმა რესპუბლიკამ პირველობა არავის დაუთმო — მრავალი საინტერესო სახლედ დანერგა სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის სფეროში. ბევრი მათგანი განვითარდა და მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ჰოვდა აღიარება. ესენია, მაგალითად, აბაშის, ფოთის, გარდაბნისა და სხვა ექსპერიმენტები.

არსაკლებ საგულისხმოა მრეწველობის დარგში განხორციელებული სახლდეები. უნდა აღინშნოს, რომ ამ უბანმა ბოლო წლების მანძილზე მართლაც რომ წარმოუდგენელი შეტამორტოზა განიცადა. სამოცდაათიანი წლების დამდეგთან შედარებით რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეცნიერებისა და ინსტრუქციების რიცხვი დიდად არ გავზარდა, პაით ნაშუშვრების დენერგვის ეკონომიკური ეფექტი კი, ავხლოობთ, 60-ქირდ გაიზარდა. ზოლო დანაგარიშების საწერის წერტილად 1981 წელს ოუ დაიდებთ, მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი ორქირდ გაიზარდა.

მართლაც რომ მრავლისმეტყველი ცოდურებია. უკველივე ეს კი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სფეროში შექმნილი ვითარებისა და სხვა რესპუბლიკების ანალოგიური მიღწევების ფონზე მართლაც რომ ფენომენალურ ნახტომად შეიძლება ჩაითვალოს. უკველ უბანზე ასეთის ნახტომებმა კი, უნდა ვთქვაქროთ, რომ საგულისხმო რაოლი თამამაში ამ გლობალური ტექნიკური რეკონსტრუქციის პოლიტიკის შემოუშვებაში, რომელსაც დღეს ჩვენი ქვეყნის ზღვრდევანდელა ანხორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეს ამოცანები კი უკვლისშომცველად არის ახახული საზოგადოებრიობის საშწავროზე განსახილველად წარმოდენილ ძირითად მიმართულებათა პროექტში, სადაც ჩამოყალიბებულა სოციალისტური მეურნეობრიობის ეფექტიანობისა და შემდგომი განვითარების ყველაზე ოპტიმალური გზები და მიზანდასახულობანი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენი რესპუბლიკა სახაზოს საცდელ პოლიგონს წარმოადგენდა მთელი ამ წლების მანძილზე.

აქვე საზი უნდა ვარგვას ერთ გარემოებასაც — ამ მრავალიცხოვან სახლდეთა დანერგვასა და საინტერესო წამოწვევებში ქართველი კაცის მარადშამიებელი, დაუდგრომელი ზუნება და ხასიათიც გამოიკვეთა...

როგორც ზემოთაც ითქვა, ამ ძიებებმა საბოლოოდ განსაზღვრეს აგრესამრწველო კომპლექსის სახე, მიხი სტრუქტურა და ამოცანები. დაიწყო ახალი ერა სოფლის მეურნეობის სფეროში — ერა, რომლის არსიც ეურდნობა საზოგადოებრივი წარმოების ბრავადულ, ივა-

რულ და სხვა ნოვატორულ მეთოდებს, სასურსათო პროგრამის საფუძველთა საფუძველს — კოპერირების პრაქტიკას, სოციალისტური დემოკრატიაში შემდეგმ განვითარებას და მღწის ნისტრაციული და ხელმძღვანელი აპარატის დახვეწისა და შეწყობის, მისი მარბეუტის და მოწინაღ ბირთვად ჩამოყალიბების ჩვენებურ გამოცდილებას, ასევე შუალედური რგოლების შემშვიდრების საშუალებით შრომის ნაყოფიერების ეფექტურობის ამაღლებას...

როგორც ცნობილია, სამი მომიჯნავე დარგის — საქსოფლტექნიკის, სოფლის მეურნეობის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გაერთიანების გზით, სულ-ცოტა, ერთი შესაძლებელი შემცირდა ამ უწყებებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა, მინისტრების ოცდაათამდე მოადგილის საქმეს ამჟამად თერთმეტი მოადგილე ასრულებს და ამავე დროს საერთო ეკონომიკური მიჩვენებელი კი არ შემცირებულა, არამედ საგრძნობლად გაიზარდა. როგორც წესოთაც ვთქვით, ხელმძღვანელობა უფრო მობილური გახდა, წამოკრილი საკითხებისადმი მიდგომამ კონკრეტული ხასიათი შეიძინა. დაქუცმაცებული, დანაწევრებული დეპარტამენტი ერთი წერისს, ერთი დინტერესებული ორგანიზაციის ხელში მოექცა, აღრ თუ ვაობის ამოშრობა და მისი ათვისება სამ დამოუკიდებელ უწყებას ტვალდობდა, ამჟამად სადრეფო რუებისა და საწრტო არხების გახრით დაწყებული, მიწების შემდგომი კულტივაციის ჩათვლითა და ბოლოს კი მისა საბოლოო გამოყენებით დამთავრებული მთლიანად აგროსამრეწველო განყოფილების საწრუნავი შეიქმნა, მას საბოლოო პროდუქციის მიღების გათვალისწინებით უგვეგვევენ სამუშაო მოცულობას და ასეთ ვითარებაში მთელი ცვლებების მხველეობაზე მასუისმგებლობაც მთლიანად ამ კომიტეტს ეკისრება.

ყოველთე შემოთქმულის ლაქონორ და ყოვლისმომცველ ფორმულირებად გვესახება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში ქვემოთმოყვანილი ადგილი, სადაც ნათქაამია:

„გაუზარდოთ მართვის აპარატის მუშაობის ეფექტიანობა, მართვის ორგანობის შორის უფრო მკვეთრად გამოყნოთ უფლებები და მოვალეობანი, გავაუქმოთ ზედმეტი რგოლები, აღმოყუხრათ დუბლირება და პარალელურში მუშაობანი, გავაუმჯობესოთ სამმართველო შრომის ორგანიზაცია და ტექნიკური აღჭურვილობა.

მეადრწოთ წარმოებასა და მართვაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის ობიმალურ თანაფარდობას. არსებითად გავაზარტოთ და გავაიფოთ მართვა. უფრო ოპერატოვლად გადაწყვეტოთ მიმდინარე საკითხები, მართვის ცენტრალური ორგანოები გავთავისუფლოთ წვრილმანი და მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვისაგან. გადაჭრით აღმოყუხრათ ფორმულირება და ბიუროკრატიაში მუშაობანი, მკვეთრად შევამციროთ ინსტრუქციებისა და მითითებების რიცხვი...“

ასეთი გაზღავთ შესაბამისობა მეურნეობრიობის დარგში ჩვენი რესპუბლიკის ამ ბოლოდროინდელი გამოცდილებისა და ახლახანს მიღებული ძირითად მიმართულებათა პროექტში ჩამოყალიბებული ზოგიერთი საპროგრამო დებულებას.

ძირითად მიმართულებათა პროექტში ნაჩვენებია აგრეთვე ის დიდი ამოცანები, რომელიც დასახულია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების თვალსაზრისით. გათვალისწინებულია მუშა-მოსახლბურეთა საშუალო თვიური ხელფასის 18-18 პროცენტით მომატება, ანუ მისი ვაზრდა 215-220 მანეთამდე. ამასთანავე გათვალისწინებულია კოლმურნეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდება 15-20 პროცენტით, ბავშვიანი ოჯახებისადმი დაზმარების გაფართოება, ქალების ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ეტაპობრივად, ქვეყნის რაიონების მიხედვით, გაზარდოთ დიდების ნაწილობრივდღეფასიანი შევებულების ხანგრძლივობა შეჯლის მოსაველთად, განვითაროთ ფეხმძიმე ქალებისათვის განყოფილი სპეციალიზებული პროფილაქტიკურიუნების ქსელი.

გავუფართოოთ ახლგაზარდა ოჯახების შედგათები და უპირატესობანი საბინაო-სამშენებლო კაპერატოვებში შესვლასა და ინდივიდუალური სახლების მშენებლობის დროს“ — ნათქაამა ძირითად მიმართულებათა პროექტში. დიდი ამოცანებია დასახული აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სხვახანსხვა სახის მომსახურების სფეროს ძირეული გარდაქმნისათვის, მისი გაუმჯობესებისათვის.

რადა თქმა უნდა, აქ დასახული მიზნების განხორციელებისათვის მთელი საზოგადოების ძალიხმეგვა საჭირო. ამანწინათ თბილისში გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამურერო აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამანავმა ჟ. ი. პატაშვილმა მკაცრი და სამართლიანი შეფასება მისცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ უბანზე შექმნილ ვითარებას და დასაბამისი გამოსწორების გზებდა. ეს იყო მართლაც ყოვლისმომცველი, მეცნიერულ-ანალიტიკური შეფასება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის



სამინისტროს, მსუბუქი მრწველობის სამინისტროსა და სხვა უზენაესი შექმნილი მდგომარეობისა. მან კვლავ გაუსვა ხაზი ზღვრულად მუშაობის საშუალებების და ეკონომიკური პროცესების არადაშლად უზრუნველყოფის დონეს:

„უწინარეს ყოვლისა იგეგმება მწვავე აუცილებლობა შეიცვალოს მტრ წინ ხელმძღვანელთა სამეურნეო და ეკონომიკური პროცესების, საერთო სრულიად სხვაგვარი პოლიტიკა დაგეგმვისა და მართვისი. ჩვენ შევქმნივთ, როგორც უკვე აღინიშნა, მართვის გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურა, მაგრამ გერქრობით ვერ შევადგინებთ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების საფუძვლებს გარტყმისას...“

დასასრულს ქ. პატაშვილმა დასაბამო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზრდის კომპლექსური პროგრამა: „დასახულ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობა, წარმატებით გადაწყვიტოთ ჩვენს წინაშე მეთორმეტე ხუთწლიანი და უფრო შორი პერსპექტივისათვის დასახული ამოცანები, თანმიმდევრულად შევასრულოთ მოთხოვნები, რომლებსაც სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი შეიცავს“. — თქვა დასასრულს მომხსენებელმა.

და არა მარტო ამ კრებაზე, დღეს მთელი ჩვენი რესპუბლიკის, და არამარტო რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის მოსახლეობა, ჩვენი საზოგადოებრიობის უფართოესი წრეები, ყველა საბჭოთა ადამიანი ერთი საფაქრალით არის განწყობილი — საკუთარი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და ბედნიერების დამკვიდრებისათვის, კომუნისტების მაღალი იდეალების გამარჯვებისათვის კიდევ უფრო შემართებით, მეტის ძალისხმევით იმუშაოს თავის უბანზე, უფრო პატიოსნად და მარტვედ წარუძღვეს მისდამი მინდობილ საქმეს, რათა პირნათლად წარსდგეს მოახლოებული 27-ე ყრილობის წინაშე.

ყველა ჩვენგანს დღეს ნათლად აქვს შეგნებული, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და ასევე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის მოქმედების კონკრეტული პროგრამებია, ეს არის პარტიის ღირებულება ზალის კეთილდღეობის შემდგომი გამარჯვებისათვის და ჩვენი საზოგადოების ურველმზრივი განვითარების ინტერესებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, მომწოდებული, დიდი სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის შესახებ.

რა თქმა უნდა, ამ გრანდიოზულ მოწინააღმდეგეობათა განხორციელებისა და ხორცშესხმის საქმეში გადაწყვეტი სიტუაცია გუთვით აგრეთვე ჩვენი ზელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენელთა, ეგრეთწოდებულ შუალედურ რგოლს, რომელსაც ევალება მოსახლეობის ფართო წრეების ინფორმირება დასახული ამოცანების შესახებ. მართლაც და ყველა დიდ საქმეს, ახალ ჩანაფიქრსა და წაშორებას, რაღა თქმა უნდა, სათანადო გაშუქება და პროპაგანდა, სამწოდვე გამოტანა სჭირდება. ტექსტიმენტის, ღონისძიების, უბლები მეთოდის დანიშნულება და არის საზოგადოების უფართოესმა ფენებმა თუ არ ვაზიარებს და აღიქვს იგი დეარგავს დათანხმებული ცხოველყოფილების, ვერ მოკვებს საყრდენთა პრაქტიკულ, მორალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ადრე თუ გვიან შეიძლება ჩავსვადებს კიდევაც. ხელოვნება, ლიტერატურა, მწერლობა, განსაკუთრებით კი პუბლიცისტიკა ის უუცვლელი თანაშემწე და ინტერპრეტატორია, რომელიც ამ ახალი ჩანაფიქრის განხორციელებასა და ხორცშესხმის მურევეობს, ოპტიმალურ ფსიქოლოგიურ და მორალურ ინფრასტრუქტურას ქმნის მისი პრაქტიკული დაგვირგვინებისა და განხორციელებისათვის...

ქართული მწერლები, ისევე როგორც დღემდე, საბჭოთა მწერლების ავანგარდთან ერთად კვლავაც იღვანევენ ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი მაღალმახტარული ნაწარმოებების შესაქმნელად, საბჭოთა ცხოვრების წესის, სოციალისტური იდეალების უპირატესობათა რეალისტურად წარმოსაჩვენად, ქვეყნად სამართლიანობისა და მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ბედნიერი ხელოვნული დღესათვის.

ამ სამომავლო დამკრძალვით არც ფრანალი „მნათობი“ დარჩება ვალში, იგი კვლავაც შეცდება სანტრეტისოდ, მაღალმახტარულად, მასშტაბურად ასახოს თავის ფურცლებზე სადღესობა მეროკა, საქვეყნო და საზოგადოებრივი ხასიათის მოკვლენება, მაღალ პროფესიულ დონეზე გამოცხადების პარტიისა და მოაქრობის მოწოდებებს, ძირითად მიმართულებათა პროექტში ჩამოყალიბებულ „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების“ პროგრამის განხორციელების მიზდინარეობას, მრავალფეროვანი ცხოვრების მიერ ურველდობრად წამოკრული საკითხებს, მშრომელი ადამიანების გულმოსქმნის, 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებათა მიმდინარეობას, მეთორმეტე ხუთწლიანი საგანგებო ვალდებულებებს.

თავიანთ ძალისხმევასა და შემართებულობას ქართველი მწერლები არც ამჯერად დაიშურებენ.

თაიბურაზ ჯანგულაშვილი

## შეხვედეთ! — მოვიდა 1986

რწმენით ურყევით,  
საქმით მართლით,  
სიტყვით რჩეულით,  
კვალში ჩამდგარი გრეიდერით და გუთნეულით,  
მომღერალ დაზგით,  
ცხელი გულით,  
ცინცხალი ლექსით

შევხვდეთ! ---

მოვიდა ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი

წელი —

თავწყარო, თავფურცელი ელვად ქცეულის  
სამი ხუთწლეულის,  
ბჭემალალი თხუთმეტწლეულის,  
რომლითაც უნდა დაგვირგვინდეს ეს საუკუნე  
და იმ მესამე ათასწლეულს ექცეს სათავედ-  
...გულის თვალთ ვკვრეტ

(ფიქრით ხვალის დღეში გადაველ):

ჩვენით სისხლსავსე მიწის ძალა მზესთან გუგუნებს.  
ჩვენით სხივსავსე მშვიდობის ცა ყვავილებს ისხამს...  
შევხვდეთ! —

მოვიდა ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი!

კოლხეთის ველი მწვანე ფოთლის თასით სვამს ცის ნამს,  
თეთრი ჰეპლები ფარფატებენ გომბორის მთებში,  
თენდება დილა

ცის ღიმილით ნაგვირისტალი,

ზვრებში ვაზის ფესვს მფეთქავ ძარღვებს უთმობს მზის თვალი,  
ჩაის ყვავილზე იშმუნდება ნამის კრისტალი.  
ეინვალში შუქად იბადება არაგვის წყალი,  
ქვეყნის სიმძლავრედ იჭედება რუსთავის რვალი,  
გარეჯის მკერდზე იწერება ახალი პწკარი,  
შირაქში მწვანით იმოსება ნახნავის კვალი,  
ელდრს ახალ ძალით უძველესი ქართული ქნარი.  
ენგურის პირას გულის ცეცხლზე ფიფქნი კრთებიან,



ფაზისის პირზე ენასკვებათ ვარდებს კვირტები...  
დედათბილისში დიდ ფორუმზე იკრიბებიან  
გულით მართალი საქართველოს კომუნისტები,  
რათა

სამშობლო გვქონდეს უფრო ძლიერი,  
უფრო მდიდარი და ბუნდური,  
სიკეთის ცეცხლი გიზგიზებდეს ყველა კერაზე,  
ყოველი დილის შემოფრენაზე  
უფრო ემატოს მიწას შუქი,  
ცაა — კიდევანი,  
უფრო გადიდდეს დღე, რომელიც ჩვენ დავიმკვიდრეთ!  
ქვეყნის სიმძლავრე  
სიმძლავრეა ყველა ჩვენგანის,  
ყველა ჩვენგანის სიმდიდრეა  
ქვეყნის სიმდიდრე!  
ჩვენ უნდა შევექმნათ ეს სიმდიდრე,  
ყველა ჩვენგანმა! —

ყველას გვეძახის საუკუნის დიდი ლაშქრობა,  
ყოველი დღე და თვე ყოველი ელვას ემგვანოს,  
შრომის გარეშე დგომა უდრის ომში ლაჩრობას.  
...დიდი სინათლის ნაბიჯების მძლავრი ხმა მესმის,  
ეხედავ—

მალდებდა ცამალალი სამშობლოს ჭერი.  
შევხვდეთ! —

მოვიდა ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი  
წელი,

პარტიის მშობლიურის  
ყრილობის წელი.

კრემლის მალალი ტრიბუნიდან იღებს სათავეს  
იგი სინათლე სამომავლო დღეთა დიადთა,  
გულის თვალთ ვკვრეტ

(ფიქრით ხვალის დღეში გადაველ):

სამშობლოს ცაზე დიადი მზე ამობრდღვილდა,  
ჩვენით სისხლსავსე მიწის ძალა მზესთან გუგუნებს,  
ძალა ჩვენივე გულის ძალით ფრთადარწყული.  
უბადლო შუქით გვირგვინდება ეს საუკუნე,  
იღება კარი იმ მესამე ათასწლეულის  
და მის უმაღლეს მწვერვალებზე დგას ჩემი ხალხი!  
...ფერუხვი ფუნჯით,

ფიცხი გუთნით,  
მქუხარე ჩარბით,

ჩვერსავსე არბით,  
წვენსავსე ზვრით,  
მთრთოლვარე ლექსით

შევხვდეთ!

მოვიდა

ათას ცხრაას ოთხმოცდაექვსი.



ლალო მრავალმხრილი

## თუშთა ცხვარ-მეცხვართათვის

ამაწინათ ჩემს ძველ ჩანაწერებს ვათვალიერებდი. თვალში მომხვდა მოწაფის თორმეტფურცლიანი რვეული. თუშებზე და თუშეთზე აღმოჩნდა ნაწერი. ოთხი-ხუთი წლის წინ დაიწერია. გადავავლე თვალი და ის პრობლემები, რაც დღევანდელ დღეს აწუხებს ერასა და საზოგადოებას, პრობლემები, კერძოდ, თუშებსა და თუშეთს რომ მიეხება, გულისტკივილათ მქონდა ქაღალდს განდობილი. წავიკითხე და გადავწყვიტე ისევ ისე მომეთხრო მკითხველსათვის, როგორაც მაშინ მქონდა აღსუსული, ოღონდ მიმემატიბინა უველა ის სიახლე, რაც ამ ახლო ხანში მოხდა თუშებსა და ალაზნში.

უვეები ისე, როგორც მაშინ დაიწერია:

წიო. აბა წავედი...

დაბურღულ წყალს ჩაეწვდით და სა-  
ურმეზე გავუხვეეთ. ეს საურამე ყანაში  
შედის, გადასჭრის და მერე თავქვე უხ-  
ვეეს, ვენახებიანაკენ. ამ ორი წლის წინ  
ვენახები იყო აქაც, მაგრამ ვერ მოუ-  
არეს, ბალახში ჩააბრჩეს და ბარაქასაც  
აღარ იმეტებდა. თავის მართლებას  
მოჰყვა, უკაცრაული ქართულია, სოფ-  
ლის თავკაცობა, ნამყენი იყო უვარგი-  
სიო და, ზევითებმაც დაუდასტურეს,  
ნამდვილად. ამიტომ გაკაფეს მოუე-  
ლელობით დაბეჩავებული ვენახები.

არადა, ღმერთი თუ გაუწყრებოდათ და  
დროით მიხედავდნენ ხოლმე, ისე იტ-  
კვიფებოდა, დასაყრფელად ვერ გაიმე-  
ტებდი — მართლაც მადლი იყო მისი  
ყურება. შალაფა უნდა მოეხპოთო, პი-

რველ წესს ქერი დათესეს, ახლა კი, ახლა ყანა სთესია და შარშანდელი ქერისა არ იყოს, ესეც გადარეულა — მკერდამდე გეცემს დაოდოშებული თავთავი. ეტყობა არავის ეცალა აქეთ გამოსახედად, ალაგ-ალაგ ჩაწოლილა ყანა. ესეც არაფერი — ნიაღვარი იყო, მერე ქარიშხალიც ამოვარდაო, მოიმიზებენ და კვარის დამკვრელიც, რა თქმა უნდა, გამოჩნდება.

— ჩაუყვეთ თუ ავუყვეთ? — შეკითხება რომიკო.

— როგორც შენ იტყვი.

— სულ ერთია, მაგრამ თავქვე სიარული სჯობია მაინც.

გადავედით ყანაში და გავჩერდით მაშინვე: აქურობა საესება ნაფეტვარა სოკოთი! ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასე ერთბაშად თუ ამოიშლებოდა ოდესმე. პატარაობისას ხშირად დამიკრეფია ნაფეტვარა სოკო, მაგრამ მაშინ საძებარი იყო ყოველთვის. თითქოს განგებ იმ ასკილყავილობისას არც სოკო გადავედიოდა თავზე.

მაღალ, ნაპატივებ ყანაში აწლიოკებულა სოკო — მზისკენ მიიწევს, ჩრდილიდან უნდა თავის დაღწევა და თანდათან იწელება — მახინჯდება.

აქა-იქ ხირხატი მოჩანს. იმ ხირხატში ეგრერიგად არ გადარეულა ყანა — სიყვითლე დაჰკრავს და არც თავთავია ღონიერი. სამაგიეროდ სოკოა ხორციანი, თანაც ისე გაუბამს სვე, ლამის ნეშო სოკოს ჰგავს, ოღონდ ნაფეტვარა უფრო ღია ფერისაა და არც საშიშია: ნეშო სოკოს ზოგჯერ შხამა გამოერევა ხოლმე მწკრივში; იმ სოკოს ზედ ქუდთან დაკლავილი ზოლი დასდევს — ამით იცნობა მისი უფარვისობა, სხვა მხრივ ნეშოა და ნეშო!

ირგვლივ მოტებო, მხოლოდ ყანისთვის დამახასიათებელი სურნელი ტრიალებს. ამ სურნელს ვერ შეამჩნევ ვერაფრით, მიწის მაღლი თუ არ იცი, ყანაში თუ არ გიმუშავია ოდესმე. ეს კი ბავშვობიდან, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვობის წლებთან იღებს მათავეს. ხანდახან ამ სურნელში დამპალი ბუ-

ჩოს სუნი გამოერევა ხოლმე არ გეგონოთ, სადმე შარშანდელს მუხამე ყვაროს — ეს ყანის ყვავილობის სურნელია: სად თავთავი და სად ყვავილი — ამას მხოლოდ ის იკითხავს, ვინც პურა მხოლოდ მაღაზიის თაროებით იცნობს.

დაკვირვებით ვათვალიერებ, მაგრამ ვერსად ვერ ვხედავ ამშეულ თავთავს. აღარ მახსოვს, რამდენი წელია, რაც ამ თარგებში აღარ დაუთესიათ ყანა — მიწამ სული მოითქვა და ყანამაც ბარაქა გამოიღო.

ნორჩია სოკო, კოკობა, ამიტომ აღარც ამორჩევაზეა საქმე — მიყოლებით ვკრეფთ და საკრეფლებიც მალე იესება.

ზედ გასადევართან შიფერით დახურული ქობია, ეტყობა, რაც საყვინელ აქციეს ზვარი. მას აქეთ აღარავინ შესულა შიგ: წასაქცევად გადახრილა. გრძელი, სკამად დაკრული ფიცარიც ჩამტვრეულა, ტახტიც: გვერდებზე აკრული ტოლიც დაფარცხავებულა. წვიმას უვლია ქობში და აკი ბალახიც შეუტანია. ასეთი ქობის დანახვისას სევდა მომაწვება ხოლმე — ჩვენ მხოლოდ მას ვაქცევთ ყურადღებას, რისგანაც რაიმეს გამოერჩებით. ისე გამოდის, თითქოს სამუდამოდ დავივიწყეთ სულიერი ტებობა, სულიერი სიმშვიდე.

აღარ მახსოვს რამდენ ხანს ვიჭექი დაქიანებულ, დამპალ ტახტზე — რომიკო გამახსენდა და ქობიდან გამოველ, გავიხედე — გზის ზემოთა ყანაში გადასულა.

— ქობთან ვარ, რომიკო!

— გხედავ! — წელში აიშალა და ხელს აქნევს, — მალე გამოვალ, მალე!

ისევ ყანას ვაკვირდები — ვეძებ, ვეძებ, მაგრამ ვერ ვპოულობ ვერც გორველასა და ვერც ულუწელას. ჩემი ბავშვობის ყანები კი სავსე იყო ამ დალოცვილი ბალახებით! პერბიციდებმა სარეველა ბალახებს მოუღო ბოლო და სასარგებლოც ზედ მიაცოლა.

ქობის წინ ბარდალო გართხმულა

მიწაზე. ღმერთო დიდებულო, რამდენი წელია აღარ მინახავს ეს დალოცვილი ბარდალო! რამდენი პარკი მოუხსამს, როგორ გაღაღებულა, როგორ გაფოფრილა მიწაზე! გავმეტო და მოვგლოჯი, არც მეტი. არც ნაკლები, ერთი ბუღელი გამოვა. ადრე კი, ადრე, მარგვლას თუ დავაგვიანებდით, ყანას მოეჭყეოდა ხოლმე თავზე, თუმცა იმ დროს მწიფდებოდა ბარდალოც, როცა უკვე მოსამკელი იყო ყანა. ეს დალოცვილი ბუნება ყველაფერს ჩვენს სასარგებლოდ აკეთებს, ჩვენ კი ლამის შხამებოთა და სიხარბით მოვუღოთ ბოლო. „ყანასა ბარდალოვანსა რათ უნდა დახედულობაო“. ესაო, ყანას რომ ბარდალო მოერევა, ამას რაღა ყურება უნდა, ნამგალი და მაგისი ქანიო. ერთი ვინმე კი ბრძანებს. ასე უნდა იყოსო: „ყანას ბარდალოვანსაო“ და სხვებიც ემოწმებოან, მართალსა ბრძანებთო. არ აჯობებს თუითონ ბარდალოსა ვკითხოთ? ბარდალოს ვერა ვნახავთ და გლეხები ხომ. მადლობა ღმერთს, ჭერჭერობით კიდევ არიან?..

რომიკო გამოვიდა ყანიდან, ციმ-ციმ მოაჭვს ვედროები — სოკოთი ისე მოუბამს თავი. ბევრიც იჯახირო, ერთ ცაღსაც ველარ დაატეც.

— აღარ იყო? — ვედროებს დავჩერებოვარ.

— სიხარბით კი არ მომღის, მენანება — ორი დღის შემდეგ აიკრეფენ ფეხსა და ვინ იცის, საით გავარდებიან. მოიტა. შენს ვედროებსაც მოვუბამ თავს. ღრმად კი არ მომიხდება შესვლა, აგერ. ქობის გვერდით, კალოს ტოლა ადგილზე. მთელ გოდორს გავაყნებ.

— იგვიანებს თემო.

— არც ისე, — მაჯის საათზე დაიხედა, — საათნახევარია გასული.

რომიკომ ჩემი ვედროები აიღო. და ისევ ყანაში შევიდა. მე კი, არ ვიცი რატომ, გული დამეხურა ისევ — რაღაც მახსენდება და არც მახსენდება. თოქოს უმიზეზოდ მომაწვა სევდა. მაგრამ რომ ჩაუუკვრიდი, მიზეზიც მა-

ლევე მივაგენი — რამდენი ხანია ყანაში აღარ გამოვილა. აღუწყობესაქმურნელი მიგვრინია, აღარცაა ვინმე უკან ვიხედები. უკან — ჩაველილ წლებისკენ და იმდენი სადარდელი მანწვება, აღარ ვიცი, რანიარად გავუხსლტა.

წამოვდექი. ქობის გვერდით გავედი — რომიკოს ვეძებ. იქვეა, ორიოდ მეტრში, რაღაცას ბუტბუტებს — როცა რაიმე მოეწონება ხოლმე, ყოველთვის ასე იცის. ვედრო აიღო და გადადგა. ამ სიმშვიდეში რაღაც უცხაურად გაისმა ვედროს სახელურის დაცემის ხმა.

ჩიტის ფრთხილი მომესმა, შეეტრიალდი: ბარდალოზე მწყერჩიტა იჯდა. რაც ეს უპატრონო პერბიცილები და შხამ-ქიმიკატები შემოიღეს, მას აქეთ აღარ მინახავს მწყერჩიტა. მეგონა, მთლად გადაშენდა-მეთქი, არადა, ბარდალოზე წამოსკუებულა და შეშინებული მიყურებს. ვატყობ აფრენა უნდა, ვერკი მოუხერხებია. როდის-როდის აფრინდა, ყანას პირ-პირ წავიდა. მანამდე ვადევნებდი თვალს, ვიდრე ყანის სიღრმეში არ გაუფერულდა.

— რას უყურებ? — მეკითხება რომიკო.

— მწყერჩიტა იყო.

— გუშინ ვნახე პირველად, ემანდ, იჯდა ბარდალოზე, — სიგარეტის კოლოფი გახსნა, — რაღაც მოდუნებული მეჩვენები, გულმა ხომ არ აგირია?

— არ ვიცი რა დამემართა, საღაცაა ავტირდები!

— შენ მგონი აღარ ხუმრობ? — ვედროები აიღო და ქობთან გამოვიდა, — გადავალ, წყალს მოვიტან.

— ვედროებს ვაგატანინებ გზაზე და შენ წავალ მეტე.

— მანქანა გამოჩნდება რამე და იმას გავყვით, რაღა თემოს ვუცადოთ?

— ფეხით მინდოდა წასვლა.

— მაშინ წადი ახლავე, ამას მე მივხედავ.

მაშინვე შეეტრიალდი...

ნიავე ამოვარდა და მზეკაბანიც გადაევლო ყანას. ირგვლივ ჩიტების ტიკტიკი ისმის, საღლაყ ძალლი იყვლება და ამ ხმაურში უცნაურად ჩანს მზეკაბანი. ყანა-ყანა. მიედივარ ერთხანს. მერე, რკინიგზას რომ გადავჭრი, ზვრები იწყება, ცვაგუხსნელი ზვრები. ვაზს ადამიანის ხელი აკლია. დროით თუ არ მიეშველნენ, ნაცარი მოედება ყურძენს და ადრე დაიყენებენ რთველს — მარცვალი საღად ველარ მიადწევს შემოდგომამდე. გზის პირებზე კი ისეა მოვლილი ზვრები, თვალს არ დაუჭერებ. ასეა: ვენახების შესამოწმებლად რომ დადიან, მანქანიდან გადმოსვლას არ კადრულობენ, დაილაღნენ, რა გვეშველება ხალხო პატიოსანო! სოფლის თავკაცებმააც კარგად იციან ასფალტზე გაზრდილი ხელმძღვანელების ამბავი, ამიტომაც პატარძალივით მორთავენ ხოლმე გზის აქეთ-იქით ჩაყოლებულ მწკრივებს.

სულ ახლახან მოუხნავთ ზვრები — ალბათ წვიმაზე ცოტა ადრე იქნებოდა — გუთნით ამოგდებული შალაფა მიწას მოსჭიდებოდა და ჩამკვნიარ, დაღონებულ ღეროებს სიმწვანე შეპარვოდა: თუ შალე არ გადახნეს, ისევ აიმართება.

ერთგან კვალი გამრუდებოდა გუთნას — ზედნიზედ სამი მსხმოიარე ვაზი იყო მოჭრილი. საცოდავად ჩამკვნიარიყო მტევნები. დამეკრიფა, ახლაც კინალამ გოდორს აავსებდა, შემოდგომაზე ხომ ერთი სამად იქცეოდა ულაპარაკოდ. რას იზამ, გეგმა აქეთ, უეკველად ამდენი და ამდენი უნდა მოხნან, ჰოდა, ჩქარობენ. ამ სიჩქარეში კი ოხრდება და ტიალდება ყველაფერი. ისიც კი ვერ მოუფიქრებიათ, ამგვარი წინახედი იმის კისერზე წააქციონ, ვისთვისაც ვაზი მხოლოდ და მხოლოდ ფულია და მეტი არაფერი.

ზვრების თავში წვრილიანი ტყეა. ამ ტყის იქით მინდორი იწყება.

აღარ მახსოვს, როგორ გადავიარე სათიბად დაგდებული მინდორი, როგორ გადაველ ღელეს და როდის აღ-

მოეჩნდი ჩვენეულ ნავენახართან. აქ, ამ ღელის, გადმოღმა ვენახი გვექნა ერთხელ. ვენახს დასაქლქეთოს მსხრებს ტყე ეკრა — ეს ტყეც ჩვენი იყო, მამაბაბეული. თურმე რაც ჩემი პირველი წინაპარი ჩამოვიდა რაჭიდან, მას აქეთ მთელი ეს შემოგარენი ჩვენი ყოფილა — ოთხი თაობის საცოდვილო, ოთხი თაობის სარჩო-საბადებელი. კარგად მახსოვს, ჩვენი ტყე საესე იყო ხეხილით — თურმე მთელი ეს პანტა-მაყალო, მსხლად და ვაშლად პაპაჩემმა აქცია. გაზაფხულის ყვევილობა რომ დაიწყებოდა ხოლმე, აქაურობა ათასფრად იყო გადაპენტილი. ვენახის თავსა და ბოლოში, აქეთ-იქითაც, ნაირ-ნაირი ხეხილი იყო დარგულ-ჩარიგებული. მაშინ წყალი მოდიოდა ღელეში. ჰო, ისიც კარგად მახსოვს. ვენახი რომ გავკაფეთ. ვენახს ხეხილი და ტყეც ზედ მივაყოლეთ. მთელი ჩვენი ნათესავები აქ იყვნენ: რასაც მოსჭრიდნენ, თვითონვე უნდა წაეღოთ. იმდენი შეშაფიჩხი დაგვიგროვდა, სამი წელი გვეყო. მეტიც გვეყოფოდა, მაგრამ დაღბა და აღარც თონეში ჩაიგდებოდა, აღარც ბუხარს შეეკეთებოდა. ამ ახლო-მახლო, სულ ბაღა-ბაღები, ვენახები იყო ერთმანეთზე გადაბმული, ჰოდა, იმ სხვებმააც გაანადგურეს, უფრო სწორად — გაანადგურებინეს, ზღმეტი გაქეთო — ნაღდ სავენახე მიწებს ვერ შეეღვივნენ და ისევ შინა ვენახები, ბაღა-ბაღები გაიმეტეს. აქაურობა ასე მოკალოვდა ჩემს პატარა ბიჭობაში. მას აქეთ აღარ მინახავს არც ისეთი ხეხილი, არც ისეთი ყურძენი! დავდივარ — ვათვალიერებ, ვეძებ, ვკითხულობ. მაგრამ აღარსად არის ის უცნაური, ლამაზი ფერის ყურძენი, ის უგემრიელესი ვაშლი და ატამი, მსხალი და ქლიავი, უნაბი და კომში. ყველაფერი ჩემი ბავშვობის წლებს გაჰყვა. ამ ამბავს რომ ვუყვები ხოლმე ჩემს შვილებს, არაფერს მეუბნებიან, ისე კი ვატყობ, არ მიჭერებენ. მგონი ის ანდაზა იციან, დაკარგული ქრობა ბევრს იწველისო.



აი, აქ, ზედ ღელის პირზე ნაკადი მუხა იდგა. ამ შემოგარენში სხვა ხე არ ჩანდა თუ მაყვლის ბარდებსა და დაბარდებულ ჭაგრცხილას არ ჩავაგდებთ სათვალავში, იმხელა ძირი ჰქონდა მუხას, ორი კაცი ვერ შემოაწვდენდა ხელებს. მისი მოჭრაც გვინდოდა, მაგრამ ჩემმა უმცროსმა ბიძამ თქვა, ამას მთელ კვირას ვერ მოვერევიო. ომის დამთავრების წელს მეზი დაეცა და იმან წააქცია ის მუხა.

ახლა აქაურობა ისევ გავერანებულა — ხან სიძინდს თესენ, ხან საძეურას, ხანაც სათიბად დაავადებენ ხოლმე. მაგრამ მერე აღარ აქცევენ ყურადღებას და ისევ სოფლის ნახირის გასადევრად რჩება. აქა-იქ კონუსებად წამოზრდილი მიწა რომ ჩანს. ეს ხაგავია, ღამე ჰყრიან ვილაღ-ვილაღები. ერთხელ კი, ერთხელ. ღმერთო დიდებულო, ედემი გეგონებოდათ აქაურობა. მაშინ რაც უნდა გვალვა ყოფილიყო, ღელეში მაინც მორაკრავებდა წყალი: კამკამა იყო, კამკამა, ხეინჯას დაუთვლიდი ფსკერზე! მოდიოდა წყალი, მოიკლანებოდა ღელის აქეთ-იქით წამოშლილი ხე-ბუჩქნარის ჩრდილში. მაშინ ჩიტების ჭიკჭიკი ავსებდა აქაურობას. ახლა კი აღარც წყალი მოიარხება და აღარც ჩრდილი ადგას ღელეს — აქაც ნაკადი დაუყრიათ და ფიქრში თუ არ ამოტივტივდა იმდროინდელი სურნელი, შმორის ამხარზენი სუნის ისე უცებ მიგატოვებინებს აქაურობას, ეჭვი შეგეპარება, მგონი ხელი მიბიძგესო.

ღელის ჩაფერდებაზე ვცდები, თავს ხელეში ვრგავ და საქონლის ჩლიქებით ჩაჩეჩვილ ლაშქარას დავჩერებოვარ: ერთადერთი ყვავილი შერჩენია, კახანა აზის ზედ და ბეჯითად წუწუნის. მერე თვალებს ვხუჭავ და უკახ ვიხედები, უკან — იმ ზაფხულისაკენ, რომლის დაიწყებაც ვერ მოვახერხებ ვერადროთ: რაც უფრო დაიწინებთ ეცდილობ დაიწყებას, მით უფრო ხშირად მახსენდება ხოლმე.

ზედ ალაზნის არხთან ისეთი სავენი-ხე მიწა გვექონდა, უკეთესი წიკი მსჭამს მთელ სოფელში. ჩემი უმცროსი ბიძა ვაზის ჩაყრას აპირებდა, ნამყენიც დააშვილნარა, მაგრამ ომიც დაიწყო და რაკი მყიდველი აღარავინ იყო, ის ხამყენიც გაოხრდა, შამბ-კაჭაჭში ჩაიხრჩო. მომდევნო წლებში ხორბალსა და სიძინდს ვთესავდით შენაცვლებით. საუბედუროდ, გვალვიანი წლები დაიჭირა და წვალების მეტი ბევრი არაფერი შეგვრჩა. 1943 წლის შემოდგომაზე იმ სავენაზე მიწას, ჰა და ჰა, გადამრუნებას რომ ვუპირებდით, ქვემოთხელი ნიკა მოვიდა ჩვენსა, ნიკა კონაშვილი, ისაო, სავენაზედ დამითმეთ და ბედსა გვეეთო. ზუსტად ასე არ უთქვამს, მაგრამ ასე კი გამოვიდა: იმ თქვენს სავენაზე მიწაში ისეთ საყანე მიწას მოგცემთ, იმისი ბადალი ამ ახლო-მახლო ვერ მოიბნოთ, თანაც მოხნითაც მე მოგიხნავთო, ცხენი ჰყავდა. მაშინ ცხენი ისეთი ჰქონება იყო, ნუ იტყვიოთ! დედაჩემს არაფერი უთქვამს, ნინო ბებია გაწყრა:

— ჩვენც რომ სავენაზედ გვირდა, ადამიანო?!

— აქამდე რომ არ გაგივენახებიათ, იმან გამაბედვინა მოსვლა.

— ჩემი უმცროსი ბიჭის სავენაზეა ისა, ჩამოვა და რა პასუხი გავცე?

— ოღონდ ჩამოვიდეს, კაცი არ შერქვას, მაშინვე არ გამოვიღე იქიდან, თუნდაც დღე-ღღეზე იყოს დასაკრფი.

პატიოსანი გლეხი იყო ნიკა და ამიტომაც დაუფერეს ჩვენებმა. გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა და საყანეს მუქთად მოხვნას რომ დაგვიპირდა, უფრო იმითომ დაეყაბულდით.

— მერე, ვინ მოგვეცემს გაცვლის უფლებას? — დაეჭვდა დედაჩემი, — ვითომ არ იცი, რა რეგენი ვინმეა ნანო, — სოფლსაბჭოს თავმჯდომარეზე უთხრა.

— თქვენ თავი დამიქნით და მადისი მოგვარება ჩემზე იყოს.

მისი ლაპარაკიდან ისე ჩანდა, საქმე



უკვე მოთავებული ჰქონდა და ახლა მხოლოდ ჩვენი თანხმობაა უნდოდა.

— კარგი, — უთხრა დედაჩემმა, — მაგრამ საურმესთან რომ კაკალი დგას, იმას რაღა ვუყოთ?

— თქვენ დაბერტყეთ ხოლმე.

ნინო ბებიაშვილს ეპყვის თვალთ შეხედა:

— შენად რომ დაიგულე, მაშინ აღარ იტყვი ასე.

— მაგასაც შევიტანთ გაცვლა-გამოცვლის აქტში და, გაგიმტყუნდებით, გაუქმებას რაღა უნდა!

— მაინც, რომელს გვთავაზობთ სამაგიეროდ? — ჰკითხა დედაჩემმა.

— ეგე, ფეტვიაანთულ მიწას. ახლოც არის და, თანაც კინაღამ ხუთი წელია, გუთანი აღარ მიყარებია.

— ფეტვიაანები ჩვენ ვართ, — ამოიხიზრა ნინო ბებიაშვილს, — აგრემც ის მიწა დაპყრია გულზე, ვინაც იქაურობა გავგაჩანაგებინა.

— ე-ე-ე, — თქვა ნიკამ, — ისეც თქვენეულს რომ მოუტრიალდებით, ისიც დიდი სიკეთეა. ესეც არ იყოს, აქვეა მოვლითაც ადვილად მოუვლით და თვალქვეშაც გექნებათ. მერე კიდევ — ვიდრე ასე ხელმოკლედ იქნებით, ყანას დათესავთ — მომკა-გალეწვაში მოგეხმარებით. სიმინდის დათესვა-გათოხნაშიც. მოხვდა კიდევ ხომ ჩემს კაცობაზე იქნება და იქნება. თუ ეპყვი გეპარებათ აემ სიტყვებში, თქმის მეტი რა დამეშავებია, წავალ, — წამოვდგა.

— ყაბულსა ვართ, — დაეთანხმა დედაჩემი, — მაგრამ იცოდე, ნანოსთან ლაპარაკის თავი არა მაქვს.

— რაკი თანახმანი ხართ, დღესვე მოვაგვარებ ამ საქმეს.

იმ დღეს არაფერი, მეორე დღეს უკვე ხელთ გვქონდა ბეჭედდარტყმული საბუთი, რისი ძალითაც ნიკა კონიაშვილი ფეტვიაანთულ მიწას გვიცვლიდა ნალამების კაკლიან მიწაში, რა თქმა უნდა, ზომას ზომაზე.

ერთხანს დარდის ჰქონდა გვრდნიდა, ვაითუ ვიზარალეთო. მაგრამ ჩვენი გაჭირვება რომ გვახსენდებოდა და ნიკას

დანაპირები, მაშინ უკვე მოგვეშვებოდა ხოლმე გულზე.

იმ მეორე დღესვე მარგვიზომეს ჩვენი მიწა. სამანი რომ ჩავაგდეთ, მაშინ დაუტყვირდი და, ცოტა არ იყოს, გავუოცდი: ეს სადაური გაცვლა იყო. კერა გავიგე — ნიკას რაც მიწა ჰქონდა, რგვე დარჩა, არადა, ვითომ გავცვალეთ; ამდენი ხნის მოუხნავი ჩვენეული მიწა მოგვეცეს, ანუ ნიკას მიწად ვაასაღეს. მერე კი გამოვიდა ხმა, ბევრი არაფერი, ერთი ცხვარი დაუჭდაო. თუმცა ეს უკვე სხვა ამბავია, ჩემს სათქმელთან არაფერი აქვს საერთო და ამიტომ გამოდევნებაც არ ღირს.

სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, რა დროს გავვითლებინ სწავლა იყო, მიწა მქონდა აასუსუთავებული და აკი მაშინვე თავქვე დავეშვებოდი ხოლმე — ჩავცდებოდი ბოლო მოსახლეს და ჩვენი მიწაც გამოჩნდებოდა. გავიხედავდი: ნ-ნო ბებია დაფუსფუსებდა — ან კაქაქსა და ჩალა-ბულას თიბავდა ნამგლით, ანდა იმ კაქაქს და ჩალა-ბულას უმარჯვებდა ცეცხლს.

ბევრი არ გვიწვალა — ერთ კერაში ავასუსუთავეთ მიწა და მერე შევუთვალეთ ნიკას, გუთნის შეტანის დროაო.

სათესლედ დარკვეული ხორბალი ვისესხეთ: მოსავალს რომ ავიღებდით, წონაში ორმაგი უნდა მიგვეწყო პირდაპირ კალოდან. შინაურს გამოვართვით, სხვები სამმაგს ითხოვდნენ.

კოჭლი იყო ნიკა — გაშეშებული ჰქონდა მარჯვენა ფეხი. ომის დაწყების წინა წელიწადს ცხენი დაუფრთხა, მაზიდი გადაუბრუნდა და ქვეშ მოჰყვა — მაშინ დაივსო და დაილუპა.

ნიკას შევუთვალეთ და ჩვენი მუზობელი სერგო მია კი მოვიდა — ხვალ მოვხნათო. თურმე ნიკა სათარზე ყოფილიყო და მოტეხილი ფეხი გამიზნებოდა. სერგო და ნიკა ერთმანეთს ედგნენ მხარში — მაგარი ცხენები ჰყავდათ და ყოველთვის ერთად დადიოდნენ ქირაზე.

მეორე დღეს სკოლაში არ წავსულ-

ვარ — სერგო ძიას გუთანი ეკირა. ცხენებს კი მე ვერეკებოდი — ვახის გუთნით ჰნაყდა. ისე გამოზომილად გადადოდა ბელტი. დახაზული გეგობეზოდა. სამანს იქით გადაავლას აპირებდა სერგო ძია, ვინ რას გაიგებს, ცოტაოდენი რომ მოეახნათო, მაგრამ, ცუდი ბედისანი ვართო, დედაჩემმა არ დაანება. იმ დღეს ვერ მოვასწარიო, მომდევნო დღეს დაეთესეთ და დაეფარცხეთ.

შემოდგომა წყმიანი დაიჭირა და ჩეჩილიც მშვენივრად ამობიბნდა. მერე თოვლიც მოჰყვა — ბარაქიანად დადო.

ბერი გვეჩახირა, ამხელა მიწას ვერ შევლობავდით. ჩეჩილი ისე რომ წამოიზარდა, საქონელი პირს მოკიდებდა უკვე. დღეში ბარე ათჯერ ჩახედავდით ხოლმე. იქნებ ამ გაკირვებულმა ოჯახმა სული მოითქვასო, მეზობლებსაც თვალი ეკირათ. მოკლედ საწინახედოდ ერთხელსაც არ გაკარებია საქონელი.

ვინც ნახავდა ჩვენს ყანას, ყველა იმას ამბობდა, ზღვად გასკდებაო. ისე კარგად, გამოზომილად დათესა ხორბალი სერგო ძიამ. ერთი მტკაველი მიწა არ იყო მომცდარი.

გაზაფხულის პირზე ნიკა ძია მოვიდა ცხენით, უკან შემომისკვა და ჩამიყვანა ჩვენს ყანაში. დაუტყუეით ზევიდან: თავში მოგლიჯა ყანა, შუაში და ბოლოშიც: ვაიბადრა ვაი, ღმერთო შენი სახელის ტირიბე, რა მაღლიანათ გაუდგამს ბორჩიო. საერთოდ ნიკა ხშირად დახედავდა ხოლმე ჩვენს ყანას. ერთხელ შეველე ლექსოს ფური დაეჭირა შიგ, თურმე შეაბა თოკი და შინ მიუყვანა: მეორედ თუ წავაწყვი ფეტივრიანთ ყანაში, ამ ძროხას შენს ქელეხში დაკლავენო. ნინო ბებია ამბობდა, იცის ნიკამ რა ოქროც ჩაიგდო ხელში და იმიტომაც შესტყუა გულით. ძართლაც ასე არ ყოფილიყო, ორ სათარ შეშას არ მოგვიტანდა ზამთარში. მისი ცხენის ორი სათარი კინალამ საქონლის ურემს მოუბამდა თავს.

მწყერი რომ მოვიდა და ბოლოკაც

ამოყელყელავდა, მე და ნინო ბებია რატო მთელი თვე არ ვხედავდით ყანაში — რაკი ნასკენი მიწა იყო, სარეველაც გალალდა. თავში გავიდოდით და ბოლოში სამარგლი იყო ისევ. იმ ხანებში ჩვენს უბანს მხალი არ მოჰყლებია — იმდენს ვაგროვებდით ყანაში, მარტო ჩვენ რას მოვერეოდით, თანაც: რისი მხალი, გადამეტებული თაფლიც მოსაბებრებელია. ეს ახლა თორემ, მაშინ თაფლი ზღაპარში გვეგულელებოდა მარტო, ზღაპარსა და სიფლის თაყვატების ოჯახებში.

დედაჩემი ან კოლეტივში დადიოდა, ანდა საკერავს უჭდა — ყანისა და ვენახის საქმეს მე და ნინოს ბებია ვაკეთებდით.

მუხლი რომ დაიწყო ყანამ, შემეშინდა. ღამით არ გადამიძოვონ-მეთქი: ცხენები ღამე დაჰყავდათ საბოვარზე — სხვა ბალახზე მარგებელიაო. ყანებში შერეავდნენ და თვითონაც შიგ ითინებდნენ. ჯერ რა ილიო მჭონდა და იმასაც ვიმწარებდი: ღამე რომ გატყუდებოდა, გამალვიებდა ბებია, ჩვენს უჯიშო იალსა, ბუტიას წაუესტვენდი და ლილინ-ლილინით მიერბოდი ყანისაკენ. არავინ შეაზინოსო. მარტო არ მიშებდა ბებია. ნეტა შენ რაღას მოდიხარ-მეთქი, თამამად მიუქნევი ფიწალა, მაგრამ არავინ მომიტანებია ყანაში, არავის ვაუშმებტებივართ საწინახედოდ. ერთ ღამესაც მეველე ლექსო შემხვდა ჩვენი ყანის გადასახევეთან, ნუ წავლობ, შვილო, ნიკას შიშით აქ ვერავე მოვაო. ამისი იმედი ჩვესცა გვჭონდა, თუმცა სიფრთხილეს თავი რომ ასტყუა, მაშინ უკვე დაგვიახებელია.

ჩემი სტუდენტი დები ხშირად იწერებოდნენ წერალს, ისაო, გვცოვა და გეშიაო. დედაჩემიც ხშირად მიდიოდა ქალაქში. ხორბლის მოსავალს კარგი პირი რომ უჩანდა, სესხის აღებაც აღარ გაგვიკირვებია, არც ხელის გამმართველები ყოყმანობდნენ — თუ არ ეხახათ ჩვენი ყანა, გაგებული მარც ქონდათ.

ხვავითა და ბარაქით ავსებას რომ გვპირდებოდა.

იმ წელიწადს ვენახსაც კარგი პირი უჩანდა — მშვენივრად გამოიტანა ყურძენი.

ვენახის შეწამვლა იყო თუ მოხვნა, ყველა ხორბალზე გვირიგდებოდა, ჩვენც უკან არ ვიხედით: როგორც სერგო იბამ იანგარიშა, კიდევ იმდენი დაგვრჩებოდა ხორბალი, წლიდან წლამდე თავისუფლად გაგვატანინებდა თავს ჩაქმა-დახურვით და ყველაფრითაც.

ხალისიანად გადიოდა დღეები. სწავლას თანდათან მოვუმატე, ჯანიც დამიბარუნდა თანდათან. მომდევნო კლასში გადაველ, არდადეგები დაიწყო და იმ დღეებშივე ჩავიბარგეთ ვენახში მე და ნინო ბებია, ხორბალი დავზოგოთო, გუთანი აღარ შეგვკითანია ვენახში, დილა-საღამო, სიგრილით ვთოხნიდი.

თუთა, ბალი, აღრეულა ხილი უკვე შემოსული იყო. პურის ნაკლებობაც აღარ იგრანობოდა იმდენად. არავინი ხეხილი ბევრი იდგა იმ დროს: ჩამორთმეული ვენახების თავსა და ბოლოში თუ ჩამონაჭერ ეზოებში. ხილის დამზადება არ იყოდნენ მაშინ და ავი არც კამას გვიშლიდნენ.

ვიცოდით, კოლექტივის ყანები რომ გაიჭრებოდა, მეორე სწორზე ჩვენიც მოითხოვდა ნამგალს.

არხის ქვემოთ, ალაზნამდე, კოლექტივის ყანებია. იმდენია, რისი თვალის გაწვდენა, ეცადო. მთელ დღეს ვერ შემოუვლი ფეხით. ქერი, რა ხანია, აიღეს. ყანები აქა-იქ უკვე დამწიფებულია, მაგრამ მიყოლებით უნდა მომკან, განაჭრებას ერიდებიან: მიყოლებით შემოსვლას კიდევ არ დაადგა საშველი. შუადღისას საბანაოდ რომ ჩავდივარ არხზე, ჯერ ყანებს ვათვალიერებ, ყოველდღე ეძალება სიყვითლე. ორიოდე თავთავს მოვწყვეტ, მოვფშენებ და დაგემოვნებით ვღეჭავ — კი გამოსულია ოდოშობიდან, მაგრამ არც ისეა შემღვრებული, დროით მიაშველო ნამგალი.

საერთოდ, თუთაა, ბალია, მსხალი თუ

ყურძენი, ჯერ ქვევით, ალაზნისკენ, ყვევირდება ხოლმე. პოდუნი უკვე მოწიფებული, ორი კვირის თავზე უკვე სოფელშიც ტკეპება ხილი. სოფელშიც ტრიალებს მისი სურნელი.

ერთ დღესაც ჩაველ არხზე საბანაოდ და გავვოცი: სხვა დროს ამდენი მობანავე ბიჭი ერთად თავშეყრილი არ მენახა. თითქმის ყველა ჩემი ჯგუფელი იქ იყო. დამინახეს და ტაში დასცხეს, შენლა გვაკლდო. შიოს ვკითხე, რა ქარმა გადმოგავდო-მეთქი.

— კოლექტივის ყანები გაიჭრა.  
— რომელი კოლექტივისა? — სამი კოლექტივი იყო ჩვენს სოფელში.  
— სამივესი.  
— სოფელს გამოადგები, ძალიან გიხარია!

— თავთავსა ვკრეფთ.  
— მეც იმას არ გეუბნები?  
— რას მეუბნები, ვაგლახო, შეიკვ კონა თავთავზე ერთ შოთს იძლევიან. ლამის ყურებს არ დაუჭერო:  
— შენც რო ხუმრობა ისწავლე, ვერ არის კარგად საქმე!

— ეგრეა, თანაც გამტყიცულ შოთს. არა, ბიჭო, ჩვენი თავმჯდომარე და იმისი ნაგავი მოადგილე მოიფიქრებდა ეგეთ რამეს. ეს ამდენი ბიჭი სულ იქა ვართ, დღეს უკვე ორი შოთი გავაყეთე. შენც წამოხვიდე, ყელზე არ დაგადგება.

ოთიაც აქ არის, რეზოც, თომიაც, ანზორაც... ვინ აღარ, მარტო გიასა და ვაჟის ვერ ვხედავ.

— ის ორნი რაღა უყავით?  
— ეთომ არ იცი. ვაჟა ნანოს დისწულია. გია — ჩვენი კოლთავრეს მოადგილის შვილი, ეგლა აკლიათ, კამაზე იარონ დლიურად. ჩამოხვალ?

— წყალს ავუტან ნინო ბებიას და მაშინვე დავბარუნდები. უჩემოდ არ გადადგათ ფეხი.

კოჯა გავაესე წყლით, შევიდგი მხარზე და გაუტყე.

არ დაისიცხოო, მარტო ეს მითხრა ბებია.

ყანაში რომ ჩავედით, ხალხი ვეება

კაკლის ჩრდილში გამოსულყო — ის-  
ვენებდა. გავიხედე: ნამქალში უკვე  
დაეათეულუბინათ ანები. ცოტანი იყ-  
ვნენ კაცები, გამრკვირდა, ამდენი რო-  
გორ მომქეს-მეთქი. მართალია, მაშინ  
მუშახელი ჭირდა. მაგრამ ქალი მაინც  
არ აიღებდა ნამგალს — სირცხვილიაო,  
როგორ არ იყო სირცხვილი. წელში  
წახრ-ლები მკიდნენ ყანას.

გიორგი ძიამ დამინახა და წამოდგა:  
— ყოჩაღ, ბიჭო! — როგორც სჩვეო-  
და, ჟერ თავზე გადამისვა ხელი, მერე  
შებლზე მაკოცა.

გიორგი ძია მამიდაჩემის ქმარი იყო,  
ბრიგადორად მუშაობდა იმ კოლექტი-  
ვში. მაშინდელი ბრიგადირი ყველაზე  
გამრჩე უნდა ყოფილიყო, ყველაზე გა-  
მრჩე და ავკარგინი, პატიოსანი. ახლა-  
ნდელი ბრიგადირივით ძილითა და უსა-  
ქმურობით კი არ იყო დაოსებული!

— მინდოდა ხმა მომეწოდებინა შენ-  
თვისაც, მაგრამ, ვიფიქრე, ვაითუ დე-  
დამ არ გამოუშვას-მეთქი.

— დედაჩემს ვინ კითხავს? — თავი  
გამოვიღე.

— აბა, აბა! — შეიკმუხნა.

კაკლის ტოტზე თავთავის კონა იყო  
ჩამოკიდებული, გიორგი ძიამ ჩამოიღო  
და მომაწოდა:

— ხელში აწონ-დაწონე და კარგადაც  
დააკვირდი.

— ვითომ რათ მინდა რო?

— ეს არის ზომა, ამაზე პატარა არ  
შეიძლება, დიდი კიდევ შენ თვითონ  
გაზარალებს, — თავთავი ისევ კაკლის  
ტოტზე ჩამოკვდა, — წამოდი, — ხამ-  
ქალში შევიდით შევეყვო.

მოსამქელ ყანა რომ მივადექით,  
მორჩილად:

— თედოს ხომ იცნობ, კალატოსს?

— როგორ არა.

— ვცადე იმის უკან იარო. გაიგე?

— დიახ.

— ასე, — თავთავს დასწვდა: თან  
თავთავს ვკრეფთ, თან მელაპარაკება. —  
გიორგი ბიჭებმა?

— რა უნდა ვთქვათ?

— უბრალო შოთია შენ კონახეთ.

— შოთს გააჩნია.  
— მამიდაშენის ჩაქრულ-შოთიან  
იქნება, მაგრამ შოთია მაინც, — გაე-  
ლიმა.

— ორ კვირაში ჩვენს ყანასაც მოვ-  
მკით.

— ალბათ. — უცებ მოიწყინა, —  
რამდენჯერ ვუთხარი დედაშენს, ჩვენს  
კოლექტივში გადმოდი-მეთქი, არაფრით  
არ დამიჩერა.

— დიდი განსხვავებაა?

— როგორ გითხრა, შვილო, არ ვი-  
ცი, ღმერთმანი, არ ვიცი! თუ დიდი  
განსხვავება არ არის, უფრო უნდა გა-  
დმოსულიყო. სამი დღეა, კაცად არ ვეა-  
რგევიარ.

— მოხდა რამე?

— რა უნდა მომხდარიყო, შვილო,  
მაგრამ აქ მე ვარ, თქვენთან. ერთხელ  
მეთქვა, ვიფიქრებდი, ვერ გაიგო-მე-  
თქი. — კონა შეკრა და ილლიაში ამო-  
იღო, — ყველას კაცი რომ ერქვას ამ  
ქვეყანაზე, მაშინ არც ეგრე გაჭირდე-  
ბოდა ცხოვრება. წუხელ მთელი ღამე  
არ ეძინა მამიდაშენს.

— ვაიმე, რა აწუხებს, ძიავ?

— არ იცია, შვილო, თვითონაც არ  
იცის.

— მერე, ეჭივთან ვერ მივა?

— მივა, მა რას იზამს!

თავთავი ბლომად ეყარა, უცებ შეე-  
კარით ხუთი კონა — სამი გიორგი ძიამ,  
ორი — მე.

— ხომ არ დაგცბა, შვილო? — თვი-  
თონ კი ჩამოდის ოფლის ღვიარება.

— ეს რა სიციხეა!

— ღამეც აქა ვარ ხოლმე და კარგი  
იქნება, შენც დარჩე.

— ხვალიდან დაერჩები.

— დღეს რაღაა?

— ნინო ბებიას ხომ უნდა გავაგე-  
ბინო?

— მე მივანწვდენ ხმას, არადა, ეგე  
ჩემი ცხენი, მოახტი და გავარდი.

ისევ კაკლის ჩრდილში შევედი. გი-  
ორგი ძიამ კაკლის ტოტიდან ჩამოხსნა  
ხურჭინი, ჩაქდა და ფეხებშუა ჩაიღო:

— ალბათ, გულმა მიგრბნო, შენ რომ

ჩამოხვიდოდრი, აქამდე არ მისადილია, — მთელი შოთი და თუშური ყველის ნაგურჯალი მომაწოდა. თვითონ წვერი წაიტება და ისეთი ცოტა მოციქუნა ყველი. კინალამ გამეცინა, — როცა ბევრს ვმუშაობ, რა ვიცი, რა მემართება, მადასა ვკარგავ.

მშიოდა და მოვუქციე ყბები.

იმ ვეება კაკლის ჩრდილში ერთ მხარეს ქალები იწვნენ, მეორე მხარეს — კაცები, უმეტესობას ეძინა. ცალხელა ლევანა რომ დავინახე, კინალამ ყბა ჩამომივარდა.

— რას უყურებ? — მკითხა გიორგი ძიამ.

— ლევანა რაღას აყეთებს აქ?

— ულოსა გლეჯს.

— ცალი ხელით?

— შინ ვინ რას მოუტანს?

— ერთი კვირის წინ არ დაბრუნდა ომიდან?! დაესვენა.

— მერე, ოჯახი ასვენებს?

იმ დღისით ოთხი შოთი გამოვიმუშავე. მეორე დღეს ტოროლას გაღვრძებისას წამოგვეყარეს ბიჭები — ხეირიანად არ ჩანდა თავთავი. ხელ-პირი დავიბანეთ, წაიხეხეთ და იშუქა კიდევაც.

როგორც გიორგი ძიამ მითხრა, მეც ისე ვიქციევი თედო კალატოზის ნამკალში დავიკაყვები. დაბდურია თედო, ბევრი თავთავი სცივია ხელიდან, ზოგსაც უგერგილოდ გამოსმული ნამგალი სჭრის მუტს გარეთ. არადა, ისეთი სწრაფი ვინმეა, მესვეურად ესა დგას. გან-განზე მიაქვს სვე და მეუღლურს აბუზლუნებს:

— ბარემ მთელი ჰექტარი წაგველო!

— საქმეს დილით უნდა დავდოთ ბარაქა, დილით!

ცალხელა ლევანა მაღალ, გალაღებულ ყანაში შესულა და იქა გლეჯს ულოს. ცალფეხა შაქრიას ტაბურეტი წამოუღია შინიდან, წაქცეულზე ზის და ისე სწრაფად გრეხს ულოს, ლევანა მიზიდვას ძლივს აუღის.

მეორე დღიდან მოკიდებული დღეში შვიდ შოთს მიწერდნენ. დილით ურმით

ჩამოქონდათ შოთები და წინასწარდის ანგარიშში არიგებდნენ. გიორგი ძიამ, ჩემი სტუმარი ხარო, არცერთი შოთი არ ამაღებინა საჩემოდ — მამიდაჩემი გვიგზავნიდა პურსაც და მისატანებულსაც.

შუადღისას ჩრდილში რომ გატყებოდა, ბიჭები არხზე გარბოდნენ საბანაოდ. გიორგი ძიამ მხოლოდ მაშინ მამლევდა ტილოში გახვეულ ორ შოთს. შემსვამდა თავის ცხენზე და ვენახში მივდიოდი. მერე, დრო რაკი ბევრი იყო, მეც ებანაობდი და ცხენსაც ვაბანავებდი.

ისეთი პატარა იყო შოთები, ორი ცალი ნახევარი კილოც არ გამოვიდოდა. ნინო ბებია მლოცავდა, ღმერთო, დამიკაცე, სამარის კარზე რომ მივდექი, კიდეც არ გამახსენა გამტკიცულის გემო და სურნელიო?

ვენახში ჯერჯერობით არ იყო საჩემო საქმე. მართალია, ორ კვირაში თოხის მოტარება კიდეც დასჭირდებოდა, მაგრამ მანამდე ხორბალსაც დავაბინავებდით, მერე აღარც დარდი შემაღონებდა და ადვილადაც გაუუმკლავდებოდი.

ჩვენი ყანის გაჭრამდე ბევრი უნდა მემუშავა: ბევრი მომკელი გვეყოლებოდა, ბევრი თავთავის ამკრეფი, ზედ ორი კალოც? — ჰოდა, ხარჯიც ბევრი უნდოდა.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მთელი ათი დღის მანძილზე კოლექტივის თავმჯდომარე, სოლო ბიბინაშვილი არ გამოჩენილა. მეთერთმეტე დღეს მოვიდა. ერთხელ ვაწყენინე და გული მისკდებოდა, არ გამიხსენოს-მეთქი. საიმისო ვერაფერი შევატყე. არ ვიცი, ჩემს იქ ყოფნას არ მოელოდა თუ რა იყო, საერთო სალაში თქვა და მერე ჩემთან მოვიდა, ხელი გამომიწოდა:

— როგორ ხარ, ჯეილო?

მხრები ავიწურე. მერე გიორგი ძიამ გაიყვანა გვერდით და დიდხანს ელაპარაკებოდა რაღაცას. გიორგი ძიამ რამდენიმეჯერ ჩემკენ გამოაპარა თვალი, მაგრამ ამას უურადლებაც არ მივაქციე მაშინ. სოლო ზურგიით იდგა ჩემკენ.

ხელებს ისე შლიდა. მხრებს ისე ასწევდა-ასწევდა ხოლმე, აშკარა იყო, რაღაცა-სა თუ ვიღაცაზე ჭავრობდა.

— რამ ააწლიოკა, ასე, არაფერსა სკამს? — მიზურჩულა ოთიამ.

ვანიშნე, ჩემად, არ გაიგოს-მეთქი. მართლაც ცარიელი ბეაღ-ტყავი იყო სოლო თავმჯდომარე. მაღალი, წელში მოხრილი, ყველაფერზე ჭავრობდა და ჭაჯლანებდა, გაცივებულს იშვიათად ნახავდით. გააბრაზებდა ვინმე და ციხით ემუქრებოდა, მაგრამ არც კოლექტივიდან გაურიცხავს ვინმე, არც საციხედ გაუმეტებია.

მომკილ ყანას დილა-საღამოს საძინე უძმებით ეზიდებოდნენ სოფელში. სოფლის გვერდით, ხევთან იდგა სალენწი და სხველე კალოც იმას ერქვა. საწყობებოც იქვე იდგა, ხევის სანიხოზე.

მარტო ამ ერთ კოლექტივსა ჰქონდა სალენწი, ამბობდნენ, მანამდე გამოაწერეს გერმანიიდან, ვიდრე ჭერ ღრენას, მერე კიდევ ომს დაგვიწყებდნენო. ის სალენწი ისე იყო მოძველებული, მორღვეული, ადგილიდან დაძვრა აღარ შეიძლებოდა. თორემ კარგად იცოდა სოლომ, აძენი ფრთაოქცეულის სალენწითან მოტანას, ისევე სალენწის ალაზანზე ჩატანა სჯობდა.

ჩვენი სოფლის სამივე კოლექტივი ამ ერთი სალენწის იმედზე იყო, სოლო მხოლოდ მაშინ გაიმეტებდა ხოლმე სასხვისოდ, როცა თავიანთის გალენწის მორჩებოდნენ.

საგებ-საფარებელი ვენახიდან არ ჩამომატანინა გიორგი ძიამ: ლეიბად წმინდა ბალახი დამიგო, ზევიდან კი თავის პალტოს დამაფარებდა ხოლმე. თვითონ ნაბადი ეფარა, მაგრამ ის ნაბადი რაღაც წამოიღო, არ ვიცი, გადახდილი ჰქონდა ერთთავად.

ჰაერი ნამჭის სურნელთ იყო გაყვლილი, იმ სასიამოვნო სურნელთ, ვარცლში აფუებულ ცოხსა და ცხელ-ცხელ დედო პურებს რომ გეახსენებდა.

იმ შოთებს ყოველ დღე რომ გვეწერებოდა და არ გამოგვქონდა, მაშინ მოგვიტანდნენ შინ, როცა მოვიტხოვე-

დით — გამგეობაზე ასე იყუდადგმენელი. ამ შოთებს ჩვენ, ჰატაბაი ჩიშმბა გვაძლევდნენ, კოლექტივის წევრებს მარტო შრომადღეები ეწერებოდა.

მეთორმეტე თუ მეცამეტე საღამო იყო, გიორგი ძიამ ადრე აიღო ხელი საქმეზე, ნამგალი ნახო ბრიგადირს მი-აწოდა, ჩემს ჩამოსვლამდე შენ გაბარებო და მხარზე ხელი მომიტათუნა: — წამოდი.

ჩემი კონები მოვხვეტე და გავყვი. კაკლის გვერდით შრიალა ვერხვი იდგა, იმ ვერხვის ჩრდილში ება გიორგი ძიას ცხენი, აუშვა ცხენი და კაკლის გრილოში შემოიყვანა. თავის მერგო-ლურებს მიუთვალა ჩემი კონები და ცხენს ნაბადი გადააფარა:

— შინ უნდა წავიდეთ, კახავ, შეილო.

— შინ რა გავაეთო?

— გავსუფთავდეთ, თორემ შენი არ იყო, მეც საეჭვოდ მეფხანება, — გაიცინა.

ამისთვის ნამდვილად ღირდა სოფელში წასვლა, თუმცა ეჭვმა მაინც გამკრა:

— ამაღამ ვენახში დავრჩები და დილით ადრე წამოვალ.

— დილით ადრე, ისევე აქ უნდა ვიყო.

ცხენს ხურჩინი გადაჰკიდა, მერე აიწია და მკვირცხლად მოახტა. მარჯვენა ფეხის ტერფი გაფშოკა:

— დამადგი ფეხი და ამოდი.

უკან შემოეუფქვი.

ჩორთით მიჰყავდა ცხენი.

ჭერ არხს ავცდით, მერე ჩვენს ვენახს და მზეც ჩაიწვერა ჩასასვლელად.

— რამდენი შოთი გეკუთვნის თუ იცი? — მეკითხება.

— არ დამითვლია.

— დავიჭერო?

— სამოკო მაინც იქნება.

— აღარც სამოცდათხუთმეტი?

— ვაჰ, რა ქონება მიმიტანია შინ?!

— მართლაც ქონებაა, შეილო, თანაც ეხლა. ხვალ თხუთმეტს მოგიტანენ, დანარჩენს კიდევ მაშინ მოგართმევენ



როცა იტყვიან, სხვალივინ გვირდებოდა. პურის მცხოვრებლები გაფრთხილებულები არიან, პოდა, დედაშენს უთხარი, თვითონ ჩავიდეს ხოლმე.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით ავედით შინ. შინ რომ ავედით, სინათლეები უკვე ანთებული იყო.

გიორგი ძიამ თავისი სახლის გადასახვევთან ჩამომსვა, აქედან ფეხით რომ წახვიდე, მგონი არაფერი გიჭირსო.

რას ვეტყვოდი, მაგრამ ძალიან კი გამივივრდა — სხვა დროს ყოველთვის შინამდე მიმაცილებდა ხოლმე, ჩემთან იყავი და მე მებარე, ვიდრე კიბეზე არ ახვალ, გული არ დამიმშვიდდება.

გახარებული მივდივარ შინ — ნაბიჯს ვაჩქარებ, მინდა მივახარო დედაჩემს, ამდენი შოთის პატრონები რომ ვართ. ალბათ თბილისში წავა, შოთებს მაინც ჩაუტანს ჩემს დებს. თუმცა იმათ ის უფრო აინტერესებს, რამდენი კოდი ხორბალი დაგვიდგება. დედაჩემს არ გავაგებინებ. ისე უნდა ვთხოვო სოლო თავმჯდომარეს, იქნება ანგარიში გამიწიოს და საღეწზე მიმტანინოს ჩვენი ძნა: გამომცხვარი პურიც დაგვეზოგება, დროც, ცხენისა და კალოს ქირა კიდევ სხვაა. რაღა კიდევ, ორ კოდს მაინც დაგვისვამენ. ორი კოდი ხორბალი, სიმინდი გადავუროთ და მკად-პურად ვაქციოთ, მომსულელ-წამსულელიც ანგარიში რომ ჩავიდეს, სულ ცოტა, სამ თვეს მაინც გავგატანინებთ თავს.

ეზოში შევედი და ბუტიაც გამოვიდა სიბნელიდან, წკმუტუნით მომახტა, მელაქუცება.

მუხლი მომეკვითა შიშით, კიბეზე ჩამოვჯექი: გამოპარვა არ იცის ბუტიამ. ეტყობა, ბებია ამოვიდა ვენახიდან. დღეს ვენახში არ ვიყავ, წამოსვლას თუ აპირებდა, რატომ არ მითხრა? დედაჩემი იქნება ავად, ან კიდევ ჩემი დების თავზეა რაღაც უბედურება. ვაიმე, ბიძები! ათასი უემური ფიქრი მიტრიალებს თავში. შიშით ისე ვარ მოშვებული, წამოდგომა აღარ შემიძლია.

როდის-როდის აედექი, ავიარე კიბე,

ავლასლასდი და ღია ვარშის შევედი: დედაჩემს მაგრადაზე ჩამოვუვლოთ და ძინავს თუ ისვენებს, რას გაიგებ. ბებია ტახტზე ჩამომჯდარა და დედაჩემს მისჩერებია.

ხმა არ ამომიღია, ისე შევედი ოთახში და მეც ტახტზე ჩამოვჯექი.

თავი ასწია დედაჩემმა, გადმომხედა: — მოხვედი, შვილო?

— რა მოხდა, დედი, რა თავპირი ჩამოგტირით?

— გიორგი ძიამ არაფერი გითხრა?

— რა უნდა ეთქვა?

— ყანას გვართმევენ, შვილო! — თავში შემოიკრა ხელი.

— გეყოფა, რძალო, მაგ ყანას რომ გადაპყვე, ვის ანაბარა გეტოვებ! — ისედაც ერთი მუჟა იყო ჩემი საყოცარი ნინო ბებია და ახლა უარესად დაპატარავებულია.

ამ მოულოდნელობამ ისე გამახვეა, ხმა ველარ ამოვიღე.

დედაჩემი უტრემლოდ ქვითინებს, ეტყობა ბევრი იტირა უკვე და ცრემლი გაუშრა.

ნინო ბებია თავშლის ყურით იწმენდს ცრემლს და იწყევლებს:

— აგრემც ეგ წასულა მოუსავლეთში! აგრემც მაგისიანებს ჩემსავით დაბედებია თალხი კაბა!

ნინო ბებიამ საერთოდ არ იცოდა წყევლა და ამანაც გამაოცა.

— რათ გვართმევენ, დედი? — ძლივს ამოვიღე ხმა.

— გაალაღვეთო.

— ეგ რაღაა?

— სანახევროდ დაათესინეთ სხვა საო. უკაცო ოჯახი ჩაგვიგდეს ხელში! აქ რა ჩემი ქმარი გადუღდებათ შინ, ჩემი ძმები, ჩემი მამლები!

— მერე, ხალხს აღარ ეკითხებიან?

— რეგვენები როდის უსმენს ხალხს, შვილო?

— მაგათ მეტი ხალხი აღარაყინ არი ამ ქვეყანაზე? ვის მიაღალავეთო?

— ნიკასა და სერგოსაო.

— არაფერი ჰკითხეს იმათ?

— ჰკითხეს. მაგრამ არ დაუქერეს, —

ახლა კი ცრემლით ატირდა დედაჩემი.  
— ამდენი ვალი დაედე მაგის იმედით.  
ღმერთო, რა გვეშველება!

ახლა მეც ატირდი.

— ჩემოდა, შეილო, უკვე კაცი ხარ  
და ცრემლი არ გეპატეება. — მომეხვია  
წინო ბებია.

— მარტო ის გამაგებინეთ, ვინ მო-  
იწადინა ჩვენი დაჩაგვრა! — წამოვხტი.

— ვინა და ვიგლა გურაშვილმა, აგ-  
რემც გადაუტეხდება ოჯახი!

— ვინა, კაცო, ჩვენმა ნათესავმა?!

— იმ ვაებატონმა.

— მოკვლავ, მაგ ძალღმეოს! —  
მეორე ოთახში გავეარდი. ჩემი უფ-  
როსი ბიძის თოფი შეგულებოდა ბუ-  
ფეტის გვერდით. კუთხეში ეყუდა ხო-  
ლმე, მაგრამ იქ აღარ დამხვდა. კედელ  
იმიტომ არ ამედევნენ ჩვენები!

— რა იქნა თოფი! — დედაჩემს და-  
ვადეჭი თავზე.

— რა ამბავია! — აქეთ მიყვირა.

— სად არის თოფი!

— ვილაცას ვათხოვე და აღარ მახ-  
სოვს. დაქეჭი, ამ ყვირილსა და მუქა-  
რას ისა სჯობია, იქნებ სასიკეთო მო-  
ვიფიქროო რამე. — უკვე მშვიდად  
მეუბნება:

ისევ მიმიჭდა გული, მეორე ოთა-  
ხში შევესივინდი, გულდაღმა დავეგდე  
საწოლზე, თავი ბალიშში ჩაურგე.

— უხ, მე მაგისი! — მაშინვე წამო-  
ვხტი.

დედაჩემი კართან დამხვდა, ალბათ  
ბევრი იტირა — თვალეზი შემუბებული  
ქქონდა.

— როდის გაიგე? — ვცდილობ და-  
ვმშვიდდე.

— კინაღამ ათი დღეა. ქვეყანას შე-  
ვაცოდე თავი, არაფერი გამოდის —  
საჩივარია შემოსულიო.

— თბილისში იყავი?!

თავი დამიქნია.

— ხეოს ვინ აწერსო?

— არ მოთხრეს.

— გითხრეს!

— დამაეიწყდა.

უარესად ჩავაცოდე, მოჩნა, მეტს  
არაფერს მეტყვის.

— სოფელი მოითხოვე, ჩამოწმობს  
და ამით სამაგალითოდ დავსაჯოთო, —  
თქვა და ისევ სკამზე დაეშვა, — თუ-  
რმე ორმოცი კაცი აწერს ხელს. საინ-  
ტერესოა, ვინ ურევია იმ ორმოცში?  
შეამოწმეთ-მეთქი. სად გვცალიო. მა-  
რთალია, საწყალი ხალხის მისახედად  
სად სცალიათ! მაგ ყანის იმედი არ გჭო-  
ნოდა, ამდენ ვალს არ ავიღებდი, რითი  
და როგორ გავისტუმრო, ღმერთო, ეს  
რა წყალში ჩავეარდი!

ისედაც დაქანცული ვიყავი და გაერმა  
უარესად დამქანცა. ადრე დავწეჭი და-  
საძინებლად, უფრო თავს ვტყუებდი,  
დედაჩემისა და წინო ბებიას ყურება  
აღარ შემემლო, ისეთი უღონობე, სა-  
ცოდავები იყვნენ, პატიოსანი ოჯახისა  
ძალიც არ შეუყვდათ.

ხან დედაჩემის ოხვრა მესმოდა გვე-  
რდითა ოთახიდან, ხან წინო ბებიასი.  
ერთხანს რალაცას ჩურჩულებდნენ, მი-  
ვაყურადე, მაგრამ ვერ გავიგე ვერა-  
ფერი. მერე ალბათ იფიქრეს, დაიძი-  
ნათ, ჩურჩულიდან ლაპარაკზე გადავი-  
დნენ.

— გიორგისთვის უნდა დამეგერები-  
ნა და დროით გავცლოდი ამ კოლექ-  
ტივს, — თქვა დედაჩემმა.

— რაც ეგ უჯიშო დანიშნეს მოად-  
გილედ, მას შემდეგ აიჩემა გიორგიმ.  
ჩვენთან გადმოდიო. რა ვიცი, რძალო,  
შენს ცხოვრებულ ქმარს სიკეთის მეტი  
რა გაუკეთებია მაგისთვის; შენმა მახ-  
ლებმა კიდევ მიხედ-მოხედვა ვერ მო-  
ასწრეს სიჭეილეში, ისე მალე გაცვიფ-  
დნენ ჩხუბში, ნეტა რა ჩაიდო გულში,  
რას გვერჩის, აღამიანო?

მერე ისევ მესმოდა მათი საუბარი,  
მაგრამ ძილ-ღვიძილმა წამართვა თავი  
და აზრი ვეღარ გამოვიტანე.

იმ ღამეს ჩვენი მოსამკელი ყანა და-  
მესიზმრა. — ვირთაგვებით იყო სავსე.  
ხან კეტით ვხოცავდი, ხან თოფით, მა-  
გრამ რაც უფრო მეტს ვხოცავდი, მით  
უფრო მეტნი ირეოდნენ...

უკვე მიჩვეული ვიყავი და ადრე გა-

მელეობა — რიგრაი იყო ჯერ კიდევ ჩვენები არ გავალვიძო-მეთქი, ქურდულად ჩავიცივი. შევიხედე გვერდითა ოთახში და კინალამ ვიყვირე: ორივე საწოლი უკვე გააწორებული დამხვდა.

მე და გიგლას ბიჭი, გია, ერთ ჭგუფში ვიყავით, ნათესაობა ნათესაობად და ვმეგობრობდით კიდევაც. ვიცოდი, აივანზე იძინებდა ზაფხულობით, მინდოდა გია მენახა და მას მოვლაპარაკებოდი ჩვენი ყანის თაობაზე. შვილი მაინც შვილია და იქნებ გამომდნარიყო რამე. ცდა ბედის მონახევრება-მეთქი, მაშინვე გიას სახლსკენ წავედი.

მოსავლის აღების დრო იყო და მამისიც უკვე კანტორაში იქნებოდა წასული. დედამისს მოვერიდე, თორემ ხმაურით ავიდოდი კბენზე — ისეთი მოგამული ქალი იყო, ზღაპარში რომ გაუკნარი ხელმწიფეა, იმას არ ჩამოუყარდებოდა არაფრით. მისი დაუციხარ არავის არავინ ეგულებოდა იხებულა სოფელში. თავისი ქმარ-შვილის ბადალიც, რას ბრძანებთ, მთელი დედამიწა მოგველოთ, არ დაიჭეროთ, არ მოიძებნებოდა არსად. ეიდრე ქმარი ჭარში ჰყავდა, ზაფხულშიც სიცვიის ბაბანი ჰქონდა ავარდნილი — მეზობლები თონეს რომ ჩაუციდებდნენ, მივიდოდა და ორივე ხელით ეფიცებოდა. რაც ქმარი ჩამოუვიდა ომიდან, ისიც სალსალამათი, მას აქეთ გაუარა ამ უჩვეულო ავადმყოფობამ. მანამდე გიასაც არ უშლიდა ჩვენთან, უბნის ბიჭებთან, შეშა-ფიჩხსა თუ პანტა-მაყალოზე სიარულს. მერე კი ბერაობისა და სალაობის სათამაშოდაც აღარ ახედებდა ჩვენკენ. დავუძახებდით გიას, გამოვიდოდა შუბლდაკეცილი ქალბატონი — არ სცალია, წიგნსა კითხულობსო რას კითხულობდა ვერ გავიგეთ — მაზე კარგადაც ვსწავლობდი და უფრო მეტი, საინტერესო წიგნიც მქონდა წაკითხული.

შიოს ალუჩაზე ავიპარე და იქიდან გავხედე გიანთ აივანს, ტახტზე იწვა გია და, როგორც ჩვეოდა, პირდაფიქნის ეძინა.

ჩამოველ ალუჩიდან, ვეწრტე-წრტობე ავიარე, საყდრის ეზუში შევედი და ცაცხვის ქვეშ წამოვწიქი. აქედან კარგად მოჩანდა გიანთ აივანი, კბეც, გზაზე გამოსასვლელი ჭიშკარიც. ამასობაში მზეც ამოვიდა და ერთბაშად ამოიყოლა სკეცე. ბედად მალე გაიღვია გიამ, ეზოში ჩამოვიდა ხელპირის დასაბანად. ოდნავ წამოვიწიე და წავეუტინე. მოიხედა. ხელი დაუქნიე. აივანს ახედა და მერე გამოიძურჩა ჩემკენ. გზა რომ გადმოსჭრა, გროწუელს ბუჩქს ამოვეფთაე. დედამისს დავენახე, კარგად არ წაუვიდოდა გიას საქმე.

მოვიდა გია და ამხედ-დამხედა:

— ვენახში მეგულბოდი.

— წუხელ ამოველ. — ხელების ფშვნეტა ამიტყდა. დაყინებით მივაჩერდი.

— არ გიჭირდეს, ამ დროს თოფითაც ვერ გამოგაგდებდნენ იქიდან.

— მიჭირს რომელია!

— აგირია ვინმემ?

— იცოცხლე!

— მაინც?

— ყანას გვართმევენ.

— ეგ ვიცი, — ქერო მოიქექა.

— შენ საიდან გაიგე?!

— მამაჩემმა თქვა.

— რაო?

— ართმევენო.

— ჰოდა, შენ უნდა დამეხმარო,

— ვისთან, ბიჭო?! — კინალამ გადაიარა.

— მამაშენთან. ხო იცი, თავმჯდომარე უმამაშენოდ გვერდზე ვერ იხედება.

— პატარა მამაჩემზე და ხათრი აქვს. ვერა — პატარა უფრო ხათრიანი უნდა იყოს.

— უთხარი, დაგვეხმაროს.

— ვერ ვეტყვი.

— პირში შემოგვკრავს?

— რას ამბობ, აბა, რას ამბობ, მამაჩემის საქმეში ჩავერევი?

— მამაშენი რა შეაშია, ჩემს საქმეში უნდა ჩაერო.

— არა, თანამდებობის ხალხის საქმეში ვერ ჩავეურევ დინგსა.

— მაშინ ადექი და თავმჯდომარეს უთხარი, ბიძად არ გეკუთვნის? ახლა არ თქვა, მარტო მოგვარეა ჩვენიო.

— მაგას ვინ ამბობს, მაგრამ რაც ჩემი საქმე არ არის, იქ არც არაფერი მესაქმება.

— არადა, რა იმედი მქონდა შენი!

— ის მიწა სანახევროდ არ მიგეცათ სხვისთვის და არც ჩამოგართმევდნენ, — შეტრიალდა, მიდის და მიბუზღუნებს, — ისეთ რალაცას დაგავალებს კაცს, ერთიც ვნახოთ და არ იცნობდე, დალაგებული გივი გეგონება!

ბროწეულის ჩრდილში ვარ და ვფიქრობ, ახლა ვის მივადგე კარზე, ვის შევჩვიე და შევაცოდო თავი. ისეთი არავენ ამოტივტივდა ფიქრში, გიას მამასთან მისაგზავნი ყოფილიყო. ვიჭექი და ვტიროდი. უცებ შემრცხვა ჩემი. თავისა, ემანდ არავენ დამინახოს-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანი იყო — ექიმე წამომადგა თავს, სანდრო პაატაშვილი.

— რა გატირებს, შვილო? — დაიხარა და თვალეში მიყურებს, — ამ დილაადრიან აქ რას აკეთებ, შვილო?

— პაერზე გამოველ, — სლუკუნით წამოვდექი.

— წამოდი ჩემთან, — მხარზე ხელი მომხვია, — მთელი თვეა, აღარ გამისინჯიხარ, კიდევ კარგი, შემხვდი. არა, მაინც რა გატირებს, დედამ გაგაჯავრა?

თვალეები ცრემლით მქონდა დანისლული და ვარაუდით მივყვებოდი.

— სილაგაძის ბიჭი გავსინჯე, აი, ისა, ომიდან რომ ჩამოვიდა დაჭრილ-დასახიჩრებული. ხომ იცნობ?

— როგორ არა, ამ წინაზე წამალი არ გამატანე იმასთან?

— ჰოდა, ასე, ამოიღე ხმა. რას იზამ, შვილო, კეუა-გონებით საესე ახალგაზრდები ფრონტზე იბრძვიან და იხოცებიან, რეგენები კიდევ ყრიან აქა და ვის ცხენს ართმევენ გადასახადში, ვის ვენახს — ზედმეტი გაქვსო, ვის კიდევ — მოსამკელ ყანას, რატომ გააღა-

ლავეთო, არადა გაღალაგებული მაინც გქონდეთ!

ეს რომ მითხრა, უკვე ამბულატორიასთან ვიყავით. ავიდა აივანზე, გაჩერდა და მოტრიალდა:

— ამოდი, ფილტვებს მინდა მოვუსმინო.

— სხვა დროს მოვალ.

— თქვენსა არ მომიყვანო, იცოდენ... მარტო ნინო ბებია დამხვდა შინ, ფიჩხის ლობიოს გულავდა, დამინახა და უფრო აჩქარებით დაიწყო დაგულვა:

— რა გითხრა?

— ვის რა უნდა ეთქვა? — კიბზე ჩამოვკექი.

— გიამ რა გითხრა-მეთქი.

— ვერ ვეტყვიო.

— რაც მამა, ის შევილიო — ეგრე დაუწესებია ბუნებას, — ოხვრით წამოდგა, კალთა ჩაიბერტყა და ვედრო აიღო.

— დედაჩემი სადღაა?

— მოვა სადაცაა, თავმჯდომარესთან წავიდა.

ბუტია მოვიდა, მომელაქუცა. გამეტებით ჩავარტყი თავში მუშტი.

— ვაი, საცოდაობას, უღანაშუალოს უფრო მეტი ხედება ხოლმე, — თქვა ბებიამ და მარანში შევიდა.

ძალი წკაეწკავით გავარდა თხილის ბუჩქისაკენ, დაუწყდა და ყურების პარტყუნით მომჩერებია. შემეცოდა, მივედი და თავზე ხელი გადავუსვი. მაშინვე ააჭიციან კულე.

ნინო ბებია გულაბის ქვეშ იჯდა მოკეცილი და დაგულულ ლობიოს რეცხავდა — ხუთჯერ გამოუცვალა წყალი. როცა გაბრაზებულია ანდა დარდობს, მაშინ იცის ასე — წუთში გასაკეთებელ საქმეს, გულის ხმაში არ ჩაავდო, მთელი დღე ვერ მორჩება. მეექვსედაც რომ მიაჩვილა წყალი, მაშინ ვუთხარი:

— როდისღა აპირებ ცეცხლზე შემოდგმას?!

ხმა არ გაუცია, წამოიკაევა და საჩენში შევიდა — იქ უკვე ზედადგარიც იდგა და ცეცხლიც ენთო.

გზაზე ჩვენი კოლექტივის თავმჯდომ-

მარემ გაიარა. სხვა დროს რომ გაივლიდა, ისე იყურებოდა ეზოებში, თითქოს დანაქარგს ეძებდა. ახლა თავჩაღუნული მიდიოდა.

ბებია თვალი შეასწრო:

— ლავრო, შვილო!

ლავრომ ნაბიჯი შეანელა, მიაყურა და, საიდან მომესმა ჩემი სახელიო.

ბებია გზაზე გავიდა:

— მე ვარ, შვილო, ერთი სიტყვა უნდა გითხრა და, ეინძლო, მომისმინო.

— არ მცალია, ძალო; ამდენი სად მცალია!

— ერთი სიტყვა, შვილო, რა ისე დაგავიანებს, ყანები ჩაგწვეს! — თან ლავროსაკენ მიდის.

— ერთი შენი სიტყვა, ერთი იმისი და, ამასობაში ჩაიარა ღღემ! — გატრიალდა, ნაბიჯს მოუჩქარა.

ნინო ბებია მუხლებზე დაირტყა ხელი:

— ახა-ვაგლახო!

სირცხვილისა და ცოდვის აღმური მომედო, გამეტებით მივარტყი თავი გულაბს. აღარ გამხსენებია ყანა, ერთადერთი სანატრელი მქონდა, ერთადერთი, მალე გავიზარდო-მეთქი. ყელში მომებჯინა ბოლმა, ცალკე ცრემლი მახრახობდა და უცებ ხველებაც ამივარდა.

ნინო ბებია ხუსხუსით მოვიდა:

— ვაიმე, შვილო! გახველებს, შვილო?! — თავზე მომახვია ხელი, გულში ჩამიკრა, — ღმერთო, რა დაგიშავე, რას მაცოდვილებ, შე ჩამოსაქცევო!.. მომხედე, შვილო! — თავი ამიწია, — რა გადარდებს, შვილო, აქამდე არ ამოვწყვეტილვართ შიმშილით და ეხლა ამოვწყვდებით?

ძლივს მოვითქვი სული, მაგრამ ახლა მკერდი ამეწვა, წყალიც მომწყურდა.

— შენლა გიყურებთ, შვილო, სანთელივით, და შენც რო რამე დაგემართოს, რაღათ გვინდა თავი ცოცხალი!

— არაფერია, ბები, არაფერი, ნერწყვი გადამცდა და იმისი ბრალია, — ძლივს გავეშვი, მარანში შევედი, კოკა

ავიღე და, რაც დავლიე, დავლიე, დანარჩენი თავზე დავისხი. მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, სუნთქვაც გამიხშირდა და ჩამუხვლას რომ ვაპირებდი, ნინო ბებია შემოვიდა:

— შვილო, დედაშენთან არ წამოგცდეს, მახველებდაო.

— რა არის აქ სალაპარაკო და სათქმელი! მოვიდა?

— მოდის.

მარნიდან გამოველე ვეცილობდი თამამად, ყინჩად გამეველო, მაგრამ ისე მეწვოდა მკერდი, ვერაფრით ვერ მოვახერხე წელში გამართვა. მაშინვე უკან შევებრუნდი, კოჭზე ჩამოკიდებული ნამგალი ჩამოვიღე და თომა პაპას ლობისკენ წავედი. ლობის ძირში კატაბალახა, ბალბა, ლაშქარა იყო წამოზრდილი და იმას დევუწყე გამოთიბვა.

— მაგისი დრო არ არის, მოდი აქ! — დამიძახა დედაჩემმა.

ვითომ საქმით ვიყავი გართული და ვერ გავიგონე. ეს უპატრონო ბალახი ისე წამოზრდილა, იელის ლობე კინალამ გაუშუალებია, შორიდან გამოხედო, ცოცხალი ლობე გეგონებდა. ეს შამბ-კაპჯი სასარგებლო რამე იყოს, დღით კი არ გაიზრდებოდა!

— არ გეყურება, ბიჭო! — ისევ დამიძახა დედაჩემმა.

აღარ გამოდიოდა წაყრუება, ნამგალი ლობეზე ჩამოვკიდე, მაჯა გავისვი ოფლიან შუბლზე და გიაც დავინახე: თომა პაპას ეზოზე სტვენით მოდიოდა, თან ისე ათვალეირებდა დაბალ, საჩხიან სახლს, თითქოს, ეგ არის და, პირველად ხედავსო.

თომა პაპა ზომარდულის ჩრდილში იდგა, სავაზე ეჭირა და საჩურჩხელე ხალხას ასუფთავებდა. გიას დანახვაზე ხალხა მსხმოიარე ზომარდულზე მიაყუდა, სავაზეც იქვე მიაგდო და დასწყვილა:

— რა გრიალი დაგაქ ჩემს ეზოში!

გიას გაეცინა:

— წვიმა იყოს, ვიფიქრებდი, ავუტალახე-მეთქი.

— საიდან გადმოხველ?

— ჯარჯის კონა გავწიე, ღობესა და კედელშუა რთა ჩაყუდებული, ისა.

— საწვეთ-საწვეთ, სამეზობლო ბილიკით ვერ მოუარე?

— დამეზარა, — თომა პაპასკენ მიდის, გვერდს აუშლის და გავა შარაზე.

— მობრუნდი უკან, ჩქარა! — ხალხს გადსწვდა თომა. პაპა.

— რას გიშავებ, კაცო? — უკან-უკან წავიდა გია.

— მეგრულა ვარია შენ მომიკალი საკენჭურით! აღრა გნახო აქეთ გამოვლილი!

— ამ წელში არა მქონია საკენჭური და, როგორ მოგიკლავდი! — სამეზობლო ბილიკისკენ წავიდა.

— საიდანაც შემოხველ, იქიდან გადი! მე არ მოგიკალიო? არა, მამაშენი იტნებოდა! ბიკოს, არ გატარებ ჩემს ეზოში და, ძალაა! — სავაზე აიღო თომა პაპამ და ხომარდულზე მიყუდებულ ხალხს ააყოლა თვალი.

თომა პაპას ეზოს გასცდა გია და მაშინ მიეცა გული:

— შენი სახსენებელია მამაჩემი?

— წადი, მომწყდი თავიდან, თორემ აფუშვი ქედანა!

დედაჩემი თომა პაპას ეზოსკენ იხედებოდა და, მომეჩვენა თუ რა იყო, ღიმილი უკრთოდა პირისახეზე.

— ხვალ უნდა მომკან ჩვენი ყანა, — მითხრა დედაჩემმა.

— აღარაფერი გვეშველება?

— ცოტა დამაიმედეს.

— ცოტა რაღაა?!

— ხვალ მომკიან და ხვალვე გაღმწენ.

— ორივე კალოს გამოიყვანათო?!

— რა დაგემართა, რატომ არ მაკლო ლაპარაკს! — გამიბრაზდა, — სალენოთაო. კომისია გამოყვეს უკვე, მოიმეება ყანა, გაილენება, ის კომისია კიდევ ქალაღზე გადაიტანს ხორბლის წონას. თუ გაგვამართლეს, გვეკოდინება, რამდენი გვეკუთვნის.

— ჩვენ ხომ ვიკით, მართლები რომ ვართ, რძალო! — ახლავდა ამოიღო ხმა

ნინო ბებიამ, — ჩვენც ვიკით და ღმერთმაც იცის.

— ქვ ცოდნა თქვენთვისა გქონდეთო.

— ამ საქმეში, მე მიითქვამს, ნანოს ხელიც ურევი.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ სოლოზე ნაკლებად არც ის ბობოქრობს, არც ის იწვება ჩვენი ცოდვით.

— ხარჯი არ ჩაეიტანოთ, დედი?

— სოლომ არ გინდათო.

— ჯერჯერობით ისევე ჩვენია ყანა და რას იტყვიან მომკელები? გიორგი ძიამაც — არ გინდათო?

— გიორგი რაიონში წავიდა ცხენით, ვანო ფეიქრიშვილი უნდა ვნახო, პირველი მდივანო. თუ ნახა, სანთლის დანთება მოგვიწვეს ამაღამ.

ვერ დავანთეთ სანთელი: რაიონიდან გაბორბებული დაბრუნდა გიორგი ძია, ავად გამხდარა ვანო ფეიქრიშვილი და თბილისის საავადმყოფოში წვესო.

დედაჩემისა და ბებუას ვაი-ვიში მოსმენა, ცრემლით ამოღამებული თვალბის ყურება აღარ შემემლო — იმ ღამეს ძველი ფარდაგი ჩაეიტანე ეზოში და გაუხდელი მივეგდე თხილის ბუჩქთან.

ეზოში რომ მეძინა, დილით გაიგო დედაჩემმა — უთენია გამადვიბა, წავიდეთ, მომკელებსა და კომისიას ჩავასწროთო.

ჩავასწართ. ვიდრე მოვიდოდნენ, სა-მლოცველოსავეთ სამჯერ შემოვუარეთ ყანას. უფხო პური გვეთესა. უფხომ მოკლე თავთავი იცის, არც ჩვენი იყო დამტკავლებული, მაგრამ ისეთი სავსე თავთავი, მსხვილი, ხორციანი მარცვლი ჰქონდა, მოსამკელ-გასალენი არ გენახათ, არ დაიჭერებდით, უფხო თუ იყო.

წინა დღეს საღამომდე მშვიერი ვიყავი — სადაცაა შოთებს მოგვიტანნო, მჭადი აღარ გამოვაცხეთ. ამ ღოდინში მოსაღამოვდა კიდევაც, გულიც გადა-მელია, თავიც წამომტკივდა. გაჯავრებული იყო დედაჩემი, ვირზე შესმით ემუქრებოდა მომტანს. მაგრამ ვილაც ქალი რომ მოვიდა და მოგვიტანა შო-



თები, რისი ვირზე შესმა, ისეთი მადლობა უთხრა, ვითომც საკუთარი პური მოეტანოს. რატომ არ ეტყოდა მადლობას! შოთები იყო, შოთები, ერთ ცალს სანადლეოზეც ძლივს გვათავებდლი. სამკალში რომ გვაძლევდნენ, ერთიდან სამი გამოვიდოდა ისეთი, თანაც უფრო თეთრიც იყო გაცილებით. მაგრამ უკვე აღარ მქონდა მადა და უგემურად ვილიღნებოდი. დილით დედამ ჩემმა ძალით მომაჩეჩა ხელში შოთის ყუა. გამოვართვი, არ გავადარდიანმეთქი, ნახევარი რის ვაივაგლახით შევკამე, ნახევარი კიდევ ბუტიას მიუუგდე უჩუმრად.

დედაჩემმა თვალი შეასწრო, მაგრამ არაფერი უთქვამს.

მზის ამოსვლისას ჩამოვიდნენ მომკელები, ჩამოვიდნენ და კომისიის წევრებიც მოყვნენ. მე, დედაჩემი და ნინო ბებია განზე ვიდექით — ხმაძლავ რომ ელაპარაკათ, მიანც ვერ მოგვეწვდებოდა ხმა. ეტყობოდა გიგლა იყო კომისიის თავმჯდომარე, უფრო ის ლაპარაკობდა და სხვებიც იმას მისჩერებოდნენ. ვიდრე სამკალურებისა და სათითურების გაკეთება არ დაიწყეს, ვერ გავარკვეით, ვინ მომკელი იყო და ვინ კომისიის წევრი. არც მომკელებში და არც კომისიის წევრებში ჩვენი უბნელი არავინ ერია. სულ მალე სამი საბნე ურემი მოვიდა — ჩვენი ყანის გვერდით გააჩერეს; მერე ორი ურმიდან ხარები გამოხსნეს — ლელის იქით, აკაციების ჩრდილში შერეკეს, ერთი ურემი კიდევ ყანის ბოლოში გავიდა — იქიდან დაიწყეს მომკა. თორმეტი მომკელი იყო, ხუთი კიდევ ულოს მგრეხელი და ძნის შემეკრელი. შეიკვრებოდა ძნა და მეურმეებიც მაშინვე უღებდნენ ურემზე.

კომისიაში ხუთნი იყვნენ, ოთხი კაცი და ერთიც ქალი — მოანგარიშე ნაზო თვალიაშვილი. ნაზოს კოფოზე ედორვეული და გიგლას კარნახით წერდა გაუთავებლად. კომისიის ერთი წევრი მომკელებს დასდევდა, ერთი ურემთან იდგა და ურემზე დაღებულ კონებს ათე-

ულებად თვლიდა. გახდებოდა ერთეული და ხელს ასწევდა ხთლმეც, ნაზოს კიდევ იწერდა. ერთი სხვა კაცი იყო, უცხო. ვანო მეურმესა ვკითხე, ვინ არის-მეთქი. რაიონიდან მომაგრებული ამხანაგიაო. გიგლას ამხანაგი იქნებოდა.

დედაჩემი გულხელდაკრეფილი გაცეკეროდა ყანას. ნინო ბებია რალაცაზე იწერდა პირჯვარს. მე კიდევ ხან ერთს შევხედავდი, ხან მეორეს, კბილებს ვაკრაქუნებდი, მაგრამ ეს კრაქუნი ჩემს მეტს არავის ესმოდა.

სიცხემ შეგვაღონა და ჯაგრცხილის ჩრდილში შევიწიეთ.

— მომკელებთან ჩავალ, — დედაჩემს შევხედე.

— რა უნდა გააკეთო?

— ისე.

— წადი.

ლელის მხარეს ჩაყუვი ყანას.

ასეთი ყანის მკობა არ მენახა: არც ერთმანეთს ამხნევებდნენ მომკელები, არც ერთმანეთს დასცინოდნენ, არც შაირობდნენ, არც მღეროდნენ!

მესვეური, აღამო შეზვრიშვილი გაჩერდა, ქამარზე ჩამოკიდებული ბუდიდან გაღეული სალესავი ამოიღო, ნამგალს გაუსვ-გამოუსვა. თან ლესავს, თან შეუბნება:

— კახავ, ბიჭო, გულში ცუდი არაფერი ჩაიღო ჩვენზე.

— ამდენი აღარ ვიცი? — თავთავი მოვწყვიტე.

— არვის არ გვინდოდა წამოსვლა, მაგრამ, ჩვენ ვინა გვკითხავს?

— თქვენ არ წამოხვიდოდით, სხვები წამოვიდოდნენ.

— მეც მაგას არ ვამბობ?! ესეც არაფერი, კახავ, გაიზრდები და ოქროს შენ თვითონ გამოარჩევ ნავისაგან.

მეორე საბნე ურემი ჩამოაყენეს, დატვირთული — წავიდა.

უკან მივყვები მომკელებს, ვათვალიერებ — თავთავი ბევრი ყრია მიწაზე.

— რა ამბავია ამდენი თავთავი! — ვილაცამ იყვირა. მივიხედე — გიგლა იყო.

— თან იჩქარეთო, თან კიდევ თავ-  
თავს ნუ აბნევთო? — აბუზღუნდა  
ადამო.

— არ გამოვა, ეგ საქმე! — ისევ იყ-  
ვირა გიგლამ, — ვიდრე გულში გაივ-  
ლებ რამეს. მე ის უკვე ზეპირად ვიცი.

— იცი და ისე მოგახმაროს ღმერთ-  
მა, როგორც გეკუთვნის. — გაეცინა  
ადამოს.

— ცოტა დაფიქრდი და ისე ილაპა-  
რაკე!

— მაღლობელი ვარ, რჩევისათვის...  
ისევ ღელის პირ-პირ ავიარე, გავე-  
დი თავში — ბებია იქ აღარ იყო.

მზე რომ მოლონიერდა, ყანა მომკი-  
ლ იყო: ბოლო ურემი ნაყანობიდან  
გადიოდა უკვე. ყანის მომკელები და-  
უმწვიდობებლად წავიდნენ.

ნაზომ დაუძახა დედაჩემს. ერთი წუ-  
თით მოდიო.

მეც გავყვიე, აქტო წაგვიკითხეს: ისაო.  
ჩვენ ამა და ამ საგანებო კომისიის წე-  
ვრები, ყანის აქამდე მფლობელისთან-  
დასწრებით (დედაჩემის გვარი-სახელი  
ეწერა) ესე აქტს ვაღგენთ მასზედ, რომ  
— ფეტვიანთ ღელესთან მომკილი,  
უკანონო ანუ სადავო ყანა გამოვიდა  
რიკხვით ასოცი (120) ანა!... შემდეგ:  
„აქტო ესე შედგენილია წელსა 1943-სა  
იელისის მ-სა. რის ნამდვილობაზეც  
ხელს ვაწერო...“ ჯერ კომისიის თავმ-  
ჯდომარე, გიგლა ეწერა, მერე — სხვე-  
ბი, სულ ბოლოს კი — დედაჩემი, სულ  
ბოლოსაც იმიტომ მოაწერა ხელი.

იქიდან პირდაპირ სალენწე წავედით.  
კომისიის წევრებმა სოფლისკენ აიღეს  
გეზი — შარავზით წასვლა ამჯობინეს.  
მე და დედაჩემმა მოკლებუ გადავიარ-  
ეთ.

ანით დატვირთული ურმები კონკი-  
ლაზე შეეყენებინათ. ერთი ურემი ზედ  
სალენწის ძირზე იდგა, იქიდან თავისუ-  
ფლად ააწვიდნენ ანას.

მეგონა, მომკელები შინ წავიდოდ-  
ნენ-მეთქო, სალენწე კი დაგვხვდნენ.

მივედით და გიორგი ძიაც მიგვეყა-  
სალენწის ჩრდილში წამოგორებულ ჩვე-  
ნი საწყობის გამგეს, სიკო გაგუაშეს

რალაც უთხრა, მერე სასწორი შეამოწმა  
და იაიკ სალენწის ჩრდილს შევიდით.

გიორგი თიას დანახვაზე ისე დაემშ-  
ვილდი, თითქოს შინ უნდა წაგველო  
ხორბალი.

მომკელები და მეურმეები ხევის პი-  
რზე, კაკლის გრილოში ისხდნენ და  
მთელი ხმით იცინოდნენ რალაცაზე. მა-  
რტო ადამო იყო ჩვენთან — ცხენს  
უქებდა გიორგი თიას.

გვიან გამოჩნდნენ კომისიის წევრე-  
ბი. რაიონიდან მომავრებული ამხანაგი  
და გიგლა ხელებით ელაპარაკებოდნენ  
ერთმანეთს: ხშირად ჩერდებოდნენ და  
თავეებს აკანტურებდნენ. დანარჩენი სა-  
მნი დიდი გულისყურით. გაფაციცებით  
უსმენდნენ.

— სახელმწიფო საკითხი აქვთ მო-  
საგვარებელი. — ჩაიქირქილა ადამომ,  
— თან მომზადებული ჩანს ეგ ამხანა-  
გი, ამ სიტყვებიც სოკო-ჭული ახურავს.

— ბარდიანელია, — თქვა საწყობის  
გამგემ, — ათი წელიწადია, ვიცნობ.

— მაშინ მოისხი მაღლი და შეაწიე  
სიტყვა ობლებს.

— მე ვიცნობ, თორემ ეგ კი არ მი-  
ცნობს! — წამოდგა საწყობის გამგე.

— ე, გამგევ, ეგრე ხო ჩვენს დიდ  
ბელადას ვიცნობ? კარგი ნაცნობობა  
გქონია ღმერთმანი!

— ჩემი ქვისლის მეზობელია.  
— იქნება.

— საიდან მოხვდა საგალსტუკო ად-  
გილზე, ურა კვიცი მოპარა ჩემს ქვისლს,  
მიაყვანილა კიდევაც და სარაც გადაა-  
ლენწა თავზე.

— ჯერ სცემა და მერე მიუყვანა თუ  
პირიქით? — დიდად დაინტერესდა  
ადამო.

— ჯერ მიაყვანილა.  
— ალბათ ჭკვიანი ვინმეა, თორემ  
ჩემს ჭიან ამას ავტომატი უნდა ეპი-  
როს ხელში, მაგას კიდევ... ჰმ?

— ჭურღობასაც ნიჭი უნდა, გენაც-  
ვალე!

მე და დედაჩემი საწყობის ჩრდილში  
ვიდებოთ და სალენწს ვუყურებდით. ამ  
დროს სალენწი გაჩერებული იყო —

ოსტატი, მიზნო ბაიდოშვილი მოტორს უჩიკინებდა. კომისიის წევრები რომ მოვიდნენ, მაშინვე ამუშავა. ხევის საინაოზე გასული მომკვლელები და მეურნეები ერთბაშად წამოიშალნენ. ახლა კომისიის წევრები შექუჩდნენ იმ ჩრდილში, გიორგი ძია კი ჩვენთან მოვიდა. ზოგი მალლა ავიდა — საღეწს უმარჯვებდა ინას, ზოგი ულოს ხსნიდა, ზოგი აწვდიდა, ზოგიც ტომრებში ჰყრიდა ხორბალს და რბილი მავთულით უჭრავდა პირს.

სულ რაღაც ერთ საათში გაღეწეს. საღეწზე სოლოს კოლექტივის ხალხიც იყო. თავიანთი ძნის მიყოლებას ამირებდნენ, მაგრამ გიგლამ გააჩერებინა, ყურები დამასვენებინათ.

მერე აწონა დაიწყეს საველე სასწორზე: შეადგებდნენ რვა-ათ ტომარას, სასწორს გაასწორებდა საწყობის გამგე და ჩამოეცლებოდა — გიგლას შეხედავდა ზოლმე. გიგლა ჯერ საწონებს ჩაუკრკიტებდა, მერე დანახაზებს და ამის შემდეგ კარნახობდა ნაზოს წონას.

რაიონიდან მომავრებულმა ამხანაგმა უთხრა დედაჩემს. მიდი შენც უყურეო (ზუსტად ასე უთხრა — მიდი, შენც უყურეო). მაგრამ დედაჩემმა — გენდობითო. აბუ გიორგი ძია მისულა სასწორთან.

აწონილ ხორბალს გადმოიღებდნენ სასწორიდან და პირდაპირ ურემზე უღებდნენ.

საღეწთან ეს ერთი ურემილა იყო, დანარჩენი ორი, როგორც კი ძნა ააწოდეს საღეწზე, მაშინვე ალაზნისკენ წავიდა.

მალე შეადგინეს მეორე აქტიც. იმ აქტში ასე ეწერა: „სუფთა ხორბალი გამოიღოდა წონით ათას სამას ოცდაათორმეტი კგ და 350 გრ. თვის ტომრებიანათ, რაზედაც ხელს ვაწერთ...“ მოაწერა დედაჩემმა ხელი და წავედით შინ. რატომღაც იქ დარჩა გიორგი ძია.

ჩვენს ხორბლით დატვირთულ ურემს წამოვეწვიეთ. მეურმემ დაგვინახა და თვალის აგვარიდა.

შინისკენ მივდივართ მე და დედა-

ჩემი, დამდურებულებივით მივუყვებით შარავხას: ფიქრსა და მოსკრებამაღადებორიალობათ.

გიორგი ძიას სახლთან თენგო ხუციშვილი შეგვხვდა, თრბი გაედო მხარზე, ალბათ ვენახიდან მრდიოდა, დაგვინახა და გაჩერდა, ყრუდ ახველებდა. ორი თვეა, რაც ომიდან დაბრუნდა თენგო, ამბობენ, სამი ტყვია აქვს ფილტვებში გავლილი. ფილტვებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ორივე ლოყაზე რომ აჩნევია ნატყვიარი, ამას თვალნათლივ ვხედავ — ალბათ ერთ მხარეს მოხვდა ტყვია და მეორეში გავიდა. ექიმი სანდრო პაატაშვილი ჯერ არიგებდა, ახლა ეჩხუბა, ერთი წელი მაინც არ შეიძლება შენი მუშაობაო. ვერ მოაშლევინა.

— რაო, ძალო? — ჰკითხა თენგომ დედაჩემს.

— ენახოთო.

— ჩემი ბედი რა ვთქვა! — მხრიდან ხელში გადაიტანა თრბი და წავიდა ბუზლუნით, — ამ ხალხს ვიცავდი, კაცო, ამ დამპლებს?! წვრილშვილს არ დამირჩენდნენ ოხრად. მოვხვეტავდი სოფელს და მკუთვარდებოდი კეტით!... რა ჰკვიანური იყო ჩაქვავება?

წავედით ცოტაზე და ახლა კიდევ ნათიშვილების დედაბერი, მელო მოიკაკვება:

— რა ისმის, შვილო, თქვენი ყანისა?

— მეტი მოგივათო? — მწარედ გაელომა დედაჩემს.

დედაბერმა კალთა აიწია, გზიდან გადავიდა, მიწა მოფხოჭნა, მუჭში გაიფხოვირა და ცისკენ ალაპყრო ორივე ხელი:

— ღმერთო, ადრე და მალე გაატანე მიწას ამისი ოხლების დამჩაგრავი!..

დედაჩემმა ისევ ააჩქარა ნაბიჯი. ეზოში რომ შევედით, მაშინ შემოიკრა თავში ხელი და ატირდა.

ნინო ბებია საჩხუბში, ცეცხლთან ტრიალებდა — ხმელი ლობიო მიედგა ქოთნით. დანახა დედაჩემი და თვითონაც ატირდა. მეც მომწევა ცრემლი. ჩვენებს გავერიდებ — თხილს ბუჩქე-

ბისაყენ წავედი — მთლად შევიწყვიტე გული.

შინ ჩასვლამდე არც ერთს არ გავხსენებია კამა...

ნინო ბებია ამლაგა სუფრა და თქვა:

— გოგოებს ზომ არ გავაგებინოთ?

— ახლა იმათც ცრემლილა გვაკლია?

— ამდენი ველარ მოვიფიქრე, რძალო.

ჩემი დები სტუდენტები იყვნენ მაშინ, ორივე საექიმოზე სწავლობდა, ოღონდ უმცროსმა ადამიანს საექიმოზე, უფროსი — საქონლისა. არაადეგები დაეწყით და ჩამოვიდნენ სოფელში. მაგრამ მეორე დღესვე ლაგოდებში წაყვანა დედაჩემმა — ჩვენი ყანის ამბავს გაიგებენ და გულს შემოეყრებათო. ლაგოდებში უკვე მეორე არაადეგებს ატარებდნენ, კეთილი, მოსიყვარულე ხალხიაო — უხაროდათ იმათთან ყოფნა, იმ ლაგოდებელებს კიდევ იც უხაროდათ, სტუდენტი ნათესავეები გვყავსო. წასვლისას დაიბარეს, ყანის მომკა არ გამოგვაპაროთო. ხო-ხო, როგორ უხაროდათ, კარგი პირი რომ უჩანდა პურის მოსაყვალს! დედაჩემმა ფიცით დაადასტურა, ათიოდე ტომარა ხორბალს გავყიდი და ისე შეგმოსავთ, თქვენი მოწონებულიო. ვაიმე, ვაიმე, რა მძულარე გადაეხსმებათ!

ნათი დავზოგოთო, ან ადრე ვწვებოდით დასაძინებლად, ანდა სიბნელეში ვისხედით. მაგრამ ახლა ძილი არ გვეკარებოდა და არც ლამპის ჩაქრობა გვიფიქრია.

ცხოში ბუტია აწკმუტუნდა, მივხედდი, შინაური ამოდითადა კიბეზე — გიორგი ძია იყო. ნინო ბებია წამოდგა, ტაბურეტი მიაწოდა:

— დაბრძანდი, შეილო.

— ასეა საქმე, — გიორგი ძია ორივე ხელით დაეყრდნო მაგიდას, — ხვალ გამგეობის ყრება აქვთ. თქვენი საკითხი თუ გაიტანეს, შინ მოტანილად ჩათვალეთ ხორბალი.

— ვინ გითხრა ეგ? — ჰკითხა დედაჩემმა.

— ლაეროსთან ვიყავი ეხლა, იქიდან მივდივარ.

— ვისზეა დამოკიდებული?  
— გიგლაზეო.  
— ეგ ჩვარი რაღას აკეთებს? — ხმას აუწია დედაჩემმა.

— აჲ შენც ამბობ, ჩვარიაო. მოკლედ, გიგლასთან უნდა მიგზავნოთ ვინმე. მე ისეთ კაცს ვერ ვხედავ ამხელა სოფელში, ეგ ბრიყვი რომ მოლუნოს. იქნებ თქვენ მოიფიქროთ ვინმე? იფიქრეთ, ხვალ საღამომდე ბევრი დროა, — ესა თქვა და წავიდა.

ბუტიას წკმუტუნე რომ მიწყდა, ფიქრში წასული დედაჩემი შეერთა, ჩაიკებით მომაჩერდა თვალბში:

— შენ უნდა მიხვიდე გიგლასთან.

— რას ამბობ, დედი, ყველა ფეხებზე დაიკიდა და მე მომიხმენს?!

— შინ რომ მიხვალ, იქნებ უფრო დანაძესდეს.

— ახლა წავიდე?

— დილით. ეცადე თავი შეაცოდო... იმ ღამეს იმდენ ხანს ვფიქრობდი, რა როგორ უნდა მეთქვა, კინალამ თავზე დამათენდა. არც ჩვენებს სძინებიათ ბევრი.

დედაჩემმა გამაღვიძა დილით. ფეთიანეთი გავვარდი. გიგლასთან სახლს რომ მივუახლოვდი, წალდის ჩაყა-ჩუკი მომესმა, ავიწიე და ღობეზე გადავიხედე: გიას დედა ფიჩხს კუწავდა სათონეში. გზაზე გაველ, კუტიკარი შევადე და შევეყუდე სათონეში.

— გამარჯობა, ძალო!

ისე გამომხედა, თითქოს შემეგინებინოს:

— რამ შეგაწყუხა, ბატონო, ამ უთენია?

— მომეცი წალდი, მე დავკუწავ.

— რატომ? მე ცუდად ვკუწავ? თუ ცუდად ვკუწავ, მასწავლე, მოგვხსენებათ, ყველაფერი ცოდნით არის და, რა ისეთი გაუნათლებელი მე ვარ, თავში ვერ ჩავუშვია, — აიღო ფიჩხი, საჩუკეზე დაიდო და ამხედ-დამხედა, — რას მავალეობ?

უცრად დავპატარავდი ჯავრით — აშკარად დამცინოდა.

— ნუ გერიდება ჩემი, თუ არ მოგეხმარები, განუგეშებ მაინც. — წალდი

დაუქნია ფიჩხს, — აღმანიები ერთმანეთის სანუგეშებლად მოვსულვართ ამ ქვეყანაზე.

— ეს ელაპარაკები? — აინიდან გადმოსძახა გიგლამ.

— მეზობელი მობრძანდა, საქმე აქვს შენთან.

— რომელია, დამენახოს.

მამინვე გაველ სათონიდან: კიბეზე ჩამოდიოდა გიგლა. ალბათ კანტორაში მიდიოდა.

— ამბავი? — გაჩერდა და მიყურებდა.

წუხანდელი დაწყობილ-დალაგებული წინადადებები ერთმანეთში ამერია. ძლივს ამოვიღულულე:

— ვითომ შენი შვილი ვყოფილვარ, გიგლა ძიავ, გამიწიე ანგარიში, გაიტანე ჩვენი საკითხი გამგეობის კრებაზე.

— გავიტან.

კი არ გავიტანთო, გავიტანო.

— მეც კაცი ვარ და, თუ სხვა ვერაფერში გამოგადგები, მოგწყურდება, წყალს მაინც მოგაწვდი.

— სწორია. თუმცა ჭრჭერობით არ მაკლია წყლის მომწოდებელი, — გაციონა.

— თქვენი ჭურჭლით აპირებ მიწოდებას? — მკითხა ფიჩხის მკუწავმა.

ძლივს მოვერეე თავს — ძლივს მოვახერხე გაღივება.

გავიდა გიგლა გზაზე და გავყვივინდოდა კიდეც მეთქვა რამე, მაგრამ ნაბიჯი ააჩქარა და გამოკიდება მოშერიდა.

მიდიოდა ეს ჩოფურა, ჩადგმული კაცი და იმედის თვალით მივაცილებდი.

გახარებული მრევლი შინ — თანამდებობის კაცი იყო და ვერავინ, ვერავინ დამაჭერებდა, სიტყვას გადაუხვევსო. თუმცა ჩემს სიხარულს თანაგრძნობით არ შეხვდნენ ჩვენები.

რაც თავი მახსოვს, ასე არასოდეს გაგრაძლებულა დღე. ჩემი უბნელი ბიჭები და ისინიც, სკოლიდან რომ ვძმაკაცობდი, ვინ კოლექტივის სამკალში იყო, ვინ ვენახში, პოდა, ვილასთან გადამეყოლებინა ვული! ხან წიგნს კვითხულობდი, ხან ლობეს ვასწორებდი, ხა-

ნაც ისევ ზედა სართულში ვუდროდი და დედაჩემს ვადევნებდი თავს — მაინც შენახვა გერინდაო, საკერავს უჭდა. ნინო ბებია ბუმბულს არჩევდა, ისე სწრაფად არჩევდა, თითქოს მოსწრებაზე იყო. მოკლედ ძლივს ჩავიდა მზე.

ჩავიდა მზე და კანტორაშიც მივედი. ვიცოდა, შებინდებისას რომ უნდა ყოფილიყო გამგეობის კრება. აღმასრულებელმა მითხრა, წევრები სადაცაა გამოჩნდებიანო. თავმჯდომარე და მისი მოადგილე უკვე კაბინეტში იყვნენ. ჩვენი დიდი ბელადის გენიალურ სამხედრო ნიჭსა და სტრატეგიაზე ისე ლაპარაკობდნენ, მეგონა კრებაა და მოხსენებით გამოდიან-მეთქი რიგრიგობით.

გამგეობის წევრების უმეტესობა ყოველ წელიწადს იცვლებოდა. საერთო, წლიურ კრებას რომ მოიწვევდნენ ხოლმე, მთელი ქვეყანა იქ იყო — ჯერ ის აინტერესებდათ, რას და რამდენს გაანაწილებდნენ შრომა დღეზე. მერე — გამგეობის ახალი შემადგენლობა. გამგეობის წევრებიც უტლაკუნებდნენ ციხეს თაფლში და თითოც რომ გაეტლიკათ, აღარც უჩვეულო იყო. ამიტომ, როგორც დასიცხული კამეჩი ეტანება ბაყაყებთან გუბეს, გამგეობაშიც ასე იწვედა ყველა.

აღმასრულებელი კიბესთან დგას, ისეა ჯობზე დაყრდნობილი, თითქოს ალილოს ამბობსო. ვეება, აყუდებული კაცია, გვერდით რომ ვუდგევარ მობუზული, ვინც ერთად დაგვიანახავს, გასაკვირი არ იქნება. გაციონოს.

პირველად ვახტანგ დათიაშვილი გამოჩნდა. როგორც კი ეზოში შემოვიდა, იქიდან მოყოლებული, თვალი არ მოუცილებია ჩემთვის. კიბესთან ისე გაჩერდა, თითქოს შექანდაო, მერე პირი გააწკლაპუნა და ფიქრიანად აუყვა კიბეს.

ერთმანეთს მოჰყვა გამგეობის თერთმეტზე წევრი. ყველამ დაძინახა. თქმით არაფერი უთქვამთ. ზოგი გოცბული მომჩერებოდა. თავს აქნევდა

ზოგჯერ მარტო ვასო თარალაშვილი გამოველაპარაკა:

— რას ეძებ, ბიჭო, დაბლა, აიშალე წელში!

ლომილით ავხედე.

— ასე, — აივანს ააჩერდა, — რას გეშართლებიან ისინი?

— ყანას ართმევენ, — უთხრა აღმასრულებელმა.

— ამირი პასუხი მაინტერესებს, — თავზე გადამიხვა ხელი.

— ეგრეა, — დავემოწმე აღმასრულებელს.

— ეგეც არაფერი, შვილო, დღეს არა. ხელს მაინც დაგამშვიდობებდნენ ლახტა და ჩილიკა ჯობს.

კიდევ რალაციის თქმას აპირებდა, მაგრამ ვილაყამ გადმოსახმა, ამოდი, ვიწყებთო...

აღმასრულებელმა ხელი დამიჭინა აივნიდან. ისე ავედი, სიციხით მოჩოლფოტებული კიბე არ ამიჭრიალებია. თავმჯდომარის კაბინეტის კარი ღია იყო. აღმასრულებელმა თითი მიაშვირა კედელს, იქ დადექიო.

კედელსა ვარ აკრული და გასუსული ვისმენ — კრებას კოლექტივის თავმჯდომარე ხსნის.

— ამხანაგებო! ვინაიდან მოსავლის აღების სეზონია, დიდხანს არ გავაგრძელებთ კრებას, ანუ მალე დავამთავრებთ. დღის წესრიგშია ორი საკითხი: მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება. მეორე და მთავარი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების შემდეგ, ზურგის ფრონტის მუშაეებმა, ესე იგი ჩვენ, ფრონტისადმი ყოველმხრივ დახმარების თაობაზე პირობა უნდა მივკეთო...

ტაში დასცხებს.

— ორივე საკითხზე ჩემი მოადგილე ილაპარაკებს დაწვრილებით.

ტაში აღარ დაუკრავთ.

— ახლა გიგლას ხმა მესმის:

— ამხანაგებო! როგორც ამხანაგმა თავმჯდომარემ მოგახსენათ, მართლაც

ორი გადაუდებელი საკითხია დღის წესრიგში. მეორედან დაიწყებთ უდანაკარგოდ აღილებთ რა მოსავალს, ჩვენს გამარჯვებას მაშინვე დებეშით ვუპატაკებთ თბილისს... დეპეშის ტექსტი, რაზედაც დიდხანს და გულმოდგინედ ვიმუშავე. შეთანხმებულია ამხანაგ თავმჯდომარესთან. ამ დღიდან გამართულ ტექსტს, დეპეშის ტექსტზე მოგახსენებთ, გაცაცნობთ კრების დამთავრების შემდეგ. საქმე იმაშია, ამხანაგებო, რომ გამგეობაში პარტიული ამხანაგების გარდა უპარტიოებიც გვიჩრევია. ჩვენი პარტიის წესდების ნიადაგზე უფლება არ გვაქვს ასეთი საქმის კურსში უპარტიოების ჩაყენებისა. ამით ვამთავრებ მეორე საკითხზე გამოსვლას. ახლა პირველი: ორ კვირაში უნდა დავამთავროთ მოსავლის აღება. წინააღმდეგი ხომ არავენ არის? არავენ. ღრმად ვართ დარწმუნებული, და ხორბლის საექტარო გამოსავლიანობაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პურეულის გეგმას გადაკარბებით შევასრულებთ. წინააღმდეგი ხომ არავენ არის? არავენ. კოლმეურნეობა „წითელი ძვეწახე“, რომელსაც სალექი აქვს, სამ დღეში მორჩება თავისი კუთვნილი მხის გალენწას და შეთანხმებულია რა რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებთან, ამის შემდეგ ჩვენ გვათხოვენ სალექს. ნამდვილად დიდი მეცადინეობა დამჭირდა, რაც ჩემი უძილო ღამეებით გამოიხატება, მასზედ, რომ ჩვენი სოფლის მესამე კოლმეურნეობის „წინსვლის“ ნაკვლად სალექი ვერ ჩვენ ჩაგვეგდო ხელში. ამ სასიკეთოდ დაგვირგვინების საქმეში მოზრდილი წვლილი მიუძღვის ჩვენს თავმჯდომარეს, რაც ჩემი გამხნელებით გამოიხატა და რაზედაც დიდ მადლობას მოვასხენებ თქვენი და პირადად ჩემი სახელით. ამით კრებას დახურულად ვაცხადებთ. უპარტიოებს ვთხოვ, კაბინეტი დატოვონ.



— მოიცა, კაცო, ფეტვიანთ ყანის საკითხი არ გამოგაქვს? — ვასო თარალაშვილი ეკითხება.

— ეგ საკითხი გამგეობის გარეშე გადავწყვიტეთ, ვინაიდან დამამტყიცებელი სახუთი სახეზეა.

— ასე თუ მოვდექით და სხვებსაც წავართვით ყანები, მაშინ ორმაგადაც უნდა შევასრულოთ გეგმა!

— შენ, ამხანაგო, ბერს ლაპარაკობ! — უყვირა გიგლამ, — ფრთხილად იყავი, კოლექტივიდან არ მიგარიცხოთ!

— ემანდ თოხიკ არ წამგლიჯოთ ხელიდან!... ვირი იყოს, თორემ კურტახი მოიწებნება!

სკამის ხრიგინი მესმის და ვასო ძიაც გამოდის აივანზე.

კაბინეტში გაურკვეველი ხმაურია.

— მალე გავახსენებ მაგას! — ეშუქრება გიგლა.

ვასო ძია ღია კარისკენ მიტრიალდა:

— შენ რომ ნამუსი გეოხროს, ამ ჩონჩხს ზედ გადაუვლიდი? — კისერში ჩამავლო ვეება ხელი და პირდაპირ თავმჯდომარის კაბინეტში შემისროლა, — ფუი შენი კაცობა რა ვთქვა!..

შინისაკენ მივიტულები. ყანის წართმევა აღარ მახსოვს, ის მატირებს, რომ გაიგეს, კარებთან ვიდექი და ყველაფერს ვისმენდი.

ჩვენი ეზოს გამოსასვლელთან, გზაზე, მთელი ეზოს დედაკაცები მოგროვილიყვნენ. ისე შევედი ეზოში, ისე ავიარე კიბე, თავი არ ამიწვია. ქალები ვიწვივით წავიდ-წამოვიდნენ მაშინვე.

— რაც იყო, იყო, — მითხრა დედაჩემმა. — არც შარშან გვქონია რაში, მაგრამ ცოცხლები ვართ ისევე!

— მაგას შერჩება ავკაცობა, თორემ ამ გაჭირვებასაც გადავიტანთ როგორმე. — მომეფერა ნინო ბებია, — ამდენ დარდად და ცრემლად, ეგ ხორბალი კი ძრა, სიცოცხლეც არ ღირს.

ჩვენებს აღარ უტირიათ. მეც დავეყნარდი თანდათან და მთელი დღის დაღლილობამაც შემახსენა თავი — ძილი მომერია. მეხვეწნენ, მემუღარანენ, მაგრამ ლუკმა ვერ ჩამაშვებინეს პირში — მშვიერი დავეწქი. დავეწქი და ძილიც გამიფრთხა. ჩვენებს ეგონათ, უკვე სიზმარშიაო, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ მეორე ოთახში.

— ლამის თავი გამისკდეს ფიქრით და მაინც ვერ მივხვდი, ასე ღვარძლიანად რატომ გადაგვეკიდა გიგლა! — ამბობს დედაჩემი.

— მეც რამდენიმეჯერ მივდექ-მოვდექი ფიქრში და მგონი მივაგენი მიხეზს. ამა კარგად მომიხმინე რძალო: ამ გაზაფხულზე, შვე რომ გატყება, დედაკაცები გიგლანთ სახლთანა ვართ, გზის მხარეს. მყუდროზე — ბუშბულს ვარჩევთ. ჩვენი კახა, გია და შიოც იქვე არიან, სალაობას თამაშობენ. ამ დროს ერთმა ქალმა ჩამოიარა, მკითხავი ვარო. შინა ყოფილიყო გიგლა, გამოვიდა გზაზე და ეუბნება იმ ქალს, ეგა, მსუქანი ბალი როა, ჩემი შვილია, აჰა, თუმნიანი და უმკითხავეო, ფული მიაწოდა სიცილით. ამან ისეთი რა უნდა მითხრას, მე თვითონ არ ვიცოდეთ — ზუსტად თავის მამასავით გადმოყარა კბილები გიამ. შიოც იცინის ხათრით. კახა გვერდით მომიჯდა. თავი მომადლო მხარზე, მივხედე: მოწყენილი მისჩერებია მკითხავეს. მკითხავემა არ გამოართვა ფული, კახასთან დაიხარა და ამბობს, აი ამას უფულოდ უხდა ვუმკითხავო, ხელი მომეც შვილოო. კახამ ზურგს უკან წაიღო ხელები, გადმომხედა. შევლიმე და მაშინ კი გაუწოდა მარცხენა. გახედა მკითხავემა ხელზე, კარგამ ხანს უტრიალა და მერე თქვა: „ომის სივარებას ეს თუ გაუძელი, შვილო, სასაზღვროდ ხელო კაცი გამოხვალ“. ამისი თქმა იყო და წავიდა კიდევაც. თეთრი, ჩაფრთხუნებული კახა კოჭებამდე უწევდა. ათიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, მოტრიალდა: „კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც ვამბობ“. ამდროულა ქალი ვარ და ძა-

წანწალა ქართველი მკითხავი არც მას იქით მინახავს. არც მას აქეთ: გიგლას მიწის ფერი ედო. დედაკაცები მოწყენილები მისჩერებოდნენ კახას. ამ გატირებაში რაალო. გოგობს მინც ვასწავლით ქალაქის უმაღლესში; დამშვიდდება ქვეყანა და უფრო არ გაგვიოლდება ბიჭის მიხედვით.. შერი მგონია, მიზერი, რაალო: შერი უღონობამ იყის, კეუს უღონობამ.

— ჰოო...

მეორე დღე კვირა იყო. გვიან გამეღვიძა. ნინო ბებია აივნის ტახტზე მოკეცილიყო. ტომარას ადებდა საყერებელს. მეორე უკვე დაეკერებინა. დედაჩემსად არის-მეთქი. კელისციხის ბაზრობაზე წავიდა, სპილენძის ტაშტი წილო გასასყიდად, სამურაზე ტაშტი, ცხიმი უნდა ვიყიდო.

— ამ ამინდამც, ხელი შეგვიწყო, — ბებია ამინის სვეტს მიაბერტყა ტომარა, — საჩვენო ამინდია, — ცრიატი დღე იყო.

— რა უნდა გავაკეთოთ?

— თავთავი მინც აკერიფოთ, შეილო. წაუედით თავთავის ასაკრედად.

რაკი ბლომად უყარა თავთავი, ჯდომელები ვერეფდით. მე დედაჩემის სამეზობლო მაკრატელი მექირა. ბებიას — ეახლა, იმით ვაკლიდით ნაშქას, თავთავს კიდევ ტომრებში ვყრიდით. საქმეს ბარაქა რომ დავდეთ, ლექსო მეველე მოვარდა:

— რას მიშერებოთ, ხალხნო, საციხედ მიმეტებთ?!

— რა მოხდა, ადამიანო? — წამოიკაცა ნინო ბებია.

— მესამე დღეც ამისი ყარაული ვარ, გიგლამ — გამგებობის დადგეხილება, თავთავი არავის გაატანო!

— ასე გეკონდოდა, რა შემოგვიყვანდა აქა!

ერთბაშად დამასკდა ოფლი, ყურებმაკ წივლი დამიწყო. მოწყვეტილი დავეხეთქე ტომარაზე.

— წავიდეთ, შეილო, — თავისი ტომარა აილო ნინო ბებია. ზურგზე მოიკლო.

— ვერ გაგატან, ძალო, თავთავს, ციხით დამემუქრა და რომ დამიჭერეს, მე იქიდან გამომღწევილას გეგაგონებოდა.

ბებია თავთავი წამოყარა მიწაზე და მეველეს შეხედა:

— ან წინ დაუხვდება, ან კიდევ ზურგიდან წამოეწევა ჩემი ობლების ცოდვა!

მეც წამოვყარე თავთავი.

— სოფელია, ძალო, ხალხი გეხედავს, ქვევით იყოს — თვალებს დაეხუჭავდი... იმ გაზაფხულს გადაველ მეოთხე კლასში.

სხვათა შორის ვენახიც დაგვესეტყვა იმ წელიწადს.

\*\*\*

მანქანის ხმაურმა გამომიყვანა ფიქრიდან, წამოვდექი — თემო მოსულყო. ნახიჩი რომ გადავდგი, მაყვლის ეკალი გამომედო, შარვალი არ გამომახიოს-მეთქი, ფრთხილად მოვიშორე. მივიხედ-მოვიხედე და შემაერეოლა: არ მახსოვს, ღმერთმანი, ნამდვილად არ მახსოვს. ღელის ფერდობიდან როდის გადმოვიწაცევე მაყვალგადავლილი ჭაგარციხილის ჩრდილში.

— სადა ხარ, კაცო, აქამდე, მოკვედი შენი ძებნით! — შორიდანვე მსაყვედურობს თემო.

მანქანის კარი გაიღო და რომიკოს მამა, ოთია გადმოვიდა:

— ასეც ვიციოდი!

— რა იციოდი, ღონდრე?

— ერთი ამას დამიხედე?! — გაიკვირვა ოთიამ, — მე არ გითხარი, აქ იქნება-მეთქი?!

— რატომ მინცდამიანც აქ?!

— აქ ყანა ეთესათ ერთხელ, — დაცემულ მინდორს გახედა ოთიამ.

— მაგ ყანის თავგადასავალი ვიცი, — თქვა თემომ და მანქანაში ჩაქდა, — მანქანით ჩამოგაკითხეს, კახავ, ქალაქიდან, ახლავე უნდა წავიყვანოთო. კაცო, შევბულებამი არა ხარ?

— არა, ბიულეტენზე.

— როდისა აპირებ ჩამოსვლას?

— ერთ კვირაში ავიღებ შევბულე-

ბას, ჩავივლი იმერეთში და წამოვიყვან ცოლ-შვილსაც.

— ეგეც მომწონს, შენს ეზო-ყურეს, კარ-მიღამოს რომ არ გამოაყრუებ ხოლმე. — მანქანა მიაბრუნა.

თუ არაფერი ჰკითხე, ხმას არ ამოიღებს ოთია. ახლაც ასეა — მარტო გვისმენს. მაგრამ მოუზომავი სიტყვა თუ წამოგცდა, თავიდან ველარ ამოუფხვავ — რატო ათი წლის შემდეგ არ გაგახსენებს ხოთხითით, მე შენ გეტყვი, დააფიყდება, სად და როდისა თქვი.

თემომ გვერდითა სოფლისკენ მიატრიალა მანქანა.

— მაქვთ საით მიხვალ? — წამოვიწვი.

— ცივი წყალი მოინდომეს სტუმრებმა, ეგე, ოთიას ფეხებში არ უღვას თქვენი კოკა?

გადავედით გვერდითა სოფელში, გავესეთ კოკა და გამოებრუნდით უკან.

ისევ ჩვენს სოფელში რომ შემოვედით, რატომღაც შარაგზით კი არ წამოვიდა, საუბნო გზაზე დაუხვია თემომ. აქეთ ცხოვრობდნენ გიანები; ზედ მორყეულ ჭიშკართან გაეაჩერებინე მანქანა. გადმოველ, მივიხედ-მოვიხედვე; ერთიანად ჩამოწოლილა სათონე, კიბის

საფეხურებიც ჩამტვრეულა. <sup>სანღზე</sup> ისეა კრამიტი აწეწილი რქოფიჭრებთ, გრიგალს გადაუვლიაო მცერმ, მწყრალა, კატაბარდა, ლაშქარა, ათასნაირი უვარგისი ბალა-ბულაბი აყვირებულა ეზოში. ცოდვის ერუანტელმა დამიარა, მოვეშვი და მოვიშხამე. გამოტრიალებას რომ ვაპირებდი, მინდიაშვილების დედაბერი დაინახე: ჭიგო ეკირა და ამ ლიხში რალაცას ეძებდა — ბალახს ეწეოდა აქეთ-იქით.

— რას ეძებ; ბებო? — ვკითხე.

— რომელი ხარ, შვილო? — ხელმოჩრდილვით გამომხედა.

— წუთისოფლის სტუმარია! — გავეცინა თემოს, მერე ხმადაბლა მითხრა, — არ გამოეცნაურო თორემ, რალა ჩემი გესწავლება, ხვალ ამ დრომდე ველარ გაეშვები.

— სანაშენე დედალი კვერცხსა მპარავს, შვილო, ვიფიჭრე აქ ზომ არ აგროვებს-მეთქი.

მანქანის კარი გამოვალე და, ვიდრე ჩავჯდებოდი, ისევ უკან მივიხედვე:

— შეებულეებით რომ ჩამოვალ, ბიჭებო, მიხედოთ ამ ეზო-ყურეს.

— მოეშვი, — მითხრა ოთიამ, — ეგ რო მისახედი იყოს, სოფელი მიხედავდა.

## რაინდის სიმღერა

მომიბრუნდა რისხვით ზეცა,  
ამარიდა ბედმა თვალი.  
ოცქერ ვცადე მომეტაცა  
ათაბაგის ერთი ქალი.

ოცქერ ხელი მომეცარა,  
ათქერ დამჭრა ათაბაგმა.  
გულს ნაღველი მომეძალა,  
გულზე ვარდი გადამახმა.

შუა გავაბე მარცხის მაცნე,  
შევაღეწე ბექთარს ხმალი.

ოცქერ დამრჩა დასაკოცნი  
ათაბაგის ერთი ქალი.

გულს გაუფენ განაგმირებს,  
როს მოვკვდები ვნებით მთვრალი.  
მოვა, ოცქერ დამიტირებს  
ათაბაგის ერთი ქალი.

გადამაუღობს გედისებრ მკლავს,  
დამაკონებს ბავშვურ ბაგეს.  
მერე ოცქერ თავს მოიკლავს  
ერთი ქალი ათაბაგის.

## სატირალში

ქრიან ბედაურები  
და რჩება ნაკვალევი.  
სხედან, როგორც შაშვები  
ეშხიანი ქალები.

სხედან მხოლოდ შავებში,  
დასტირიან ვაეკაცებს.  
მზე, ყველაფრის მნახველი,  
შუბის წვერზე კაშყაშებს.

დაღვრილია ნაღველი,  
დათხრილია თვალები,  
როხროხებენ მთვრალეები...

სხედან მხოლოდ შავებში,  
სხედან როგორც შაშვები,  
ეშხიანი ქალები,  
სევდიანი ქალები.

## პერის ბაზრის მელოდია



მე უშენობამ გუშინ დამშანთა  
და გუშინდელი დამაქვს ნღველი.  
მე მარტო დავრჩი, ქალო, ამყამად,  
და შენც ამყამად სხვასთან წახვედი.

მაინც ოცნების არ დამერიდა,  
შემოვატმასნე ვნება ოლარად.  
ო, ნეტავ ღამე არ გამერიტმა  
შენი თვალების მოსაგონარად!

მე მაგონდება შენი თვალები  
ციცნათელები ქართლის ღამეში.  
ალბათ გიყვარდა ბევრი ზღაპარი,  
გველუშაპები და გილგამეში.

ახლა კი თავსაც აღარ მაწონებ,  
ბანიც დაიდგი მაღალ-მაღალი.  
ვირებს წყნეთიდან მოაქვთ მაწონი  
და გარიერაჟის აყალ-მაყალი.

ასე მოდიან დაღლეტილები  
თბილისისაკენ წყნეთის ვირები.  
ვერის ბაზართან დახლიდარები  
გაიგებენ და გაიკვირებენ, —

რომ დარჩენილა ჯერ ქვეყანაზე  
ციცნათელები ქართლის ღამეში...  
და ინახვენ წარსულ სინაზე  
გველუშაპები და გილგამეში.

## ბადი უბედურთა

სადაც არა სჯობს, მაინც გაცლა სჯობს—  
ასე იტყოდნენ ძველად მამები.  
არ დავიჯერე, ღმერთმა დამსაჯა,  
და მეც ტრფიალის ხლართში გავები.

ქალი იყავი, და რა მეგონა:  
ქედზე დამადებ მძიმე არტახებს;  
რომ ეთერივით ნაზი გოგონა  
ჩინგის-ხანივით გამაპარტახებ.

ან ვიფიქნება არ დაიგმინო,  
თუ გრძნობა გიღულს და არ მაქრდება.

გული კი არა — ერთი მიმინო  
სისხლდაღეული ცერზე გაჯდება.

ოცნების დალალს არ მეოცების  
რომ მონა ვარ და არ გეურჩები:  
მე — მერიქიფე შენი ოცნების,  
მე — ჭაშნაგირი შენი ტურების.

...სადაც არა სჯობს, მაინც გაცლა  
სჯობს —

ასე იტყოდნენ ძველად, გოგონავ.  
არ დავიჯერე, ღმერთმა დამსაჯა,  
შენ შეგახვედრა და დამამონა.

## უბრალო სიმღერა

დიდი, როგორც ნღველი,  
მცირე, როგორც მწყერი,  
ასე რატომ წახველი,  
რატომ გამიწყერი?

გადამავდე, მომკალი,  
დამიდაგე გული.  
გადადევი სამკალი,  
მნახე გათანგული.

გულში ნანა ტიროდა,  
ალარც ნანა მართობსა  
გუშინ სანადიროდა  
მივდიოდი მარტო.

თან მომდევდა ნღველი —  
მოფართქალე მწყერი.  
ასე რატომ წახველი,  
რატომ გამიწყერი?

## მონადირის სიმღერა



ალაზანზე შემომაკვდა ხოხობი,  
მისი დარდი არაგვამდე მსდევდა.  
მთებს ეკვროდნენ ანათრთოლი ქოხები  
და ლერწმები აშრიალა სევდამ.

მაგონდები, მაგონდები ხანდახან...  
მხოლოდ ქარი აპყოლია ქუჩებს.  
ნეტაე ესლა, პაწაწინაე, სადა ხარ?  
ვინ გიკოცნის გაუმაძღარ ტუჩებს?

გული დაგრჩა უღმობელი, ჩალატარ,  
ქარს იმედი გააყოლა გედმა.  
შენზე დარდი გულში სევდამ ჩახატა,  
შენზე ფიქრი მომახვია ბედმა,

შენ კი ჩემთან არასოდეს მოდიხარ, —  
ჯიხურებში მიჯაჭვული ჯიხვი.  
საით, საით, გამიტაცებს მოტიხარს?  
ქაობიდან აფრენილი იხვი?

მამა-პაპის გორდასავით დავფერდი,  
შორ ალაზნის ვერხვებს შუა რგული.  
ეგებ უკვე ტრფიალისთვის დავბერდი,  
ეგებ უკვე დამენაცრა გული?

მთებს ეკვროდნენ ანათრთოლი ქოხები  
და ლერწმები აშრიალა სევდამ.  
ალაზანზე შემომაკვდა ხოხობი,  
მისი დარდი არაგვამდე მსდევდა.

## შარი

В этой Жизни умереть не ново,  
Но и жить конечно, не новей.

სერგეი ესენინი.

სული სნეული, სენი უსულო...  
და ქარიშხალში ჩაქრა ლამპარი.  
თავისუფლება ხარ, აღსასრულო,  
ძილის მორბედი და წინაპარი.

ვითარც უხორცო ვარ უშიშარი,  
ჩანჩქერს გავყვები მე ნაფოტივით.  
არ დამიჯერეს და მომდეს შარი —  
სიცოცხლეს რატომ ეპოტინები?

## სიყვარული

გაგიგია ლირიკული ოროველა?  
ლამე, ზურნა და ორლობე მესრიანი...  
სიყვარული, ვით ბალახი სარეველა,  
ლამაზია ქალო, მაგრამ გესლიანი.

დაგეშილი ვარდის თქეში თავზე  
გაწვიმს,  
შენ ქმარს ეძებ, შენ მოგწყინდა  
ხეტიალი...

სიყვარული, როგორც მთვარე  
მთაწმინდაზე,  
ლამაზია, ქალო, მაგრამ სევდიანი.

წინათგრძნობა ავხორცი და გულთმისანი  
უნდა დასთმო, უნდა დაპგმო, გაიმეტო...  
სიყვარული, როგორც ბედი ქართლისაი,  
ლამაზია, ქალო, მაგრამ უიმედო.

კიდევ დრო გაქვს, შეჩერდი და მოიხედე,  
კიდევ დრო გაქვს, ეს ცდუნება  
აიცილო...

სიყვარული, ვით რაინდი დონ კიხოტი,  
ლამაზია, ქალო, მაგრამ სასაცილო.



## დედაენა

მე დაგივიწყე, ო, დედაენავ!  
თითქმის გაგწირე და გაგიმეტე.  
ჩაილდ-პაროლდი მოხედუინო  
უდაბნოეთში ვეძებ იმედებს.

უდედაენოდ, როგორც უმიწოდ...  
მტვერია მხოლოდ უცხო უდაბნო.

ბევრი ენახე და დავრჩი უვიცი,  
გვირგვინი მომცეს — დავრჩი უდაფნო.

და გაეთიშა შინაარსს ფორმა,  
ველარ ავკინძავ თვლებს გიშრიანებს...  
და მეტაფორა, ვით ანაფორა  
გადამხმარ ლექსის მხრებზე შრიალებს.

## ნარმართის სიგლარა

წალკოტები მონაშენი,  
წალკოტებში მონა ტირის.  
ეს ზომ მე ვარ — მონა შენი,  
ქალისა და მონადირის.

შორი ლხენა მედარდება  
იმერული გოგონების.  
დამე აღარ მიდარდება  
წარლენისა და მოგონების.

ჩემო კარგო, დავიღალე,  
ზეცა კუბოდ მესურება.  
სევდა გულზე დავიხალე  
დაობლებულ ბელურებად.

უწმინდურთა ნიწოწმინდავ!  
წარმართების დიდო რთველო!  
შენთან მოველ მილოცვით და  
უკან დამრჩა საქართველო.

## ცა ნანნავეზიანი

როგორც რუსთველის ტკბილი შაირი  
შენ ნანნავეზი მკერდზე გეყარა...  
ცის არშიები ნაირ-ნაირი  
და ვარდისფერი ჩემი ქვეყანა.

მე არაფერი არ მეღანდება  
და მღუმარების დავალ მღომელი  
სისხლიანდება თუ მეღანდება,  
ცა მაინც მრჩება მიუწყვლომელი.

## არნივი

ან თოვლი მოვა, ან — წვიმა,  
ცა ისე მოიქუფრა.  
მარტო დაფრინავს არწივი,  
ყვავები — მუდამ ჭგუფად.

და მარტოობა არ ჰქვია  
არწივის მარტოობას.  
არც შეგობრობა ატყვია  
ყვავების ერთად ყოფნას.

ან თოვლი მოვა, ან — წვიმა,  
ცა ისე მოიქუფრა,  
ჩვენს შორის — მხოლოდ მანძილი,  
ჩვენს შორის — ათი სუფრა,

ათივე ყვავებისაა,  
ათივეს გადაეუფრენთ,

მიზანია თუ — მისანი,  
მის ენაქართალს — უფრო,  
ან თოვლი მოვა, ან — წვიმა,  
მიეფრინავთ, მივსაუბრობთ...  
ღრუბლების ზემოთ გვაცილებს  
ტყე — დარჩენილი უბრაღ.

კარგს არას შეჰყრის არწივებს  
ყვავებთან ყოფნა სტუმრად.  
ღმერთო, გვაცილე, გვაცილე  
ჩასაფრებელი სუფრა.

ან თოვლი მოვა, ან — წვიმა,  
ცა ისე მოიქუფრა.  
მარტო დაფრინავს არწივი,  
ყვავები — მუდამ ჭგუფად.

• • •

ყოველთვის ველავ, როცა მივდივარ,  
რა ვიცი, რა მელის, რა ვიცი...  
და თუ დავეცი, ხიდს იქით — ხილია,  
სიარულს თავიდან დავიწყებ.

ყოველთვის ველავ, როდესაც  
გზვდები,  
როცა ვუბრუნდები ამ ბუდეს.  
ახლა საღ მივდივარ? მივდივარ, დედა,  
მივდივარ, რომ ისე დავბრუნდე.

ყოველთვის ველავ, გზას როცა ვიწყებ,  
თითქოსდა — პირველად, პირველად.

და ეს ცხოვრება დუელში მიწვევს  
და თანაც ყველაფერს მპირდება.

თვალი გამისწორეთ, ნუ იცვლით იერს,  
მინდა, სიმართლე ვიცოდე.  
ნეტავ რას ვიზამ? ალბათ გაპატიებთ,  
ალბათ — ამ ცოდვებს და იმ ცოდვებს.

მალაპარაკეთ, ილაპარაკეთ,  
მინდა, რას ფიქრობთ, ვიცოდე...  
ახლა რას ვაპირებ? ისეთს — არაფერს,  
სიცოცხლეს განვაგრძობ, სიცოცხლეს!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ჩიტი არა ვარ და მიყვარს ფრენა,  
თევზი არა ვარ, მდინარე მიყვარს.  
მე ჩემს ცხოვრებას ვუცვალე ფერი,  
კი არ მიყვებები, მე თვითონ მიმყავს.

მინდა, უწესოს ავუგო წესი,  
გავიმარჯვო და... მყის გავიარო.  
თან ადამიანს ვაჯობო ჩემში  
და თან არ მოვწყვედო ადამიანებს.

ო, როგორ მინდა, ყველაზე მეტად  
შევიძლო დათმობა და პატიება,  
შემეძლოს, მტერი მოვისვა გვერდით,  
ვაქციო მოყვარად და ვაზიარო.

თუ ვინმეს უჭირს, მფარველად ვდეგვდე  
და მოვეურჩინო ჭირი ფარული,

რაც რა ასვენებს სამყაროს დღემდე  
იჭვი, ღალატი და სიყვარული.

მე ვარ ჭიუტი, როგორც ბალახი  
და საკუთარი თავის იმედით  
მოვალ, რომ ვნახო ასგზის ნანახი  
მზის ამოხეთქვა დილის კიბეზე.

ყოველდღე მელის, ყოველდღე მელის  
დაუბყრობელი ბედნიერება  
და სიყვარულის წმინდა სახელით  
გვკვდები, ვცოცხლდები და მემღერება.

ჩიტი არა ვარ და მიყვარს ფრენა,  
თევზი არა ვარ, მდინარე მიყვარს.  
მე ამ ცხოვრებას ვუცვალე ფერი,  
კი არ მიყვებები, მე თვითონ მიმყავს.

• • •

ლიძავა და სანაპირო,  
ლიძავა და ფიჭვები,  
გალიმებას დავაპირებ,  
არ მიშვებენ იჭვები.

ქვიშის კოშკებს აშენებენ  
ზღვასთან გოგო-ბიჭები,  
ირევიან, მაშინებენ,  
ზუზუნებენ იჭვები.

ქვიშით ველარ ვთამაშობთ და  
ქვიშით ველარ ვაშენებთ.  
რაც გვინდოდა, აღბათ ჯობდა  
გვეთქვა, გვეთქვა მაშინვე,

ანდა — ჯობდა დავიწყება,  
სანამ გავიზრდებოდით,  
სანამ ღალატს გვაუწყებდნენ  
და დაკარგვას მეგობრის.

ახლა უკვე დიდები ვართ,  
გაიზარდა ლიძავაც.  
ვაცილებთ და ვეგებებით  
ვინ მოვა და ვინ წავა.

ზოგი მზისგან შავდება და  
ზოგი ისეც შავია.  
ლიძავიდან ლიძავამდე  
წლები, წლები გავიდა,

ჩვენს შორის კი — გოგონები  
და კვლავ — ერთი ბიჭი.  
მოგვიმრავლდა მოგონება,  
იჭვი გვჭირს და გვიჭირს.

ლიძავა და სანაპირო,  
ლიძავა და — ფიჭვები...  
გალიმებას დავაპირებ,  
არ მიშვებენ იჭვები.

მგზავრული



ენაცვლებოდა დარებს ავღარი  
და დაცოცავდა გზების ობობა  
და თამაშობდა გზებზე ჩამჭდარი  
შემთხვევითობა და მარტოობა.

შემემთხვა, ქვეყნად მოვსულიყავი  
და შემომეცლო აქ, ამ ქალაქში.  
გაბრუებული წვიმით და ყავით  
ჩაეშვა ღუზა და მეც აქ დავჩი.

შემემთხვა, ახლა თქვენს გვერდით  
ვიჯდე,  
თუმცა სხვის გვერდით ყოფნა მინდოდა,  
და ართობს, ართობს შემთხვევით იჭვებს  
ეგ შემთხვევითი გულახდილობა.

მაგრამ სად არის აღთქმული მხარე,  
ვისთვის კუნძული და ვისთვის — რიყე,  
სადაც მივირბენ და გავახარებ  
მას, ვის გვერდითაც მე უნდა ვიყო.

მხოლოდ დროებით, მხოლოდ  
დროებით...  
დრო კი გარბოდა, ჩვენი მეკობრე.

ასე ვტოვებდით, ასე ვტოვებდით  
და სულ გეჭეროდა, დავბრუნდებოდით.

ჯიბის ქურღივით მარჯვე და მხდალი  
შემთხვევითობა და მარტოობა  
და მოლოდინი დარის და ხვალის,  
გარშემო — გზების შავი ობობა...

ჩქარა და — ჩქარა! ჩქარა და—ჩქარა!  
რაღაცა სულ სხვა, რაღაც ახალი...  
ნეტავ თბილისზე უკეთეს ქალაქს  
სად დავეძებდით ან სად ვნახავდით.

და ისე მინდა შინ დაბრუნება,  
მინდა, მივენდო ნამდვილს და  
მთავარს,  
ახლა კი მართლა ვფიცავარ დედას,  
რომ ჩამოვალ და აღარსად წავალ.

ენაცვლებოდა დარებს ავღარი  
და დაცოცავდა გზების ობობა  
და თამაშობდა გზებზე ჩამჭდარი  
შემთხვევითობა და მარტოობა.

• • •

მე არ ვთამაშობ, მინდა, გაუწყოთ,  
რომ ყოველივე მწამს მხოლოდ ნაღდი.  
და მივატოვე, ვინც ვერ გაუძლო,  
ვინც ითამაშა და ვინც კი წახდა.

მე ვერ ვთამაშობ, რადგან მიყვარხართ  
და რამდენჯერაც წამწამებს დავბრი,  
იმდენჯერ მიმიმე, როგორც დიდმარხვა,  
მჯობნის და მახრჩობს წყურვილი ნაღდი.

არც ვითხოვრებ, არც წილი ვყარე,  
ძე რაც მაქვს, ნაღდად მებოძა მაღლით.  
უერთგულესი თუ ვარ მოყვარე,  
ერთგული მტერიც და მტერი — ნაღდი.

დამნაშავესთან მიჭირს თამაში,  
ძნელია ავზე ფით გადახდა.  
თუ ვაპატიე და თუ გადავჩი,  
ეს პატიებაც იქნება ნაღდი.

მინდა, გაუწყოთ, მინდა, გაუწყოთ,  
რომ ყოველივე მწამს მხოლოდ ნაღდი.  
ძნელია, მაგრამ ჯობს, დარჩეთ უცხო,  
ვიღრე მოხვიდეთ და ვიღრე — წახდეთ.

ვერ. ვითამაშებ, გინდაც ვიცოდე...  
სულ ასე იყო, ძველით და ახლით.  
ისე ნაღდია ჩემი სიცოცხლე,  
მჭერა, სიკვდილიც იქნება ნაღდი.

— — —

შემაღ ქარხნაძე

## ანტონიო და ლავითი

მოთხრობა

ნაწევები წიგნიდან „ისტორიები და ზნე-ჩვეულებანი, ანუ აღწერა ქვეყნებისა, რომლებიც ღვთის შეწევნით მშვიდობიანად მოიარა მოგზაურმა და ეპარმა ბართოლომეო დ'ანიტიმ, მოთხრობილი ხსენებულა დ'ანიტის მიერ დაწვრილებით და შეულამაზებლად“.

როგორც ამ წიგნის დასაწყისში ვთქვი, ცხოვრების დიდი ნაწილი მოგზაურობაში გავატარე და მრავალი ქვეყანა მოველე, ზოგი ჩემივე სურვილით და ზოგიც სამეფო კარის დავალებით. ისე მიყვარდა მოგზაურობა, სახლში დიდი ხნით ვერ ვდგებოდი. მართალია, უცხოეთში მყოფს ზოგჯერ მძიმე სევდა შემომაწვებოდა და სამშობლო მომენატრებოდა, მაგრამ, დავბრუნდებოდი თუ არა შინ, გული მაშინვე კვლავ უცხო ქვეყნებისკენ გამიწვევდა. საცა კი ვიყავი, შეძლებისდაგვარად ყველა ხალხის ენა შევისწავლე. თავდაპირველად უცხო ენებს უცხო ქვეყნებში ვსწავლობდი ადგილობრივი მოსახლეობისაგან, მერე კი, როდესაც შევამჩნიე, სხვათა ენებს იოლად ვითვისებდი, ვცდილობდი თავიდანვე მესწავლა, გამგზავრებამდე. ვისაც მოგზაურობა უყვარს, ყველას ვუჩრჩევ ასე მოიქცეს, რადგან ენის ცოდნა დიდად უადვილებს საქმეს მოგზაურს. ჭერ ერთი, თარჯიმანი უამრავ დროს გაკარგვინებს, და მეორეც, უცხო კაცს რომ მის ენაზე დაელაპა-

რაკები, ნდობით იმსჯელება და ხელად გადავიხსნის გულს. ეს ყველგან შემომჩნევია. ეტყობა აღამიანის ბუნებაა ასეთი... სამოცდახუთი წლისა რომ შევიქენი, გადავწყვიტე მოგზაურობაზე ხელი ამეღო. უკვე ხანში ვიყავი შესული, ჯანი ძველებურად აღარ მომდევდა და თანდათან მიშიც შემომეპარა, ვაითუ სადმე გზაში მომისწროს სიკვდილმა და ჩემი ცხედარი უცხოეთში დარჩეს-მეთქი. კაცს მუდამ გაქვს გაუაზრებელი სურვილი შენს ქვეყანაში დამიარხო, სადაც შენი მამა-პაპა მარხია. ესეც არ იყოს, უეცრად რომ მოემკვდარიყავი, ის ცოდნა და გამოცდილებაც თან უნდა წამეღო, რაც ხანგრძლივი მოგზაურობისას მოვიპოვე, და ეს წიგნი, რომელსაც ახლა ვწერ, დაუწერელი დამრჩებოდა. არ იფიქროთ, სახელსა და დიდებას მიველტვი, როგორც მრავალნი მიეღტვიან. არა. მოგზაურობისას იმდენი ხიფათი და გაჭირვება გადავიტანე, ახალგაზრდული პატივმოყვარეობიდან აღარაფერი შემომრჩენია და სახელი და დიდებაც არად მიჩანს. დღეს უბრალო, მკაცრი ცხოვრება ჩემთვის ერთადერთი ცხოვრებაა. წიგნის დაწერა მხოლოდ მოვალეობაა, რადგან აღრეც მწამდა და

ახლაც მწამს, რომ, კაცმა თუ რაიმე ცოდნა შეიძინა, იგი ვინმეს უნდა დაუტოვოს, თან თუ წაიღო, ცოდვად ჩაითვლება და იმ ქვეყნად მოეკითხება. ამ ორი მიზეზის გამო დავანებე თავი მოგზაურობას. ეგებ დავილაღე კიდევ, დასვენება მომენატრა და იმ ორ მიზეზს ეს მესამეც დაემატა. ასე იყო თუ ისე, მოგზაურობა მივატოვე და ნათესავებისა და ახლობლების გასაკვირველად, ჩემი დიდებული სახლი, ჩემი მეგობრების უსაყვარლესი ადგილი, სადაც ყოველი მოგზაურობის შემდეგ ვიკრინებოდი და ხშირად ღამეებს ვათენებდით ტყილ მასლაათში, გავყიდე. გავყიდე ქალაქგარეთა მამულებიც. გავყიდე მთელი ჩემი უძრავი ქონება. სამაგიეროდ ქვეყნის სამხრეთით, ზღვის პირას, პატარა მზიანი და ტყიანი ადგილი ვიყიდე და ავაშენე სახლი, რომელმაც ჩემს ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს კიდევ უფრო განუშტკიცა აზრი, რომ მე უცნაური და ახირებული კაცი ვარ. სახლი მართლა უჩვეულო გამოვიდა: თუ არ ჩავთვლით ვრცელ სამუშაო ოთახს, მის მიმდებარე პატარა საძინებელს და მსახურთა სადგომს ქვედა სართულზე, აქ იმდენი ოთახია, რამდენ ქვეყანაშიც ვარ ნამყოფი. თითო ოთახი თითო უცხო ქვეყანის განასახიერებს, იქაურ წესზეა მოწყობილი და იქაური ნივთებითაა მორთული. აგერ უკვე შეიღი წელია ამ სახლში ვცხოვრობ საში მსახურისა და ორი მზარეულის ამარა. ეზოდან თითქმის არ გავდივარ, შუალდემდე სამუშაო ოთახში ვზივარ და ვწერ, ნაშუალდევს ეზოს ბოლოს, ქალაში ვსერირობ ნაკადულის პირას, საღამოს ოთახიდან ოთახში დავდივარ, უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილ მრავალრიცხოვან სამახსოვრო ნივთებს ვათვალიერებ და გარდასულ ამბებს ვიგონებ. ჩემს ცხოვრებას ზოგჯერ განდევლის ცხოვრებას ადარებენ, მაგრამ რა განდევლობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა კვირა ისე არ გაივლის, ორ-სამჯერ მეგობრებმა არ მომაკითხონ. მეგობრებს ხან რომელ „ქვეყანაში“ მივიღებ

ხოლმე, ხან რომელში. სუფრასაც შესაბამისად ვუშლი. ვსხედვართ, ვსაუბრბრობთ, თავს ვიქცევთ ღვინით. ზოგჯერ როცა მთხოვენ, მოგზაურობის ამბებსაც ვყვები. ასე ვცხოვრობ და ველოდები ღვთის განჩინებას...

ვინც მოგზაურობის წიგნსა წერს, უმეპეოდან უნდა გაითვალისწინოს ადამიანთა ნაირ-ნაირი მიდრეკილება და ჭრელი გემოვნება. ზოგს ქვეყნების გეოგრაფია აინტერესებს — ადგილმდებარეობა, საზღვრები, ჰავა, ნიდავაგი, მდინარეთა სიგრძე და ტყეთა სიხშირე; ზოგს პოლიტიკა უყვარს — ტახტისთვის ბრძოლა, შეთქმულება, ინტრიგები; ზოგი მშენებლობის ხელოვნებითაა გატაცებული — როგორ სახლებს იგებენ, აგურს წვავენ თუ არა, ციხეებს რითი ამაგრებენ, ხიდები რამდენ დაწოლას უძლებს; ზოგს ხალხის ყოფა-ცხოვრება უნდა გაიგოს — ვისგან წარმოიშვნენ, საიდან მოვიდნენ, როდის დაეფუძნენ ამ მხარეში, რა წესები და ადათები აქვთ, ღვთისმსახურების რიტუალებს როგორ ასრულებენ. ზოგს მეცნიერული დაკვირვებანი სულ არ ედარდება, ყველაფერს გასართობი ამბები ურჩევნია — ნაირ-ნაირი ისტორიები, ფათერაკები, ანეკდოტები. ამიტომ მოგზაურობის წიგნი ისე უნდა დაიწეროს, რა ჭურისა და ყიდის კაცმაც არ უნდა გაშალოს, რალაც ჰპოვოს შიგ საინტერესო — ან საგულისხმო, ან თავშესაქცევი. მე სწორედ ამ წესის დაცვას ვცდილობ: დაწერილებით და ზუსტად აღწერ ყველაფერს, რაც ჩემი თვალით მინახავს ან სხვებისგან მსმენია, თან შიგადაშიგ გასართობ ისტორიებს ვყვები — ხან სასაცილოს, ხან სერიოზულს, ხან სევდიანს. დღეს ანტონიოსა და დავითის ამბავს აღწერ და ვინც წაიკითხავს, თუ ისევე დანადვლიანდება და ჩაფიქრდება, როგორც წუხელ ჩემი სტუმრები დანადვლიანდნენ და ჩაფიქრდნენ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საქმისთვის თავი რიგიანად გამოითმევია.



დღეს დილიდანვე წვიმს და შემოდგომის ცივი ქარი უბერავს. ასეთ დროს — როცა ქარი ქრის და წვიმა ირიბად და მონოტონურად უკაჟუნებს ფანჯრებსა და სახურავზე — ყოველთვის სტედიანი ფიქრები მომეძალება ხოლმე და ისე ამიყოლიებს, თავის დაღწევის ველარ ვახერხებ. გუშინაც ასე იყო. მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა და საქმეს გული ვერ დავუღებ. ტყუილად ვუჭაქი საწერ მაგიდას, ამოდ ვცდილობდი იმ ადგილიდან განმეგრძო წერა, საცა გაჩერებული ვიყავი. დიდხანს ვიჭაქი და თვალგაშტერებული ვიკტირებოდი სარკელიდან. ზღვაზე სქელი ნისლი იწვა და ისე გულისგამაწვრილებლად წვიმდა, გეგონებოდათ არასოდეს გადაიღებოდა. ეზოში პატარ-პატარა გუბები იდგა. ხეებს უკანასკნელი ფოთლები სცვიოდა. ირგვლივ მძიმე მოწყენილობას დაესადგურებინა, ყველა ნივთი მოწყენილობით იყო გაუღნთილი. რაკი შევატყვი, საქმეს წინ ვერ წავწევდი, მუშაობა მივატოვე და ოთახებში ბოლოს ცემა დავიწყე. გულზე უმიზეზო სევდა მაწვა და ერთ ადგილას ვერ ვისვენებდი. როცა თითქმის ყველა „ქვეყანა“ შემოვიარე და ბოლოს იმ ოთახში შევედი, რომელსაც „კოლხეთი“ ჰქვია, სხეულში გაბნეული სევდა ნელ-ნელა ერთ ადგილას დაიღქა, შედგა და უეცრად გონების თვალწინ დავითი წარმომიდგა. მაშინ ბუხრის პირას დავჯექი, ცივ ნაცარს ჩავაშტერდი და შემოსეულ ფიქრებს მივინებდი...

შუადღისას მეგობრები მესტუმრნენ და სევდა გადამეყარა. მეგობარი ღვთის წყალობით ბევრი მყავს, თანაც ისეთები არიან, სტუმრობა თუ განიზრახეს, ვერანაირი ამინდი ვერ დააბრკოლებთ. როგორც ვთქვი, შუადღისას მეწვივნენ. ჩემი ეზოს კიშკრიდან ხეივანში ლარივით სწორი გზა მიემართება და მსახურებმა შორიდანვე შენიშნეს მათი ეტლი. სტუმრებმა, თუმცა ყველა მათგანი იყო აქ ნამყოფი, კიდევ ერთხელ მოისურვეს სახლის და-

თვლიერება. მეც დავათვლიერებინე. ყველა ოთახი შემოვატარე. ბოლოს „კოლხეთში“ შევუძებნი და ვახშამიც იქ გავუბართე. „კოლხეთი“ ჩემს მეგობრებს ძალიან მოსწონთ, მუდამ ალტაცებით სინჯავენ იქაურ ნივთებს და ყოველ ნახვავზე ახალ-ახალი შეკითხვები უჩნდებათ. მეც სიამოვნებით ვამყოფილებ მათს ცნობისწადილს, ყველა შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს ვაძლევ, დაწვრილებით ვუხსნი ამა თუ იმ ნივთის დანიშნულებას და თან მათს ქართულ სახელებსაც ვუუბნებთ ხოლმე, რომლებსაც, ხამალა რომ წარმოვთქვამ, ასე მგონია ტკბილი და სევდიანი სურნელი ასდით. გუშინ განსაკუთრებით დიდხანს ათვლიერეს და ბევრიც აქვს ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და ამან მე ძალიან გამახარა, რადგან ეს ქამარ-ხანჯალი დავითის ნაქონია. საღამო რომ მოახლოვდა, ბუხარი ავანთეთ, სამფეხა ჯორკოები დავიდგით და ტაბლას შემოვუსხედით. მსახურმა ვახშამი შემოგვიტანა — ქოთნით ლობიო, ცხელი მჭადები, ჭყინტი ყველი, მწვანელი და ხელადით ღვინო. ერთხანს ვახშამს შევექცეოდით და საუბარი წამდაუწყებ ინაცვლებდა ერთი საგნიდან მეორეზე, როგორც ეს მოცალეობის დროს ხდება ხოლმე მეგობართა ვიწრო წრეში. მერე მთხოვეს, რამე გვიამბეო. მეც ავღქეი და ანტონოსა და დავითის ამბავი ვუამბე. ბოლოში რომ გავედი, სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეს წვიმის წკაპუნის მეტი დიდხანს არაფერი არღვევდა. სტუმრებს ნაღველი შემოსწოლოდათ და ფიქრებს მისცემოდნენ. ბოლოს ისევ ღვინომ გაგვიხსნა შეკრული კრიჭა. შუალამისას წავიდნენ. ბევრი ვებეწე, დარჩით-მეთქი, მაგრამ არ გამიგონეს, შეზარხოშებულები ჩახსდნენ ეტლში და გზას გაუდგნენ. მე ისინი კიშკრამდე გავაცილე, მერე მოვბრუნდი, ისევ იმ ოთახში შევედი, სადაც საღამო გავატარეთ, ბუხრის პირას დავჯექი და მინავლულ ცეცხლს ჩავაშტერდი. ჩემი

ფიქრები შორეულ კოლხეთში დაფარ-  
ფატებდნენ და კიდევ უფრო აღვივებ-  
დნენ ნაღვლიან მოგონებებს.

დღეს ისევ ქრის შემოდგომის ქარი  
და ისევ ისე გადაუღებლად, გულის  
გამაწვრილებლად წვიმს. ამიტომ გა-  
დავწყვიტე დროებით მივატოვო ეთი-  
ოპიელთა ეროვნული ჩაცმულობის აღ-  
წერა და ამის ნაცვლად ანტონიოსა და  
დავითის თავგადასავალი გვიამბოთ.

### ანტონიო

მამ ასე. ეს მოხდა ორმოცი წლის  
წინ. მე მაშინ ოცდათორმეტი წლისა  
ვიყავი, ანტონიო კი — დმერთო, შე-  
იწყალე მისი უსპეტაკესი სული — ხუ-  
თი წლით ჩემზე უფროსი იყო. ერთ  
დღეს სამეფო კარის დიდმა მოხელემ,  
რომელიც იმ ხანად უცხო ქვეყნებში  
მოგზაურობის საქმეებს განაგებდა, სა-  
სახლეში დამიბარა და მითხრა, სხვა  
ჩვიდმეტ კაცთან ერთად კოლხეთში  
უნდა წახვიდეო. ის მხარე, ჩვენში რომ  
„კოლხეთის“ სახელითაა ცნობილი და,  
როგორც ძველი მწერლები გვარწმუ-  
ნებენ, ოდესღაც ერთიანსა და ძლიერ  
სახელმწიფოს წარმოადგენდა, იმჟამად  
პატარ-პატარა სამთავროებად იყო და-  
ჭუცმაცებული. მთავრებს, რომლებიც  
პატივმოყვარეობის გამო თავიანთ თავს  
ზოგჯერ მეფეებსაც უწოდებდნენ, ერ-  
თმანეთში გაუთავებელი შუღლი და  
ჭიშკობა ჰქონდათ, რის გამოც გარეშე  
მტერს ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ  
უწევდნენ. და აი, ერთ ასეთ მეფე-  
მთავარს დესპანი ეახლებინა ჩვენი  
ხელმწიფოსათვის და დახმარება ეთ-  
ხოვა იმ უთანასწორო ბრძოლაში, რა-  
საც მისი ხალხი ეწეოდა მუსულმანე-  
რის წინააღმდეგ თავისუფლებისა და  
ქრისტეს რჯულის დასაცავად. მთავა-  
რი, კერძოდ, ითხოვდა სესხს მთიელ-  
თა მომთაბარე ტომებში ჯარის დასა-

ქირავებლად, აგრეთვე ხელოსნებს,  
განსაკუთრებით იარაღისა და შადრეუ-  
ლის დამმუშავებელ ოსტატებს, და  
ღვთისმსახურებს, რომელთაც თავიან-  
თი ქადაგებითა და მაგალითით ადგი-  
ლობრივ მოსახლეობაში ქრისტეს  
რწმენა უნდა განემტკიცებინათ. სასა-  
ხლეში იმ დასკვნამდე მისულან, რომ,  
სანამ სესხის მიცემას გადაწყვეტდნენ,  
ჯერ ეს ქვეყანა კარგად შეესწავლათ.  
ხელოსნებისა და ღვთისმსახურთა გაგ-  
ზავნას სიამოვნებით დაპირებიან, თავის  
მხრივ ერთი ვაჭარიც დაუმატებიათ  
და არჩევანი ჩემზე შეუჩერებიათ. ამ  
დროისათვის მე რამდენიმე ქვეყანა  
უკვე შემოვლილი მქონდა, აღებ-მიცე-  
მობაში გვარიანად ვიყავი დახელოვნე-  
ბული და საკვირველი არ იყო, რომ  
სწორედ ჩემი გაგზავნა გადაწყვიტეს.  
პოლიტიკა, როგორც ცნობილია, უან-  
გარობასა და წმინდა კაცთმოყვარეო-  
ბას არა ცნობს. სახელმწიფოსთვის  
მთავარია საკუთარი სარგებლობა, და  
ჩვენი მოგზაურობის ძირითადი მიზა-  
ნიც იმის დადგენა უნდა ყოფილიყო,  
თუ რა სარგებელს ნახავდა ჩვენი ქვე-  
ყანა იმით, რომ იმ მთავრისთვის დახ-  
მარება გაეწია. მე წასვლაზე სიამოვნე-  
ბით დავთანხმდარი, რადგან იმ ქვეყა-  
ნაში მოგზაურობა, რომელსაც ძველი  
მწერლები ასეთი აღტაცებით იხსენიე-  
ბენ, ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, და  
ვიკითხე, როდის მივემგზავრებით-მეთ-  
ქი. იმ მოხელემ ზუსტი ვადა ვერ მი-  
თხრა (ან შესაძლოა დამიმალა, რო-  
გორც თანამგზავრთა ვინაობა დამიმა-  
ლა დრომდე და ვადამდე), მხოლოდ ის  
მითხრა, ექვსი თვე შენს განკარგულე-  
ბაშია, ექვსი თვის შემდეგ კი, რა დღე-  
საც გეტყვიოთ, იმ დღეს უნდა შეგეძ-  
ლოს გამზე ასვლაო.

ექვსი თვე საკმარისი დრო იყო. კა-  
ცმა რომ თქვას, რასაც ჩვეულებრივ

მომზადებას ეძახიან, იმისთვის დრო სრულებით არ მჭირდებოდა. მე სულთ ხორცამდე მოგზაური ვიყავი და, დილით რომ გაგეფრთხილებინეთ, შორეულ ქვეყნებში ხარ წასასვლელიო, ნაშუადღევს ყველაფერი მზად მექნებოდა. მე მომზადებაში სხვა რამეს ვგულისხმობდი და ეს ექვსი თვე იმისთვის მჭირდებოდა, რომ ცნობები შემიგროვებინა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც უნდა წასვლიყოყავი, რათა იმაზე, რისი გაგებაც აქ შეიძლებოდა, იქ დრო აღარ დამეყარა. გამგზავრების წინ, ექვი არაა, სამეფო კარზე ცნობებსაც მოგვეწვდიდნენ და რჩევა-დარიგებებსაც მოგვეცემდნენ, მაგრამ ეს ცნობები, მსტოვართა მიერ შეგროვებული, უმთავრესად პოლიტიკური და სამხედრო ხასიათისა იქნებოდა, მართალია ზუსტი, სანდო და უტყუარი, მაგრამ დროებითი და მერყევი, ისეთი ვითარების შესატყვისი, რომელიც დღეს ასეთია, ხვალ კი შეიძლება სულ სხვაგვარი გახდეს. მე უფრო არსებითი ცნობები მჭირდებოდა, ხალხის ბუნება მინდოდა გამეგო, ხასიათი, ადათ-წესები, ერთი სიტყვით ის, რაც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულია და მუდმივია, ან უკიდურეს შემთხვევაში, ხანგრძლივი მანძი.

გამოვედრე თუ არა სასახლიდან, მაშინვე ჩემი გეგმის ხორცშესხმას შევუდექი. იმ ხანად სასახლეში ორი ქართველი კაცი მსახურობდა, ორთავეს ძალიან მაღალი თანამდებობა ეკავა, რაც თავისთავად უკვე მათი ხალხის ღირსებაზე მეტყველებს. გადავწყვიტე ეს კაცები გამეცნო და ამ მიზნით მათთან დარბაზობა ვითხოვე, თან ამ დარბაზობის მიზანიც შევთვალე. ჩემდა გასაკვირველად ორივესგან უარი მივიღე, თავაზიანი, მაგრამ მტკიცე უარი. მე მრავალი მიზეზის წყალობით, როგორცაა გვარიშვილობა, ჩამომავლობა, პაპაჩემისა და განსაკუთრებით მამაჩემის დიდი დამსახურება სამეფო კარის წინაშე, აგრეთვე ჩემი გახმაურებული მოგზაურობები, სასახ-

ლეში მიღებული კაცი ვიყავი და ამიტომ ამ უარმა გამაკვირვა. როდესაც ჩემი გაკვირება ჩემს რამდენიმე შეგობარს გაუზიარე, რომლებიც იმ კაცებს შედარებით ახლო იცნობდნენ, გაეცინათ და მითხრეს, შეხვედრის მიზანი წინასწარ არ უნდა გეცნობებინაო. თურმე ეს კაცები ერთთავად იმაზე ზრუნავდნენ, მათი უცხო ტომობა ზედმეტად თვალში არავის მოხვედროდა, ცოლ-შვილშიც კი ჩვენს ენაზე ლაპარაკობდნენ და თავი ისე ეჭირათ, ვითომ თავიანთი ენა აღარც კი იცოდნენ. ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ, ვინც იცნობისაა სამეფო კარზე რაიმე არასასურველი პოლიტიკური ვითარება შექმნილიყო, მათი წარმოსობა ვინმეს ხელზე არ დაეხვია და თანამდებობა არ დაეკარგათ. ქამაგირში მყოფი კაცისთვის თანამდებობაზე ზრუნვა სავსებით ბუნებრივი რამ არის და არავის დაეძრახება, მაგრამ ამის გამო საკუთარ გვარ-ტომობაზე უარის თქმა, ჩემის აზრით, უკადრისი საქციელია, რომელსაც არც ღმერთი მოგვიწონებს და არც კაცი. მაგრამ მე მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ის, რაც მოგზაურობისას გავიგე, კერძოდ, რომ ამ ხალხში რაღაც გაუგებარ ძალას ერთ მუშტში უჭირავს ისეთი საპირისპირო თვისებები, როგორცაა ღალატი და თავდადება, სიძულელი და სიყვარული, ლაჩრობა და სიმამაცე, ბოროტება და სიკეთე. ზემოთ, თავის ადგილას, სადაც კოლხებისა და იბერების ზნე-ჩვეულებანი აღწერე, ამაზე დაწვრილებით მქონდა ლაპარაკი და თუ ახლა ეს ორი მაღალი თანამდებობის პირი გავიხსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ გამოთქმული მოსაზრება კიდევ ერთი მაგალითით გამემაგრებინა. ეს ორი კაცი ამ მოსაზრების ერთი პოლუსია, მეორე პოლუსი კი ის პატარა, ჩია მეკუბოვე იყო, რომელიც ამის შემდეგ გავიცანი. მასთან ერთმა ნაცნობმა მიმასწავლა, როცა შეიტყო, რომ ისეთ ქართველს ვეძებდი, ვისაც თავისი ქვეყანა ეხსომებოდა და მშობლიური ენა

ეცოდინებოდა. მეკუბოვეს სახელოსნო ქალაქის შუაგულში ჰქონდა გამართული, ერთ ვრცელ, ნახევრად ბნელ სარდაფში. გადავაბიჯე თუ არა ზღურბლს, მეკუბოვე — კაფანდარა, ქაჩალი, გრძელცხვირა და გრძელუღვაშა კაცი — სწრაფად შემომეგება. მობრძანდით, ბატონო, ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი ამ ჩემს სამყოფელშიო, მიიხრა, ორივე ხელი გაშალა და თავი მდაბლად დამიკრა. მერე, სანამ მე რაიმეს თქმას მოვასწრებდი, სხაპასხუპით შეუდგა საქონლის ქებას. საუკეთესო მასალაო, მიმტკიცებდა და თავისი სიტყვების დასადასტურებლად კუბოებს თითს უკაუნებდა, საიმედო, საშვილიშვილოო. მე რომ შეეაწყვეტინე და ვუთხარი, კუბო არ მჭირდება-მეთქი, სახე ერთბაშად შეეცვალა, თვალელებში ცეცხლი ჩაუჭრა, დანადგლიანდა და წუწუნს მოჰყვა იმის გამო, რომ აღარავინ კვდება, რომ მუშობარი სანთლით საძებნელი გახდა, რომ ღმერთმა სულ ააღო ხელი ამ ჩვენს ქალაქს, რომ აგერ უკვე რამდენი ხანია ეპიდემიის ხსენებაც კი აღარ არის, რომ ხალხი სახიფათოდ მრავლდება და თუ ასე გაგრძელდა, მალე მიწაზე ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩება... მე ისევე შევააწყვეტინე და ვუთხარი, ეგ არ მაინტერესებს, მე შენი ქვეყნის ამბები მინდა გავიგო და თუ რამე იცი მი-თხარი-მეთქი. ამის გაგონებაზე წამსვე გაჩუმდა, თითქოს სიტყვა პირზე შეაშრაო, უცნაურად შემომხედა და წამით თვალი თვალში გამიყარა. მერე ერთი გრძნობით აღმოხდა, ჩემი ქვეყანაო, მაგრამ გაგრძელება ვეღარ შეძლო, რადგან ცრემლები წასკდა. ტიროდა, მკერდზე მჭიღს იცემდა და დროდადრო ისე ამოიკენესებდა „ჩემი ქვეყანაო“, ან „ჩემი საყვარელი სამშობლოო“, გეგონებოდათ გულ-ღვიძლი ამოაყოლაო. მე გამიკვირდა, თუ ასე უყვარს თავისი ქვეყანა, აქ რაღა აჩერებს-მეთქი. მერე, ახლო რომ გავიცანი, გავიგე: ახალგაზრდობაში ჩამოსულა (მაშინ ჰქუა არ მქონდაო, მიიხრა), მერე აქ

ჩვენებური ქალი შეურთავს ცოლად და ჩარჩენილა და ჩარჩენილა ნერვით პატარა ეპიდემია რომ დაგვეროსო, ოცნებით გამომიტყდა ერთხელ და ამ დროს ნეტარი და სათნო სახე ჰქონდა, ყველა კუბოს გავასაღებდი, გზის ფულს ვიშოვნიდი და ცოლ-შვილს გავეპარებოდიო. თანამიხსნა, სიბერეში შევღივარ უკვე, მშობლიურ მიწაში მინდა დავიმარხოო, ცოლსა და შვილს ჩემი ქვეყნის ერთი მუჭა მიწა მიჩრჩევნიო. თავიდან მე ამ კაცს ვერაფერი გავუგე, მერე და მერე კი, როცა კარგად დაუახლოვდნ და გულშიაც ჩაეხედე, ბევრ რამეს მივხვდი. რაც მთავარია, ვისწავლე. მისი აბურდული გრძნობიერებიდან მართალი და ქეშ-მარიტი ძაფები ამომეძრო. ბოლოსდა-ბოლოს ისე დავხელოვნდი, რამდენიმე სასარგებლო ცნობაც კი დავტყუე მისი სათავეებზელი სამშობლოს შესახებ, თუმცა უნდა ითქვას, ეს ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგან, როგორც კი ამ საგანზე დავიწყებდით ლაპარაკს, მაშინვე მკერდზე მჭიღების ცემას მოჰყვებოდა და ისეთი ზოგადი სიტყვებით კმაყოფილდებოდა, როგორიცაა „მიწა“, „წყარო“, „მდელო“, „მამა-პაპის ძელები“ და სხვა, რაც ყველა ქვეყნისა და ყველა სამშობლოსთვის საერთოა. ის რამდენიმე უმნიშვნელო ცნობა, რომლებიც მან მომაწოდა, ცხადია, დიდ ვერაფერ სარგებლობას მომიტანდა, მაგრამ ეს კაცი სხვა მხრივ გამომადგა: მე მისგან ენა ვისწავლე. ამ საქმეში მართლა დიდი ოსტატობა და გონებაშახვილობა გამოიჩინა. რაღაც განსაკუთრებული წესები მოიგონა, ისეთი, როგორიც არც წიგნებში წამიკითხავს და არც ვინმესგან გამიგონია, და ჩინებულად მასწავლიდა. სამაგიეროდ მეც კარგი ფული გადავეუხადე. არ ვიცი, ეყო თუ არა ეს ფული იმისათვის, რომ ცოლ-შვილს გაპაროდა და ოცნებად ქცეულ სამშობლოში წასულიყო, ან, თუ ეყო, გაბედდა თუ არა ამ სახიფათო და, ჩემი აზრით, უგუნური ნაბიჯის გადადგმა. ყო-

ველ შემთხვევაში, შემდეგ მე ის კაცი აღარ მინახავს და არც მისი ასავალ-დასავალი გამიგია.

ექვსსა თვემ სწრაფად გაირბინა. გამგზავრებამდე ერთი კვირით აღრე კვლავ მიხმეს სასახლეში. ამჯერად თვრამეტივეს ერთად მოგვიყარეს თავი და კოლხთა დესპანებიც შეგვახვედრეს. თანამგზავრთაგან ზოგი ნაცნობი გამოდგა, ზოგიც პირველად ვნახე. ანტონიო პირველად ვნახე. გუშინდელივით მახსოვს: ჩვიდმეტნი უკვე შეკრებილი ვიყავით, როცა კარი გაიღო და ანტონიო შემოვიდა. საშუალო, ტანისა იყო, ჩაფსკვნილი და ბეჭებგანიერი. მოკლე, ჟღალი წვერი ჰქონდა, მაღალი შუბლი, წაბლისფერი თმა, სწორი, ფართონესტოებიანი ცხვირი და ნახევრადმოკუთუთული ჭროლა თვალები, რომლებიც თითქოს შიგნიდან გარეთ კი არ იმზირებოდნენ, არამედ გარედან შიგნით, რის გამოც მთელ სახეს ისეთ იერს ანიჭებდნენ, გეგონებოდათ ფიქრებით სხვაგანაა და, რაც აქ ხდება, სრულებით არ აინტერესებსო.

როგორც მოველოდი, საჭირო ცნობები და რჩევა-დარიგებანი მოგვეცეს, გამგზავრების ვადა დაგვინიშნეს და გამოგვისტუმრეს.

ამგვარად, გემზე რომ ავედი, ანტონიო მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი და, შეიძლება ითქვას, არც კი ვიცნობდი, ხოლო როდესაც მოგზაურობის მიზანს მივალწიეთ და ლუზა ჩაუშვით იქ, სადაც, აპოლონიოს როდონსელისა და სხვა ძველ მწერალთა ცნობით, თავის დროზე არგონავტებმა ჩაუშვეს ლუზა, უკვე გულითადი მეგობრები ვიყავით.

მოგზაურობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მართალია, ექვსინის პონტოზე ნაოსნობა მაშინაც ძლიერ საშიში იყო და ამიტომ ყველანი შეიარაღებულები და თავდასაცავად მომზადებულები ვიყავით, ღვთის წყალობით არავითარი ხიფათი არ შეგვმთხვევია.

ანტონიოს გემზე განცალკევებით ეჭირა თავი. პირქუში კაცი ჩანდა, მი-

უჯარებელი. პირველ ხანებში ამპარტავანიც კი მეჩვენებოდა, ასე მეგონა, რაღაც იცის ისეთი, რაც სხვებმა არ ვიცით, ამიტომ ყველას ზემოდან დაგვეყურებს და თავს არ გვიყადრებს-მეთქი. გაღიმებული არასოდეს მინახავს, ლაპარაკითაც ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, მეტწილად თავის ფიქრებში იყო ჩაღრმავებული და ჩვენცა და გემის დანარჩენი მგზავრებიც ნაკლებად ვაინტერესებდით.

მოგზაურობისას ეამიდან ეამზე თვრამეტივე ერთად ვიკრიბებოდით. ეს საჭიროც იყო და სასიამოვნოც. სასიამოვნო იმიტომ, რომ ვსაუბრობდით, ვიცინოდით, ვერთობდით, რითაც მგზავრობის ერთფეროვნებას წარმატებით ვებრძოდით და, გარდა ამისა, ნაღველიან ფიქრებს, რომლებსაც ბუნებრივად იწყვეს ოჯახთან და ახლობლებთან განშორება (ეს განსაკუთრებით იმათ ეხებოდა, ვინც პირველად იყო ესოდენ ხანგრძლივ მოგზაურებაში), უფრო იოლად ვიგერიებდით. საჭირო კიდევ იმიტომ იყო, რომ კარგად გავვეცნო ერთმანეთი, შევეკვივრებულეყავით, დაეახლოებულეყავით, ყველა მოსალოდნელი გაუგებრობანი, რაც კი განსხვავებული ბუნებისა და ხასიათის გამო შეიძლებოდა წარმოქმნილიყო, აქვე, გემზევე გავვერკვია და ამოგვეძიო რვე, რადგან უცხო ქვეყანაში ყოფნისას ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული ჩვენს ერთსულოვნებაზე, ერთმანეთის გატანაზე, ერთმანეთის ნდობასა და მხარში დგომაზე. ამგვარ შეკრებებს ცხადია ანტონიოც ესწრებოდა, მაგრამ ყოველთვის ჩუმად იჯდა ხოლმე თავისთვის და საუბარში მონაწილეობას არ იღებდა. ზოგჯერ თანამგზავრები მე, როგორც გამოკდილსა და მრავალ ქვეყანაში ნაწყოფ კაცს, მთხოვდნენ, რამე გვიამბეო. მეც სიამოვნებით ვყვებოდი, თუკი სადმე საინტერესო რამ შემმთხვეოდა. ასეთ დროს რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ ანტონიოს მზერას, მუდამ საკუთარი ფიქრებისკენ ჩაბრუნებულს, მიმართულება შეუცვ-

ლია და ნახევრადმოკუტული თვალების კროლა ნაპრალებში ცნობისმოყვარეობა გამკრთალა. ამგვარ შემთხვევებში, ცოტა არ იყოს, სიამაყე შემომგებარებოდა; ისეთი გრძნობა მიჩნდებოდა, თითქოს ღირსეული მოწინააღმდეგე დამემარცხებინოს, და ჩემდაუნებურად ვცდილობდი ამბისთვის მეტი ხატოვანება, მეტი ფერადოვნება, მეტი გამოისახველობა მიმენიჭებინა. ცხადია, ეს უგუნურება იყო, რადგან მე თვითონვე ვატყობდი, ამ გადამეტებული მონდომების გამოისობით როგორ ვკარგავდი თბრობის ბუნებრიობას და როგორ შემომგებარებოდა ხოლმე სიყალბე.

ჩვენი მისიის წინამძღოლი, რომელიც ამ შეკრებათა მოთავეც იყო (შესაძლებელია, დავალებულიც ჰქონდა), ანტონიოს ადრევე იცნობდა. დანარჩენებმა ჩემსავით გემზე გაიციენს. მისიის წინამძღოლს, ამ ერთადერთ ნაცნობს, ანტონიო მაინცღამაინც არ ეპიტნავებოდა. მტრობდა-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ სიყვარულით რომ არ უყვარდა, ეს აშკარა იყო. საერთოდ აღერსიანი და გულისხმიერი, მასთან ურთიერთობისას ერთბაშად ცივი, გულგრილი ხდებოდა და მკაცრად იცავდა წინამძღოლის კილოსა და მანძილს.

მე, ჩემი თანდაყოლილი ხასიათისა და მოგზაურობებში შეძენილი გამოცდილების წყალობით, ყოველთვის იოლად ეპოულობდი ადამიანებთან საერთო ენას და მალე მართლაც ყველას დაეუახლოვდი. ჩემი თანამგზავრები გულლია, კეთილი, ზნემაღალი ადამიანები იყვნენ, რომელთაც კარგად იცოდნენ თავიანთი ვალი როგორც იმ ქვეყნის წინაშე, საიდანაც მიემგზავრებოდნენ, ისე იმ ქვეყნის წინაშე, სადაც მიემგზავრებოდნენ. მათი მთავარი მრჩეველი და მოკავშირე ყოველგვარ საქმეში იყო კეთილსინდისიერება, მოვალეობა და მოყვასის სიყვარული. ყველას დაეუახლოვდი ანტონიოს გარდა. მე კი ყველაზე მეტად სწორედ ანტონიო მაინტერესებდა. ძალიან მინდოდა ამ მარტოსული კაცის გულში ჩამეხედა

და დამენახა, რა იმალებოდა იქ ისეთი, რომ ჭცხო ქვეყანაში მიმავალიც კი, სადაც ყველა ხიფათი სწორედ მარტო დარჩენილ, უამხანაგო კაცს ეძებს, გაგვიბოდა და თავს გვარიდებდა. ერთხელაც დრო შევარჩიე და წინამძღოლს ჩამოვუგდე მასზე სიტყვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ გადაიტანა საუბარი სხვა საგანზე. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. რაკი ერთმანეთი არ უყვარდით, საესებით ბუნებრივი იყო, წინამძღოლს არ მოესურვებინა ანტონიოზე დაპარაკი და სიტყვა ბანზე აეგდო. და თუ მაინც წამოვიწყებდი საუბარი, მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი მქონდა, დროის იმ მცირე მონაკვეთში, სანამ სხვა საგანზე გადავიდოდა, რაღაც შეეტყობოდა ან ხმის კილოში, ან მოძრაობაში, ან გამომეტყველებაში ისეთი, რაც ნაწილობრივ მაინც გამიწვედა პასუხის მაგივრობას. მაგრამ წინამძღოლი ურთიერთობაში კარგად გაწაფული კაცი აღმოჩნდა და, რისი დამალვაც ეწადა, იოლად მალავდა. მიუხედავად სისწრაფისა, ისე მსუბუქად და შეუმჩნევლად გადაიტანა საუბარი სხვა საგანზე, რომ ხელმოსაჭიდი და კვალზე დასაყენებელი არაფერი დამიტოვა. ერთი-ორჯერ გადავწყვიტე პირდაპირ მიესულიყავი ანტონიოსთან და გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ თავის დამკირებისა მეშინოდა და ბოლო წამს მუდამ უკან ვიხევდი: დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ უკარება და, როგორც მაშინ მეგონა, ქედმაღალ კაცს სულ ადვილად შეეძლო მოურიდებლად შემოემექცია ზურგი და უხეშად გავეწილებინე.

მაგრამ ერთ დღეს ანტონიო თვითონ გამომვლაპარაკა.

წყნარი საღამო იდგა. მე საქმე მოვითავე და გემბანზე ავედი. ზღვა მშვიდი იყო, უმოძრაო, სარკესავით სწორი და კრიალა, ცა — მოწმენდილი და ღრმა. მზე პორიზონტზე დაშვებულიყო, წყალს უკვე შეხებოდა და ნელ-ნელა იწყებდა ჩაუურყუმალავებას. ანტონიო გემბანის კიდეზე იდგა ჩემკენ



ზურგშექცევით, ხელები მკერდზე და-  
ეკრება და მზის ჩასვლის თვალწარმატაც  
სურათს გასცქეროდა. საღამომობით სხვა  
დროსაც შემომჩნევია გემბანზე. ზოგ-  
ჯერ საათობით იდგა ხოლმე ასე და  
ზღვის უკიდევანო სიერცეს გაჰყურე-  
ბდა. მე შემეშინდა, არ ეგონოს საუბ-  
რის გაბმას ვუპირებ-მეთქი, და გადავ-  
წყვიტე გემბანის მეორე მხარეს წავ-  
სულიყავი. სწორედ ამ დროს შემეჩხი-  
ანა. თავი არ მოუბრუნებია, პოზა არ  
შეუცვლია, არც კი შერხეულა, ისე გა-  
მომძახა ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ:

— კეთილშობილო ბართოლომეო!

რაკი დამძახა, მეც მისკენ წავედი.

— საღამო მშვიდობისა.

— საღამო მშვიდობისა, — მიპასუ-  
ხა მან. მერე, სულ ახლო რომ მივედი  
და გვერდით ამოვუღექი, დაძინა, —  
არ გიყვართ მზის ჩასვლის ცქერა?

— მზის ჩასვლის ცქერა მიყვარს.  
ოღონდ ის არ მიყვარს, ჩემი გამოჩენით  
ვინმეს მყუდროება დაუვრღვეო.

ანტონიომ ახლალა მოატრიალა თავი.  
სახეში შემომხედა და ჩვენი ნაცნობო-  
ბის მანძილზე პირველად გაიღიმა. დი-  
დი კბილები ჰქონდა, ცოტა უსწორმას-  
წორო და არც თუ მთლად თეთრი, მა-  
გრამ ღიმილი უხდებოდა. ამ ღიმილის  
წყალობით ნახევრადმოკუტულ თვა-  
ლებში სითბო ჩაუდგა და სახის კუშტი  
გამომეტყველებაც გაუქრა. მერე თავი  
ისევ ჩამავალი მზისკენ მიატრიალა.  
დისკოს ერთი მესამედი უკვე ზღვაში  
იყო, ხოლო იმას, რაც ჯერ კიდევ  
წყალზემოთ ჩანდა, წინ თეთრი ღრუბ-  
ლის პატარა, ვიწრო ზოლი გასდევდა და  
შუაში ჰყოფდა. მზე ნელ-ნელა იწევდა  
დაბლა, მალე ღრუბლის ზოლს ჩასცდა  
და ბოლოს სულ ჩაიძირა ზღვაში. სხი-  
ვები ერთხანს კიდევ ლივლივებდა ცის  
კაბადონზე, მერე ისიც გაქრა და ბინ-  
დმა იწყო ჩამოწოლა. ანტონიო ახლა  
ჩამუქებულ ზღვას გადასცქეროდა. მეც  
ზღვას გადავცქეროდი და ველოდი,  
რომ, რაკი თვითონ შემეჩხიანა, თვი-  
თონვე გამომელაპარაკებოდა. მცირე

დუმლის შემდეგ მართლაც გამომე-  
ლაპარაკა.

— წარმიდგენთ, რომ ამ ხნის კაცი  
ხოვალზე პირველად ვარ? — ამ სი-  
ტყუებით ისევ ღიმილით შემომხედა,  
— თქვენ იმდენი გიმოგზაურიათ, ალ-  
ბათ მობეზრებულაც გექნებათ.

— არა. მოგზაურობა ისე მიყვარს,  
ალბათ არასოდეს მომბეზრდება.

— უცნაური... — დაფიქრებით  
თქვა ანტონიომ.

— უცნაური? რატომ?

— უცნაურია, რომ კაცს დაბეჯითე-  
ბით შეუძლია თქვას, რა უყვარს და  
რა არა.

— განა ეს ასე ძნელია?

— არ ვიცი... მე, მაგალითად, სანამ  
ბოლომდე ვიტყოდე იმას, რაშიაღ და-  
რწმუნებული ვარ, უკვე იმაში ვარ და-  
რწმუნებული, რომ ვცდები.

მე გამეცინა.

— წელან უკან არ მოგიხედავთ, მა-  
გრამ ისე დაბეჯითებით შემეჩხიანეთ,  
არა მგონია ეჭვი შეგპარვოდეთ, რომ  
მე ვიყავი.

ამაზე მასაც გაეცინა.

— ეს უბრალო გულთმისნობაა. რო-  
გორც კი ფეხის ხმა შემომესმა, გონე-  
ბის თვალწინ მაშინვე თქვენ დამიდუ-  
ქით.

— მერედა, ეს უფრო უცნაური არ  
არის?

— არა. გულთმისნობა იოლი ხელო-  
ბაა, კაცი თუ ცოტა დაკვირვებული  
ხარ. მე შემჩნეული მაქვს, რომ საღა-  
მობით თქვენც ჩემსავით გიყვართ  
გემბანზე გამოსვლა. ეს არის და ეს.

— მართლა იოლი ყოფილა!

— რაც ამოხსნილია, ყველაფერი  
იოლია.

საუბრის ძაფი ბუნებრივად და ძალ-  
დაუტანებლად გაიბა. მალე ჩვენს მო-  
გზაურობაზე დავიწყეთ ლაპარაკი და  
გამოირკვა, რომ ანტონიომ არა მარტო  
კარგად იცოდა ყველაფერი, რაც კი  
ძველ და ახალ მწერლებთან მოიძვე-  
ბოდა კოლხეთ-იბერიის შესახებ, არა-  
მედ ღრმადაც ეფიქრა ამ ცნობებზე.

ერთმანეთთან შეეჯერებინა და არაერთი საინტერესო დასკვნაც გამოეტანა. როდესაც გაიგო, მე ცოტ-ცოტას ვლაპარაკობდი ქართულს, ჯერ გაუგებრდა, მერე გაეხარდა და მთხოვა, მეც მასწავლეო. მე სიამოვნებით დაეთანხმდი და იქვე შევუდექი საქმეს. ანტონიო ნელა, დაფიქრებით იმეორებდა უცხო სიტყვებს და ყურადღებით აკვირდებოდა მათს ქდერას. მალე მისი გულჩათხრობილობის, ქედმაღლობისა და პირქუშობისაგან კვლიც არ დარჩენილა. ჩემს წინაშე იყო გულლია, გონებაშახველი კაცი, რომელიც სითბოს სითბოთი პასუხობდა და კეთილმოსურნეობას კეთილმოსურნეობით. მაშ ის კუშტი განმარტოება, რომელშიაც მე ჩემი დაუკვირვებლობით ამპარტავნობასაც კი ვხედავდი, გამოწვეული ყოფილა არა ხასიათით, არამედ რალაც სხვა, ჩემთვის უცნობი მიზეზით.

მეორე დღეს ძველი მეგობრებივით შევხვდით ერთმანეთს, სალამოს კი გემბანიდან კვლავ ერთად გავცქეროდით მზის ჩასვლას. მზე რომ ზღვაში ჩაიძირა და ბინდი ჩამოწვა, ამ ბინდმა თითქოს კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ გვერდგვერდ ვიდექით და მე ვგარძნობდი, რომ სიჩუმე ჩვენი საუბრის გაგრძელებას წარმოადგენდა. ეს ის სიჩუმე იყო, რომელიც კი არ თიშავს ადამიანებს, არამედ აკავშირებს, გულის გადაშლისკენ უბიძგებს და მეგობრობის საიმედო გზა გაპყავს.

ამ მეტყველი სიჩუმითა და იღუმალსაამო ბინდით ოდნავ გაბრუებულმა, მე ჩუმად ვთქვი:

— ყმაწვილობაში, მას შემდეგ, რაც პირველად წამიკითხეს წმინდა სახარება, სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ გავიზრდები, ზღვა ფეხდაფეხ უნდა გადავიარო-მეთქი.

— მერე? ვერ გადაიარეთ?

მე გამეცინა.

— ვერა. თანდათან დაერწმუნდი, რომ იესო ქრისტეს მაგალითი მე არ გამოშადგებოდა, რადგან იესო ქრისტეს,

ჩემგან განსხვავებით, ლეთაებრივი ბუნება ჰქონდა.

ამაზე ანტონიომ უცნაურად სერიოზული ინტერესით მკითხა:

— ლეთაებრივი ბუნება რა არის, ბართოლომეო?

მე წამით დავიბენი. მერე ვამჯობინე კითხვაზე კითხვითვე მეპასუხა:

— ექვი გეპარებათ, რომ ქრისტეს ლეთაებრივი ბუნება ჰქონდა?

— მე არ ვიცი, რა არის ლეთაებრივი ბუნება, — თქვა ანტონიომ და მის ხმაში მოულოდნელად თითქოს რალაც ნალღვიანი დაცინვა გაისმა, — რადგან ვიცი, რომ ღმერთი უბუნებოა. — მერე გულლიად გაიციხა და დაუმატა, — კიდევ ის ვიცი, რომ, თუ ჯერ არ გაუფრთხილებიხართ, — რომ ჩემთან ამ საგანზე საუბარი არ შეიძლება, მალე უტყველად გაგაფრთხილებენ.

მე გაკვირვებით შევხედე. იგი ზღვას გასცქეროდა და მისი პროფილი ფართო, მაღალი შუბლითა და ქღალი წვერით, რომელიც ბინდის გამო ახლა უფრო მუქი ჩანდა, წყლის შავ ფონზე უცნაური და არაბუნებრივი მეჩვენა, თითქოს ნამდვილ პროფილს კი არა, პროფილის ვეება ჩრდილს ვუყუარებდი.

იმ ღამეს, ჩემს კაიუტაში მარტო დარჩენილი, დიდხანს ვფიქრობდი ანტონიოს სიტყვებზე და დროდადრო თვალწინ დამიდგებოდა მისი პროფილი — ვეება, არაბუნებრივი ჩრდილი ჩამუქებული ზღვის ფონზე — უცნაური, იღუმალი და სახიფათო.

წინასწარმეტყველება კი სულ მალე ამიხდა. ერთ დღეს წინამძღოლმა თავის კაიუტაში მიხმო. წინამძღოლს ფორმალურად მხოლოდ ლეთისმსახურები ემორჩილებოდნენ და მისმა გამოგზავნილმა კაცმა დანაბარები თავაზიანობის ყველა ნორმის დაცვით გადმოცვა: მამა სებასტიანეს თქვენი ნახვა სურს და, თუ დრო გექნებათ, ეგებ ნასადილევს ცოტა ხნით ეწვიოთო. სინამდვილეში წინამძღოლის თხოვნა განკარგულებას ნიშნავდა, რადგან სამეფო კარმა გა-

მომგზავრების წინ მას განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა, რომელიც შეხედულებისამებრ ყოველ წუთს შეეძლო გამოეყენებინა, და საამისოდ სიიღუმლო სიგელიც უბოძა. ეს ყველამ ვიცოდით. ამიტომ დანიშნულ დროს ვეახლე. წინამძღოლი, როგორც საერთოდ ჩვეოდა, თავაზიანად და გულთბილად შემხვდა. მისი კაიუტა უბრალოების ნიმუშს წარმოადგენდა. ერთი მაგარი და უხეში ხის ტახტი ედგა. უბრალო მაგიდა და ორი უბრალო სკამი. ამ ოთახში ფასეული მხოლოდ შანდალი იყო, რომელიც მაგიდაზე იდგა, და მაცხოვრის გარდამოხსნა, რომელიც მაგიდის ზემოთ, კედელზე ეკიდა. სხვა მხრივ აქაურობა უფრო განდევნილის სენაკს ჰგავდა, ვიდრე გემის კაიუტას. თავად წინამძღოლიც განდევნილს ჰგავდა. მალაღობილი კაცი იყო, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, და ისეთი გამხდარი, არათუ ქონი, ხორცის ნატამალიც კი არ ეტყობოდა. თვალის უბეები და ლოყები ჩაცვინული ჰქონდა, შუბლი და ხელები — დანაოქებული, თვალები — გამოღამებული. თუმცა ამ გამოღამებულ თვალებს რომ მოგაპყრობდათ, ისეთი გრძნობა გუფლებოდათ, თითქოს შიშველი იყავით. წინამძღოლმა პირველი გადამწერა, ერთ-ერთ, შედარებით უკეთეს სკამზე დამსვა, მეორეზე თვითონ დაჯდა და წყნარი, გულითადი საუბარი გამიბა. ჯერ ზოგად საგნებზე ილაპარაკა, რომლებიც არც არაფერს მავალებდა და არც რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვდა. მერე ჩემს ჩამომაველობას შეეხო. გაიხსენა ჩემი წინაპრები და ხანგრძლივად შეჩერდა მამაჩემზე, რომელსაც თურმე პირადად იცნობდა. აქ უკვე მენიშნა ანტონიოს წინასწარმეტყველება და ყურადღება მოვიკრიბე. მამაჩემზე დიდხანს ილაპარაკა და საქებარი სიტყვებიც უხვად დახარჯა. უმამაცეთი კაცი იყო, თქვა, მრავალი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვაო, მის ძალგულოვნებას, გამჭრიახობას, სამხედრო

ხელოვნების დიდ ცოდნას მტრებშიც კი ალტაცებაში მოჰყავდაო. შეხვედრისას უცბა ტახტის ერთგულებას შესწირაო. ბოლოს ჩემზე გადმოინაცვლა:

— შენ, კი, შვილო ჩემო, ბართლომეო, მამაშენის ღირსეული მემკვიდრე გამოდექი და, ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე დიდი ამაგი დასდე სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც. მე ალტაცებული ვარ შენი გაბედული მოგზაურობებით, რომლებიც მრავალ ხიფათს გიქადდა. განსაკუთრებით ის მახარებს, რომ, საცა კი იყავი, ყველგან კარგი სახელი დატოვე. ამ მოგზაურობებმა სახელმწიფოს მრავალი ახალი მეგობარი შესძინა და სავაჭრო არხებიც დიდად გაუფართოვა, ხოლო შენს მიერ გაკვალულ გზას შემდგომში არა ერთი და ორი მისიონერი დაადგა, რათა უცხო ქვეყნებში ქრისტეს რჯული ექადაგებინათ და ჭეშმარიტი რწმენა შეეტანათ. მე მქონდა პატივი წამოსვლის წინ მის უდიდებულესობასთან ვყოფილიყავი დარბაზობაზე და შემომლია დაგარწმუნო, შვილო ჩემო, რომ მისმა უდიდებულესობამ ქებით მოიხსენია შენი ღვაწლი.

— გმადლობთ, მამაო სებასტიანე. ჩემი მცირე ღვაწლი მისი უდიდებულესობის ყურადღების ღირსი არ არის.

— მისი უდიდებულესობა შენგან კვლავაც ერთგულ სამსახურს მოელის.

— მე დიდად ვაფასებ მისი უდიდებულესობის ნდობას და ყველაფერს ვილონებ, რომ ეს ნდობა გავამართლო.

წინამძღოლი ჩემი პასუხით ეტყობა კმაყოფილი დარჩა, რადგან მისი ნაოქებით დაღარული შუბლი ცოტა გაიშალა. ერთხანს ჩემად იყო და სადღაც ჩემს მიღმა იყურებოდა. მერე თავისი ღრმად ჩამსხდარი თვალები კვლავ მომამაყრო და ისე მომამჩინა, მეგონა ჩემს ძარღვებში სისხლის მოძრაობას აკვირდება-მეთქი. მიყურა, მიყურა და ბოლოს ტკბილად მითხრა:

— მკვ ანტონიოს ერიდე, შვილო, ნუ გაუშინაურდები.

— რატომ, მამაო სებასტიანე?

— იმიტომ, რომ ღვთისმგმობია და მკრებელი. გვამში ეშმაკეული უზის. ჭვარი აქაურობას! — ამ სიტყვებზე თვითონაც გადაიწერა პირჭვარი და მეც გადაიწერა. — თავად წაწყვედილია და სხვათა ცდუნებასაც ლამობს.

გაკვირებისაგან მგონი პირიც კი დავალე. ანტონიოს წინასწარმეტყველების შემდეგ წინამძღოლის მხრივ მამაშვილურ შეგონებასა და გაფრთხილებას კი მოველოდი, მაგრამ ამას როგორ წარმოვიდგენდი! ანტონიოს გვამში ეშმაკეული?! მე ანტონიოს მიმართ უკვე ისეთი სიშპათით ვიყავი გამსჭვალული, რომ წინამძღოლის ნათქვამის დაჭერება საკუთარი უტუნურობისა და ბრმა მიაშიტობის აღიარება იქნებოდა. არადა, წინამძღოლმა თავისი თავის ფასი იცოდა და სიტყვებს ქარს არ ატანდა.

— მამაო სებასტიანე, ნუთუ ასეთი განათლებული და გონიერი კაცი...

— განათლება, შვილო ჩემო, რწმენას არ განამტკიცებს, — შემაწყვეტინა წინამძღოლმა და ამ დროს მისი ხმის კილოში სულ ოდნავ შემოიპარა უფლებამოსილება და შესაძლოა მოუთმენლობაც, — მეტიც: თუ რწმენა მკვიდრ ნიადაგზე არაა დაფუძნებული, განათლება ადვილად იქცევა ცდუნებად. ეგ ანტონიო თავის დროზე მოძღვარი იყო და მრევლი ებარა. მაგრამ მალე მიატოვა ეკლესია და რამდენიმე წელი უდაბნოში ცხოვრობდა განდევნილად. რას აკეთებდა ამ ხნის მანძილზე, არავინ იცის. ეტყობა მაშინ მიჰყიდა სული ეშმაკს. შესაძლებელია, სწორედ განათლების საფასურად. უდაბნოდან რომ დაბრუნდა, წმინდა კათოლიკური ეკლესიის გმობა დაიწყო. რამდენიმე მალემრწმენიც აიყოლია. დოგმების უარყოფას მოითხოვდნენ, ეკლესიის მსახურთ ჩირქსა სცხებდნენ და კიდევ ბევრ საძრახის საქმეს ჩაღიოდნენ, რის გამოც ყველანი შეიპყრეს და წმინდა ინკვიზიციის სამსჯავროს გადასცეს. სამსჯავროზე მრავალმა ფეხის ხმას აყოლილმა გულწრფელად მოინანია

შეცოდება და წმინდა ინკვიზიციამაც მათ დიდსულოვნად შეუნდრეს და სხვა სამი ცოდვილი, რომლებიც ეშმაკ კელის მიერ იყვნენ გათანგული, ჯიუტად იდგნენ თავისაზე და ამტკიცებდნენ, კათოლიკურმა ეკლესიამ ჩვენი უფალი მაცხოვრის მოძღვრება გააუკუღმართაო. წმინდა ინკვიზიციამ ოთხივე მათგანს კოცონზე დაწვა გადაუწყვიტა. სამი ცოდვილის მიმართ განაჩენი აღსრულებულ იქნა, ამან კი დიდგვაროვნებისა და გავლენიანი მეგობრების წყალობით სასჯელს თავი დააღწია.

ამ პროცესის ამბავი მე ყურმოკვრით ვიცოდი. იმ დროს მოგზაურობაში ვიყავი და, როცა დავბრუნდი, უკვე თავდებოდა მითქმა-მოთქმა. მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. რაც ჩვენს თვალწინ არ ხდება, იმას ყოველთვის ნაკლებად განვიცდით. ახლა კი წინამძღოლის ნაამბობმა ერთიანად შემძრა. მაშ, აი თურმე რა ყოფილა ანტონიოს გულჩახვეულობისა და განკერძოებულობის მიზეზი!

ერთხანს ორივენი ჩუმიდ ვიყავით. მე რე ვკითხვ:

— ჩვენთან ერთად რაღად გამოგზავნეს? განა რა განსხვავებაა, ეშმაკეული ერთ საქარისტიანო ქვეყანაში იქნება თუ მეორეში?

— ის ქვეყანა, სადაც ჩვენ მივდივართ, მუსულმანთა ალყაშია მოქცეული. ამიტომ იქ იმდენად არეულ-ღარეულია ყველაფერი, ერთი ანტონიოთი მეტი იქნება თუ ნაკლები, ეს ბევრს არაფერს შეცვლის. გარდა ამისა, — აქ წინამძღოლი გაჩუმდა და ერთი გამოცდელად შემომხედა, თითქოს ვერ გადაიწყვიტა, ეთქვა თუ არა. მერე დასძინა, — იქ მფარველები არ ყოფილა.

ამ ნათქვამიდან მე სამი დასკვნა გამოვიტანე. ერთი ის, რომ ეკლესიას მართლა დიდი შიში ჰქონია ანტონიოსი, რაკი, როგორც კი შემთხვევა მიეცა, ქვეყნიდან გააძევა. მეორე — ანტონიოს მეგობრები მართლა დიდად გავლენიანი ხალხი ყოფილა, თუკი ეკლესიამ

მათ ანგარიში გაუწია მიუხედავად იმისა, რომ ასეთ საშიშ კაცთან ჰქონდა საქმე. და მესამე — ანტონიოს კვლავ ხიფათი ელოდა. ვინ იცის, ეს ხიფათი დაგვეგმილი და მომზადებულიც კი იყო.

— ასე რომ, შვილო ჩემო, — ჩამესმა ამ დროს წინამძღოლის ხმა, — გეჯობს მაგ კაცისგან შორს დაიჭიროთ თავი.

მე ვიცოდი, რომ ანტონიოს ეგრე იოლად ვერ შეველეოდი. წინამძღოლმა კი თავისი ნაამბობითა და რჩევა-დარიგებით, მისდაუნებურად, კიდევ უფრო გამიღვივა ინტერესი. მაგრამ არც იმის დაშვება შემეძლო, რომ მე და ანტონიოს ურთიერთობას აკრძალვის ბეჭედი დასმოდა და ქურდული ხასიათი მიეღო. ამიტომ წინამძღოლს თვალი გავუსწორე და ვუთხარი:

— მამაო სებასტიანე, ჩემი რწმენა მტკიცეა. ვინც ცდუნებას ემალება, ის უძლურია. ძლიერი ის არის, ვინც ცდუნებას ამარცხებს. მე არ მეშინია, წინამძღოლს ჩემი სენტენცია ეტყობა არ მოეწონა, რადგან შუბლზე კიდევ უფრო მოუმრავლდა ნაოჭები, და, თუმცა სიმშვიდე შეინარჩუნა, მის ხმაში მაინც გაისმა შორეული სუსხი:

— რა თქმა უნდა, შვილო ჩემო, სრული უფლება გაქვს ისე მოიქციე, როგორც უმჯობესად მიგანჩნია. მე მხოლოდ გვაფრთხილე, ვინაიდან ეს ჩემი მოვალეობა იყო.

წინამძღოლთან საუბარს ჩემზე გავლენა არ მოუხდენია. მართალია, პირველ ხანებში ჩემდაუნებურად ვფრთხილობდი და, როცა ანტონიოს ველაპარაკებოდი, სიტყვებს უფრო დაკვირვებით ეწონიდი, ვიდრე საერთოდ მჩვენებია, მაგრამ მალე ამანაც გამიარა. ახლა ერთადერთი კვალი წინამძღოლის დარიგებიდან ის დარჩა, რომ ეკლესიასა და რელიგიას ლაპარაკს ვერიდებოდი. თუმცა ამ საქმეში თავად ანტონიოს მეხმარებოდა. იგი ჩემზე მეტი გულშოდგინებით გაუბრუნდა ამ საგანზე საუბარს. სამაგიეროდ დიდი გატაცებით ვასწავლიდი ქართველთა ენას და

ისიც დიდი გატაცებით სწავლობდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, გამუდმებით იმეორებდა უცხო სიტყვებს და თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევდა. ამას გარდა სხვაც ბევრი რამ ვიპოვეთ ისეთი, რაზედაც არასოდეს გვეყინდებოდა საუბარი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. აქამდე მე ჩემი თავი განსწავლული კაცი მეგონა, მაგრამ, რაც უფრო ვუახლოვდებოდი ანტონიოს და რაც უფრო მეტს ვებასობდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ შემეცდარი ვყოფილვარ. მართალია მე მასზე არანაკლებ ნაკითხი ვიყავი, ნახვით კი მოგზაურობისაღმე ჩემი მიდრეკილების გამო მეტიც მენახა, მაგრამ ჩემი განსწავლულობა ცოდნის დაგროვება იყო, მისი კი — ცოდნის შესისხლზოტება. მე ცოდნა მქონდა როგორც ნიეთი, როგორც საუნჯე, რომელსაც მეხსიერების სკოლაში ვინახავდი და, როცა მინდოდა, მაშინ გამოვყენდი, ის კი ცოდნას საზრდოდ ხმარობდა, მისთვის ცოდნა პური იყო, რომელიც მის არსებაში იხსნებოდა და სიცოცხლის ნიშნად იქცეოდა.

მალე ისე დავახლოვდი, რომ წინამძღოლთან ამასწინანდელი საუბარი თანდათან სინდისის ქენჯნად მექცა. წინამძღოლს მაშინ არ უთქვამს, რაც გითხარი ჩვენს შორის უნდა დარჩესო, მაგრამ ჩემი აზრით ეს თავისთავად იგულისხმებოდა. დღემდე ამ უსიტყვო პირობას პატიოსნად ვასრულებდი. ახლა პატიოსნება ჩემგან სწორედ პირობის დარღვევას მოითხოვდა, რადგან მე და ანტონიო უკვე მეგობრები გავხდით, მე კი მის შესახებ საიდუმლო ცნობები მქონდა. ვგრძნობდი, რომ ბოლოსდაბოლოს ეს რელიგიასთან და კათოლიკურ ეკლესიასთან მიგვიყვანდა, მაგრამ გაჩუმებაც უკვე აღარ შემეძლო და ერთხელ ვუთხარი:

— წინამძღოლი ცუდი თვლით გიყურებს.

— ვიცი, — უბრალოდ, თითქმის დაუდევრად მიპასუხა ანტონიომ.

— გახსოვს, ამასწინათ რომ მითხარი, გაგაფრთხილებენო?

— მახსოვს. გაგაფრთხილეს?

— გამაფრთხილეს. წინამძღოლმა დამიბარა და მიჩინია, თავი შორს დამეჭირა შენგან.

— წინამძღოლის რჩევა ბრძანების ტოლია, ბართოლომეო.

— ვიცი.

— მერე?

— ერეტიკოსიო, მამა სებასტიანემ. მართლა ერეტიკოსი ხარ?

ანტონიომ გამოძვდელად შემომხედა.

— ეკლესიას მე ვგონივარ ერეტიკოსი, მე კი ეკლესია მგონია ერეტიკოსი. ძნელი დასადგენია, სიმართლეს მხარესაა, რადგან ეკლესიის მხარეს ძალაუფლებაა. — აქ ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე თქვა, — კარგია, რომ გაგაფრთხილა წინამძღოლმა. მან იცოდა, რომ არ გაუგონებდი, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მისი რჩევა უკვალოდ არ ჩაივლიდა. მისგან გაფრთხილებული იოლად არაფერს დამიჭერებ და სწორადაც მოიქცევი. — ისევ გაჩუმდა და შედარებით დიდხანს იყო ჩუმად. ბოლოს განაგრძო, — ტანჯვაა, ბართოლომეო, ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც შენს აზრს თავისუფლად არ გათქმევენებენ. რომ შეეძლოთ, თავისუფლად ფიქრსაც აგაკრძალავდნენ. პაპი ჩვენსავით ადამიანია და ჩვენსავით შეუძლია შეცდეს. მას კი თავი შეუძლადარი ჰგონია, ამიტომ ბრმად მიგვერეკება, საითაც სურს. თვალი ღვთითა გვაქვს, ბართოლომეო, და სახედველად მოგვეცა, ისინი კი ჩვენს მაგივრად თვითონ იყურებიან და გვაიძულებენ თეთრი ვთქვათ იმაზე, რასაც შავად ვხედავთ. აზრიც ღვთითა გვაქვს და განსასჯელად მოგვეცა, ისინი კი გვაიძულებენ ჩვენი აზრი ჩავიხშოთ და მათი აზრის კვლობაზე ვსაჯოთ. იესო ქრისტე დოკუმებს ებრძოდა. რა იცოდა, რომ მისი მიმდევრები ძველი დოკუმების ადგილას ახალს დაამკ-

ვიდრებდნენ და ძველი ფარისევლების ადგილას ახლებს დააყენებდნენ.

— რა იცოდა? მაშ შენ მართლაც იტყობ, რომ უფალი ჩვენი მაცხოვარი მხოლოდ ადამიანი იყო?

— არა, ბართოლომეო, მე სულ სხვა რამეს ვფიქრობ. მე ვფიქრობ, რომ ბუნების კანონი ერთია და განუყოფელი და მას ყოველი ხორციელი ემორჩილება.

— მაგრამ უფალი...

— მე არა მგონია, ღმერთი თეატრონს მართავდეს, ბართოლომეო. ხორციელად დაბადებულ ღმერთს რომ ის დაჰყვეს, რასაც შენ ერთხელ „ღვთაებრივი ბუნება“ უწოდებ, ყველაფერი იოლი და მარტივი იქნებოდა. ღმერთს შეუძლია ერთი ბუნებიდან მეორეში გადავიდეს, მაგრამ არ შეუძლია ერთი ბუნების კანონი მეორეში წაიღოს, რადგან ამით სწორედ იმას დაარღვევდა, რაც თავისი ყოველსშემძლეობის მეოხებით დაურღვეველი და აბსოლუტური შექმნა. არა, ბართოლომეო, ხორციელად დაბადებული ღმერთი ადამიანი უნდა იყოს, უკეთესი ადამიანთა შორის, მაგრამ მაინც ადამიანი. და იმ კანონებს უნდა დაემორჩილოს, რასაც მე და შენ ვემორჩილებით. — ანტონიო კვლავ გაჩუმდა, ხელები, რომლებიც აქამდე მკერდზე ჰქონდა დაკრებილი, ჩამოუშვა და მერე რაღაც თბილი, თითქოს შემრიგებლური კილოთი განაგრძო, — ეს ჩემი კერძო აზრია, ბართოლომეო, და იგი შეიძლება ისევე მცდარი იყოს, როგორც პაპის ან რომელიმე კარდინალის აზრი. მაგრამ მე არც მოვიტხოვ, ჩემი ნათქვამი ჭეშმარიტებად აღიარეთ-მეთქი. დამიმტკიცონ, რომ ვცდები, და მეც უყოყმანოდ უარყოფ.

— მაგრამ ის ათასი ყური და ათასი გული, რომელიც ამასობაში გაიგონებს და აიტაცებს ამ შენს ნათქვამს, რაკი ერთი თავში ჩაეჭედება, ასე უყოყმანოდ აღარ უარყოფს. ამის შიში აქვს ეკლესიას.

— ეგ მართალია, მაგრამ იმავე ათას



ყურსა და ათას გულს ახლა ეკლესიის ქადაგება აქვს ატაცებულ, რომლის ჭეშმარიტება ასევე დაუდგენელია. ჩემთვის დოგმაა ის, რაც უფლის ბაგეთაგან გამოსულა და რასაც წმინდა მახარებლები მოგვითხრობენ, ის კი, რაც შემდგომ ეკლესიამ მიაბა და მიაკოწიწა, სადაო და შესამოწმებელია.

— ადამიანის გული და გონება იმგვარია, რომ ყოველ კაცს შეიძლება განსხვავებული აზრი და შეხედულება ჰქონდეს. ასეთ ვითარებაში დავა შეიძლება უსასრულო და ამიტომ უაზროც იყოს, და ამ უსასრულო გზაზე, ვინ იცის რწმენა, ის მთავარი, რის გამოც ვდამობთ, სულ დაგვეკარგოს. დიდი სოკრატე არა სცნობდა ათენელთა კანონებს, მაგრამ უყოყმანოდ კი ემორჩილებოდა.

— სახელმწიფო კანონებს ადამიანები ქმნიან და ადამიანებსვე შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ახლით შეცვალონ. როცა საქმე დროებითსა და წარმავალს ეხება, უმცირესობა მოვალეა უმრავლესობას დაემორჩილოს და შეეგუოს იმას, რაც მისი აზრით სწორი არ არის. რელიგია სხვა რამეა. ჭეშმარიტება ერთია და მარადიული. რწმენა კი ღვთის გზაა. ადამიანს, თუნდაც იგი ათასჯერ პაპი იყოს, არც შესწორება შეუძლია მისი და არც შეცვლა. სხვის რწმენას ვერ შეეგუები და ვერ დაემორჩილები, თუ იგი შენიც არ არის. ჩემი რწმენა და ჩემი გზა სხვაა, პაპისა და ჩვენი წინამძღოლის რწმენა და გზა — სხვა.

ანტონიო გაჩუმდა. მე ამით ვისარგებლე და ჩემი ჰკუთით შევეცადე საუბარი სხვა კალაპოტში გადავგდო, ვინაიდან ის კალაპოტი, რომელშიაც მიედიენებოდა, სახიფათო მეჩვენა.

— ჩვენს წინამძღოლს, როგორც გავიგე, აღრევე იცნობდი.

— პროცესზე გავიცანი, — აქ ანტონიომ წელანდელივით გამომცდელად შემომხედდა და დასძინა, — ერთი მსაჯულთაგანი იყო. არ უთქვამს?

ეს რომ მკითხა, უცნაური მოლოდი-

ნით შემომაცქერდა. თან რაღაც გაუგებარი აღელვება ეტყობოდა.

— არა. პროცესის გამხვევი შემთხება, მაგრამ თვითონ თუ მონაწილეობდა, არ უთქვამს.

უცრად მიიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ანტონიოს სახე შეეცვალა. გაფითრდა და გამომეტყველება ძველებურად კუშტი გაუხდა. ერთხანს გახევებული იდგა, მერე ნელა შებრუნდა და შორეულ სივრცეს მიაშტერდა. მე ვიგრძენი, რომ ჩემდაუნებურად რაღაც საჩოთი-როსა და მტკიცენულს წამოვედე, მაგრამ ვერც ვერაფერი მოვიფიქრე ისეთი, რომ ეს საშიში დუმილი დამერღვია და საუბრისთვის ისევ შემეცვალა მიმართულება. ძალიან დიდხანს ვიყავით ჩუმად. ბოლოს ანტონიომ შეცვლილი, მოგუდული და, როგორც მომეჩვენა, ცოტა ნაძალადევი ხმით დაიწყო:

— კარგია, რომ წინამძღოლს პროცესის ამბავი უთქვამს. დღეს თუ ხვალ მე მაინც ვიამბობდი. აქამდეც არაერთხელ დავაპირე, მაგრამ დაწყება მიჭირდა. ახლა, რაკი მთავარი ცნობილია შენთვის, დანარჩენს უფრო მშვიდად გეტყვი. ყური დამიგდე, ბართოლომეო, ეს ჩემი აღსარებაა და მას პირველი შენ ისმენ... მე ძმობის მოთავედ ვითვლებოდი და მართლაც მოთავე ვიყავი, მაგრამ მოთავე ვიყავი იმის გამო, რომ პირველმა ავიმალე ხმა, თორემ სხვა მხრივ ჩემი სულიერი მოძმეები — მე მხედველობაში მყავს ის სამი, რომლებიც ბოლომდე რწმენის ერთგული დარჩნენ, და არა დანარჩენები, ვინც, ღმერთმა შეუნდოს, უარყვეს ძმობა და ყოველივე მოინანიეს, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ — ბევრად მჯობდნენ. მათი რწმენა ჩემს რწმენაზე ღრმა იყო, მათი სული ჩემს სულზე ძლიერი, მათი გონება ჩემს გონებაზე ნათელი და მათი ცოდნა ჩემს ცოდნაზე ვრცელი. მე, ისევე როგორც ამ ჩემს სამ მოძმეს, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სასამართლო კოცონზე დაწვას გადავვიწყვეტდა, მაგრამ, როდესაც გა-

ნაჩენი გამოგვიცხადეს, უეცრად ტანში გამბურძკლა, მთელ სხეულში რაღაც მწვავე, ძლიერმა სიმბურვალემ შანთივით დამიარა და ვიგრძენი, რომ ბალანი ამეშალა. ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა და ამ ერთი წამის განმავლობაში მე ვცდილობდი სულის გადაჩენილი ძალები მომგვრიბა და დამეძაბა, რათა ფერი არ შემეცვლოდა და ამ შემაჩრწუნებელ სიმბურვალეს, რომელიც ალბათ შიში იყო, სახეზე არ გამოეჩინა. მივალწიე თუ არა საწადელს, არ ვიცი, მაგრამ ეს წამიერი სიძაბუნე სინდისზე მძიმედ დამაწვა. გულზე რაღაც მწარედ მწიწკნიდა და ჩემი სხეული მეზიზღებოდა, როგორც უბოროტესი მტერი. როდესაც სასამართლო დარბაზიდან გაგვიყვანეს და კვლავ საკანში შეგვკვალეს, მე უპირველეს მოვალეობად მივიჩნიე, ეს ჩემი სისუსტე ჩემი მოამბებისთვის გამემზილა და შელიარებინა, რომ ჩემს რწმენას სისრულე აკლდა. როგორც გამოირკვა, მათაც იგივე დამართნოდათ. ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრეს და მაშინ მე ეჭვი არ შემპარავია, რომ სიმართლეს მეუბნებოდნენ. ის დამელოცვაში გავატარეთ, ჩვენი სულები ღმერთს შევავადრეთ და, როდესაც საკნის ვიწრო სარკმელში სინათლის პირველი სხივი შემოიჭრა, ოთხივენი მზად ვიყავით მშვიდად და უდრტინებლად მიგველო სასჯელი. განაჩენის აღსრულება საღამოსთვის იყო დანიშნული, დილის მეათე საათზე კი შეწყალების ცნობა მივიღე. ციხის დარაჯმა საკნის რკინის კართან თითოთ მიმიხმო და საიდუმლოდ მითხრა, შეწყალებული ხარო, თან დაატანა, ბრძანებას შენი განთავისუფლების თაობაზე სატუსალოს უფროსს ორი საათის შემდეგ გამოუცხადებნო. ჩემს მეგობრებს და ნათესაებს არა მარტო ჩემს შეწყალებაზე ეზრუნათ, არამედ დარაჯიც კი მოეჭრთამათ, რათა განთავისუფლების ამბავი რაც შეიძლებოდა ადრე შეეტყობინებინათ და ამით, როგორც თვითონ ფიქრობდნენ, რამდე-

ნიმე საათის ზედმეტი ტანჯვა აერიდებინათ. საკვირველი რამ მოხდა ბოლოს: თოლომეო: როცა დარაჯმა განიხმე და განთავისუფლება ჩურჩულით მახარა, ზუსტად ისე გამიარა სხეულში გავარებულმა შანთმა და ზუსტად ისე ამეშალა ტანზე და ხელებზე ბალანი, როგორც განაჩენის გამოცხადებისას. დარაჯი რომ გამშორდა, მე ცოტა კიდევ შევიცადე, რათა ჟრეოლას გაევილო, მერე მივბრუნდი, დარაჯის ნათქვამი ჩემს მოამბებს ვაცნობე და თან დაეინე, შეწყალებაზე უარს ვიტყვი-მეთქი... ბართოლომეო! ამას რომ ვამბობდი, ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ ჩემი თავი მეზიზღებოდა, და ბუნდოვნადვე ვცდილობდი ეს ზიზღი ჩემი თავისთვის დამეშალა. იმიტომ, რომ მე ეს შეგნებულად ჩავიღინე. მართალია ჩემი საქციელი მაშინ ნათლად არ მქონდა გააზრებული, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს! მთავარია ეს მე ვიყავი და მე განკებ გავუმხილე ჩემს თანამოძმეებს დარაჯის მოტანილი ამბავი, რადგან ვიცოდი, რომ შეწყალებაზე უარის თქმას არ დამანებებდნენ. არც მანამ, არც მაშინ და არც შემდეგ ჩემი რწმენა ჭეშმარიტი რწმენა არ ყოფილა, ბართოლომეო. მე რომ ჭეშმარიტი რწმენა მქონოდა, მაშინ კრინტასაც არ დავძრავდი, ხოლო ორი საათის შემდეგ, როცა სატუსალოს უფროსს მიმგვრიდნენ და განთავისუფლების ამბავს გამომიცხადებდნენ, უარს ვიტყობდი შეწყალებაზე და საღამოს ისე მივიღებდი სასჯელს, ჩემი მოძმეები ვერასოდეს ვერაფერს გაიგებდნენ. ჩემს ადგილას სამივე მათგანი სწორედ ასე მოიქცეოდა. მე კი სიკვდილის შიშისა თუ ჩემი წარმავალი სხეულის მდებალი სიყვარულის გამო ყველაფერი იმწამსვე მათ ვუთხარი. ბართოლომეო! თავი ისე მეჭირა, ვითომ აღშფოთებულ ვიყავი ჩემი მეგობრებისა და ნათესაების არამითხე გამოსარჩლებით! რაღა თქმა უნდა, სამივემ მაშინვე იმის მტკიცება დამიწყა, რომ შეწყალებაზე უარის თქმა არამც და არამც არ შეი-

ძლებოდა. იმ წუთს რომ ვიგონებ, ახლაც მთელი სხეული შიშით მიკანკალებს და ოფლს მასხამს. იცი რატომ? ექვი მაქვს, რომ განზრახვას მიმიხედნენ! ბართოლომეო! ვისაც ეს არ გამოუცდია, მხოლოდ მას შეიძლება სიკვდილი ყველაზე მძიმე სასჯელი ეგონოს. სამივემ ერთხმად დამიწყო დარწმუნება, რომ ჩემი მეგობრები და ნათესაეები უბრალო იარაღები არიან, რომელთა მეშვეობითაც უფლის ნება უნდა აღსრულდეს. უფლისთვის სიკვდილი ვაცილებით იოლია, ვიდრე უფლისთვის სიცოცხლე და უფლისთვის ბრძოლა, მეუბნებოდნენ. ჩვენი სხეული ჩვენს სულს უკვე აღარ ეკუთვნის და ამ უარყოფილი სხეულის წამიერი ტანჯვა კოცონზე რა არის იმ ნეტარებასთან შედარებით, რაც ამ წამიერი ტანჯვის შემდეგ მოგველის, როცა ღვთის საუფლოში შევალთ და მაცხოვრის სპეტაკ სახეს ეიხილავთო, შენ კი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა დაპყო ამ წარმავალ და ამაო წუთისოფელში და რამდენი განსაცდელი უნდა გადაიტანო, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი ღვთის ნებაა, რაკი უფალმა შენ აგირჩია, ისლა დაგჩენია, მადლი შესწირო და მორჩილად იტვირთო ეს მძიმე საქმეო. ბართოლომეო! ათასი ურყევი საბუთის მორტანა შემეძლო ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მაგრამ მე ათასივე ისეთ ადგილას გადავმალე, სადაც მათ გონება ვერ მიწვდებოდა, მათ ნაცვლად კი ერთი-ორი შერყევი და იმთავითვე განწირული საბუთი მოვიტანე, რათა ყასიდად მეცადა ჩემი გადაწყვეტილების გამართლება. ეს საბუთები, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ იოლად გააქარწყლეს, ხოლო ორი საათის შემდეგ, როდესაც სატუსალოს უფროსმა დამიბარა, სიხარულის ცრემლებით იტირეს, მხურვალედ გადამეხვივნენ და ლოცვა-კურთხევით გამომისტუმრეს. სატუსალოდან რომ გამოვედი და მეგობართა შორის აღმოჩნდი, მაშინდა მივხვდი, როგორ დავებრძავებინე სიცოცხლის წყურვილს, რა

ჯანილი გადამკროდა გონებაზე, მაგრამ რალა დროს! რაკი ნაჩუქარი დავიწყებულა სულმოკლედ მივიღე და უარის სათქმელად ძალა არ მევყო, უკვე ყველაფერი გვიანი იყო. რალა უნდა მექნა? ახლა რომ უკან მივბრუნებულყავი და მეთქვა, არ მინდა თქვენი ნაბოძარი თავისუფლება, დამსაჯეთ-მეთქი, მხოლოდ სიცილს დამაყრიდნენ, დასჯით კი აბა ვინლა დამსჯიდა! შემეძლო მე თვითონ დამესაჯა სიკვდილით საკუთარი თავი, მაგრამ ამით ვერც შევბას მოვიპოვებდი და ვერც შერცხვენილ სახელს აღვიდგენდი, მხოლოდ ცოდვაზე ცოდვას დავიმატებდი. ბრძოლის გაგრძელებაც ამაო იყო. მე სულიერად დამარცხებული და განადგურებული ვიყავი. დამარცხებული და გალახული მოწინააღმდეგე რომ მტვრიდან წამოდგება და უაზროდ დაიწყებს მუშტების ქნევას, იმას ვინლა გაუყადრებს თავს!.. არავითარი გზა აღარ დამრჩა გარდა იმისა, რომ ნაწყალობე თავისუფლებას შევრიგებოდი. ასე დავრწმუნდი, ბართოლომეო, რომ პატიება ყველაზე მძიმე სასჯელი ყოფილა. თუვიდან ეკლესიიდან განკვეთას მიბირებდნენ, მაგრამ სულ მთლად რომ გავნადგურებულყავი და არაარობად ექცეულიყავი, ამაზეც უარი თქვეს. იციან, რომ კაცი, რომელიც მათი ხელიდან თავისუფლებას მიიღებს, საშიში აღარ არის.

ანტონიო გაჩუმდა. მაშინ მე ვუთხარი:

— მე კი წინამძღოლთან საუბრიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ეკლესია შენს საქმეს სულ სხვა თვლით უყურებს. მან არ იცის, თუ რა სასჯელი გაგიმზადა ამ შეწყალებით. ეკლესია იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ქვეყნის გავლენიანი პირებისათვის და საკუთარი სურვილის წინააღმდეგ წასულიყო. ეს აწუხებს და დღემდე ვერ მოუნელებია. მე ასე მგონია, ანტონიო, კოლხეთში შენი გამოგზავნა კარგად განაგარიშებული ნაბიჯია.

— მე არავის გამოუღზავნივარ. ჩემით ვითხოვე წამოსვლა.

— რატომ?

— იქ არავინ მიცნობს. არავინ იცის ჩემი არარაობის ამბავი. იქნებ უცხო ქვეყანაში ღირსეული სიკვდილი ვპოვო.

— მე მაინც გაანგარიშებული ნაბიჯი მგონია. წამოსვლა შენ ითხოვე და სწორედ ამით მიიწოდე აზრი. ყოველ შემთხვევაში, იცოდე, ზიფათი გელის. მამა სებასტიანეს იმედი აქვს, რომ, თუ იქაც დაიწყე შენი მოძღვრების ქადაგება, სასამართლო ზელფეხშეხსნილი იქნება. რადგან მეგობრები და ნათესავები შორს გეყოლება და ველარაფერს გიშველიან.

ანტონიომ მწარედ ჩაიციხა.

— არა, ბართოლომეო. სასამართლოს ვინლა მაღირსებს! ანდა კოლხეთში რა ქადაგებაზე და თეოლოგიურ კამათზე შეიძლება ლაპარაკი! ეს ხალხი საუკუნეების მანძილზე ურჯულოთა გარემოცვაში ცხოვრობს და ერთი და იმავე ხმლით იცავს სამშობლოსაც და ქრისტეს რჯულსაც. რადგან სამშობლოსაც და ქრისტეს რჯულსაც იქ ერთი და იგივე ზიფათი ემუქრება. ბრძოლა კი იგივე მეზობლობაა და ამ ხანგრძლივი მეზობლობის განმავლობაში მათ ბევრი რამ შეითვისეს თავიანთი მტრებისაგან. ამიტომ ჭეშმარიტი ჩრმენა მოირყა და შეიბღალა. ასე რომ, იქ ჩვენი ვალი იქნება არა თეოლოგიური დავა და ნიშნების განმარტება, არამედ იმ საბირკვლის გამაგრება, რაც ყველა ქრისტიანისთვის საერთო და ჭეშმარიტია.

მე წინამძღოლთან საუბარი გამახსენდა და წამით მომეჩვენა, თითქოს ეს ორი კაცი, მდინარის სხვადასხვა ნაპირზე მდგომი და შეურიგებელი მოწინააღმდეგენი, ორივე მართალი იყო. როცა ორი კაცი ერთმანეთს უბირისპირდება, ან ორივე მტყუანია, ან ერთ-ერთი მათგანი მაინც. მე კი მეჩვენებოდა, რომ ორივე მართალი იყო. დოგმები, რომლებსაც ბავშვობიდანვე მი-

წერგავდნენ, მტკიცედ მჭონდა. შეთვლებული, ამიტომ ანტონიოს შეხედულებას იმის შესახებ, თითქოს ზორციელად დაბადებულ ღმერთს მხოლოდ ადამიანური ბუნება ჰქონდეს, ცხადია ვერ გაეზიარებდი, მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა ანტონიოს სიმართლე დამენახა, რადგან ანტონიოს სიმართლე მის აუმღვრეველ პატიოსნებაში იყო. ჩვენშიც და უცხოეთშიც ბევრი მინახავს ისეთი კაცი, ვისაც მთელი არსებით სწამს, მაგრამ უფრო მეტი ისეთი მინახავს, ვინც თავის გულში დაარწმუნებული არაა, რომ სწამს, და უბრალოდ აღიარებს, ვინაიდან მიიჩნია, რომ ასეა საჭირო. ანტონიო მხოლოდ იმას აღიარებდა, რაც სწამდა. ასეთი ბუნება ჰქონდა და სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ამიტომ თავის მრწამსს დაუფარავად და უშიშრად ამქვავებდა, ოღონდ თავს არავის ახვევდა და, როდესაც განსჯის საგნად აქცევდა, იმას კი არ ცდილობდა, ყველა საშუალება ეხმარა, ოღონდ კი დაეცვა, როგორც უმრავლესობას სჩვევია, არამედ მის სიმართლეს ამოწმებდა. მეორე მხრივ, ვერც მამა სებასტიანეს სიმართლეს გავხდიდი სადაოს. ისევე როგორც ანტონიოს სიმართლე, მამა სებასტიანეს სიმართლეც მისსავე პატიოსნებაზე იყო აღმოცენებული. მე ეს კაცი კარგად გავიცანი ჩვენს ხანგრძლივ მოგზაურობაში და მისი პატიოსნებაც დაეინახე. მისი კეთილშობილებაც და გულისხმიერებაც. როგორც კრუხი წიწვილებზე, მუდამ ისე ზრუნავდა ჩვენზე. ჩვენი გულისთვის არაერთხელ საკუთარი სიცოცხლე ჩაუგდია საფრთხეში და ამისთვის მადლობის თქმის ნებასაც კი არ გვაძლევდა. ოღონდ ანტონიოსგან განსხვავებით მამა სებასტიანეს თავისი ჩრმენა სამსჯავროზე არ გამოჰქონდა და საკამათოდ არ ხდიდა. იმიტომ, რომ მის ჩრმენას ეკლესია და თავად პაპი ელდა მცველად, ძალაუფლება უმაგრებდა ზურგს, ძალაუფლება კი ისეთი რამაა, რწმენას შეუვალ და საყოველთაო მნიშვნელობას ანიჭებს. ძნელია

გამტყუნო მოსამართლე, რომელიც ეკლესიის სახელით გამოდის და არა თავისი პირადი სახელით. მის ადგილას რომ ანტონიო ყოფილიყო, ეგებ ისიც ასევე მოქცეულიყო, რადგან პატიოსანი კაცი იყო, პატიოსნება კი — ამ შემთხვევაში არა პირადი, კერძო, არამედ სახელმწიფოებრივი პატიოსნება — სწორედ ასეთ საქციელს მოითხოვდა.

მოდინდნ მოყოლებული ანტონიოს აღარასოდეს თავისი თავგადასავალი არ უხსენებია. ჩემი მხრივ მეც, რაკი ვხედავდი, თუ როგორ ტანჯავდა ეს მოგონება, ვცდილობდი საბაბი არ მიმეცა და სალაპარაკოდ არ გამომეწვია. რელიგიაზე საუბარსაც გაურბოდა და მხოლოდ მაშინ, როცა ჩემი მოგზაურობის ამბებს ვუყუებოდი ხოლმე, დაინტერესდებოდა, ამა თუ იმ ქვეყანაში რა აღმსარებლობას მისდევენ, რაში მდგომარეობს მათი რელიგიის არსი, რა რიტუალები აქვთ ან რა დოგმებს იცავენ.

წინამძღოლმა, რაკი მე და ანტონიოს მუდამ ერთად გვხედავდა, საჭიროდ მიიჩნია ერთხელაც დაგვარებინე, მაგრამ მე დავარწმუნე, რომ ანტონიოსთან მეგობრობით ჩემს რწმენას ხიფათი არ მოელოდა, და მანაც თავი დამანება.

ნაპირს რომ მივადექით, მასპინძლობა უკვე კოლხმა დესპანებმა ითავეს. ცხენები და ხარ-ურემი დაგვაქირავებინეს, შეიარაღებული რაზმიც იახლეს, რადგან ყაჩაღთა სიმრავლისა და მუსულმანთა თარეშის გამო გზა სახიფათო იყო, და მალე მშვიდობით მივადექით სატახტო ქალაქს. ეს იყო პატარა ქალაქი, ნესტიანი და ცხელი. უმთავრესად ხის სახლები იდგა, რომელთაგან ზოგი საკმაოდ ლამაზი მეჩვენა, ზოგიც — უსახური და უგვანი. ქუჩებში ხალხი ცოტა იყო. სამაგიეროდ ჩვენს გამოჩენაზე აივნებზე წამსვე ქალები და ბავშვები გამოეფინებოდნენ და ცნობისმოყვარე მზერას გვაღვენებდნენ.

მოდინდნ მოყოლებული ანტონიოს

კაცმა მიგვიღო. ჰქვიანდა კაცი ჩანდა, გამჭირაბი და ცბიერი, თავიანდაკვესაუბრებოდა, პირზე ღიმილი არ შორდებოდა, მაგრამ ისეთ შეკითხვებს გვაძლევდა, რომ, ჩემი აზრით, იმის დიდგენა ეწადა, თუ ქის რა საიდუმლო დავალება შეიძლებოდა გვქონოდა.

მეორე დღეს მთავარმა დარბაზობა გავვიმართა. დარბაზობას მრავალი დიდებული ესწრებოდა, რომლებიც ძალიან ბევრს ხმაურბრბდნენ. მთავარი სრულიად ახალგაზრდა იყო, თვალტანადი, წარმოსადგეგი, მოხდენილი; დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა, დარბაზისლური მიმოხრა და კეთილმოსურნე ღიმილი. იგი გაცილებით უფრო გულლია და მიმნდობი ჩანდა, ვიდრე მისი კარისკაცი.

მთავარი ზელმოკლე იყო. მას რომ სასახლე ჰქონდა, ისეთ სასახლეში ჩვენი არც ერთი ასე თუ ისე მაღალი ჩინის მოხელე არ იკადრებდა ცხოვრებას. იმპერატორსა და მის მინისტრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ლატაქ დიდებულებს ჩვეულებრივ რცხვენიათ თავიანთი სილატაკისა და ეს სირცხვილი რომ დამალონ, ან ვადამეტებულ ამპარტავნობას იჩენენ, ან არადა წინასწარ ისეთ მუქ ფერებში დაგხატავენ თავიანთ სილარიბებს, რომ მერე, რასაც სინამდვილეში ნახავთ, სიმდიდრედ მოგეჩვენოთ. აქაური მთავარი ასე არ იქცეოდა. იგი უბრალოდ და ბუნებრივად იყო შეგუებული თავის მდგომარეობას. სილარიბე მისთვის გარდაუვალი და ამიტომ ჩვეულებრივი რამ იყო, ღვთის განჩინება, რომლის შეცვლა კაცს არ ძალუძს. და სწორედ ამით — ბუნებრივი კეთილშობილებითა და გულთბილი უბრალოებით — აქარწყლებდა სილარიბის მძიმე შთაბეჭდილებას.

დარბაზობის შემდეგ, როდესაც ყველანი ნადიმზე მიგვიწვიეს, მთავარმა ჩვენი წინამძღოლი გვერდით მოისვა. ეს განსაკუთრებული და ცოტა გაუგებარი პატივი ჩანდა და, მისი გულლია სახე და ალაღმართალი, ლამის ბავშ-

ეფრი ღიმილი რომ არა, ვიფიქრებდი, რაღაც ფარული განზრახვა აქვს-მეთქი, მაშინ გაკვირვებული დავრჩი, მერე და მერე კი, აქაურებს კარგად რომ დავაჯვირდი, ამ უცნაური საქციელის მიზეზსაც მივხვდი. სუჭმე ისაა, რომ ეს ხალხი უცხოელებს რაღაც განსაკუთრებული მოწიწებით უჭურებს, ერთი უცხოელის აზრს მეტ ფასს ადებენ, ვიდრე ასი თავისიანისა, თუნდაც ასივე ბრძენი და საქმეში კარგად ჩახედული იყოს. რაც ყველაზე უფრო საოცარია, ასე სწორედ ისეთ საკითხებში იქცევიათ, რაც აშკარად მათ უკეთ იციათ. მაგალითად, აქ განსაკვივრებლად მღეროან და ისე არიან გაწაფული მელექსეობაში, მგონი თვით პომეროსსაც ტოლს არ დაუდებენ, მაგრამ მოუხედავად ამისა, როცა კარის მომღერლები სიმღერას იტყოდნენ, ან რომელიმე კარის პოეტი ლექსს წარმოთქვამდა, წამსვე ყველანი მოგვიტრიალდებოდნენ და ისე მოგვაჩერდებოდნენ, თითქოს ჩვენ პოეზიისა და მუსიკის კანონმდებლები ვყოფილიყავით. ამ მხრივ არც მთავარი გამოიჩინოდა დანარჩენებისაგან.

ის ზამთარი სატახტო ქალაქში გავატარეთ და ბევრი საჭირო საქმის გაეთებაც მოვასწარი. იარაღის ოსტატებს მთავარმა დაუყოვნებლივ მისცა სამუშაო და იმათაც ზამთრის მიწურულს პირველი ზარბაზანი ჩამოასხეს. ჩვენს ოსტატებთან ერთად მთავრის ბრძანებით რამდენიმე ახალგაზრდა აზნაურიც მუშაობდა, რომლებიც ჩვენებს ესმარებოდნენ და თან ხელობას ეუფლებოდნენ. ღვთისმსახურებმაც ფართოდ გაშალეს მოღვაწეობა. გასაკეთებელი ამ მხრივაც ბევრი იყო.

მთავარმა რამდენჯერმე მამა სებასტიანე იწვია სასახლეში და, როდესაც იქიდან მობრუნებული შეხვედრის ამბავს გვიყვებოდა, ხოლმე, მუდამ პატრონისცემითა და აღტაცებით ლაპარაკობდა მთავარზე. მთავარმა რომ გაიგო, მე მოგზაური და ეპქარი ვიყავი, თანაც ამ ორივე საქმეში გვიარიანად გამოცდილი,

ერთხელ მეც მიმიპატიოა. ვრცელ, მაგრამ ხალიან საღად მორამულს მანაზაში მიმილო და დიდხანს შევაუბრუნე. თავის ხალხსა და თავის ქვეყანაზე ილაპარაკა და ამ ღროს სახეზეც და ხმის კილოშიც მწარე ნაღველი ჰქონდა. მუსულმანებმა ისე შეგვავიწროვეს, ღამის სახლებში შემოგვიცივდნენო, მიიბრუნა, ქვეყანა გაჩანაგდა, ხალხი შიშმა დაზაფრა და იმის მაგივრად, რომ მხარში ამოუდგეს ერთმანეთს და თავი დარცვას, კიდევ უფრო გაითიშა, სასოწარკვეთამ დააბნია და დაფანტა, ყველა მარტო თავის თავზე და თავის ოჯახზე ზრუნავს და როგორც მოუხერხდება, ისე გააქვს თავი. შიშთანობამ სიძულვილი მოიტანა თან, გაუტანლები და დაუნდობლები გავხდით, იმა აღარ ვიცით და ნათესავი. ყოველი კაცი იმას ფიქრობს, ოღონდ მე გადავრჩე და თუნდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო, იმას ველარ ვხედებით, რომ მოყვასმა თუ მოყვასი გაწირა, მალე მართლა ქვა ქვაზე აღარ დარჩება. შიშმა გონება დაგვიბნელა, სიძულვილმა სისხლი გაგვიცვია, მშველელი არსიდან ჩანს, ევროპა შორსაა და ჩვენთვის არა სცალია, ყველა თავისთვის ცდილობს და თავის სარგებელს ეძებს, ჩვენ კი მეტი აღარ შეგვიძლია, საყუთარ თავში იმედს და ღონეს ველარ ეპოულობთ. ამოვწყდებით. მალე ჩვენი სახსენებელი აღარ იქნება. მაგრამ ვის შევჩივლოთ ჩვენი უბედურება და ვის შევავედროთ თავი, როცა ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ტრიალებს, ჩვენივე ბრალია გაერთიანება რომ შეგვეძლოს, საქართველო არც ისე პატარა და უძლური ქვეყანაა, მაგრამ რა გაგვაერთიანებს! მტრებისგან წაქეზებულები და გაბრიყვებულები ერთმანეთს ვჭამთ. მეფე მეფეს მტრობს, თავადი თავადს, აზნაური აზნაურს. ხალხი დამფრთხალია და აღარ იცის რომელ ერთს დაემადოს — შემოსეულ მუსულმანს, საყუთარ ბატონს, შიშვილს, უღმერთობას თუ სნეულებას... უცხოთან ასეთი გულახდილობა



მთავრისგან მოულოდნელი იყო და ცოტა დავიბენი. ნუგეშისცემა ჩემი მხრივ ცხადია უტაქტობა იქნებოდა, ამიტომ ღმერთის სახელი ვახსენე და იმის ყოველშემძლეობას შევეფარე, ვისაც ერთადერთს ძალუძს ყოველ ჭრილობას მალამო დაადოს, ყოველ უსასიოს ცრემლი შეუმშრალოს და ყოველი დავრდომილი ფეხზე წამოაყენოს. უფალი ჩვენი მაცხოვარი არ გასწირავს თავის სამწყსოს-მეტეი, ვუთხარი. ამაზე მთავარს გაეღიმა, გაეღიმა მწარედ, უიმედოდ და ამავე დროს ისეთი ღიმილით, თითქოს აქეთ მიპირებდა დამშვიდებას. მერე ვაქრობაზე ჩამომიგდო სიტყვა. ევროპასთან ვაქრობით შეიძლება ცოტა სული მოვიტყვათ და წელი წამოვიდგათო, მითხრა. ეტყობოდა ამაზე ბევრი ეფექტა. ჩამოთვალა, რისი გატანა შეეძლო და სამაგიეროდ რისი შემოტანის იმედი ჰქონდათ. სავაჭრო არხების გაჭრაზე ილაპარაკა და რამდენიმე ფრიალ საინტერესო და გონებაბახვილური წინადადებაც გამოთქვა. მე აღუუთქვი, რომ პირველსავე ანგარიშში, რომელსაც ჩვენს სამეფო კარს გაუუგზავნიდი, ამ მნიშვნელოვან მოსახრებებს ჩავრთავდი, რათა იქ დროულად განეხილათ და საქმე წინ წასულიყო. ბოლოს ჩემი მოგზაურობის ამბები გამომკითხა და ბევრიც მალაპარაკა. განსწავლულობას მაინცდამაინც ვერ დავიკვივნიდა, მაგრამ ცოდნის წყურვილი უსახლგრო ჰქონდა და ყველაფერს სწრაფად და იოლად უღებდა ალღოს. სხვა ვითარებაში და სხვა პირობებში ალბათ უგამოჩენილესი მეცნიერი დადგებოდა, მაგრამ ბედმა ღონემისხდილი კუთხის გამგებლობა არგუნა და იმულებული გახადა მთელი ახალგაზრდობა გარეშე მტრებთან ბრძოლაში და შინაურ მტრებთან გაუთავებელ კინკლაობაში გაეტარებინა, ხშირად გაუხდელი და იარაღუყრელი დაწოლილიყო, დროდადრო რომელიმე თავადისათვის თვალები დაეთხარა, სამღვდელთაობის ვარყენილებასა და ფუქ-

სავატობას შეკვეთებოდა, თავივე დაეკურა, ვითომ ვერ ამჩნევდნენ, დიდებულები საკუთარ ყმებს მონებად ჰყიდდნენ, მლიქვნელობა ეთმინა და ხანდახან თვითონაც ემლიქვნელა, განდგომილი თავადების შემოსარიგებად დამამკირებელი დიპლომატიის გზას დასდგომოდა, ხოლო თუ ვერც ეს გაჭრიდა, ურჯულოებისგან ჯარი ექირავენინა და საკუთარი ხალხისთვის მიესია.

მთავარმა ჩემი მოგზაურობის ამბები დაწვრილებით გამომკითხა. ყველაფერი აინტერესებდა — სახელმწიფოების გამგებლობა, ქვეყნების ისტორია, მეცნიერების დარგები და განვითარების დონე, ხელოვნება, ჰავა, ჯარის შეიარაღება, მოსავალი, ბაზარი... ტანსაცმლითაც დაინტერესდა, საცხოვრებელი სახლების ფორმითა და სიდიდითაც, ისიც კი მკითხა, პირუტყვის სად როგორ უვლიან და სად როგორ გამოაზამთრებენ ხოლმეო. ბოლოს მაღლობა გადამიხადა და ტოლივით მთხოვა, კიდევ მესტუმროო. მე მოვახსენე, თუკი თქვენი უდიდებულესობა დროს გამონახავს, ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივი იქნება თქვენთან სტუმრობა და საუბარი-მეტეი. ამაზე გაეცინა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

თუ წიგნის დასრულება დამცალდა, ამ საკვირველ მთავარს კიდევ დავუბრუნდები და დაწვრილებით აღწერ მის ტანჯულ ცხოვრებას, რადგან ეს ცხოვრება, გულისა და გონების შემძვრელი, ერთსა და იმავე დროს სავალალოცაა და სამაგალითოც. იგი მე მაგონებს ბნელ ჭურღმულში გამომწყვდეულ სხივს, რომელიც, რა დარწმუნდა, წყვილადს ვერ გაარღვევდა და მზეს ვერ შეუერთდებოდა, კეთილსინდისიერად შეეცადა იმ ვარემოს შეკვეთებოდა, სადაც ცხოვრება უხდებოდა, დიდხანს ფართხალებდა უვიცობისა და ინტრიგების ქსელში და ბოლოს შემადრწუნებელი ტრაგედიით დაასრულა სიცოცხლე. ყოველივე ამას, თუ შევძელი, თავის ადგილას აღწერ. ახ-



ლა კი რაც ვთქვი იმით დავემყოფი-  
 ლდები, მხოლოდ იმას დაუმატებ,  
 რომ საღამოს, როდესაც მთავართან სა-  
 უბარო ანტონიოს ვუამბე და გულისტ-  
 კვილით დავძინე, ეს ხალხი ღმერთს  
 გაუწირავს და აღარავითარი იმედი  
 აღარ არის იმ ქვეყნის გადარჩენისა,  
 რომელიც ძველი მწერლების აღტაცე-  
 ბის საგანს წარმოადგენდა-მეთქი, ან-  
 ტონიომ მითხრა:

— უცნაურია, ბართოლომეო: შენ ამ  
 კეთილშობილი მთავრის ნახვამ გადა-  
 გიწურა იმედი. მე კი იმედი მაშინ გა-  
 დამეწურებოდა, ეგ რომ არ მენახა. მა-  
 რთალია მე მასთან საუბრის საშუალე-  
 ბა არა მქონია, მაგრამ დარბაზობაზე  
 და ნაღიშზე ვაკვირდებოდი და ვიცი,  
 რასაც შენ ახლა მის შესახებ ამბობ,  
 სრული სიმართლეა. იგი სწორედ რომ  
 ბნელ ჭურღმულში გამოიწყვდებოდა  
 სხივი, ეს კარგად თქვი, ბართოლომეო,  
 მაგრამ ხომ გახსოვს, რას ბრძანებს მა-  
 ხარებელი: „და ნათელი იგი ბნელსა  
 შინა ჩანს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია“.  
 ყველაფერი, რაც მისმა დიდებულებ-  
 მა დაკარგეს, მასშია თავმოყრილი. ამი-  
 ტომ სძულთ კიდეც. ალბათ შეამჩნიე,  
 რომ თითქმის ყველას სძულს. ეს კა-  
 რგია, ბართოლომეო, რადგან, სანამ  
 ბოროტებას სიძულვილი არ განელე-  
 ბია, მანამ სიკეთე ცოცხალია. ამ მთავ-  
 რის ცხოვრება მინიმე ტანჯვაა, ამიტომ  
 ქვეყანა არ დაიღუპება. ქვეყანა მაშინ  
 იღუპება, როცა იქ ტანჯვის უნარი აღა-  
 რავის შერჩება.

ზამთარი, როგორც ვთქვი, ქალაქში  
 გავატარეთ. მთავარმა, რაც შეეძლო,  
 კარგად დაგვადინა. რა თქმა უნდა, იმ  
 პირობებს, რომელშიაც ცხოვრება გვი-  
 ხდებოდა, ჩვენს ქვეყანაში არათუ  
 კარგა. საშუალოსაც ვერ დავარქმევ-  
 დით, მაგრამ აქ უკეთესის ნატვრაც არ  
 შეიძლებოდა. ესეც არ იყო, ჩვენ სა-  
 ქმის გასაკეთებლად ჩამოვედით და  
 ყოველგვარი გასაქორისთვის მზად ვიყა-  
 ვით. საქმე კი რიგინად მიდიოდა. მთა-  
 ვარი კმაყოფილი იყო ჩვენი ხელოს-  
 ნების მუშაობით, რაც თვითონაც უთ-

ქვამს ჩვენი წინამძღოლისთვის და კა-  
 რისკაცების პირითაც არაერთხელ შენ  
 მოუთვლია. მამა სებასტიანეს დიდი და  
 კეთილშობილური საქმე წამოიწყო: თა-  
 ვისი მახვილი ჭკუითა და დაკვირვებუ-  
 ლი დიპლომატიით იმას მიაღწია, რომ  
 მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად  
 გადაწყდა დაეარსებინათ სასწავლებ-  
 ლი, სადაც ლეთისმეტყველების გარდა  
 უნდა ესწავლებინათ სხვადასხვა დარ-  
 გის მეცნიერება და აგრეთვე ლათინუ-  
 რი ენა. ბერები თავდაუზოგავად იღუ-  
 წოდნენ, არავითარ სამუშაოს არ თა-  
 კილობდნენ, აკეთებდნენ ყველაფერს,  
 რისი გაკეთებაც კი კაცის ხელს შეე-  
 ძლო, და თავიანთი მაღალი ზნეობით,  
 ლეთის მორჩილებითა და კეთილსინდი-  
 სიერე შრომით სანიმუშო მაგალითს  
 იძლეოდნენ. აქაურებს ყველაზე მეტად  
 ის უხაროდათ, რომ ბევრ ჩვენგანს  
 მკურნალობა ემარჯვებოდა. ამ საქმეში  
 განსაკუთრებით ანტონიო იყო დახე-  
 ლოვნებული. მან არა მარტო წამლე-  
 ბითა და დიეტით მკურნალობა იცოდა,  
 არამედ დასტაქრობაც ეხერხებოდა. პი-  
 რველ ხანებში ხალხი შიშითა და უნდო  
 თვლით უყურებდა დანას, მაგრამ რა  
 დაინახეს, ეს განკურნების ჩინებული  
 საშუალება იყო, ნელ-ნელა შეეჩვიე-  
 ნენ და მალე ანტონიო საქმეს ვეღარ  
 აუდიოდა. მკურნალობისა ცოტა რამ  
 მეც გამეგებოდა, ამიტომ, როცა ავად-  
 მყოფთან მიჰყავდათ, მეც თან მივდე-  
 ვდი და შეძლებისდაგვარად ვეხმარე-  
 ბოდი. სამაგიეროდ, სავაჭრო საქმეე-  
 ბზე რომ წავიდოდი, ის მომყვებოდა.  
 ერთად ვესაუბრებოდით თავადებსა და  
 დიდებულებს, ვაჭრობის გზებს ვსინ-  
 ჟავდით, ნიადაგს ვამზადებდით და ამ  
 საქმეში მისი სიბრძნე და გონივრული  
 ჩჩვევა არაერთხელ გამოიმდგომია.

ლეთისმსახურები ცალკე ცხოვრობ-  
 დნენ და მე და ანტონიო მათ არც თუ  
 ისე ხშირად ვხვდებოდით, მაგრამ, ამის  
 მიუხედავად, მამა სებასტიანესა და  
 ანტონიოს შორის უკმაყოფილება დღი-  
 თი-დღე იზრდებოდა. ამის მიზეზი მკუ-  
 რნალობა იყო. საქმე ისაა, რომ ბერები

ღვთის სახელით მკურნალობდნენ და, როცა ვინმეს მოარჩენდნენ, ამას ღვთის წყალობას მიაწერდნენ და არა თავიანთ ცოდნასა და ოსტატობას. ეს არც გაემტყუნებოდათ, რადგან, კაცი რომ მტანჯველ სენს თავს დააღწევდა, ისიცა და მისი ჭირისუფლებიც უფრო მეტი რწმენითა და გულისყურით ისმენდნენ ბერების ჭადაგებას, გატაცებით სწავლობდნენ იმას, რაც მათთვის თავიანთ მღვდელს უნდა ესწავლებინა, და თანდათან იწმინდებოდნენ ურჯულთაგან გადმოდებული ან ძველი აღმსარებლობიდან შემორჩენილი ჩვევებისაგან. ანტონიო სხვათაგან იქცეოდა. თან მკურნალობდა და თან მკურნალობას ასწავლიდა. ასწავლიდა, თუ როგორ დაეცვათ თავი ხელახალი დასნეულებისაგან, რა ელონათ, როცა ამა თუ იმ ავადმყოფობის ნიშნები გამოაჩნდებოდათ, რა წყაით ეცვალოთ საფენები, როგორ გამოეწოვათ ჩირქი და რა საშუალებით გამოედევნათ ორგანიზმიდან ზედმეტი სიცხე. ანტონიოც მართალი იყო. ცხადია ყველანი ღვთის ხელთა ვართ და ღვთის უნებურად თმის ერთი ღერი არ ჩამოგვეარდება თავიდან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რისი ცოდნაც შეგვიძლია, არ ვიცოდეთ. ვერც ანტონიო იცოდა უარს თავის მრწამსზე და ვერც ბერები. შეტაკება გარდუვალი იყო. ამიტომ, ჩემი აზრით, ანტონიომ დიდი გონიერება და წინდახედულება გამოიჩინა, როცა გაზაფხულზე ჩემთან ერთად მთაში წასვლა გადაწყვიტა. მე თვითონ მთაში ორი მიზეზის გამო მივდიოდი: ერთი ის, რომ ჩვევად მაქვს, საცა კი ამის შესაძლებლობაა, ყველგან ჩემი ფეხით მივიდე და ყველაფერი ჩემი თვლით ვნახო, მეორე და ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ ქალაქში ძალიან მიქვს იქაური თაფლი, სხვადასხვა ნადირის ტყავი და, რაც მთავარია, სპილენძის მადანი, რომლითაც ეს მთა ძალიან მდიდარი ყოფილა. უფრო აღრეც ვაპირებდი წასვლას, მაგ-

რამ ზამთარში დიდი თუფლისუცაჲ გზა გაუვალი იყო.

ანტონიოს გადაწყვეტილება რომ შევიტყუე, დიდად მემამა. არანაკლებ ეამა მამა სებასტიანესაც, რომელმაც აღარ იცოდა როგორ აერიდებინა შეტაკება.

მთავარმა შეუქალობის სიგელი გვიბოძა, იქაურ თავადთან საგანგებო წერილი გაგვაცანა, ხუთიოდ შეიარაღებული კაციც გაგვაცოლა ერთი ახალგაზრდა აზნაურის მეთაურობით და აპრილის დასაწყისში გზას გავუდქვით.

მთა არც ისე შორს იყო. დილაუთენია გავედით ქალაქიდან და საღამოს, მზის ჩასვლის ეამს, უკვე დანიშნულების ადგილს მივაღწიეთ.

უქანასენელი აღმართი რომ ავთავეთ და ქედზე გადავდექით, ჩვენს წინაშე თვალწარმტაცი სურათი გადაიშალა: ქვემოთ, მაღალი მთებით შემოზღუდულ ვრცელ ტაფობზე, ოთხი, ერთმეორისაგან კარგა მოშორებული სოფელი ჩანდა. მთათა ფერდობებზე თოვლი უკვე აღებული იყო, მაგრამ მწვერვალებს ჭერ კიდევ ეხურა თეთრი, ქათქათა ქუდები, რომლებიც ჩამავალი მზის სხივებში ზღაპრულად ელვარებდნენ. მთების ქვედა კალთებზე ტყეებს მუქი მწვანე ფერი ედო, სოფლებში კი უკვე ნუში და ტყემალი ყვავდა. ტაფობის შუა წელზე ვიწრო, ჩქარი მდინარე მოედინებოდა, რომლის შორეული მხელი ყრუდ აღწევდა ჩვენამდე. უახლოეს სოფელში, ერთ მაღალ ბორცვზე რუხად მოჩანდა მოზრდილი ციხე.

ჩაზმის უფროსმა ერთი თავისი ქვეშევრდომი დააწინაურა, რათა მასპინძლისთვის სტუმრების მისვლა ეცნობებინა, დანარჩენები კი ნელა დავუყვეით თავდაღმართს.

თავადის სასახლე ციხის ქვემოთ იყო, ბორცვის ძირას. ჩვენ იგი სოფელში შესვლისთანავე შევნიშნეთ და, რაც უფრო ვუახლოვდებოდით, მით უფრო ვრწმუნდებოდით, რომ თუ ჯობდა მთავრის სასახლეს, თორემ არაფრით ჩამოუვარდებოდა. ძირითადი ნა-

გებობა — თავადისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი სახლი — ქვისა იყო, მკვიდრად ნაშენი და კრამიტით დახურული, სამ მხარეს ხის ფართო აივნები ერტყა უალრესად ნატიფად დამუშავებული მოაჯირებით. მოშორებით ზირამდენიმე შენობა იდგა — მსახურთა საცხოვრებელი, ბელლები, თავლები და სხვა ნაირ-ნაირი სადგომები თუ სათავსოები. ირგვლივ ხასხასა ბალახით დაფარული დიდი ეზო იყო.

მასპინძელი ეზოში ჩამოგვეგება. ორმოციოდე წლისა იქნებოდა, მაღალი იყო, ბრგე, მაგრამ ღუნე სახე ჰქონდა და მოშვებული, ფომფლო ლოყები. სქელ თმაში და გრძელ, ტუჩის კუთხეებზე გადმოკიდებულ უღვაშებში ჭალარა შერეოდა, ხმადაბლა ლაპარაკობდა, ცოტა ენას უკიდებდა და უნდო, ექვიანი თვალით გვიმზერდა.

ეზოში ვახშმის სამზადისი იყო გაჩაღებული. თავადმა მოურავს უბრძანა, ბარგი და ცხენები დაეხინავებინა და ხალხისთვის მიეხედა, ჩვენ კი — რახმის უფროსი, ანტონიო და მე — ზემოთ მიგვიპატიოთ, ვრცელ, მდიდრულად მორთულ დარბაზში, და ერთიანი ხის სავარძლებში ჩავსვა, რომელთა საზურგეები და მკლავსაყრდენები კიდევ უფრო ნატიფად იყო დამუშავებული.

იქ თავისი ოჯახი გავაცნო — ცოლი, შეუღარებელი სილამაზის ქალი, და შვილები, ორი პატარა ანგელოზი, ათი წლის ქალი და ცხრა წლის ვაჟი. საერთოდ ქართველები, ქალებიცა და კაცებიც, ლამაზები და მოზღენილები არიან, ოღონდ ესაა, რომ მოზრდილთა გარეგნობას თავის მტკიცე დაღს ამჩნევს ხასიათიც, რომელიც აქ ყოველთვის როდია მათი სილამაზის დარი და ფარდი. მაგრამ თუ ადამიანი მართლა ღვთის ხატად და სახედაა შექმნილი, როგორც ამას ბიბლია გვასწავლის, ყველაზე უფრო ეს აქაურ ბავშვებზე ითქმის. ასეთი ლამაზი ბავშვები სხვაგან არსად შემხვედრია. უყურებ და ცხადად ხედავ, როგორ შემოგვტყერის

მათი საოცრად მეტყველი თვალებიდან ნათელი და შეურყვნელი სული. ჩვენი მასპინძელი თავადის შვილები, გარდა იმისა, რომ გარეგნული სილამაზითა და სინატიფით ყვაოდნენ, უალრესად ზრდილები იყვნენ, თავდაპირილები და მკვირცხლი და მოქნილი გონების პატრონები. თავადის მეუღლე სათნო ადამიანი ჩანდა, თავდაბალი და მოკრძალებული, ძალიან ცოტას ლაპარაკობდა და თვალებში თითქოს გაუგებარი ნალექი ედგა.

თავადმა გამოგვეკითხა, ვინ ვიყავით და საიდან მოვედით, ოღონდ არა ისე, როგორც მთავარმა გამომკითხა ერთხელ — დაწვრილებით და საფუძვლიანად — არამედ ზერელედ, თითქოს უინტერესოდაც. როგორც კი მის შეკითხვაზე პასუხს დავიწყებდით, ისეთი სახით დაგვიქნევდა თავს, თითქოს ყოველივე ეს მისთვის დიდი ხანია ცნობილი იყო და ის ქვეყანა, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა შემოვლილი, თუმცა მალე შევიტყე, რომ არათუ უცხოეთში, თავიანთ სატახტო ქალაქშიც კი მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი.

ვახშამი კარგი გავიმართეს, სასმელსაჰმელი უხვად იყო, მაგრამ ეს ვახშამიც რალაცით თავადის ღუნე სახეს ჰგავდა: ქართველთა ჩვეულების წინააღმდეგ, სუფრაზე უცხო თითქმის არავინ ყოფილა, ვინც იყო, ისინიც ცოტას და ხმადაბლა, თითქოს უხალისოდ ლაპარაკობდნენ. მეორე დღეს კი, ნასაუზმევს, თავადმა მოურავს სოფლიდან ერთი შავებში ჩაცმული დედაბერი ამოაყვანიდა და ჩვენი თავი მას ჩააბარა.

— ეს კაცები შენთან დამიბინავე და კარგად მიმიხედე, — უთხრა დედაბერს, — რაც რამ სარჩო და სანოვაგე დაგვირდება, მოურავს უთხარი და ყველაფერს მოგვემს. სადილ-ვახშამი გაუკეთე, სარეცხი დროზე დაურეცხე, სახლი სუფთად შეინახე და სხვაც, თუკი რამე სამსახური მოგთხოვონ, არაფერი დაიზარო. აბა შენ იცი! სამაგი-

ეროდ, რაც შენს ქმარ-შვილს ჩემი ვალი გაჰყვა, სულ მიპატიებია.

— ღმერთმა გადღეგრაქლოს, ბატონო, — მიუგო მორჩილად დედაბერმა.

დედაბერი სოფლის განაპირას ცხოვრობდა. პატარა, მაგრამ მოვლილი ეზო ჰქონდა, რომელშიაც ხის მსხვილ ბოძებზე შეყენებული მოზრდილი ოდა იდგა. ოდა სამი ოთახისგან შედგებოდა. ორი მათგანი დიასახლისმა მე და ანტონიოს დაგვიფარა.

ბებერი ნავაზი, რომელიც დიასახლისმა ხეზე დააბა, ყუფით იკლებდა იჭაურობას და, სანამ თავადის შინაყმები ბარგს ეზიდებოდნენ, სულ იმას ცდილობდა, როგორმე აეწყვიტა. მერე, როცა ისინი წავიდნენ, ცოტა დამშვიდდა, ხოლო საღამოს, ეზოში რომ გამოვედით, ანტონიოს გვერდულად მიაჩერდა, კარგახანს უყურა და ბოლოს, თითქოს რაღაც დაასკვნაო, ნელა შეარხია კული.

## დავითი

ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეჩვევა და დაახლოება, რასაც, ანტონიოსი არ ვიცო და, მე ყოველთვის იოლად ვახერხებდი, ამჟერად ძალიან გაგვიჭირდა. ასეთი კუშტი, შებლგაუხსნელი, სიტყვაძვირი ხალხი არსად მენახა. თუ გააჩერებდით და გამოელაპარაკებოდით, მოთმინებით კი მოვისმენდნენ, რადგან ზრდილობა და თავაზიანობა, რაც ოდითგანვე ძველსა და რბილში აქვთ გამჭდარი, სხვაგვარი მოქცევის ნებას არ აძლევდა, მაგრამ პასუხს მოკლედ მოგიპირიდნენ, მხოლოდ იმას იტყვოდნენ, რაც აუცილებელი იყო, ერთ ზედმეტ სიტყვას არ დაამატებდნენ. თქვენს მიმართ არავითარ ინტერესს არ გამოიჩენდნენ და, როგორც კი შესაფერის საბაბს იპოვნიდნენ, წამსვე გაგეცლებოდნენ. აქ არც

საჩუქრები გამოგვადგა — ყველა მოგზაურის ნაცადი და სსრმის რეზერტი. საჩუქარს კი იღებდნენ. რაღაც ამასაც თავაზიანობის გამო ჩადიოდნენ. სტუმრებს რომ საწყენად არ დარჩენოდით, თორემ შემდგომი ურთიერთობის ხიდი ამ საშუალებით, აშკარად ჩანდა, ვერ გაიდებოდა.

საერთოდ სიცოცხლე აქ, თითქოს რაღაც ძარღვი ჩაწყდომიყო, უცნაურად ჩუმად მიედინებოდა, დუნედ, გაუხედავად, მფრთხალი მოთმინებით...

თავიდან ეს ზოგადი და ბუნდოვანი შთაბეჭდილება მეგონა, რომელიც უცხო ადგილას ზოგჯერ უმიზეზოდ გიჩნდება ხოლმე კაცს, მაგრამ მალე დაერწმუნდი, რომ ამ შთაბეჭდილებას სერიოზული და დამაფიქრებელი საფუძველი ჰქონდა: აგერ უკვე ამდენი ხანია ამ ტაფობზე ვცხოვრობდით და არც ერთხელ სიმღერა არ გაგვეგონა. ვინც ქართველებს იცნობს, უეჭველად დამიდასტურებს, რომ ეს მართლაც უცხაური და საკვირველი რამ არის. ეს ხალხი ყველგან და ყოველთვის მღერის. სიმღერა მისი არსებობის ერთი უმთავრესი ძარღვთაგანია, შეიძლება ითქვას, თავის გატანის ერთი უმთავრესი საშუალება: ყველა შხამი, რაც კი ამქვეყნიური ცხოვრების სიმწარემ და ამაოებამ შეიძლება ადამიანის გულში დააგროვოს, ქართველებს სიმღერით გამოაქვთ, და ყოველგვარ გრძნობას. იქნება ეს დარდი თუ სიხარული, რისხვა თუ აღტაცება, სიყვარული თუ სიძულვილი, სიმღერაში ხარჭავენ. აქ კი სიმღერა არ გამოიგონია. გარდა ამისა, არასოდეს მინახავს, ბავშვები სოფელს გასცდენოდნენ და ტყეში შესულოყვნენ, ხოლო როგორც კი დაბინდებოდა, მშობლები მათ ეზოს გარეთაც კი აღარ უშვებდნენ.

რაც უფრო ვაკვირდებოდი ამ ხალხს.

მით უფრო მიპყრობდა ეკვი, რომ ყოველივე ამის უქან რაღაც გამოცანა იმალებოდა. ზოგჯერ მეჩვენებოდა, თითქოს აქაურობა ზებუნებრივ ძალას უცხო ჯადოთი შეეკრა და იღუმალი შიშით მოენუსხა; ეს იღუმალი შიში მთელ ტაფობს დასწოლოდა, ყოველივე გაეღვინთა და, ავად გატრუნული და გადაარაგებული, ხარბი მოუთმენლობით ელოდა უმცირეს მიზეზს, რომ შესაძლებლობიდან სინამდვილედ ქცეულიყო და უბედურების ქაბობობა დაეტრიალებინა.

როდესაც ჩემი ექვები ანტონიოს გავუზიარე და გამოირკვა, რომ თურქე მასაც იგივე გრძნობა გასჩენოდა, ეს იღუმალი შიში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

მაგრამ შიში შიშად, ხოლო ადამიანურ ეგოიზმზე კი ის შემოიღვინა ვთქვა, რომ ამ შიშის მიზეზს მაინცდამაინც არ ჩავლრმავებდით — ყოველ შემთხვევაში, მე არ ჩავლრმავებდით — ვინაიდან ეს მიზეზი, რაც არ უნდა ყოფილიყო და როგორც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი საქმის მოგვარებაში ხელს არ მიშლიდა, რაც მე მჭირდებოდა, იმისთვის ცივი და უგულო თავაზიანობაც კმაროდა: სულ მალე უამრავი ტყავი მაჩვენეს, რომელთაგან ბევრი ჩემთვის უცხო ნადირისა იყო, ტყავის გამოყვანისა და დამუშავების აქაური წესიც ამიხსნეს, სკისა და ფუტკრის — გასაოცრად მშვიდისა და თვინიერის — ზნე-ჩვეულება და მოვლა-პატრონობაც შევიწვავლე, ისიც გავიგე. როგორ იღებდნენ თაფლს, და იმედი მქონდა, რომ მაისის ბოლოს ჩემი თვალითაც ვნახავდი.

ამასობაში საბოლოოდ დათბა, ამინდებიც მშვენიერი დადგა და ერთ დღით მე და ანტონიო მადნის საძებნელად გავემგზავრეთ.

ამ დროისათვის დავითის სახელი უკვე რამდენჯერმე გვქონდა გავიწყობოდა. მაშინ ამისთვის არც ერთს არ მიგვიტყვიდა ყურადღება და მხოლოდ მერეღა მოვიგონეთ, რომ ამ სახელს

ყოველთვის ხმადობდა, შიშითა თუ კრძალვით წარმოთქვამდნენ და მწარმოთქმისთანავე პირჯვარს იჭერდნენ. ირიერთა თუ არა, ავდექით, ცხენები შევკაზმეთ, ცოტაოდენი საგზალი წავიღეთ, სოფელს გავცდით და ფერდობს შევეუყვით. მეგზური ვერ ვიშოვნეთ და იბულებული შევიქენით მარტონი გავდგომოდით გზას.

ქედ-ქედ ვიარეთ აღმოსავლეთის მიმართულებით, ის დამე ერთ პატარა გამორქვებულში გავათიეთ და მეორედღეს, დაღამების ხანს, შინ დავბრუნდით. ამ პირველ წასვლაზე მადნის ვერაერთარ კვალს ვერ წავეწყდით, თუმცა ამის გამო იმედი არ გადავწყვეტია, რადგან კიდევ მრავალი ადგილი გვქონდა მოსავლელი და სანახავი.

უქან მოკლე გზით წამოვედით. მართალია აქ ბილიკი არ იყო და ადამიანის ნავალი არსად ჩანდა, მაგრამ ცხენებს მივენდეთ, რომლებიც კლდე-ლრეებში სიარულს ნაჩვევი იყვნენ, და ტყე-ტყე დავუყვით ფერდობს. ფერდობის შუა წელს მიტანებული არ ვიყავით, როცა ანტონიომ უეცრად ცხენი შეაყენა და ქვემოთ რაღაცას დაკვირვებით დაუწყო კქერა.

— რა იყო, ანტონიო? — ვკითხე და მეც მის მზერას გავაყოლე თვალი.

— რაღაც ნაგებობა ჩანს, — მიბასუსხა ანტონიომ და თითი ქვემოთ გაიშვირა, — თითქოს ციხე უნდა იყოს.

მე დავაკვირდი. კარგახანს ვერაფერი გავაჩივ, ბოლოს კი ხეებსა და ხეებს შუა დავინახე კედლის ვიწრო ზოლი, რომელიც ქონგურებით ბოლოვდებოდა.

— ციხეა, — დავუდასტურე მე ვარაუდი.

— საკვირველი კია, ამ ტყეში ციხეს რა უნდა — დაექვებით თქვა ანტონიომ და მხრები აიჩიჩა.

გზა რომ განვაგრძეთ, შენობა ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ ხეებში მიიმალებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ბილიკს წავეწყდით. ბილიკი მარცხენა



მხრიდან ირიბად მოდიოდა და ქვემოთ უხვევდა. ჩვენც იმ ბილიკს დავადექით. მალე შენობა მთლიანად გამოჩნდა და დაერწმუნდით, რომ მართლა ციხე ყოფილა. მთის ფერდობზე, შუაგულ ტყეში, ერთი მოვაკებული ადგილი იყო და სწორედ ამ ვაკეზე იდგა მაღალი გალავნით შემოზღუდული მომცრო ციხე.

უტყრად ძაღლების ყეფა გაისმა. რამდენიმე ძაღლი ერთბაშად აყეფდა ძლიერი, ბოხი, ავი ხმით.

ჩვენ გაკვირვებულები და ცოტა არ იყოს შემკრთალები შევჩერდით. ნუთუ ამ განმარტოებულ, სოფლებიდან ესოდენ მოშორებულ ციხეში ვინმე სახლობდა? სანამ რამეს მოვიფიქრებდით, ყეფა შეწყდა. ისე უტყრად შეწყდა, მზად ვიყავით დაგვეჩერებინა, რომ ორთავეს ერთად მოგვეჩვენა.

რაკი ყეფა შეწყდა, გზა განვაგრძეთ. მალე გალავანში დატანებული რკინის გისოსებიანი ფართო კიშკარიც დავინახეთ. კიშკარს, თითქოს ზედაა ასხმულიო, წინა თათებით ატორლიალებოდა რამდენიმე ქოფაკი. ყურები დავეკვირტათ, დრუნჩები გისოსებს შორის გამოეყოთ, ბასრი კბილები გადმოეყარათ და ჩუმად, მაგრამ გაალმასებით გვიცქერდნენ.

ყველაზე მოულოდნელი და საკვირველი კი ის იყო, რომ ძაღლებს შუა ერთი მაღალი, ბეჭებანიერი, ზუჭუჭთმიანი ზანგი იდგა. სიშავისაგან ერთიანად ლაპლაპებდა. ხელები აქეთიქით ჩაეველო, გისოსებისთვის და გახვევებული, უტყვი სახით, რომელზედაც ერთი ძარღვიც არ უტოკავდა, თვალმოუშორებლივ მოგვეჩერებოდა.

პირველმა შეკრთომამ რომ გაგვიარა, ანტონიომ — ჩემი აზრით უფრო იმიტომ, რომ საკუთარი თავი დაერწმუნებინა, ყოველივე ეს სინამდვილე იყო და არა მოლანდება — გამარჯობა, მამობლოო, ქართულად გასძახა.

ანტონიოს ხმის გაგონებაზე ძაღლებმა ერთი ყრუდ დაიღრინეს და გა-

ჩუმდნენ. ზანგი არ შეჩერებულა, ისევ ისე უტყვი სახით მოგვეჩერებოდა.

მაშინ ანტონიომ მისალმნა: თურქულად გაუმეორა. ძაღლებმა კვლავ ჩაიღრინეს. ზანგს ძარღვიც არ შეტოკებია.

მე ვიფიქრე, ალბათ არც ქართული იცის და არც თურქული-მეთქი, ამიტომ კიდევ რამდენიმე ენაზე შევეხმიანე. ზანგი წარბშეუხრელად, მდუმარედ მოგვეჩერებოდა. ყრუ-მუნჯი იყო? არც ერთი ენა არ იცოდა? პასუხის გაცემა არ სურდა?

რაღა დაგვარჩენოდა? ცხენები შევატრიალეთ და გზა განვაგრძეთ. ვიდრე ბილიკი მარჯვნივ მიუხვევდა და ტყეში შევიდოდა, უჩინოდ მოუშორებლად ვგრანობდით ზანგის მზერას, და მე შეჩვენებოდა, რომ ამ მზერაში რაღაც იყო მღვრიე და ავბედითი.

იმ დროს ორთავეს, მეცა და ანტონიოსაც, ერთი და იგივე აზრი გვიტრიალებდა თავში: ეს იღუმალი ციხე და ტაფობის იღუმალი შიში ერთმანეთში იყო გადახლართული. ხოლო სალამოს, როდესაც დიასახლისმა ვახშამი შემოგვიტანა და მე რაც შემეძლო მშვიდი და უღარდელი კილოთი ვკითხე, ზემოთ, ტყეში რაღაც ციხე დავინახეთ და რა ციხეა ან შიგ ვინ ცხოვრობს-მეთქი, ეს ვარაუდი კიდევ უფრო განგვიმტკიცდა. დიასახლისმა სწრაფად შემხედა და თვალი წამსვე ისევ ამარიდა.

— ეშმაკის ციხეა, — თქვა, პირჯვარი გადაიწერა და დაუმატა, — ნუ გააცივებთ საქმელს, ახლავე ლენოსაც მოგართმევთ.

როგორც კი ლენოს შემოიტანა, მაშინვე გაბრუნება დააპირა, მაგრამ მე შევაჩერე და ვუთხარი, იმ ციხეში ვილაც კაცი დავინახეთ-მეთქი. ეს რომ გაიგონა, სახეზე შიშმა გადაუარა.

— მოგვეჩვენებოდათ, ბატონო. ეშმაკი იქნებოდა. ჯვარი აქაურობას! — აქ-ისევ გადაიწერა პირჯვარი და რა შეატყო, მე ისევ ვაპირებდი რაღაცის თქმას, მუდარის კილოთი დაუმატა, —

ნურადერს მკითხავთ, ბატონო, არ შეიძლება ამაზე ლაპარაკი!

იმ ლამეს მე და ანტონიო გვიანობამდე ვსაუბრობდით, ნაირ-ნაირ ვარაუდს გამოვთქვამდით და, თუმცა საბოლოოდ ვერადერს მივხვდით, ერთი უცნაური დასკვნა კი გამოვიტანეთ: ეს ხალხი თითქოს ორმაგი შიშით იყო შეკრული — ეშინოდა და, რომ ეშინოდა, ამისაც ეშინოდა.

ერთ დღეს თავადს ჩამოვუგდეთ ამ საგანზე სიტყვა. თავადი ზრუნვასა და ყურადღებას არ გვაკლებდა და კვირაში ერთხელ ან ორჯერ მშვენიერი სადილით გვიმასპინძლდებოდა, ოღონდ შიგადაშიგ იმასაც შეგვახსენებდა ხოლმე, რომ ჩვენი გამასპინძლება მის მოვალეობას არ შეადგენდა და თუ მანც გვიმასპინძლდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ გულმოწყალებისა და ხელგაშლილობის გამო. თუმცა, ღმერთო შეგკოდე და, მგონი უფრო იმიტომ გვაბატყებდა, რომ უცხოთა წინაშე ტრაბახით გული ეჭრა. ასე იყო თუ ისე, იმ დღეს, სუფრაზე რომ მართონი დავრჩით — ეს კი ტრაბახისათვის საუკეთესო დროა — ანტონიომ მკითხა:

— თავადო, ზემოთ რომ ციხეა, ტყეში, თქვენია ის ციხე?

თავადმა ექვის თვალით შემოგვხედა. ჭერ ანტონიოს, მერე მე. ბოლოს თქვა:

— არავისი არ არის. ეშმაკებისაა.

— ეშმაკების?

— კი. უხსოვარი დროიდან ეშმაკების ხელშია.

— მე და ბართოლომეომ კი ეზოში ადამიანი დავინახეთ.

თავადს ფერი წაუვიდა.

— საიდან დანახეთ?

— გვერდით ჩავუარეთ. ერთი ზანგი დავინახეთ. მგონი ყრუ-მუნჯი უნდა იყოს. თან ძაღლების ხროვა ახლდა.

თავადს უღვაშები აუცახცახდა და დიდხანს ხმა ვერ ამოიღო.

— ეშმაკი ქნებოდა, — თქვა ბოლოს, — ეშმაკი გეჩვენათ, — და მოულოდნელად გაბრაზდა, — მაგ ცი-

ხესთან გავლა არ შეიძლება! უწმინდური ძალა აგყვებათ! უნახსნა რომ გაიგოს, იმ ციხეს ახლო გაუქარეთ, ჩაგქოლავენ და მე ვალარადერს გიშველით.

მერე ისევ დაწყნარდა და უცებ ჩვენს ქალაქში დაბრუნებაზე დაგვიწყობა ლაპარაკი. შეეტყო, რომ — თუმცა თავისი სურვილი პირდაპირ ვერ გამოგვიცხადა — რაც მალე წაიდოდა, ის ერჩივნა.

ამგვარად ცხადი შეიქნა, თავადი თავის ხალხზე მეტად თუ არა ნაკლებად არ იყო შეშინებული.

მაგრამ რა იყო ამ შიშის მიზეზი?

მე ყოველთვის მჭონდა იმედი, რომ ის უნდობლობის ღობე, რაც ამ ხალხმა თავიდანვე შემოგვაგლო, აღრე თუ გვიან დაირღვეოდა, რადგან უნდობლობა კაცის ბუნებრივი თვისება არ არის. როდის ან როგორ გალღვებოდა ყინული, ამას ცხადია ვერ ვიტყვოდი, მაგრამ რომ გალღვებოდა, ექვი არ შეპარებოდა, და ბოლოსდაბოლოს გალღვა კიდევ.

მალე აქაურებმა შეიტყვეს, რომ ანტონიოსა და მე მკურნალობა გვეხერხებოდა. თავიდან ამ ამბავს უნდობლად შეხედნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთხელ ნადირის მიერ დაბეგვილი მწყემსი, რომელიც სასიკვდილოდ გადადებული ეგონათ, ორ დღეში ფეხზე დავაყენეთ, უნდობლობა ჭერ კეთილმოსურნე ექვით შეეცვალათ, მერე კი გაკვირებული აღტაცებით. და თუმცა ამ აღტაცებას ერთხანს კიდევ ბორკავდა შიში, ვინაიდან ჩვენს საქციელში უფრო ჭადოჭობას ხედავდნენ, ვიდრე ცოდნასა და ხელოვნებას, მაინც თანდათან გათამამდნენ, უფრო და უფრო გაბედულად გვიწვევდნენ შინ, უფრო და უფრო იმედიანად გვანდობდნენ თავიანთ ავადმყოფებს და ნელ-ნელა ჩვენსა და მათ შორის ის გულითალობაც აღმოცენდა, როდესაც კაცი კაცს თავის დარდს, თავის შიშსა და ექვს აღარ უმაღავს, და ბოლოსდაბოლოს,

უალრესად საიდუმლოდ, ყველაფერი გვიამბებს.

არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა ეს ამბავი. ჩემი მხრივ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ზოგი რამ აქაურებს საკუთარი თვალით ჰქონდათ ნანახი და ამდენად სანდო უნდა იყოს, ზოგიც აშუაგად ცრუმორწმუნეთა ფანტაზიის ნაყოფია, საერთოდ კი, ჩემი აზრით, ნამდვილი და გამონაგონი უღვთოდაა ერთმანეთში არეული და გადახლართული.

დიდო ხნის წინ მიტოვებულ ციხეში თურმე ბინა დაედო ყაჩაღების გუნდს, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია მთელ ამერ-იმერს თავზარს სცემდა. გუნდის მეთაური, სახელად დავითი, თავზეხელაღებული, დაუნდობელი და მოუხელთებელი კაცი, ჩვენი მასპინძელი თავადის უღამაზესი მეუღლის ძმა ყოფილა, უფრო სწორად, ნახევარი ძმა, მამამისს, აქაურობის პატრონსა და გამგებელს, საკუთარი მოახლე შეჰყვებოდა და მასთან საიდუმლო რომანი გაეჩაღებინა. ქალბატონს ქმრის ღალატი მაშინღა შეეცყო, როცა ურცხვი მოახლე ფეხმძიმედ შექმნილიყო და მუცელი დასტყობოდა. ქალბატონი გონიერი ქალი ყოფილა და უწინარეს ყოვლისა ოჯახის სახელს გაფრთხილებია. გულისთქმას არ აკყოლია, განგაში არ აუტეხავს, ქმრისთვის ჩუმიდ მიუტყეებია ცოდვა, ფეხმძიმე მოახლე კი ბარად გაუგზავნია და იქ ერთი თავისი შორეული ნათესავისთვის უფეშქაშებია. ამის შემდეგ ოჯახში კვლავ სიმშვიდე ჩამოვარდნილა და ის მყუდროების დამარღვეველი მოახლე ყველას დავიწყნია, მით უმეტეს, რომ მალე თავადი გარდაცვლილა კიდევ. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ — ქალბატონის ერთადერთი ასული, ამჟამინდელი ჩვენი თავადის მშვენიერი მეუღლე, მაშინ თორმეტი წლისა ყოფილა — ერთ დღეს გაჩუქებული მოახლე ისევ გამოჩენილა, თან თურქმე შეიდიოდე წლის ქერთიანი, მზესავით ღამაზი ბიჭუნა ახლდა. მოახლე პირ-

დაპირ ქალბატონთან მისულა, გამუღიდან წილი მოუთხოვია და მას დაუტყრებია, თუ ნებით არ მომცემს, ჩემი ქალამენებ ჩავიცივე, ხელთ რკინის ჯოხს დავიჭერ, ქვეყანას შევძრავ და ჩემს დავითს კი სამართალს გავუჩენო. ამ ამბავს ქალბატონი ძალიან შეუშფოთებია. იმის უარყოფა, რომ მოახლეს დავითი მართლა მისი ქმრისგან ჰყავდა, შეუძლებელი იყო: — დაძმა გაჭირილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს მართალია, მიუხედავად ამისა, ქონებას ხიფათი არ ელოდა, რადგან სასამართლოზე რომ მიმდგარიყო საქმე, ეჭვი არაა, ყველანი ქალბატონს დაუტყრდნენ მხარს და არა ხარკამოახლეს, მაგრამ მოახლემ კარგად იცოდა, რომ ქალბატონი ამ ამბავს არამც და არამც ქვეყნის სალაპარაკოდ არ გახდიდა, უმაღ მთელ ქონებას შეეღივოდა, ვიდრე სასამართლოს წინაშე წარდგებოდა და თავისი ოჯახის სირცხვილს გამოამხეურებდა, ამიტომ დამშვიდებული იყო და წყნარად ელოდა, როდის დაცხრებოდა ქალბატონის რისხვა, რომ მისი ადგილი საღ გონიერებას დაეჭირა. ქალბატონს კი სხვაგვარად განუსჯია. ერთხანს კი ცდილობდა თურმე საჩუქრებით მოეჭრათამა უტიფარი მოახლე და საქმე მიეფუჩეჩებინა, მერე კი, რაკი ამან არ გაჭრა, უკიდურესი ღონე უხმარია, რის შედეგად ერთ მშვენიერ დღეს მოახლე და მისი ვაჟი უკვალოდ გამჭრალან. მათი ასავალ-დასავალი დიდხანს არავის გაუგია და ალბათ ვერც ვერასოდეს გაიგებდნენ, ქალბატონი რომ სინდისის ქენჯნას არ დაეტანჯა და რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მღვდლისთვის აღსარება არ ეთქვა. აქაური მღვდლები — ცხადია ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ბევრი მათგანი კი ნამდვილად ასეთია — აღსარებას არაფრად აგდებენ და სხვისი საიდუმლოს გამხელად დიდ ცოდვად არ მიაჩნიათ. მართლაც, გარდაცვლილა თუ არა ქალბატონი, მყისვე მთელ კუთხეს შეუტყვია, რომ.

რაკი მოძალადე მოახლე საჩუქრებით ვერ დაუყოლებია და მიმხვდარა, მისი ოჯახის სირცხვილი შეიძლებოდა ქვეყნის სალაპარაკო გამხდარიყო, ქალბატონი ვილაც ავაზაკებს დაკავშირებულია — რა გზითა და რა საშუალებებით, არავინ უწყობდა — და მოახლე და მისი ვაჟი ისე უჩუმრად მოუტაცინებია, ეჭვი არავის აუღია. ყველაფერი ეს, დავითის აქამომდელი თავგადასავალი, აქაურთა თვალწინ მოხდა და მათი მონათხრობიც, პირადად მე, სარწმუნოდ მიმაჩნია. რაც ამის შემდეგ გადახდა დავითს, მართალია იმასაც ასეთივე დაბეჯითებით ყვებოდნენ, მაგრამ რა წყაროებიდან გაიგეს, ან რაშენად შეესატყვისება სინამდვილეს, მაშინ არ ვიცოდი. მოყოლით კი ყვებოდნენ შემდეგს: ავაზაკებს დედა-შვილი სტამბოლის ბაზარზე წაუყვანიათ და ვილაც ბერძენი ვაჭრისთვის მიუყიდიათ. მრავალი წელი დაჰყვეს თურმე იმ ბერძენთან, ბევრი გაჭირვებაც გამოიარეს — შიმშილი, სიცივე, შეურაცხყოფა, ავადმყოფობა. მთელი ამ ხნის განმავლობაში დედა სულ იმის ცდაში ყოფილა, შვილის გულში სიბუღვილი ელვებინა, რათა, დიდი რომ გაიზრდებოდა, შინ დაბრუნებულიყო, შური ეძია და მამულის ნაწილს, რომელიც კანონით მას ეკუთვნოდა, დაპატრონებოდა. სიკვდილის წინაც ანდერძად მხოლოდ ეს დაუბარებია, თუ გინდა ჩემმა სულმა საიქიოში მოისვენოს, ჩვენი გამამწარებლები გაამწარეო. დავითს, თუმცა კი დედას ანდერძის აღსრულებას აღუთქვამდა, შორეული მამული და შურისძიება დიდად არ ანაღვლებდა, სამაგიეროდ მთელი ბავშვობა მონობიდან თავის დაღწევასზე ოცნებობდა და, დედა რომ გარდაცვლია და საკუთარი თავის მეტი საზრუნავი აღარავინ დარჩენია, შეუსრულებია კიდევ წადილი: პატრონს გაპარვია და სტამბოლს გაქცეულა. მრავალი წლის განმავლობაში თურმე ქვეყნიდან ქვეყანაში დაწინააღმდეგებდა. პირველ ხანებში ძალიან გასჭირვებია.

უსახლკარო, ულუქმავურო, უნათესაო და არასმქონე ხან შემთხვევით ~~სამსუქ~~ შაოთხ ირჩენდა თურმე ~~სამსუქ~~ ~~სამსუქ~~ თილი ხალხი შეიფარებდა, ხან მდიდარი ოჯახების ახალგაზრდა მოახლეთა ხარჯზე ცხოვრობდა, რაც მისი სიღამაზის პატრონისთვის ძნელი არ იყო; სასოწარკვეთამდე მისული მათხოვრობასაც არ თავილობდა. მაღე, როგორც ხშირად ხდება, როცა კაცი ამგვარ ცხოვრებას ეწევა, საეჭვო ხალხში გარეულა. ჭერ წვრილფეხა მპარავეებს დაკავშირებია და ბაზრებსა და მოედნებზე ქურდობაში ხელი კარგად გაუწაფავს. მეერ ყაჩაღთა ბრბოში მოხვედრილა და მოგზაური ვაჭრების ნამდვილი რისხვა შექმნილა. ერთი ხანობა თურმე დაჭირავებული მკვლელის ხელობასაც მისდევდა და მრავალი ადამიანის ცოდვა დაუდვია. ბოლოს ბედმა საქართველოში ჩამოიყვანა, სადაც მასავით თავზეხელაღებულ რამდენიმე ავაზაკთან ერთად ბავშვების მოტაცებასა და მონებად გაყიდვას მიჰყო ხელი. დიდხანს დათარეშობდნენ თურმე აქ და დიდძალი ოქროც იშოვეს, მაგრამ ბოლოს მახეში გაეხდნენ და მთელი გუნდი მეკობრეთმძებნელებს ჩაუვარდა ხელთ. სამსჯავროს ყველასთვის სიკვდილი გადაუწყვეტია, მაგრამ როდესაც განაჩენის აღსასრულებლად სატუსალოდან გამოუყვანიათ, სათვალავში ერთი კაცი დაჰკლებიან. ეს ერთი კაცი დავითი იყო. უჩინმაჩინის ქუდი რომ არ ჰქონოდაო, ამბობდნენ აქაურები, ისე იმ სატუსალოდან ვერ გამოიპარებოდაო. როდესაც ქვეყანაში ჭეშმარიტი რწმენა მოიჩყვეა, არ შეიძლება იქ ცრუმორწმუნეობა არ აღორძინდეს, ამიტომ მე და ანტონიოს არ გაგვევირვებია, რომ ეს ხალხი დავითის სატუსალოდან გაქცევას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდა. ასე იყო თუ ისე, სატუსალოდან რომ გაპარულა, ახალი გუნდი შეუდგენია, თავად ჩადგომია სათავეში და ძველი საქმიანობა განუახლებია. ამ გუნდისთვის ქართველებს ვერაფერი მოუხერხებიათ. დავითი

ყველა ხაფანგს წინასწარ გრძობდა, ყველა მახეს იოლად უვლიდა გვერდს, ყველა მღვევარს უსსლტებოდა. არავინ იცოდა, ეს ნადირივით ფრთხილი და მოუხეტელთბელი კაცი როდის საღ ვამოჩნდებოდა, როდის რომელ სოფელს დააცხრებოდა და როდის რომელი გზით წავიდოდა. მალე ეშმაკეულის სახელი დაეარდნია. ამბობდნენ, სული სატანას მიჰყავდა, ამიტომ ტყვეია არ ეკარება და ხმალი არ ჰჭრისო. ეშმაკეულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ყველაფერი რომ ერთიმეორეს შგვაჯერეთ, მე და ანტონიომ დავითის მოუხეტელთბლობის ორი აშკარა მიზეზი დავინახეთ. ერთი ის, რომ ეტყობა მართლა ეშმაკივით მარჯვე და მოხერხებული იყო, თან ცბიერი, გულადი და დაუნდობელი. მეორე მიზეზი, უაღრესად სამწუხარო და რამდენადაც სამწუხარო, იმდენადვე სამარცხვინო, ის არის, რომ მუდმივი და უშიშარი ადგილსამყოფელი გაიჩინა. ყაჩაღის მთავარი მტერი არის არა მღვევარი, არამედ ერთთავად ტყე-ტყე წაწალი, კლდე-ღრეში და გამოქვაბულებში ღამის თევა, ნადირის ნახევრად ფხიზელი ძილი, დაძაბული სიფრთხილე, ხიფათის გაუთავებელი მოლოდინი. რაოდენ შამაცი და მარჯვეც არ უნდა იყოს კაცი, არ იქნება ადრე თუ გვიან ასეთმა ცხოვრებამ არ დალალოს, არ გამოფიტოს, ყურადღება არ მოუღღუნოს და საბოლოოდ სიცოცხლე სახრჩობელაზე ან ჯალათის ნაჯახქვეშ არ დაასრულებინოს. დავითმა, ეჭვი არაა, ყოველივე ეს კარგად იცოდა და დიდხანს ეძებდა მუდმივ ბუნაგს, სადაც დროდადრო დასვენება შეეძლებოდათ, მშვიდი ძილი და ძალების მოსაკრებად ესოდენ აუცილებელი უხიფათო ცხოვრება. აი, სწორედ მაშინ გახსენებია დედის ანდერძი და ისეთი გეგმა მოუფიქრებია, რომ მის სითამამეს მხოლოდ მისივე უტყუარობა თუ შეედრებოდა. აქაურობა ჯერ კარგად დაუზვერაეს და შეუსწავლია, მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, მთელი გუნდით ამოსულა და

მიტოვებულ ციხეში დაბანაკებულა. ციხეს, გარდა იმისა, რომ სოფლებიდან მოშორებით იდგა უღრან ტყეში და ყაჩაღებისათვის დასაბინავებლად ზედგამოჭრილი იყო, კიდევ ერთი დიდი ღირსება ჰქონდა, რომელიც, ჩანს, დავითმა იცოდა და კარგადაც გამოიყენა: იგი უხსოვარი დროიდან ადგილობრივ მცხოვრებთა შორის „ეშმაკის ციხის“ სახელით იყო ცნობილი. ძველი თქმულების თანახმად, ციხის პატრონი თურმე ეშმაკებს მოუჯადოებიათ, ჭკუაზე გადაუცდენიათ და საკუთარ ეზოში ხის ტოტზე თავი ჩამოუხრჩობინებიათ, ციხეს კი თვითონ დააპატრონებია. იმ დროს ციხის ირგვლივ, ფერდობზე, მრავალი მოსახლე მდგარა, მაგრამ ეშმაკებისაგან დამფრთხალები თანდათან ჭვემით, ტაფობში ჩამოსახლებულან. ამის შემდეგ ის ციხე მუდამ ეშმაკების ხელში ყოფილა და ხალხი არათუ გალავნის შიგნით შესვლას, ახლო გავლასაც ვერ ბედავდა. იმასაც ამტკიცებდნენ, დროდადრო, უფრო გაზაფხულზე და შემოდგომაზე, ციხიდან რალაც იდუმალი ხმები ისმისო. ასეთ ადგილას რომ კაცი ბინას დაიდებდა, რა გასაკვირია, ის კაცი აქაურ მცხოვრებთ, რომელთაც ჭეშმარიტ რწმენაზე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ეშმაკად მიელოთ, მით უმეტეს, რომ დავითს ამისთვის საგანგებოდ უზრუნვია და აქაურთათვის თავისი ეშმაკეულობის სხვა უტყუარი საბუთიე მოუცია: ციხეში ისე უჩუმრად შემოსულა, რომ არავის არაფერი გაეგო, ხოლო მეორე დღეს მონა ზანგი — სწორედ ის, მე და ანტონიომ რომ ციხის ჭოშკართან ვიხილეთ — ძაღლების ხრავით გარშემორტყმული და ნახევრად შიშველი ტაფობში ჩაუგზავნია, რათა იქ მწყემსებს ჩვენებოდა, რომლებიც ტყის პირას ნახირს უძოვებდნენ, და ამგვარად, თუ ვინმეს ჯერ კიდევ ეპარებოდა ეჭვი, რომ ციხეში ეშმაკები სახლობდნენ, ეს უკანასკნელი ეჭვიც მოესპო. ზანგს თავისი როლი ჩინებულად შეუსრულებია — თავზარდაცემულ

მწყემსებს ნახირი მიუტოვებით და უკანმოუხედავად გაქცეულან — ხოლო დავითსა და მის თანაგუნდელებს რომ ამის შემდეგ სამი ღამის განმავლობაში თავაშვებული ღრეობა ჰქონდათ, მცხოვრებლებს ეს ღრეობა ეშმაკების დაფა-ზურნად მიუღიათ და დაზაფრულები დიდხანს სახლებიდან გამოსვლას ვერ ბედავდნენ. მაშინ დავითს რამდენიმე კაცი გაუგზავნია, რომელთაც ჩვენი თავადი საკუთარ ეზოში უხმაუროდ შეუპყრიათ, გაუთოკავთ და მეთაურისთვის ცხეში მიუგვრიათ. აქამდე დავითისა მხოლოდ „სახელი იცოდნენ, ახლა კი, ჩვენს თავადს რომ გაუგია, ეს სწორედ ის დავითი იყო, რომელიც მისმა სიდედრმა სტამბოლის ბაზარზე გააყიდვინა, ისედაც შეშინებული მთლად წამხდარა. დატყვევებული რომ მიჰყავდათ, მონად გაყიდვის შიში ჰქონდა, ხოლო დავითის ვინაობა რომ შეიტყო, მონად გაყიდვა უკვე სანატრელი გაუხდა. შიშისაგან ესოდენ წამხდარ და გონებადაბინდულ კაცთან დავითს გარიგების დადება არ გასჭირვებია. თავადი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ კი თავისი თავი და თავისი ოჯახი გადაერჩინა. საბოლოოდ, დავითის პირობები რომ მოუსმენია, გამყოფილიც კი დარჩენილა, რადგან გაცილებით უარესის მოლოდინი ჰქონდა. პირობები ასეთი ყოფილა: პირველი და ყველაზე მთავარი — ყაჩაღთა გუნდის აქ ყოფნა საიდუმლოდ უნდა შენახულიყო და ამ პატარა ტაფობს არ გასცდნოდა, მეორე — სანამ ყაჩაღები ამ მხარეში დარჩებოდნენ, მათი რჩენა და სურსათ-სანოვავით მომარაგება თავადს უნდა ეკისრა. სამაგიეროდ, მამულის ნახევარს, რაც კანონით ეკუთვნოდა, არ მოითხოვდა, ყაჩაღების სხვა გუნდს, მთელ საქართველოში რომ დაძრწოდნენ, ამ მხარეში არ გააჰკანებდა და, თუ საჭიროება მოითხოვდა, აქაურობას სხვა მტრისა და მოძალადისგანაც დაიცავდა. ხოლო თუ ამ ჩემს პირობაზე უარს იტყვიო, უთქვამს დავითს, ან დამთანხმდე-

ბი, მაგრამ გულში ღალატს გაივლებ, მაშინვე არ მოგკლავო, ჩერ იმას გაყურებიან, აქაურობას როგორ გადაებუგავ, მერე იმას გაყურებიან, ჩემს საყვარელ დასა და პატარა დის-შვილებს როგორ დავაჭრი ყელებს, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოგაბამ ჩემს საუცეთესო ცხენს, რათა, სანამ სული არ ამოგხდება, ისეთ ადგილებში გათრიო, რომლებიც ყველაზე უფრო ბასრი და წვეტიანი ქვებით იჭნება მოფენილიო.

ადამიანის გამტყუნება ძალიან იოლია, როცა მის ტყავში არ ყოფილხარ და ყოველივეს მხოლოდ გარედან უყურებ, მაგრამ მაინც გაებედავ და ვიტყვი: ჩვენი თავადის ადგილას რომ სხვა, ნაკლებ მხდალი კაცი ყოფილიყო, ასეთ პირობებზე დათანხმებას არ იკადრებდა, სამარცხვინო უღელს არ დაიდგამდა და ყაჩაღის თანამზრახველი არ შეიქნებოდა. მაგრამ ჩვენი თავადი ლაჩარი იყო, შიშმა გონება აუმღვრია და სულის ის ნათელი დაუხშო, ურომლისოდაც ადამიანს არ შეუძლია მიხვდეს, რომ ამ ქვეყნად იმითმ არ მოვლევართ, სანამ სიკვდილი მოგვკლავდეს, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი სიცოცხლის შენარჩუნება იყო.

ამგვარად თავადი პირობას დათანხმდა და სამარცხვინო პატრონებითაც ასრულებდა. მეტიც: იმის შიშით, რომ დავითისთვის განრისხების საბაბი არ მიეცა და ცოლ-შვილი საიმედოდ ჰყოლოდა დაზღვეული, წლიურ სარჩოს იმაზე მეტს აძლევდა, ვიდრე პირობით იყო გათვალისწინებული. იმ დიდი შიშის შემდეგ, რაც გადაიტანა, ასეთ გარიგებას ბედის წყალობად თვლიდა. თან გულში იმედი ჰქონდა, რომ ამგვარი ვითარება დიდხანს არ გაგრძელდებოდა, ყაჩაღები მთავარს ჩაუვარდებოდნენ ხელთ, და თუ მთავარს არ ჩაუვარდებოდნენ, ადრე თუ გვიან აქედან იყურებოდნენ და სადმე სხვაგან გადაიხევენოდნენ.

ხალხს კი, ასეთი პატრონის შემხედვარეს, აბა რა უნდა ექნა!



საქართველოში ხშირად გამიგონია: როგორც ერთი, ისეთი ბერიო, რაც არსებითად იგივე სიბრძნეა — ოღონდ აქაურთა ჩვეულებისამებრ ხატოვანად გამოთქმული — რასაც ფილოსოფოსები ძველთაგანვე გვასწავლიან: მსგავსი მსგავსსა შობს. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამ კუთხეში (და საქართველოს ბევრ სხვა კუთხეშიც) მე ისეთი რამ ვიხილე, რომ ალბათ უმჯობესი იქნება ეს ანდაზა ამგვარად შევებრუნო: როგორც ბერიო, ისეთი ერთი. ხალხი აქ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მიწას ჩასცქერის და პიროფლიანი მუხლჩაუხრელად მუშაობს. ყოველივე დანარჩენზე ბატონი ზრუნავს. ხოლო ეს „დანარჩენი“ იმდენ ქამეს მოიცავს, რომ ხალხის ბედი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ბატონი ჰყავს. აქაურებს გულდღაღლი ბატონი ჰყავდათ, რომელმაც დავითის ეშმაკეულთან წილნაყარობით ისედაც დაზოფრული ხალხი კიდევ უფრო დააშინა, ტაფობის დატოვება და სადმე წასვლა ყველას სასტიკად აუქრამლა და, უფრო იმედიანად რომ ყოფილიყო, ერთგული ყმებიც დარაზმა და მეთვალყურეებად მიუჩინა. ხალხი, თუმცა თავს ზევით ძალა არ ჰქონდა და ნებუნებურად ბედს შეურთგდა, ბატონისაგან განსხვავებით მწარე ტკივილით გრძობდა, რომ უმძიმეს დანაშაულს ჩადიოდა. მართალია ამაზე ლაპარაკს ყველა ერიდებოდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ დავითის გუნდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ქალებსა და ბავშვებს იტაცებდა და ახალციხის ბაზარზე მონებდად ჰყიდდა. ყველამ იცოდა და ყველა მაინც დუმდა. გულხელდაკრეფილები უმოქმედოდ, სამარცხვინო მოთმინებით შეჰყურებდნენ ყაჩაღების პარპაშს და ამ უმოქმედობით, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მათი ავკაცობის თანამზრახველები ხდებოდნენ. ამის გამო იყო ხალხი შეძრწუნებული, თორემ გაჭირვება რა ბედენაა! შიშსა და გაჭირვებას შეჩვეული იყვნენ, მათს მამა-პაპასაც აუტა-

ნია, თვითონაც იტანდნენ და მათი შვილებიც იტანდნენ. შიშს იტანდნენ

აი, რატომ არავინ მღეროდა ამ მხარეში! არა შიშის გამო, არა გაჭირვების გამო, არა მწარე ხვედრის გამო, არამედ იმის გამო, რომ დანაშაულის გრინობა ლოდივით აწვათ და სინდისი ქენჭნიდათ. მე ზემოთ ვთქვი, ეს ხალხი ყველგან და ყოველგვარ ვითარებაში მღერის-მეთქი. ასეცაა. გაჭირვებულიც მღერის, შეშინებულიც მღერის, დამარცხებულიც მღერის, მშვიერ-მწყურვალეც მღერის, შიშველ-ტიტველიც მღერის, ობოლ-ობერიც მღერის, სიკვდილმისჯილიც კი მღერის. მხოლოდ ის ვერ მღერის, ვისაც სინდისი სუფთა არა აქვს.

როდესაც დავითის თავგადასავალს გვიყვებოდნენ, ამით აქაურები თავიანთ მადლიერებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ მრავალი ავადმყოფი განვკურნეთ, თორემ მათი მხრივ ეს დიდი და სახიფათო მსხვერპლი იყო, ვინაიდან თავადისაგან საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ, დავითის შესახებ ჩვენთან კრინტი არ დაეძრათ. თავადს, ბუნებრივია, ეშინოდა, აქედან რომ წავიდოდით, ამბავი არ წაგველო.

რაკი თავადი სულმდაბალი გამოდგა და ვერ გაბედა იმათზე ზრუნვა, ვისზე ზრუნვაც ღვთისა და ქვეყნისგან ევალეებოდა, ხალხის ერთადერთი მშველელი და ნუგეშისმცემელი მღვდელი უნდა ყოფილიყო, ბატონის შემდეგ მღვდელია მრევლის პატრონი და ქომიგი. მაგრამ აქაური მღვდელი აქაური ბატონის ფეხი იყო. კაცი ქამაში იცნობაო. ჩვენ არაერთხელ, როცა თავადთან ვიყავით ხოლმე სადილად, გვინახავს, რომ ეს ღვთისმსახური ისე ხარბად ჰამდა და სვამდა, თითქოს ეს მისი უკანასკნელი სადილი იყო და ეშინოდა, არაფერი დაკლებოდა. ასეთი კაცის იმედი აბა ვის უნდა ჰქონოდა!

მე და ანტონიომ მრავალჯერ ვცადეთ აქაურებისთვის აგვეხსნა, რომ არავითარი ეშმაკეული ძალა დავითს არ ჰქონდა და ყველაფერი ეს მხოლოდ მათ

დასაშინებლად მოიგონა, ხოლო რაც შეეხება იმ „ეშმაკს“, რომელიც მწყემსებმა თავიანთი თვლით ნახეს, ეს ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა ჩვენგანი, და რომ ასეთი შავი ფერის ადამიანები ქვეყნიერების მრავალ კუთხეში ცხოვრობენ, მაგრამ ვერაფერს დავაჭერეთ.

რა შეგვეძლოს ამგვარ ვითარებაში მე და ანტონიოს?

მე, საზოგადოდ, როცა კი უცხო ქვეყანაში ვარ, ყოველთვის იმას ვცდილობ, ადგილობრივ მკვიდრთა საქმეებში რაც შეიძლება ნაკლებად ჩავერიო, რადგან გამოცდილებით ვიცი, უცხოელის ჩარევამ შესაძლოა ასი შემთხვევიდან ერთხელ სარგებლობა კი მოიტანოს, მაგრამ ოთხმოცდაცხრამეტჯერ უშეშველად ზიანს მოიტანს. ამის მიზეზი ის არის, რომ ყოველ ქვეყანას თავისი კანონები აქვს, თავისი ადათ-წესები, თავისი ზნე-ჩვეულებანი, თავისი სულიერი წყობა, და როცა კაცი უცხო ქვეყანაში უსამართლობას წააწყდება და აღშფოთებული სიმართლის აღდგენას მოიწადინებს, ის ამ დროს საკუთარ, თავისი ქვეყნიდან წამოღებულ სიმართლეს იცავს, რომელიც აქ, უცხოეთში, შესაძლოა სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყოს.

მაგრამ ანტონიოს ვერაფერი შეეხსენებინე. რაც დრო გადიოდა, მით უფრო დრტივანავდა, ბორგავდა და ზოგჯერ, რისხევამორეული, შეპყრობილი ნადირივით აწყდებოდა აქეთ-იქით.

— გულისყურით გისმენ, ბართოლომეო, — მეუბნებოდა, როცა ვცდილობდი დამეშოშმინებინა და საშუალება არ მიმეცა რაღაც ისეთი ჩაეღინა, რასაც მერე აღარაფერი ეშველებოდა, — გულისყურით გისმენ და ყველაფერი, რაც კი ჩემში გონიერია, ფხიზელი და უსულგაშლი, უყოყმანოდ აღიარებს შენი ნათქვამის კეშმარტივებას. მაგრამ ჩემი არსების ის ნაწილი, რომელიც გონებას არ მორჩილებს და საბუთება სულ სხვა უფსკრულებში ეტებს, შეუბნება, რომ მართალი არა

ხარ. ლეტაებრივი სიმართლე კანონებსა და ადათ-წესებზე არაა დამოკიდებული და მე დარწმუნებული ვარ, იმ ვითარებაში, რომელშიაც მე და შენ განგების ძალით აღმოვჩნდით, ჩარევა აუცილებელია, თუნდაც ამან ზიანი მოიტანოს; რადგან ჩაურევლობა დანაშაული და ცოდვა იქნება. განა შენ სადმე, რომელიმე ქვეყანაში, გინახავს, სიმართლე ყაჩაღთან, მკვლელთან, ბავშვების გამტაცებელთან ვარჩევასა და ლაჩრულ მორჩილებას დასტურს აძლევდეს? არა, ბართოლომეო, ღმერთს ადამიანი ასეთი არ შეუქმნია.

— ღმერთი შორსაა. ადამიანურ სიმართლეს კი მუდამ დრო-ჟამის ბეჭედი აზის. სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა სიმართლე აქვს. ერთსა და იმავე ქვეყანასაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიმართლე აქვს. როცა ქვეყანა ძლიერი და ღონიერია, ერთ სიმართლეს აღიარებს, როცა დაეცემა და დაძაბუნდება, სხვა სიმართლეს ირჩევს. ყაჩაღთან ვარჩევა რომ დანაშაული და ცოდვაა, ყველამ კარგად იცის, მაგრამ ეს განგებაა, ბედის განჩინება, დრო-ჟამმა კი ეს ხალხი აიძულა თავის სიმართლედ მორჩილება და მოთმინება აერჩია.

— დრო-ჟამმა კი არა, ბართოლომეო, ამ კურდღელივით მშიშარა თავადმა აიძულა. მაგის ადგილას რომ ისეთი კაცი იყოს, როგორიც ახალგაზრდა მთავარია, განა მაშინაც მოთმინებას ამჯობინებენ!

— ეს თავადიც დრო-ჟამის ქმნილებაა. რამდენი კაცი გეგულება მთავრის ამაღაში, რომ კეშმარტივი სიმართლის აღიარება გაბედონ?

— ცოტა, ბართოლომეო, ძალიან ცოტა. მაგრამ ყველაფრის მოთმენა მაინც არ შეიძლება.

— რომც არ მოვითმინოთ, რა შეგვიძლია მე და შენ, ორ უცხოელს? ვთქვათ, ქალაქში წავედით და ყვილაფერი მთავარს ვაუწყეთ. მერე? ვინ მოგვცემს იმის რწმუნებას, რომ ორგული დიდებულებით გარშემორტყმულ-

ლი მთავარი შეძლებს ისე ჩუმად და საიდუმლოდ იმოქმედოს, დაეითმა ყოველივე წინასწარ არ შეიტყოს და თავისი საზარელი მუქარა სისრულეში არ მოიყვანოს? შენ იმედი გაქვს, რომ მთავარი უშეკველად შეძლებს ამას?

— არა, მაგის იმედი არა მაქვს, — ნალვლიანი კილოთი თქვა ანტონიომ.

— მაშ, რა ვქნათ?

— ერთი გზა არსებობს, ბართოლომეო. დაეითი ახლა აქ არ არის და როდის გამოჩნდება, არავინ იცის.

— შესაძლოა ხვალვე გამოჩნდეს. შესაძლოა რამდენიმე თვეს არ გამოჩნდეს.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ხვალ არ გამოჩნდება.

— მერე?

ანტონიო სწრაფად, ფიცები ნაბიჯით მიმოდითადა ოთახში. მთელი სხეული უკიდურეს ზომამდე ჰქონდა დაძაბული. ერთხანს უხმოდ იარა ასე, ბოლოს მოწყვეტით შედგა ჩემს წინ და თვალი თვალში გამიყარა.

— თავადი უნდა დაეიყოლიოთ, ბართოლომეო.

— თავადი? რაზე უნდა დაეიყოლიოთ?

— ბრძოლაზე. თავადი თუ დაეიყოლიოთ, ხალხიც გამოვა. ჩუმად, საიდუმლოდ დავრახმავთ ყველას, ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლია, და როდესაც დაეითი გამოჩნდება, თავისივე ციხეში დავეცივით.

მე მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდი, რომ ეს უგუნური გეგმა იყო, რომელიც სიკეთეს არავის მოუტანდა, არც ამ ხალხს და არც ჩვენ.

— შენც კარგად იცი, ანტონიო, — ვუთხარი მე, — რომ აქაურ მცხოვრებთ თავადისგან ნაბრძანები ჰქონდათ, დაეითის ამბავი ჩვენთვის არ გაეგებინებინათ. ისინი კი ბრძანებას გადავიდნენ და საიდუმლო გაგვანდეს, რაც მათი მხრივ დიდი გაბედულება იყო და ჩემი აზრით იმის ნიშანია, რომ ვერც დაეითმა და ვერც საკუთარმა ბატონმა ამ ხალხს ადამიანური სახე ჯერ

კიდევ ვერ დააკარგვინა, მაგრამ საიდუმლოდ ხომ შენახავა უნდა თავადი რომ მართლა დაეიყოლიოთ, მაშინ შენი გეგმა ეგებ გამართლებულიც იყოს, მაგრამ თუ თავადი ვერ დაეიყოლიოთ — და გარწმუნებ, ასეთ კაცს ვერც ვერასოდეს დაეიყოლიებ სახიფათო საქმეზე — მაშინ მაგ შენი გეგმის ერთადერთი შედეგი ის იქნება, რომ ხალხს, რომელიც გვენდო, ჩვენი დაბეზლებით ახალ ხიფათს გავუშვადებთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამით ჩვენც დიდი საშიშროება გველის, რადგან თავადი, რა შეიტყობს, დაეითის ამბავი გავიგეთ, ყოველნაირად ეცდება აქედან ცოცხალი აღარ გავვიშვას.

ანტონიო ერთხანს თვალმოუშორებელი მიყურებდა. მერე ნელა შეტრიალდა, სარკმელს მიადგა და წყნარი და ჩუმი, ცოტა მორიდებული კილოთი მკითხა:

— გეშინია, ბართოლომეო?

მაცხოვრის სახელს ვფიცავ, არ შეშინოდა.

— არა, ანტონიო, — მივუგე მე, — სიკვდილის არ შეშინია. მე მხოლოდ იმის შეშინია, ჩვენი წინდაუხედაობით ეს ხალხი უარეს განსაცდელში არ ჩავყაროთ.

და კიდევ იმის შეშინოდა, ანტონიოს რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა არ ჩაედინა. ვხედავდი, რა მძაფრად განიცდიდა იმ უკეთუბებას, რაც აქ ტრიალებდა, იმასაც ვატყობდი, რომ სინდისის ქენჯნა, რამაც აქაურებს სიმღერა დაეიწყა, თავის წარსულს აგონებდა და საკუთარი სინდისის ქენჯნას უახლოებდა.

უგულო არც მე ვყოფილვარ. მეც მაწუხებდა ამ ხალხის ბედი, მაგრამ მე იმ ქვეყანაზე ვფიქრობდი, რომელმაც აქ გამოგვეზავა, ბოლოს ისეთი გეგმა მოვიგონე, რომელსაც ანტონიო უნდა დაემშვიდობებინა და, საერთოდ, ჩემი აზრით ერთადერთი სწორი გზა იყო.

— ანტონიო, — ვუთხარი ერთხელ, როდესაც ეს ჩემი გეგმა კარგად აეწონა-დაეწონე, — თუ ვიჩქარებთ, ერთ

კვირაში აქ ყველა საქმეს მოვითავებთ. ერთი კვირის შემდეგ ქალაქში დაბრუნდეთ და მთავარს არა და მამა სებასტიანეს კი ყველაფერი ვაცნობთ. ვიცი, არ გიყვარს ჩვენი წინამძღოლი. არც გამტყუნებ, მაგრამ იმას ხომ ვერ უარყოფ, რომ ჰკვიანია, წინდახედული და ლეთისმომშიში! გარდა ამისა, მეტი უფლებებიცა აქვს, ვიდრე მე და შენ. ყველაფერი დაწერილებით ვუამბოთ და დაე მან გადაწყვიტოს, რა უმჯობესი იქნება და როგორ მოვიქცეთ.

ჩემი თათბირი ანტონიოს ჰელაში დაუჯდა და გადაწყვიტეთ ასეც მოვექცეულიყავით.

მომდევნო დღეს კიდევ ერთხელ გავემგზავრეთ მთაში, რათა საბოლოოდ დავრწმუნებულყავით, რომ სპილენძის მადანი, რაზედაც ქალაქში ბევრი მელაბარაყეს, სინამდვილეში იმდენად ცოტა იყო, ხარჯის გაწვევად არ ღირდა. სამაგიეროდ ტყავების ნიმუშები ბლომად შევიძინე. გარდა ამისა, თავადი, რომელიც აშკარად კმაყოფილი დარჩა, ჩვენი მალე გამგზავრების ამბავი რომ შეიტყო, შემპირდა, მთისის თათლს, როგორც კი ამოვიღებ, მაშინვე გამოგვიგზავნო.

ამასობაში ოთხი დღე გავიდა. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ვპარაულობდით. წვრილმანი საქმეებილა დაგვრჩა მოსაგვარებელი, რასაც სამ დღეში თავისუფლად მოვასწრებდით.

მაგრამ, როგორც ქართველები იტყვიან ხოლმე, კაცი ბჭობდა და ლმერთი იცინოდაო.

გამგზავრების სამზადისი უკვე დაწყებული გვქონდა, როცა, ერთ საღამოს, ხმა გავარდა, დავითის გუნდი მთავრის დიდ რაზმს წაწყდომია და ტყვედ ჩავარდნილა, თავად დავითი შეტაკების დროს მოუკლავთო.

ეს მოულოდნელი ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ტაფობს. ხალხი ახალ ამბავს ჩურჩულით უზიარებდა ერთმანეთს და სასოებით იწერდა პირველს.

თავადმა მე და ანტონიოს კაცი გა-

მოგვიგზავნა, ვახშმად დაგვპარტია და, რის გამხელასაც აქამდე ყველას სასტიკად უჯრძალავდა, განარებულმა ახლა თვითონვე გვიამბო.

უფრო სწორად, ამ ისტორიის საკუთარი ვერსია გვიამბო, რომელშიაც თავად ძალგულოვანი გმირის, მოწყალე პატრონისა და სულგრძელი ნათესავის როლს განასახიერებდა. დავითის კაცებმა რომ საკუთარი ეზოდან გაიტაცეს, ამაზე კინძტი არ დაუძრავს, არც სამარცხვინო გარიგებაზე დასცდენია სიტყვა. მისი ნაამბობის მიხედვით ისე გამოდიოდა, თითქოს დავითი თვითონ ეახლა, მუხლებში ჩაუყარდა, კაცი შემომავცდა, დასაქერად დამდევინ და წასასვლელი არსაითა მაქვსო, უთხრა და სასოწარკვეთით შემოეხვეწა, ვიცი, კეთილი და ღირსულოვანი ბრძანდები, ნუ გამწირავ და ტყე-ლრეში სახეტილოდ ნუ გამიმეტებ, მოიღე მოწყალეობა და ნება დამართე მცირე ხნით „ემშაკის ციხეს“ შევეფარო. თავადმაც შეივრდომა. ან კი რა ექნა? ნათესავი იყო, საყვარელი მეუღლის სისხლი და ხორცი. აბა რა იცოდა, რომ წუნკალი თურმე ურცხვად ტყუოდა, სინამდვილეში ავაზაკი ყოფილა და ავაზაკობას მისდევდა! ეს რომ სცოდნოდა, სისხლსა და ნათესაობას სულ არ მიხედავდა, გულს გაიტყავებდა და, თუნდაც ამით დიდი ცოდვა დაედო, გველს საკუთარი ხელით გაუჩეჩქავდა თავს. ნათესავი კი არა, ლეიძლი მძაც რომ ყოფილიყო, ბავშვების გამტაცებელსა და ქვეყნის ამწიოკებელს როგორ დაინდობდა! როცა ნამდვილი გაიგო — გავებით კი ამ ერთი თვის წინ გაიგო — ასეც გადაწყვიტა, დაბრუნდებოდა თუ არა, საკუთარი ხელით უნდა მოეკლა. მაგრამ განზრახვას არაღის უმკლავებდა. სიფრთხილეს თავი არა სტკივია, ვითუ იმ წუბაკს შეეტყო და მაშინ ხომ აქეთ პირს აღარ იზამდა!

თავადმა კიდევ ბევრი იტრაბახა, როგორც ეს ლაჩრებს ჩვევიათ, განგების ძალით რომ მოულოდნელად ვითარების ბატონ-პატრონი შეიქნებიან.

ბოლოს, ტრაბახობით რომ გული იჭე-  
რა, გვითხრა:

— მაღლი უფლას, ჩემს ჩაურევლად  
აღსრულდა სამართალი და ნათესავის  
სისხლით არ შევიღებე სუფთა ხელე-  
ბი. მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით მაინც  
რამე უნდა ვიღონოთ. ხომ იცით, ხა-  
ლბი ბნელი და ავეყია, შეიძლება ხმა  
დამიგდონ, ვითომ ვიცოდი რომ ყაჩა-  
ლი იყო, მაგრამ ნათესაობით ხელს ვა-  
ფარებდი. ამიტომ ხვალ ეკლესიაში  
ჩვენი მღვდელი საჭაროდ შეაჩვენებს.

— მკვდარს? — გაუკვირდა ანტონი-  
ოსი.

— რა უჭირს, — თქვა თავადმა, —  
იცოცხლეთ, ჯობდა, ჯერ შეგვეჩვენე-  
ბა და მერე მოგვეკლა, მაგრამ არც  
ასე დაშავდება რამე. ხომ უნდა გაიგოს  
ყველამ: როცა საქმე სიშართლის დაც-  
ვაზე მიდგება, ნათესაობა მე ჩირად არ  
მიღირს!

თავადის შემზარავმა ტრაბახმა მე და  
ანტონიოს გუნება მოგვიშხამა და ნა-  
ვანშემევს გულდამძიმებულები წამოვე-  
დით შინ.

გზაში არც ერთს ხმა არ ამოგვიღია.  
ანტონიოსი არ ვიცი და მე კი ისეთი  
გრძნობა მქონდა, თითქოს მთელ სხე-  
ულში მატლები დამიდიოდნენ.

შინ რომ დაბრუნდით, ეზოში საბ-  
ლის პატრონის ძალი კუდის ჭიციანით  
შემოგვეგება და, როგორც ყოველთ-  
ვის, ანტონიოს აეტორღილა. ანტონი-  
ოს მივალერსა, დიდხანს უსვა ხელი  
თავ-კისერზე, მერე უცებ მომიბრუნდა  
და მითხრა:

— ასეთ კაცს რომ შეკრული ხელ-  
ფეხი გაეხსნება, ის ბაქიობას აღარ დას-  
ჯერდება.

— რას იზამს? — გაკვირვებით ვკი-  
თხე მე და მხრები ავიჩეჩე.

— არ ვიცი, — აქ ცოტა ხანს გაჩუ-  
მდა. მთვარის შუქი ირიბად სცემდა და  
მე წამით ის ფანტასტიკური პროფილი  
მომავონდა, ერთხელ რომ ჩამუქებული  
ზღვის ფონზე უცნაურ ხილვასავით გა-  
კრთა. მერე ნაღვლიანი კილოთი განა-  
ვრძო, — ლაჩარი რომ უეცრად ძა-

ლას იგრძნობს, ის ისეთივე საშიშია,  
როგორც მონა, რომელსაც შემთხვევა  
ბატონად აქცევს. ძალამოცემული ლა-  
ჩარი ჩვეულებრივ იმაზე იყრის ჯავრს,  
ვინც მისი სილაჩრის მოწმეა...

იმ ღამეს სოფელში სიმღერა გაისმა.  
ჩუმი, წყნარი, თითქოს გაუბედავი,  
თითქოს ნაღვლიანი, მაგრამ მაინც სი-  
მღერა, რომელიც, როგორც დაგუბე-  
ბული წყალი იპოვის მცირე რამ ბზარს  
და წაწყვარით გადმოეშვება, ისე წაწყ-  
ვარით მოედინებოდა ღამის მღვდლარე-  
ბაში.

ღილით ზარების რეკვა ატყდა და  
ოთხივე სოფელმა ეკლესიას მიაშურა.

მე და ანტონიოს, როგორც საპატიო  
სტუმრებს, ეკლესიაში თავადმა იმთა-  
ვითვე თავისი ოჯახის გვერდით მიგ-  
ვიჩინა ადგილი. ახლაც მათთან ერთად  
შევედით. თავადსა და მის მეუღლეს  
შვილები წინ ეყენათ და თითო ხელი —  
ქმარს გოგონასათვის, ხოლო ცოლს ვა-  
ჟისთვის — მხარზე ედოთ. მე და ან-  
ტონიოს ოდნავ გვერდზე და ნახევარი  
ნაბიჯით უკან ვიდექით. ეკლესია გა-  
ჭედილი იყო ხალხით და პაერში ოფ-  
ლისა და ჭუჭყის სუნი ტრიალებდა.  
საერთოდ, მთელ ამ კუთხეს ეს ერთი  
პატარა სამლოცველო ემსახურებოდა  
და, უნდა ითქვას, აქამდე საცხებიტაც  
პყოფნიდა, რადგან ხალხი მაინცდამა-  
ინც არ იწუხებდა თავს ღვთისმსახუ-  
რებისათვის. დღეს კი, რაკი გაიგეს,  
მღვდელმა დავითი უნდა შეაჩვენოსო,  
მთელი ტაფობი დიდიან-პატარიანად  
ეკლესიას მოაწყდა. შიგნით ხომ ტევა  
არ იყო, ეზოშიაც იმდენი ხალხი ირე-  
ოდა, ნემსი არ ჩავარდებოდა, თუმცა  
ჩვენ მაინც ხალვათად ვიყავით, რად-  
გან ხალხი ბატონის შევიწროებას ვერ  
ბედავდა.

მღვდელს, რომელიც წუხელ ჩვენ-  
თან ერთად იჯდა თავადის სუფრაზე და  
კარგადაც გამოთვრა, ეტყობოდა გამო-  
საფხიზლებლად ცოტა ამ დილითაც  
დამატებინა. თვალის უკეები და ლო-  
ყები შემუშაბებოდა და, ისედაც მსუქა-  
ნსა და ფერხორციანს, სახე ვარდის-

ფრად უღაქლაებდა. ეს კაცი, გარდა იმისა, რომ მუცელს აღმერთებდა, უწინგურად იყო. მე და ანტონიოს ხშირად გვიხდებოდა მასთან შეხვედრა — უმთავრესად თავადის სახლში — და დარწმუნებული ვარ, წმინდა წიგნი ბოლომდე წაკითხული არც ჰქონდა, ან თუ წაკითხული ჰქონდა, ვერავითარი სარგებლობა ვერ გამოეტანა. ამ ქვეყანაში ხშირია შემთხვევა, როცა მღვდლად ამწესებენ არა იმას, ვინც ამ საქმისთვის უფრო გამოსადეგია, არამედ იმას, ვინც ეპისკოპოსს სხვაზე მეტ ჭრთავს მთავრად. ეს ჩვენი მღვდელი სწორედ ამგვარ ღვთისმსახურთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მას თავის ღრობე დიდი საფასური გადაუხადა იმისთვის, რომ მღვდლის აღმწილი ეშოვა, ამიტომ ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა, დანახარჯი ამოეღო და შეძლებისდაგვარად მოგებაც ენახა. საკვირველია, რომ ასეთი მოძღვრის ხელში აქაურ, ხალხს სულის ნათელი საბოლოოდ არ ჩაუქრა და სინდისის ხმა სამუდამოდ არ დაეხშო. მამაო ჩვენოს მეტი ზეპირად მე მგონია სხვა არაფერი იცოდა, წირვისა და ქადაგების დროს გაუგებრად ლულულებდა, ქმინავდა და გამუდმებით ბორძიკობდა. ახლაც ასე იყო, მაგრამ დავითის ამბავზე რომ გადავიდა, მოულოდნელად ისე შეიცვალა, ყველანი სახტად დაერჩით. ხმა იმხანინი გაუხდა, კილო — მკაფიო და დაჭერებელი, ისე მწყობრად აღაპარავდა, ისე ლალად და დალაგებულად, რომ ჩვენს წინაშე ნამდვილი მჭევრმეტყველი ქადაგი იდგა. ხალხმაც იგრძნო ეს უცნაური ცვლილება და, თუ აქამდე ხმაურობდა, ახლა ერთიანად გაიხსნა. გარეთაც, ეზოში, სიჩუმე ჩამოვარდა. ვინც მოახერხა და სხვას მოასწრო, შემოსასვლელში ჩადგა, რათა უკეთ მოესმინა.

მღვდელმა დიდხანს ილაპარაკა დავითის ავკაობაზე, დაახლოებით, ოლონდ ცოტა შერბილებულად და ცოტა ბუნდოვნად, გაიმეორა ის, რაც თავადმა გვიამბო; და ღმერთს მაღლი შეს-

წირა, რომ ამ ავაზაკს, ამ გველს, ამ სატანას სამაგიერო მიეზღო. მერე გვიმარტი მალლა აღმართა, ხმასაც კიდევ უფრო აუწია და ომახიანად განაგრძო:

— კრულ იყოს საშო — დავითის მშობელი! კრულ იყოს პური — დავითის გამომზრდელი! კრულ იყოს სახლი — დავითის შემფარებელი! უფალი ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს სახელით შეჩვენებულ იყოს უკუნიით უკუნისამ...

მერე, როცა ეს საკვირველი დღე მიიწურა, მე შევეცადე ყოველივე თანმიმდევრულად აღმედგინა და გამეხსენებინა, რათა ის, რაც დილას მხოლოდ გულით დავინახე, ახლა გონებით დამეინახა, მაგრამ ამ მცდელობიდან არაფერი გამოვიდა, აზრი ამოდ ცდილობდა აზვირთებულ განცდებში სიმწყობრე და სინათლე შეეტანა, იმდილადელი შთაბეჭდილება სამუდამოდ გრძობიერ შთაბეჭდილებად დარჩა. შთაბეჭდილება კი ისეთი იყო, თითქოს რამდენიმე უცნაური მოვლენა ერთდროულად და ერთმანეთში არეულად მოხდა. სრულ სიჩუმეში, როდესაც ირგვლივ ყველანი გატრუნულნი იყვნენ და ხარბად, გაფაციცებით უსმენდნენ მღვდლის თავდაფიწყებულ ღლადს, ანაზად ეზოდან რაღაც ხმა მოისმა. არა აზრი, არა სიტყვა, არამედ დაუნაწევრებელი ბგერა, შიშის, განცვიფრების, სასოწარკვეთის გამომხატველი ბგერა, თითქოს ეზოში თავმოყრილმა ხალხმა რაღაც თავზარდამცემი სასწაული იხილა და ამით გამოწვეული უნებური, ერთბაშად ამოხეთქილი გმინა, ტკივილისა და სიმწრის ერთ მკვრივ, მძიმე გორგლად შეკრული, ელესის ღია კარში შეხვიით შემოვარდა. იმავე წამს მღვდელს სიტყვა გაუწყდა პირი გაღებული და ცოტა მოღრეცილი დარჩა, გეგონებოდათ ამტყარებესო. ფერი არ შეცვლია და ეს იმდენად საკვირველი არ იყო, რამდენადაც შემზარავი, რადგან ამ ნახაუსევე, წითლად მოღაქდავე სახეს რომ სიკვდილის შიში შეერია, ისეთი გამომეტყველება და-



ედო, თითქოს მის წინაშე უცერად ჯოჯოხეთის კარიბჭე გაღებულიყოს. თვალები გაუფართოვდა (მარჯვენა რატომღაც უფრო მეტად, ვიდრე მარცხენა), ხელი, რომელშიაც ზეალმართული ჯვარი ეჭირა, ისე აუცახცახდა, რომ რამდენიმე ხელი და რამდენიმე ჯვარი მოჩანდა. ხალხის გმინვა ჯერ ისევე გუგუნებდა ეკლესიაში, რომ მის უკან რაღაც სხვა ხმა მოისმა, რომელიც წამის შემდეგ, როდესაც გმინვა კედლებს შეასკდა და დაიმსხვრა, კიდევ უფრო მკაფიო შეიქნა. ახლა, სრულ სიჩუმეში, მხოლოდ ეს უცნაური, გაუგებარი ხმა ისმოდა, რომელიც თითქოს რაღაცას მაგონებდა, მაგრამ ვერ მომეგონებია, რადგან ვგრძნობდი, რომ ის, რასაც მაგონებდა, შეუძლებელი იყო ეკლესიისთვის დამეკავშირებინა.

ყოველივე ეს — გმინვის გორგალიც, მღვდლის მოულოდნელი გაქვავებაც, ის გაუგებარი ხმაც, რომელიც აქ, ეკლესიაში, ყრუ მკრეხელობად გაისმა და ჩანს სწორედ ამიტომ ვერ გამოვიცანი, ყოველივე ეს ელვის სისწრაფით, ერთი თვალის დახამხამებაში მოხდა, ვიდრე თავის მიტრიალებას მოვახსრებდი, ის ხმაც მიწყდა და ირგვლივ კვლავ სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. თავი რომ მივატრიალე, დუმილი კიდევ ერთხელ დაირღვა. პაერში რაღაცამ გაიზუზუნა. მომეჩვენა, თითქოს ხალხის თავზემოთ, გუმბათქვეშ, გველმა გაივლეა, რომელიც კლავნითა და სისინით მიჭროდა საკურთხევისაკენ. თავიდან მართლა გველი მეგონა, მაგრამ მყისვე, როდესაც მღვდელს თავზე ყულფი ჩამოეცვა, მივხვდი, რომ ქამანდი იყო. ქამანდის ბოლო შუაგულ ეკლესიაში მარჯვენა ხელით ეჭირა მხედარს, რომელიც სპარსულ მინიატურაზე გამოსახულ ნახატს ჰგავდა. მღვდელმა განწირულების უკანასკნელი, სასოწარკვეთილი სიმარჯვით მოასწრო ორივე ხელი, რომელთაგან ერთში ჯერ კიდევ ჯვარი ეჭირა, თავზე ჩამოცმულ ყულფსა და ყელს შორის შეეყუ. რაკი ეს მოახერხა, გამწარებით

ჩააფრინდა ყულფს და რაკ ძალი დაღონე ჰქონდა აწეებოდა, რათა უკლი დაეცვა. სახე ჯერ კიდევ წითლად უღელავებდა.

ერთბაშად ვერ მივხვდი, რომ მხედარი, რომელსაც ქამანდის ბოლო ეჭირა, დავითი იყო: არა იმის გამო, რომ მთელი ტაფობი და მის კვალობაზე მე და ანტონიოც, მკვლარად ვთვლიდით. ეს ვერ შემიშლიდა ხელს. ხელი სხვა რამემ შემიშალა. მე ამ კაცს სხვათა მონათხრობით ვიცნობდი, მაგრამ, როგორც ახლა მივხვდი, ჩემი წარმოდგენა მონათხრობს არ დასჯერებოდა და ამ მონათხრობის მიხედვით მისი გარეგნობაც შეექმნა, ხელიც სწორედ იმან შემიშალა, რომ თვალთ ნანახი არ ეხამებოდა იმას, რაც მე ჩემდაუნებურად ფანტაზიის ძალით შემეჭმნია. ლამაზი რომ უნდა ყოფილიყო, ეს ვიცოდი, რადგან არაერთხელ გამიგონია, დასაჰგავსო, და კი, ჩვენი თავადის მელღლე, მე ერთი ყველაზე მშვენიერი ქალი მგონია იმათგან, ვინც ოდესმე მიხახავს. მაგრამ მე ეს სილამაზე სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ჩემი ვარაუდით ეს უნდა ყოფილიყო ჰირქეში, ბნელი, ავი სილამაზე, რომელსაც მომხიბლაობის ნაცვლად უწმინდურობის ბეჭედი აზის. სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ვიხილე.

დამფრთხალი და გაოგნებული ხალხი აქეთ-იქით მიწეუღიყო, კიდევ შეტად მიკეპყილიყო კედლებისკენ და შუაში, კარიდან მოყოლებული ეკლესიის მთელ სიგრძეზე, დავითისთვის გზა მიეცა.

ცხენს პატარა თავი ჰქონდა, ფართო მკერდი, წვრილი და მაღალი ფეხები და თოვლივით თეთრი იყო, ისეთი თეთრი, რომ ერთ მცირე წერტილსაც კი სხვა ფერისას ვერ უპოვიდით. დავითს აღისფერი ახალუბი ეცვა, ქამარშემოკრული და გულგახსნილი. თხელი იყო, წელწვრილი და ბეჭებგანიერი. მზით გარუჯული სწორი, მოგრობო სახე ჰქონდა, ნატიფი და მკაცრად დასრულებული ნაკეთები, ჭერა, თითქმის ჩა-

ლისფერი, მოკლე და ცოტა მეჩხერი წვერი, თხელი ტუჩები და თხელი, ოდნავ კეხიანი ცხვირი, აზიდული წარბები და ფართო შუბლი, რომელზედაც ოქროსფერი კულულები ეყარა. ცისფერი თვალებში უცნაურად არეულიყო გამარჯვებულის ნიშნისმოგებაც, დამცინავი ამპარტავენობაც. შორით მომზიარალი, თითქოს შეკავებული ზიზზიკი, მიაშიტური, დაუოკებელი ცნობისწადილიც და წრფელი, ლამის ბავშვური სიხარულიც. საკვირველი სანახაობა იყო: როგორც კრელ ხალიჩაზე, რომელსაც დაეინებით მისჩერებისხართ, ხან ერთი ფერი გამოიკვეთება და ხან მეორე, დანარჩენი კი ფონად იქცევა, ასე ამ სახეზე ხან ამპარტავენობა ჩანდა, ხან ზიზზი, ხან ცბიერი სიხალისე, ხან მიაშიტური ცნობისწადილი და ხან ბავშვური სიხარული, და როგორც კრელი ხალიჩის ცქერისას თქვენს მზერაზე დამოკიდებული, თუ როდის რომელი ფერი გამოიკვეთება, ასევე თითქოს მაცურებლის მზერაზე იყო დამოკიდებული, როდის რა გამომეტყველება გაბატონებოდა დავითის სახეზე, რადგან თვითონ ქანდაკებასავით იყო გაშეშებული, ძარღვი არ უტოკავდა და კუხთი არ უმოძრაებდა. ცხენზე ლარივით გამართული იჯდა, მთელი ტანით სულ ოდნავ უკან გადახენქილი და ცოტა გვერდზე შებრუნებული. მარჯვენა ხელში ქამანდის ბოლო ეჭირა, რომლის ყულფი მღვდელს ჰქონდა თავზე ჩამოკმული, მარცხენაში — სადავე და მოკეცილი მათრახი. ცხენის ორსავე მხარეს უკანა ფეხებზე ჩაცუცქული და წინა ფეხებს დაყრდნობილი ორი ვეებერთელა, ბანჯგულიანი ნაგაზი გაშეშებულიყო.

ჩქამი არსაიდან ისმოდა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე და უძრაობა სუფევდა, თითქოს ეს ამქვეყნიური ეკლესია კი არა, მკვდართა საუფლო ყოფილიყო. სადაც ხორციელი ადამიანების ნაცვლად სხეულს გაყრილი, უჩინარი სულები შეკრებილიყვნენ და მარადიულ ღუმელს მისცემოდნენ.

ბოლოს ეს საშინელი სიჩუმე დავითმა დაარღვია.

— განაგრძე, მამაო, <sup>სარქველში</sup> დაბრუნდები რბილი ხმით თქვა, — თუ გიჭირს, ცოტა მოვუშვებ სადავეს, — ამ სიტყვებით დაქიმული თოკი ოდნავ მოასუსტა, — მეც მინდა გავიგო, როგორ შეაჩვენებ დავითს.

ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, ძნელი მისახვედრი იყო, დასცინოდა თუ მართლა აინტერესებდა საკუთარი შეჩვენების მოსმენა.

მაგრამ მღვდელს შიშისაგან ყველა გრძნობა წართმეული ჰქონდა და დავითის ნათქვამი ეტყობა არც გაუგია.

სწორედ ამ დროს შეტრიალდა ანტონიო. მე ვიგრძენი, რომ შეტრიალდა, დანახვით კი მხოლოდ მაშინ დავინახე, როცა უკვე ნელი, მშვიდი, მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა იქითკენ, სადაც დავითსა და მღვდელს შორის ქამანდი იყო გაბმული. ისე მიდიოდა, როგორც გემბანზე მზის ჩასვლის საცქერლად, როგორც მინდორში ბაბუაწვერას მოსაწყვეტად, როგორც ჩვენი დიასახლისის ეზოში ბებერ ნაგაზთან სათამაშოდ, რომელსაც, არ ვიცი რა ჯადოქრობით, პირველი დანახვისთანავე შეაყვარა თავი.

დავითი არ შერბეულა, ისე გამოხედა, და მის თვალებშიც და მის სახეზეც ყველა სხვა გამომეტყველება ახლა ცნობისმოყვარეობამ დაფარა.

რას ჩაიდენდა ანტონიო, არ ვიცოდი, მაგრამ, რაც არ უნდა ჩაედინა, მისი შეჩერება მე უკვე აღარ შემეძლო.

ამასობაში თოკს მიუახლოვდა.

დავითი ცნობისმოყვარე მზერას არ ამორებდა. ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი დასათამაშებდა.

ანტონიომ მარცხენა ხელი თოკს ჩავლო და თავისკენ მოზიდა, იმავე წამს მარჯვენათი ხანჯალი იძრო და ირიბად, თითქოს ჯოხს თლისო, დაუსვა. თოკის ერთი ნაწილი, რომლის ბოლო დავითს ეჭირა, ცხენის მკერდთან აკონწილდა, მეორე კი, რომელიც მღვდელს თავზე

ჰქონდა ჩამოცმული, იატაკზე დაეარდა. დავითმა წარბები ოდნავ შეჰყარა და სახეზე ნიავეით გადაურბინა გაკვირვებამ. მაგრამ გაკვირვებამ წამსვე გაუარა და გაიღიმა. წარბები ჯერ კიდევ შეყრილი ჰქონდა და ასე წარბშეყრილი რომ იღიმებოდა, ძნელი გასარკვევი იყო, რას ნიშნავდა ეს ღიმილი — ანტონიოს დასცინოდა თუ ანტონიოს საქციელში რალაც სახალისო გასართობი იპოვა. მერე წარბები დაუშვა და ღიმილიც ერთბაშად გულლია გაუხდა, ალალი და მიამიტური. ავკაცის სახეზე ასეთი ღიმილი ვერ წარმოემდგინა. მახსოვს, გავიფიქრე კიდევ, ნეტა რისგანაა, რომ ადამიანის ბუნებასა და გარეგნობაში ასეთი შეუსაბამობა იჩენს მეთქი თავს. წამით ორივე — ანტონიოცა და დავითიც — გაშეშებული იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. მერე დავითმა მათრახი, რომლის ტარი და კუდი ერთად ეჭირა მარცხენა ხელში, ოდნავ აღმართა. ხელი არ აუწევია, მხოლოდ მაჯაში მოხარა, რის გამოც მუშტი ოდნავ აიწია და მათრახის ბოლოც აიყოლია. იმავ წამს დიდთავა, ბომბორა ნაგავებმა, აქამდე რომ დინჯად თავადერილები შესცქეროდნენ ანტონიოს და რალაცას ელოდნენ, ყურები დაკვირტეს, დაიძაგრნენ და თავდასასხმელად მოემზადნენ. ამის დანახავზე მე ხელი ჩუმად გავაპარე დამბახისაკენ, რომელსაც, როცა უცხო ქვეყნებში ვარ, ტანსაცმლის ქვეშ მუდამ თან ვატარებ ხოლმე. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დავითის ამხანაგები სადღაც აქვე იქნებოდნენ, ეკლესიის ეზოში, მაგრამ თუ არ ავაცდენდი, ეგებ ხალხი გონს მოსულიყო, მიმხვდარიყო, რომ ყაჩაღების დამარცხება შესაძლებელია, და ხელი გამოედო. მე მაშინ ამაზე არ მიფიქრია, მხოლოდ ვგრძნობდი, რომ ერთადერთი იმედი ეს იყო. ოუ ხალხი არ დაგვეხმარებოდა, მეცა და ანტონიოსაც უაზრო, არაფრისმაქნისი სიკვდილი გველოდა.

დავითმა ჩემი მოძრაობა შენიშნა და წამით გამოხედა თვალის ერთი კუ-

თხით, რომელშიაც იმოდენა თავდაჯერება დავინახე, საკუთარი თავის იმოდენა რწმენა და ისეთი რისხვა, გამორგიტყდებით, ჩემი მდგომარეობა სრულიად უიმედო მეჩვენა და დამბახისაკენ წაღებულნი ხელი, მიუხედავად თავგანწირული მცდელობისა, ცოტათი ამიკანკალდა.

დავითმა კი ის ელვისებური მზერა მყისვე მომაშორა და მათრახის ტარი დაუშვა. ძალღებმაც მაშინვე მიატოვეს საბრძოლო პოზა.

ახლა ანტონიო და დავითი ისევ ერთმანეთს შესცქეროდნენ. ანტონიო ჩემკენ ზურგით იდგა და მის სახეს ვერ ვხედავდი, დავითს კი თვალებში კვლავ ცნობისმოყვარეობა ედგა.

ცოტა ხანს ორთავენი დუმდნენ. მერე ანტონიომ თქვა:

— საყდრის წაბილწვისათვის უკეთესი საყდრის აგება მოგიწევს, თუმცა ამით შენი სული შევებას ვერ ჰპოვებს. წადი აქედან!

დავითი თვალს არ ამორებდა და ოდნავ გაკვირვებული ყურადღებით უსმენდა, ბოლოს გაიცინა და მღვდელს გასძახა:

— მამაო! თუ მომზადება გჭირდება, ორი დღე მომიცია. ორი დღის შემდეგ ახალციხის გზას გავუყვებით.

მღვდელი ყუღღს ორივე ხელით ჩაფრენოდა და გადაძრობა ვერ მოეფიქრებინა.

ანტონიომ მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, გაშალა და დავითის ცხენს შუბლზე მიაბჯინა. ცხენმა თავი ჯერ შეარხია, მერე ოდნავ ჩალუნა.

— შენი ცოდვები ნისლია, — მშვილდი, მკაფიო ხმით თქვა ანტონიომ, — და შენი სული ნისლშია ჩაძირული. მაგრამ მე ვხედავ: ზეციერი ნათლის სხივს ნისლი გაურღვევია და შენი პირველარსება დიდი სასწაულოთ შეუძრავს. ქედზე სინანულის მძიმე ჯაჭვი გაღვეს, შუბლს მიწას ახლი და მამაზეციერს ცოდვების მიტევებას ევედრები.

დავითმა ახლაც ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ ამჯერად არ გაუცინო.

წარბები ოდნავ აზიდა და სახეზე ისეთი სისწრაფით გადაუარა ჩაღაცამ, რომ დაბეჯითებით არ შემოიძლია ვთქვა, რისხვა იყო ეს თუ ამპარტავნობა. იმავ წამს თავადს მიუბრუნდა, რომელსაც უღვაშები უთრთოდა, დაუთხრა:

— სიძვე ბატონო! აგრად ვხედავ, თუ რა ბერიკონს გამართავ, მართლა რომ მოესწრო დავითის სიკვდილს, მაგრამ ეს მიპატიებია. — აქ ხმაში სუსხი გამოურია, — ეს ორი გადამითელი რად შემოუშვი ჩემს უკითხავად?

თავადი საწყალობლად ალულულულადა:

— შენ იმ დროს აქ არ იყავი, დავით...

— ვიყავი თუ არ ვიყავი, რაკი ჩემს უკითხავად შემოუშვი, უნდა ზღო კიდევ. ზეგ დილით ორ ყმაწვილს მომგვარი, რომ მღვდელთან ერთად ახალციხეს წაიყვანო. — ეს რომ თქვა, ცოტა შეყავნდა და ღიმილით დაუმატა, — თუ გემძიმება, უარი მითხარი.

— არა, არა... — სწრაფად თქვა თავადმა და წინ გაშვერილი ორივე ხელი აათარხალა.

— ეგრე. ეს გადამითელები კი არ ვიცი აქ როდემდე გეყოლებიან, მაგრამ გახსოვდეს: დავითის რისხვა დიდი იქნება, მისი აქ ყოფნის ამბავი რომ ამ ტაფობს გასცდეს.

მე ამ დროს თავადის მეუღლეს შევახედე. თავჩაქინდრული იდგა, გაფითრებული, სახე ისე დაღარვოდა, თითქოს უმშვენიერესი ქალი კი არა, ერთი ვინმე გადამღრძევალი დედაბერი ყოფილიყოს.

ანტონიო დავითის ცხენს შუბლზე მიბჯენილი ხელისგულით მძლავრად მიაწეა. ცხენი ადგილზე შეტოკდა, მაგრამ არ დაძრულა, ყოყმანობდა და მხედრის ნიშანს ელოდა. დავითს კი სადავე მოშვებული ეჭირა და ანტონიოს ახლა გაუგებარი გამომეტყველებით შესცქეროდა, რომელიც არც დაცივნას ჰგავდა, არც რისხვას, არც გაკვირვებას. არც ცნობისმოყვარეობას და არც სხვა, რომელიმე იმ გრძნობათაგანს,

თავიდან რომ ერთმანეთში არეულად ედგა ცისფერ თვალბში. რაკი მხედრისგან ნიშანი ვერაფერი მიიღო, ცხენი ბოლოსდაბოლოს მინებდა შუბლში მობჯენილ ძალას, ჯერ ერთი ფრთხილი ნაბიჯი გადადგა უკან, მერე მეორე და ნელა დაიძრა. მცირე ყოყმანის შემდეგ ძალებიც მიჰყვნენ. ხალხი განაბული და შეშინებული შესცქეროდა ამ სანახაობას და პაერში დაძაბული ღუშილი იდგა.

როგორც კი ეს უცნაური პროცესია გასასვლელისკენ დაიძრა, მეც მაშინვე უკან გავყვევი. კარს რომ გავცდით და ეზოში გავედით, სადაც ჩემდა გასაკვირველად ისეთი არავინ დამინახავს, ვინც შეიძლებოდა დავითის ამხანაგად მიმელო, ხალხიც ნელ-ნელა გამოიკრიფა. უხმოდ მოდიოდნენ, ფრთხილად, თითქოს რაღაცას ეპარებოდნენ. მალე ყველანი გამოვიდნენ, მათ შორის მღვდელიცა და თავადიც. მხოლოდ ქალბატონი და მისი შვილები არ გამოსულან. ისინი ეკლესიაში დარჩნენ.

ზღურბლს რომ გასცდნენ, ანტონიომ ცხენს შუბლზე მიბჯენილი ხელი მოაშორა, დავითს თვალი თვალში გაუყარა და რაღაცნაირი, შეცვლილი, უცნაური ხმით, რომელიც სრულ სიჩუმეში შორეული ზარის რეკვას ჩამოგავდა, უთხრა:

— იჩქარე, თორემ ამქვეყნიურ სხეულს მალე დრო-ჟამის ამოება ჩამოგართმევს და, ამპარტავანი სული რომ შიშველი მიადგება მარადისობის კარიბჭეს, ყველა შენი ნამოქმედარი წინ დაგხვდება. რაც ამ ქვეყნად შიში დაგითესია, სულ შენს შიშად იქცევა; რაც ამ ქვეყნად მწუხარება დაგითესია, სულ შენს მწუხარებად იქცევა; რაც ამ ქვეყნად ცრემლი დაგითესია, სულ შენს ცრემლად იქცევა; რაც ამ ქვეყნად ტკივილი დაგითესია, სულ შენს ტკივილად იქცევა. რაც ამ ქვეყნად სისხლი დაგიღვრია, სულ შენი გულიდან გამოიწურება. ვინც ამ ქვეყნად მოგიკლავს, ყველა სათითაოდ მოგკლავს; ვინც ამ ქვეყნად მოგიტაცნია და გაგი-

ყიღია, ყველა სათითაოდ მოგიტაცებს და გაგყიდის; ვინც ამ ქვეყნად აგატირებს, სანამ დროა, სინანულის ჯაჭვი დაიდევ ქედზე, მუხლი მოიყარე შემოქმედის წინაშე და შენდობა გამოისთხოვე.

ამ სიტყვებით გამოტრიალდა და წამოვიდა. დავითისკენ აღარ მიუხედავს. დავითი კი კარგახანს შესცქეროდა წელანდელი გაუგებარი გამომეტყველებით, რომელიც ახლა აზიდულმა წარბებმა კიდევ უფრო გამოკვეთა და კიდევ უფრო გაუგებარი გახადა, მერე უეცრად მე მომიბრუნდა და მითხრა:

— გადამთიელო! დავითი რომ განრი-  
სხდება, მაშინ ღმერთიც დავითის მხა-  
რესაა. შენი ამხანაგი კი გულადი ყო-  
ფილა. — აქ თავადასა და მღვდელს მი-  
უტრიალდა; რომლებიც საწყალობლად  
იდგნენ ერთმანეთის გვერდით, — ჩემი  
სათქმელი გითხარით. დავითი შეტს  
აღარ გაიმეორებს.

ესა თქვა, ცხენს ქუსლი ჰკრა და გა-  
აქენა. ისევ ისე იჯდა — ლარივით გა-  
მართული, მთელი ტანით სულ ოდნავ  
უკან გადმოზნექილი და ცოტა გვერდ-  
ზე შებრუნებული.

ძაღვები ძუნძულით აედევნენ.

□ დასასრული იმეხა □

## მოთხრობა

კაცი ქუჩაში მიდის და ტბრის,  
რა ატირებს — არაეინ იცის.  
გამქრალ ვნებებს და ჩაგლილ სიყვარულს  
თუ მისტირისო, — ფიქრობენ ერთნი,  
ჩვენც ხომ ბევრჯერ გავტირებოვართ ჩანაცრულ ვნებებს,  
მერე რა ძალით გვეუფლებიან განსაკუთრებით ზაფხულობით  
ზღვის ნაპირას, ცხელ ქვიშაზე  
გრამაფონის ძველი ჰანგით გარშემორტყმულებს.

ყოველდღიური საზრუნავი სტანჯავს ზოგიერთს,  
ზოგი კიდევ თავდაუდებელ საქმეებს დარდობს,  
ზოგსაც რალაცა აქვს საწერი, ვერ მოუსწრია,  
და ეს, ბავშვებიც, ო, რა უცბად იზრდებიან ხოლმე ბავშვები!  
და ეს ქალებიც, ო რა მტანჯველად ბერდებიან ხოლმე ქალები!  
იმ კაცს თვალეში ცეცხლმოკიდებულ ყაყაჩოს უგავს,  
წყვილ ყაყაჩოს — მაისის თვეში მწვანე მინდვრად აღაღანებულს;  
ქუთუთოვებ ქვეშ ორი პატარა ნაკადული მოედინება.

დაეხეტება ეს კაცი მუდამ, ფხიზლობს დღედაღამ  
თვალზე ძილი არ ეკარება,  
ქვაფენილებზე — დედამიწის მუქ ლაწვებზე  
პატარ-პატარა კვადრატების ნაყშით დაფენილ  
დედამიწის მტვრიან ლაწვებზე მიაბიჯებს.  
იგი ცოცხალი მანქანაა და უსახურო, მწუხარებაა!  
ბოლოს და ბოლოს ეს მწუხარებაც  
ფუტურო დროის მდინარებაში ჰკარგავს შინაარსს —  
ალარაფერი რჩება იმისგან.

გაუგონიათ, მიაბიჯებდა თურმე ეგ კაცი  
თან საკუთარ თავს ესიტყვებოდა,  
ლაპარაკობდა სარკეებზე, დიდი ხნის წინათ დამსკდარ-დახეთქილ სარკეებზე  
სახეებზე, სარკის სიღრმეში რომ გადაიხსებრნენ  
იმ ნამსხვრევებზე ლაპარაკობდა, რომლებიც აღარ შეწებდებიან.  
სხვებმაც ნახეს: რალაც სიზმრებზე, სიზმრის ზღურბლზე  
მოლანდებულ ჩვენებებზე ლაპარაკობსო,  
გამოუთქმელი სინაზით სავსე უცნობ სახელებს ახსენებსო...





ჩვენ მივეჩვიეთ ამ კაცს, იგი მშვიდი და მოწიწებული  
დადის და ტირის სულმოუთქმელად,  
მხოლოდ ტირის, როგორც ტირიფი, ღელის პირას ჩამომნობილი,  
რომელიც თვალწინ გაიღვებებს მატარებლის სარკმელში და  
სადაც შორეთს ჩაიკარგება  
უქმურ დილით, ნაღვლიან ქამს გამოღვიძების.

ჩვენ შევეჩვიეთ ამ კაცს, იგი არაფრით არ გამოირჩევა,  
როგორც ყველა, ვისაც ვეჩვევით,  
და მეც... ამ კაცზე მე გვიამბეთ მხოლოდ იმიტომ,  
რომ მე არ ვიცი, არაფერი ვიცი ისეთი,  
რაც გაგაოცებთ და ჩვეულებრივ ამბად აღარ მოგეჩვენებათ.  
მიიღეთ ჩემი უდიდესი პატივისცემა...

### ქვის ყვავილები

ქვის ყვავილები ჰყვავიან მწვანე ნაპირას ზღვისა,  
როცა წვიმს წყნარად, როცა წვიმს, წვრილი წვეთები  
გაბმულად ცვივა, ქვის ყვავილნი ჰყვავიან მაშინ...  
ერთმანეთზე გადაწული მათი ძარღვები  
დამიხატავენ სურათს დიდი ხნის სიყვარულისა,  
ქვის ყვავილები — მოჩვენებანი.

მახსოვს, ისინი, მოდიოდნენ მანამდე, ვიდრე გარეშემო ამწვანდებოდა,  
და წყნარ საუბარს გააბამდნენ ხოლმე მაშინ,  
როცა წვიმის წვრილი წვეთები განუწყვეტლივ ცვიოდა ციდან,  
მე ისინი, ნებას მაძლევდნენ შენი შეხების  
ფიქვებისა და ახოვანი ცაცხვების თვალწინ.

წყალქვეშა გამოქვაბულებში იმალება დიდი წყურვილი,  
დიადი სიყვარული და დიდი გზნება.  
რაც ჩამოვთვალე, ისე მყარია, ვით ზღვის ნიჟარა,  
აბა, დაიდე ხელისგულზე და გეჭიროს რამდენიც გინდა,  
წყალქვეშა გამოქვაბულებში მრავალი დღის განმავლობაში  
ჩვენ თვალეზში შევცქეროდით ერთიმეორეს,  
მე — ვერ გავიგე, შენ — ვერ მიცანი.

### ისტორია — მითი

თუნდაც იმიტომ, რომ თვალმა ჩვენმა ამდენი ნახა,  
ამიერიდან ველარაფერს გაარჩევს უკვე,  
ჩვენამდეც და ჩვენს შემდეგაც მეხსიერება ჩვენი იყო  
და იქნება თეთრი აფრა მოფრიალე ლამეული ღობის გაღალმა.



ჩვენ უცნაური სახეები ვნახეთ და ბევრიდ უცნაურიც, ვიდრე შენია.  
 გაიღვებდნენ და გადნებოდნენ პილპილის უძრავ ბუჩქის ფოთლებქვეშ  
 იმიტომაც, რომ შევიცანით ჩვენ ჩვენი ბედი,  
 როცა სამი თუ ექვსი ათასი წლის მანძილზე ჩამომსხვრეულ  
 ქვა-ლოდებს შორის გეხატებოდა,  
 ვეხეტებოდით ნანგრევთა შორის, სადაც იქნება  
 ოდესღაც ჩვენი სახლიც იდგა.  
 შეგვწევს კი ძალი ნამსხვრევებზე თარიღები ამოვიკითხოთ  
 და გავიხსენოთ საქმეები სახელოვანი?  
 იმიტომაც, რომ ჩვენ შევხვდით და დავცილდით ისევ  
 და მოჩვენებით საფრთხეს ვებრძოდით,  
 როგორც იტყვიან, აჩრდილთ შევებით,  
 სიბნელეში გზა აგვერია და ძლივს ვიპოვეთ შარა,  
 რომელზედაც გაიჭიმა ჯაჭვი პოლკების,  
 ყრუ ჭაობებში და მარათონის წყალბოროტ ტბებში  
 ჩავიფალით და ჩავიკარგეთ.  
 შეგვწევს კი ძალი, ღირსეულად რომ დავიხოცოთ?

### სინათლე, ზღვა და პური ნაგართვეს

როგორ მოხდა, რომ ასე დავეცი, ასე დავკინდით  
 და ჩაცვივდით აშშორებულ ორმოში შიშის?  
 ან მე შუბლზე ასე მეწერა?  
 ან, მე შუბლზე ასე მეწერა?  
 რომელი ბედავს მბრძანებლობას და კაცისკვლას ჩვენს ზურგს უკან?  
 ნურაფერს მკითხავ,  
 წრეზე სამი ცხენი ბრუნავს, სამი წითელი ცხენი ბრუნავს, თვალახვეული,  
 კაცთა ძვლებზე დაქელაობს ის სამი ცხენი.  
 ნურაფერს მკითხავ დრო მოვა და  
 აი, ეს სისხლი, აი, ეს სისხლი  
 შეიმართება, ვით გიორვი — წმინდა მხედარი  
 და მიაღურსმავს შუბით მიწაზე  
 გაუმადლარს სისხლით გველუშავს.

### უკანასკნელი დღე

ღრუბლიანი ამინდი იდგა. არავინ ჩანდა, რომ საბოლოოდ სიტყვა ეთქვა,  
 და რაიმე გარკვეული გადაწყვეიბა.  
 ქროდა ნიავი. „ეს გრეგოსი! არ უნდა იყოს, ეს სიროკოა“  
 თქვა ე.ი.ლ.კამ. ფერდობებზე მოლურსმულივით მოჩანდნენ  
 წვრილი კვიპაროსები და იმათ მიღმა  
 იშლებოდა რუხი ზღვა და დაგორებული სინათლის ტბები კრთოდნენ შორიდან.

I გრეგოსი — ასე მოიხსენიებენ საუბარში ბერძენები ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარს.



წამოსკდა წვიმა, ჯარისკაცებმა წამოკრიფეს თოფები მარდად, გამშხანდნენ საყარაულოდ. „ეს გრეგოსი არ უნდა იყოს, ეს სიროკოა“, — ეს იყო აზრი ერთადერთი, რომელსაც იქ გაიგონებდნენ.

მაგრამ ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცოდა, სახვლიოოდ ცისკრის ვარსკვლავის ცაღ ამოსვლისას ჩვენ არაფერი დაგვრჩებოდა, სულ არაფერი — აღარც ქალი ჩვენს გვერდით სიზმარს დაწაფებული, არც მოგონება, რომ ოდესღაც ჩვენ ვიყავით მამაკაცები, ახალ ცისკრის ამოხდომისას აღარაფერი დაგვრჩებოდა, ყველამ ვიცოდით.

„ეს ქარი გაზაფხულს მაგონებსო, — შორეთს მზერა არ მოაცილა, ისე თქვა ქალმა ჩემ გვერდით რომ მოაბიჯებდა, იმ გაზაფხულს მაგონებსო, რომელიც ერთხელ შუა ზამთარში ამ სანაპიროს მოულოდნელად თავს წამოადგა. გახსოვს? რამდენი წელი გავიდა, ახლა როგორი გვერგება წილად, წილად სიკვდილი?“

ეხეტებოდა სამგლოვიარო ჰანგი წვიმაში. სკრიდა და სკრიდა როგორ კვდება მამაკაცი თუ იცის ვინმემ?

უცნაურია, მაგრამ ამაზე არც არავის უფიქრია და თუ იფიქრა ვინმემ, მაშინვე გაახსენდა ალბათ შორზე შორი წარსული, ჯვაროსნული ომები ანდა ეთქვით, ცხარე ბრძოლა სალამინთან.

და სიკვდილი განა ეს არის, ახლა რომ მოდის? როგორ კვდება მამაკაცი?

ყველას თავისი სიკვდილი ერგო.

ყველას თავისი, საკუთარი, და არა სხვისი, სხვანაირი.

და ამ თამაშს ცხოვრება ჰქვია.

ჩაქრა სინათლე მოღრუბლულ დღისა,

ვერაფერიც ვერ გადავწყვიტეთ.

ცისკრის მოსვლისას ჩვენ არაფერი აღარ დაგვრჩებდა.

ყველაფერი გაიყიდება.

გაიყიდება ხელებიც კი, ჩვენი ხელები!

ჩვენი ცოლები სხვის სახლებში მიიტანენ წყალს,

მთის წყაროს წყალს, ჩვენი შვილები

ქვის კარიერებს ჩააკვდებიან.

ქალი, გვერდით რომ მომყვებოდა,

ლიღინებდა რომელიღაც სიმღერის ნაწყვეტს:

„იქნებ, გაზაფხულზე... ან იქნებ ზაფხულში,

რაია,<sup>1</sup> რაია, რაია ჩემო...“

ვიღაც მოხუცი მასწავლებელიც გაიხსენა — მიგვატოვაო,

გვერდით წყვილმა ჩაგვიარა, მისაუბრობდნენ:

„მომაბეზრა ბინდებმა თავი, შინ წავიდეთ,

შინ წავიდეთ და შუქი ავანთოთ“.

ახალბერძნულიდან თარგმანა იზა ორჯონიძიძემ

1 რაია — არაბულად ნაპირს ნიშნავს. ეს არის კრებითი სახელი, ყველა არაბულმანის აღმნიშვნელი. ოტომანების დინასტიის დროსა. აქ სეფერისს მოაქვს სტრიქონი ბერძნული ხალხური სიმღერისა, რომელიც თურქების ბატონობის ეამს არის შექმნილი.

დამიტარი ცინკარიშვილი

## აგროსამრეწველო ინტიმბრაცია და სოციალისტური საკუთრების ფორმების დაახლოება

მთელი საბჭოთა ხალხი, უკვეა მზარობელი დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით და მაღალი შრომითი მიღწევებით ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შორეულ XXVII ყრილობას, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პლენუმის მიერ წამოყენებული და დასახულებული ახალი კონცეფციის — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაღრმავების საფუძველზე ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ცხოვრების უკვეა მხარის თვისებრივი გარდაქმნის სტრატეგიული კურსის შესახებ, უნდა შეიმუშაოს და დასახოს მეთორმეტი ზუსტად დასაზღვრული დამატებითი პერიოდის კონკრეტული ამოცანა. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ენიჭება უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, სკკპ წესდების ცვლილებებისა და სსრ კავშირის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს, რომლებიც, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებით, პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითი კოლექტივებსა და მსახლეობის უფროსებს ფუნქციონირებს განსახილველად, პრესაში გამოქვეყნდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტებში „...საქმეობს ჩვენს საპროგრამო მიზნებს, პარტიის გენერალური კურსის, მიუხედავად ეკონომიკური სტრატეგიის ხავერდოვანი სიახლეს, მასში მუ-

შაობის ფორმებსა და მეთოდებს ისტორიის თანამედროვე, უაღრესად რთულ და პასუხისმგებ მომენტებში, რომელსაც მრავალი თვალსაზრისით — როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით — გარდატეხის ხასიათი აქვს“.

ეს დოკუმენტები ემართება მტკიცე მეცნიერულ საფუძველს, ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, ღრმა თეორიულ გააზრებებსა და განყოფილებებს, ქეშმარიტ დასკვნებს და პერსპექტიულ რეკომენდაციებს. მათში ნაჩვენებია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კვალბაზე, სოციალიზმის სრულყოფის, კომუნისტური საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ობიექტური ტენდენციები, მაგისტრალური გზები და მიმართულებები.

თანხმად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტსა, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე სოციალიზმის სრულყოფის პროცესში საბჭოთა საზოგადოებამ, სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, უნდა გადაჭრას ისეთი კარდინალური ამოცანები, როგორცაა: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირფესვიანი განახლება, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შემდგომი მშვიდობიანი განვითარება, წარმოებისა და შრომის განსაზოგადოების დონის ამაღლება, ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებითი, სოციალ-ეკონომიკური და კუ-



ლტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების და-  
ძლევა, მატერიალური წარმოების ამ ძირითადი  
დარგების დაახლოება, მათი ეკონომიკურად  
მანანშეწონილი ინტეგრაცია და საზოგადოების  
უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება.

საზოგადოების სწარმოო ძალთა განვითარების  
კვალობაზე მრეწველობისა და სოფლის  
მეურნეობის დაახლოების ობიექტური აუცი-  
ლებლობა ქერ კიდევ მარქსიზმ-ლენინიზმის  
კლასიკოსებმა დაანახუთეს. მათ მოგვცეს ამ  
დარგთა შორის შრომის დანაწილების ისტორი-  
ული პროცესის ღრმა მეცნიერული ანალი-  
ზი, „ჯერჯერებს მათი ინტეგრაციისა და, საბო-  
ლოდ ანგარიშით, უმადლესი სინთეზის ძირი-  
თადი ტენდენციები.

ცნობილია, რომ ადამიანთა საზოგადოების  
დასაბამიდან ისტორიულად ხანგრძლივი დრო-  
ის მანძილზე მატერიალური დოვლათის წარ-  
მოებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა სო-  
ფლის მეურნეობა (მეჩაგვება და მიწათმოქმე-  
დება), ხოლო მრეწველობას (ხელოსნობას) მის  
მიმართ დაქვემდებარებული, დამხმარე ხასია-  
თი ჰქონდა. შესაბამისად ამისა, სამრეწველო  
შრომა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სასო-  
ფლო-სამეურნეო შრომასთან, რომელიც შრო-  
მის უველა დანარჩენი სახეობის ბუნებრივ სა-  
ფუძველს წარმოადგენდა. „თვდაპირველად,—  
წერდა კ. მარქსი, — სამიწათმოქმედო შრომა  
და სამრეწველო შრომა განცალკევებული არაა  
ერთმანეთისაგან; მეორე შეერთებულია პირ-  
ველთან. მიწათმოქმედი ტომის, საოკეანო თემის  
თუ ოჯახის ზედმეტე შრომა და ზედმეტი პრო-  
დუქტი მოიცავს როგორც სამიწათმოქმედო.  
ისე სამრეწველო შრომას, ორთავე ზედიზელ-  
ჩაყიდებულია. ნადირობა, მეთევზეობა, მიწათ-  
მოქმედება შეუძლებელია სათანადო აპარდე-  
ბის გარეშე. ქსოვა, რთვა და სხვ. თავდაპირ-  
ველად სრულდება როგორც მიწათმოქმედების  
დამხმარე ქუშაობა“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტო-  
მი მეხამე, ნაწ. II, თბ., 1958, გვ. 215-216).

პირველყოფილ-თემური წყობილების გან-  
ვითარების მომდევნო საფეხურებზე, შრომის  
მეორე დიდი საზოგადოებრივი დანაწილების,  
ე. ი. მიწათმოქმედებისაგან ხელოსნობის გა-  
ყოფის, გაცვლის განვითარებისა და წარმო-  
ების საშუალებათა კერძო საკუთრების დაშ-  
კადრების კვალობაზე დაიწყო სასოფლო-სა-  
მეურნეო შრომისაგან სამრეწველო შრომის  
გამოცალკევება-გაიქვინის პროცესი, რომელიც  
აგრეთვე ისტორიულად ხანგრძლივი დროის  
განმავლობაში ხორციელდებოდა და ძირითა-  
დად კაპიტალისტური მანუფაქტურიდან მან-  
ქანურ წარმოებაზე გადასვლით დაშთავდა.

სოფლის მეურნეობისაგან მრეწველობის გა-  
მოცალკევების პროცესში აღმოცენდა ანტიგო-  
ნისტური წინააღმდეგობა მატერიალური წარ-  
მოების ამ ძირითად დარგებს შორის, საბო-  
ლოდ კი, ქალაქა და სოფელს შორის, რო-

მელიც კაპიტალისტური მანქანური წარმოების  
განვითარების, მრეწველობისაგან სოფლის მე-  
ურნეობის ჩამორჩენის წარუდგენელ კრეფველზე  
სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კუ-  
ლტურული და ტექნიკურ-ორგანიზაციული  
პროცესების მოქმედებამ სულ უფრო გააღრ-  
მავა და გაამწვავა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის  
შემდგომი განვითარების კვალობაზე კაპიტა-  
ლიზმის პრობებშივე იქმნება ამ დარგთა და-  
ახლოების, მათი ინტეგრაციისა და ერთად სა-  
მეურნეო ორგანიზმად შერწყმის მატერიალური  
წინამძღვარები. „კაპიტალისტური წარმოების  
წესი, — წერდა კ. მარქსი, — ამთავრებს მი-  
წათმოქმედებისა და მრეწველობის იმ თავდა-  
პირველი ოჯახური კავშირის გაწყვეტას, რომ-  
ელიც ორთავე ადრეულ განვითარებულ  
ფორმებს შეიცავდა. მაგრამ, ამავე დროს, იგი  
ქმნის მატერიალურ წინამძღვარებს ახალი, უმა-  
ღლესი სინთეზისას — მიწათმოქმედებისა და  
მსხვილი მრეწველობის კავშირისას მათი დაპი-  
რისიკებულიად განვითარებული ფორმების სა-  
ფუძველზე“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი პირ-  
ველი, თბ., 1954, გვ. 887). ეს წინამძღვარე-  
ბი: კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრა-  
ლიზაცია, წარმოების განსაზოგადოების დონის  
ზრდა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, შრო-  
მის მეცნიერული ორგანიზაცია, რკინიგზებისა  
და გზატკეცილების ქსელის გავრთობე-  
ბა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვი-  
თარება, მეურნეობის მართვის მეთოდების  
სრულყოფა და სხვ.

მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმის პრობე-  
ბში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის  
რეალური, ეფექტიანი ინტეგრაციისა და მათი  
უმადლესი სინთეზის უზრუნველყოფა შეუძლე-  
ბელია, ვინაიდან წარმოების საშუალებათა კერ-  
ძო საკუთრება, წარმოების ანარქია და კონ-  
კურენცია, მწარმოებელთა ინტერესების და-  
პირისპირებულობა, კლასობრივი ანტიგონიზმი  
და სურთოდ, ბურჟუაზიული წარმოებით  
ურთიერთობათა სისტემა არა თუ ვერ სპობს,  
არამედ კიდევ უფრო ამწვავებს და აღრმავ-  
ებს ამ დარგთა შორის წინააღმდეგობას.  
ფ. ენგელსი წერდა: „...რომ მრეწველობით  
ელემენტები, რომელთაც შრომის ძველი და-  
ნაწილება და მასთან ერთად ქალაქისა და სო-  
ფლის გათიშულობა უნდა მოსპონ, და მთელი  
წარმოების გადატრიალება მოახდინონ, ჩანა-  
სახებულად უკვე შრომებშიან თანამედროვე  
მსხვილი მრეწველობის სწარმოო პრობებში,  
მაგრამ მათ შემდგომ განვითარებას აბაკო-  
ლებს თანამედროვე კაპიტალისტური წესი“  
(ფ. ენგელსი, ანტი-დიოტინგი, თბ., 1952, გვ.  
857).

ამავე საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლე-  
ნინი მიუთითებდა: „კაპიტალიზმით გათიშვის უფლა  
მიწათმოქმედება ფეოდალიზმისაგან, ჩაითრია

იგი სავაჭრო ბრუნვაში, ამასთან ერთად კი — მსოფლიო ეკონომიკური განვითარებაში, ჩამოგლიჯა იგი უძრავობა, შუახალისეობა და ზავდინდობა და პატარაპატარობა. მაგრამ კაპიტალმა არა თუ არ მოსპო მასების დაბუნავება, ექსპლუატაცია, სიღატაკე, პირიქით, ის ამ უბედურებებს ქმნის ახალი სახით და აღადგენს მათს ძველ ფორმებს „თანამედროვე“ ბაზარზე. წინააღმდეგობა მრეწველობასა და მონათმშენებელს შორის კაპიტალისა არა თუ არ მოუსპია, არამედ, პირიქით, იგი მას სულ უფრო და უფრო აფართოებს და აქწავებს“.

(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 100-107).

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები თვლიდნენ, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაახლოების, ინტეგრაციისა და უმაღლესი სინთეზის რეალური პირობები და შესაძლებლობები მხოლოდ სოციალიზმის დროს, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე იქმნება. კერძო საკუთრების საზოგადოებრივ შეცვლის შედეგად ისობა ანტიკონსტრუქციული წინააღმდეგობა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის; კაპიტალიზმის სპეციფიკური ეკონომიკური კანონები ტოვებენ სცენას, ბოლო ახალი ეკონომიკური პირობების ბაზარზე აღმოცენდებიან და მოქმედებას იწყებენ კომუნისტური ფორმაციის სპეციფიკური ეკონომიკური კანონები; ქვეყნის ეკონომიკა ერთიან, ორგანულად მთლიან სამეურნეო ორგანიზმად იქცევა და გეგმავობიერად იწყებს განვითარებას; წარმოების უმაღლესი მიზანი ხდება მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნებთან სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებასა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა; პირადი და კოლექტიური ინტერესები პარამონულად შეთანხმდება საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს; შემდგომ ღრმადდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ზორიკედება წარმოების მართებელი, სოციალურ-ეკონომიკურად მიზანშეწონილი სპეციალიზაცია, კონცენტრაცია და კომბინირება; სისტემატურად ახერხდება და უჭკობესდება წარმოების მართვის ფორმები და მეთოდები; სოციალისტური მეურნეობისთვის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ხდება შრომისა და სახსრების მინიმალური ხარჯით მაქსიმალური შედეგების მიღწევა; წარმოების ფუნქციონირების განუზრთელი წარდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება; — სულ უფრო დიდ რაოდენობაში შეიძლება სტრუქტურული პროგრესის გადრწევა, მის საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, აღმართსა საზოგადოებრივი, პირველ რიგში, ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის და კომუნისტური მშენებლობის პროცესში მოწინავედელი არა-

ერთი სხვა პრობლემის გადაჭრას. უოველერე ვე კი ამა მხოლოდ იმდენა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაახლოებაში იქმნება ციხისა და, საბოლოო ანგარიშით, უმაღლესი სინთეზის რეალური შესაძლებლობებს, არამედ კიდევაც განაპირობებს მის ობიექტურ აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის პარველსავე საფურცლებზე დაიწყო, მაგროსამრეწველო ინტეგრაციის პირველი მარტივი ფორმები იყო ნაციონალიზებული სამრეწველო საწარმოების, მემამულური მეურნეობებისა და სხვა მამულების ბაზარზე შექმნილი ერთი-კარაქის, ყველის, შაქრისა და სპირტის ქარხნები, ბამბის საწმენდი და ხელგადამმუშავებელი საწმენდი, მერაიოებისა და მუცანაობა-მეღვინეობის სახეობა მეურნეობა, წისქვილები, და სხვა სამეურნეო ობიექტები, რომლებიც საკუთარი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების (წელიწადის) სამრეწველო გადამმუშავებას თვითონვე ახორციელებდნენ და იმ დროისათვის შესაძრევადა მალე ეკონომიკურ შედეგებსაც აღწევდნენ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ასეთ პრაქტიკას იწონებდნენ და მიზანშეწონილად თვლიდნენ სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან სამრეწველო საწარმოებისა და საწმენდის მშენებლობის შემდგომ გაფართოებას. მაგალითად, რკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის დადგენილება, ითვალისწინებდა იმ სამრეწველო საწარმოების საბჭოთა მეურნეობებისათვის დროულად გადასცემას, რომლებიც მათ ტერიტორიაზე იყო განლაგებული. სსრკავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 16 მარტის დადგენილებით კი გადაწყდა აგრეთვე კოლექტიური მეურნეობებს უსახულოდ გადასცემოდა მათ ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო ობიექტები. იმავე წლის დეკემბერში სკ(ბ) XV ურილობის რეზოლუციაში „სოფლად მუშაობის შესახებ“ მითითებული იყო, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო კომპლექსების „...პროცესში დიდ-მნიშვნელოვან როლს ასრულებს უკვე ახლა, და კიდევ უფრო მეტ როლს შეასრულებს მომავალში სსსოფლო-სამეურნეო ინდუსტრია (როგორც ხაზელმწიფო, ისე კოპერაციული), რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია — ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც — სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და რომელიც გარდაქმნის ამ უკანასკნელის შინაგან წყობას“ (სკ(პ) ურილობის, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, შეშვიდე გამოცემა, თბ., 1955, გვ. 615). სოფ-



ლის მეურნეობასა და მისი პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობას შორის საწარმოო კავშირთა დამყარების შემდგომი განვითარების, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის მიზანშეწონილობაზე ერთხელ კიდევ ვაჩვენებთ უკრად-ბელს სკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის ნოემბრის პლენუმმა. „ყოველდღეა წავახლისით ინციატივა, — კეთილდღეობით პლენუმის რეზოლუციაში, — ერთი მხრივ, სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებსა (შაქრის, სელგადამამუშავებელი, ბამბის საწმენდი ქარხნები და ა. შ.) და საბჭოთა მეურნეობებსა და, მეორე მხრივ, ახლომხლო მდებარე კოლმეურნეობათა შორის უშუალო სამეურნეო კავშირის დამყარების საქმეში და შევქმნათ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ამ სამრეწველო საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო ხელმძღვანელობით საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შერეული ვარსიანება, რომელსაც ექნებათ შეთანხმებული სამეურნეო გეგმა, საერთო ტექნიკური ნაწი (სატრაქტორო კოლონიები, სარემონტო სახელოსნოები და სხვ.), სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამამუშავებელი საერთო საწარმოები (ერბო-კარაქის, ყველის, სელგადამამუშავებელი ქარხნები, წისქვილები და სხვ.“ (ქვე გვ. 88).

მოუხდებოდა ამისა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის პროცესში გარდასავალ პერიოდში ვერ მოკვდა სათანადო გავრცელება და განვითარება, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირობები და შესაძლებლობები სოციალურ-ეკონომიკურად, პოლიტიკურად, მატერიალურ-ტექნიკურად და გარანტიაციულად ჩერდებოდა არ იყო საკმარისად მომწიფებული. მათი მომწიფების კვალობაზე კა ნ. იანის წლების შუახანებიდან ეს პროცესი ხელახლა დაიწყო და ფართო ვრცელდება მიიღო სამეურნეობათაშორისო საწარმოების, ორგანიზაციებისა და ვარსიანების შექმნა, რომელიც დღესაც გრძელდება. თუ, მაგალითად, 1970 წელს ასეთი ობიექტების რიცხვი მთელს ქვეყანაში 4 580 ერთეულს უდრიდა, 1975 წელს მან შეადგინა 6 830, 1980 წელს — 9 688, ხოლო 1984 წელს — 10 115 ერთეულს მიაღწია. რაც შეეხება მათში მონაწილე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე, სხვა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობას, იგი 1970 წლის 8 872-დან 1984 წლისათვის 167 432 ერთეულამდე (ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ორი და მეტი სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და ორგანიზაციის მონაწილეა) გაიზარდა. იმავე პერიოდში სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების რიცხვი ზვეს რესპუბლიკაში გაიზარდა 139-დან

304-მდე, ხოლო მათში მონაწილე მეურნეობებისა — 2 887-დან 6968-მდე. კიდევ უფრო სწრაფია ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი საწარმოო ფონდების, წარმოებას მუშაკთა რაოდენობის, რეალიზებული პროდუქციის მოცულობისა და ხარისხობრივ ეკონომიკურ მაჩვენებელთა ზრდის ტემპები. თუ 1970 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით მათი (სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების გარდა) ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება უდრიდა 398,4 მლნ მანეთს, ხოლო მომუშავეთა საშუალო წლიური რიცხვი — 78,7 ათას კაცს, 1984 წელს მათ შეადგინეს შესაბამისად 9287,8 მლნ მანეთი და 761,6 ათასი კაცი ანუ 23,8-ჯერ და 9,7-ჯერ მეტი. მარტო მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში მსხვილდება რკონის პირუტყვისა და ღორის წონამატი გაიზარდა 117 ათასიდან 609,9 ათას ტონამდე, ხოლო მათი რეალიზაციის მოცულობა (ცოცხალი წონით) — 258,7 ათასიდან 884,7 ათას ტონამდე. 1984 წელს სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგება შეადგინა 700,1 მლნ მანეთი, მაშინ როცა 1970 წელს იგი 152,2 მლნ მანეთს არ აღემატებოდა. ზოგიერთი მაჩვენებელი ზვენი რესპუბლიკის სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციებში კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება. მაგალითად, იმავე წლებში მომუშავეთა რიცხვი გაიზარდა 37 ათასიდან 41,9 ათას კაცამდე ანუ 11,8-ჯერ, მოგება — 2 მილიონიდან 33,2 მილიონ მანეთამდე ანუ 16,6-ჯერ და ა. შ.

სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის შემდგომი განვითარების, ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო კავშირის გაძლიერებისა და სხვადასხვა წარმოების ერთობლივად ორგანიზაციის პრაქტიკის გაფართოების კვალობაზე 60-იანი წლებიდან უკრინაში, რუსეთის ფედერაციისა და ქვეყნის ბოლო სხვა რეგიონებში დაიწყო შექმნა აგრარულ-სამრეწველო საწარმოების, კომბინატებისა და ვარსიანებისა, რომლებშიც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ორგანულად შეერწყმის, შეემატება მისი პროდუქტების სამრეწველო გადამამუშავებას, ე. ი. ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტეგრაცია, მათი სინთეზი. ამ თვისებრივად ახალი სამეურნეო ობიექტების მუშაობის პრაქტიკაში იმათათვის ცხადყო, რომ ისინი კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებთან შედარებით მეტწილად უფრო მაღალი ეფექტიანობით იყენებენ რაგორც წარმოების საშუალებებსა და ფინანსურ სასარგებს, ისე შრომითი რესურსებს და ვაწუხრელად ზრდის სამეურნეო საქმიანობის რა-

ოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

აგრისამეცნიერო საწარმოების, კომბინატებისა და გაერთიანებების შედეგებსა და წარმოების ორგანიზაციის ამ პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვის მიზანშეწონილობაზე რომ ამბობდნენდა უფროაღლებას, სკკპ XXV ყრილობა მიუთითებდა: „მოღდავეთის, რუჟისის ფედერაციის, უკრაინის, ბელარუსისის მთელი რიგი ოლქებისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკების გამოცდილება მოწმობს, რომ წარმოების მოცულობის სწრაფი ზრდის, შრომის ნაყოფიერების სერაოზული ამაღლებასა და თვითღირებულების შემცირების დიდ შედეგებზე მიყვება წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათა შორის კოოპერაციისა და აგრისამეცნიერო ინტეგრაციის ბაზაზე. მაშასადამე, უფრო აქტიურად უნდა განვახორციელოთ ეს კურსი. ჩვენმა ორგანიზაციულმა მუშაობამ, დაგეგმვამ, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებამ უწყვეტობაზე უნდა შეუწყოს ხელი ამ პროგრესულ პროცესს“ (სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 70). შემდეგ კი ამ სტრატეგიულმა კურსმა, რომელსაც არც მხოლოდ ეკონომიკური, არამედ იდეო სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, უწყვეტობაზე დასაბუთება და კონკრეტული გამოხატულება მხოლოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 მაისის დადგენილებაში „სამეურნეობათა შორის კოოპერაციისა და აგრისამეცნიერო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდეგში განვითარების შესახებ“.

არგორც ამ დადგენილებაშია მითითებული, „ფართო კოოპერაციების ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, მისი გადაყვანა თანამედროვე ინდუსტრიულ საფუძველზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდეგში განვითარების მაგისტრალური მიმართულება, განვითარებული სოციალიზმის პარტობაში დენინტრი კოოპერაციული გეგმის იდეების პრაქტიკული განხორციელების ახალი ეტაპია“. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარების, მისი ეფექტიანობის გააღვივებისა და მაღალხარისხიანი სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების პარალელურად იგი ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობის ისეთი ძირითადი ამოცანების გადჭრას, როგორცაა: საკულტურეო წარმოების განსაზოგადოების დონის ამაღლება, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დახლდება და პერსპექტივაში შერწყმა, საზოგადოებაზე და, უწინარეს უცვლინა, ეკონომიკური ურთიერთობათა სრულყოფა, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძ-

ღვეა, საერთოდ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალეებისა და სოციალისტური ურთიერთობათა შემდეგში განვითარების უწყვეტობის მიზანშეწონილობაზე დადასტოვება კომუნისტური წარმოებით ურთიერთობებში.

თანამედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და საზოგადოებრივი ურთიერთობების, უწინარეს უცვლინა კი, ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდეგში გაღრმავების კვალობაზე ხორციელდება, სოციალიზმის გეგმაზომიერი და უწყვეტობაზე სრულყოფის, ცხოვრების თვისებრივი გარდაქმნის უწყვეტად ნიშანდობლივ გამოხატულებას წარმოადგენს. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენგარალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ასრბლის პლენუმზე აღნიშნა, „...ცხოვრება, მისი დინამიზმა გვკარნახებს ამის საქაროების, რომ მოვახდინოთ შემდეგში ცვლილებები და გარდაქმნები, მთავრით საზოგადოების ახალ თვისებრივ მდგომარეობას, თანაც, ამ სიტუაცია უფართოესი მნიშვნელობით. ეს ვახლავთ უწინარესად წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განახლება და შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მხოფლიო დონის მიღწევა. ეს ვახლავთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და უწინარეს უცვლინა ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფა“.

საზოგადოების ეკონომიკური ანუ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის ძირითადი, მისი სოციალურ-ეკონომიკური არსისა და ხანაითის განსაზღვრელი რგოლია საკუთრება, საკუთრების ურთიერთობა. ამიტომ, მუდებრივია, ამ კატეგორიის მოძრაობაში მომხდარი ძვრები, მისი განვითარება და სრულყოფა წინ უძღვიდა და განამარბებს შენახამის ცვლილებებს წარმოებით ურთიერთობათა სისტემის დანარჩენ რგოლებსა და მთელ სისტემაში. სწორედ ამით აისხნება ის გარემოება, რომ სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კვალობაზე საბჭოთა საზოგადოების უწყვეტობაზე პროგრესის, ცხოვრების უწყვეტ მხარის თვისებრივი გარდაქმნის უზრუნველყოფად. სხვა პრობლემების გადაჭრასთან ერთად, ითვალისწინებს „შრომისა და წარმოების განსაზოგადოების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას; საკულტურეო-კოოპერაციული საკუთრების დაახლოებას საერთო-სახალხოთან, მათი შერწყმის პერსპექტივას“. აქვე მითითებულია, რომ „ეს პროცესი განხორციელდება სოციალისტური საკუთრების ორივე ფორმის უწყვეტობაზე განვითარებისა და განმტკიცების“, საერთო-სა-

ხალხი საკუთრების უპირატესობათა რეალ-  
 ზაციის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა-  
 გაუმჯობესებისა და „ეკონომიკის საკლ-  
 მურენო-კოოპერაციული სექტორის შესაძლ-  
 ელობათა უფრო სრული რეალიზაციის შედე-  
 გად“.

საკლმურენო-კოოპერაციული საკუთრების  
 საერთო-სახალხო საკუთრებასთან დაახლოებ-  
 ისა და, მაშასადამე, ამ უკანასკნელის დონეზე  
 ამაღლების პროცესში ხდება ამ არსებით თა-  
 ვისებურებათა თანდათანობით გაქრობა, რო-  
 მლებათაც სოციალისტური აჯარაული, კერ-  
 ძოდ კი საკლმურენო, ურთიერთობები გან-  
 სხვავდება მრეწველობისა და სახალხო მეურ-  
 ნეობის სხვა დარგებში, აგრეთვე სოფლის  
 მეურნეობის სახელმწიფო სექტორში არსებ-  
 ლი წარმოებითი ურთიერთობებისაგან. მრე-  
 დველობაში გვაქვს განსხვავება წარმოების მა-  
 რთვისა და დაგეგმვაში, საკლმურენო ანგარი-  
 შის განხორციელებაში, შრომის ორგანიზაცი-  
 ისა და ანაზღაურებაში, წარმოების მუშაეთა  
 მატერიალური წახალისების ფორმებსა და მეთ-  
 დებში. პროდუქციას რეალიზაციაში, წმინ-  
 და შემოსავლის განაწილებასა და გამოყენე-  
 ბაში, საელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობა-  
 ში და სხვ.

სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის  
 დაახლოებისა და კერძოდ საკლმურენო-კო-  
 ოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო  
 საკუთრების დონეზე ამაღლების კანონზომი-  
 ერი პროცესის ერთ-ერთ გამოხატულებას წარ-  
 მოადგენს კლმურენობების საბჭოთა მე-  
 ურნეობებად გარდაქმნა, რაც ორმოცდაათიანი  
 წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო და უვე-  
 ლაზე მასობრივ, მასშტაბურ ხასიათს სამოც-  
 სამოცდაათიან წლებში ატარებდა. ამასთან  
 ერთად, განხორციელდა საკლმურენო-წარ-  
 მოების ცენტრალიზაციის ანუ წერად კლმურ-  
 ნეობათა გაერთიანების გზით მათი გამს-  
 ვავლების პროცესი. ორივე ამ გარემოების შე-  
 დეგად კი კლმურენობათა რიცხვი ძლიერ  
 შემცირდა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა გა-  
 იზარდა. თუ 1950 წელს სსრ კავშირში 121,4  
 ათასი კლმურენობა (გარდა მეთევზეობისა)  
 და 4985 საბჭოთა მეურნეობა არსებობდა, 1984  
 წელს მათ შეადგინეს შესაბამისად 16 171 და  
 22 515. იმავე წლებში საქართველოში კლმურ-  
 ნეობების რიცხვი 2 530-დან 712-მდე შემ-  
 ცირდა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა —  
 80-დან 570-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მეურნეობებად  
 ძირითადად გარდაქმნა შედარებით ჩამორჩე-  
 ნილი, დაბალშემოსავლიანი და ეკონომიკურად  
 უსუსტი კლმურენოები, რომლებშიც წარმო-  
 ბის ეფექტიანობა, შრომის ანაზღაურების  
 დონე, მატერიალური წახალისებისა და სოცია-  
 ლურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციე-  
 ლების შესაძლებლობები საბჭოთა მეურნეო-

ბების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით  
 შევერთად დაბალი იყო და რომელიც წარე-  
 ბივ კლმურენეთა საერთო კრებებზე ერთსუ-  
 ლოვნად უჭერდნენ მხარს ამგვარ რეორგანი-  
 ზაციას. იმ კლმურენობათა წევრები კი  
 რომლებშიც დასახელებული მაჩვენებლები  
 საბჭოთა მეურნეობებისას აღემატება, უმრავ-  
 ლეს შემთხვევაში, უარყოფენ მათი კლმურ-  
 ნეობების საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმ-  
 ნას.

მაღალშემოსავლიანი, ეკონომიკურად ძლიერ-  
 არი კლმურენოების შექანაურად, იძულებ-  
 ბითა წესით ან სხვა მსგავსი მეთოდებით სა-  
 ბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნა მართლაც  
 მიზანშეწონილია როგორც სოციალ-ეკონომიკურ-  
 რად, ისე პოლიტიკურად, ვინაიდან ეწინააღ-  
 მდეგება ლენინური კოოპერაციული გეგმის  
 განხორციელების პრინციპებს და, უწინარესად,  
 ნებაყოფლობის პრინციპს. იგი მოასწავებს პი-  
 რადი და კოლექტიური ინტერესების საერთო  
 საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაპირის-  
 პირებას, რამაც არ შეიძლება არ შეაფერხოს  
 სოციალისტურ აჯარულ ურთიერთობათა გან-  
 ვითარებისა და, საერთოდ, სოციალიზმის სრულ-  
 ყოფის პროცესი. სკვ ცენტრალური კომი-  
 ტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა სწო-  
 რედ ამიტომ მიუთითა, რომ საზოგადოებრივი  
 საკუთრების ორი ფორმის დაახლოება არ შე-  
 იძლება განხორციელდეს კლმურენოების  
 საბჭოთა მეურნეობებად შექანაურა გარდაქ-  
 მის გზით.

არც შედარებით ჩამორჩენილი და ეკონო-  
 მიკურად უსუსტი კლმურენობის საბჭოთა მე-  
 ურნეობებად გარდაქმნა წარმოადგენს საწარ-  
 მოო ძალთა განვითარების თანამედროვე დო-  
 ნის ობიექტური მოთხოვნებით განპირობებულ  
 და სოციალ-ეკონომიკურად და პოლიტიკურ-  
 რად გამართლებულ ღონისძიებას. მართალია,  
 მას კლმურენოების ერთსულოვნად უჭერდ-  
 ნენ მხარს და, მაშასადამე, ნებაყოფლობითი ხა-  
 სიათი აქვს, მაგრამ, დადებით მომენტებთან  
 ერთად, რიგი უარყოფითი მხარეებაც გააჩნია.  
 საქმე ისაა, რომ ქვე ერთი, ამ გზით შექმნი-  
 ლი საბჭოთა მეურნეობების დიდი ნაწილი  
 კვლავაც ჩამორჩენილია და მძიმე ტვირთად  
 აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს. შემდეგ, იგი  
 ხელოვნურად აუარესებს საბჭოთა მეურნეო-  
 ბრივი წარმოების საშუალო საკავშირო და სა-  
 შუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს, რომ-  
„ჩვენებებს (ანაბეჭდებს)“ ორი, დამეტარლურად განხვავებული, სტილისტიკა გაანია, რისი საფუძველიც მოთხრობის ძირითად აზრში მდებარეობს. მოთხრობის სტილისტიკის ერთი სახეობა მკვეთრად იმდენა ცხოვრების მშრალი, „გაშუშვლული“ ფაქტების სქემატურ სახეს. სწორედ ამ კონკრეტულ ზღომილებებსა და ამბებს ეწოდათ მოთხრობაში ჩვენებები, ანაბეჭდები. მოთხრობაში მოტანილი სამშობიაროს, პოლიკლინიკის, საბავშვო ბაღის, სკოლის თუ მილიციის ძველი არქივებიდან ამოკრედილი კვთორები, ციფრები, საბუთები, დიპლომები, ცნობები და ოქმები — ნაწარმოების გმირის ცხოვრების უნიფიცირებული „ანაბეჭდებია“, საკანცელარიო ენით მოწოდებული ცხოვრების უტუარო ჩვენებები და ნიშნები.

თითქოს ეს ანაბეჭდები თავისი აბოლუტური სიწესტით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, ანგარიშგანაწევია და გულთან ახლო

მისხატანია, ვიდრე მწერლის წარმოსახული სა-  
მუარო. აი, თვით ავტორის სიტყვები ამ თა-  
მაზე: „მე შეძრული ვაუვი იქ მოთხრობის  
უსაღვრო ნამდვილობით. ეს ელემენტარული  
ისტორია, სადაც მხოლოდ იმდენი სიტყვა ეწე-  
რა, რამდენი სიტყვა ან მოკლენაც ჩანდა, ისე-  
თი მამართი სინამდვილით იყო დამძიმებული,  
რომ მთელი ლიტერატურის გამოგონილი სა-  
მუარო ერთბაშად ამჩატდა ჩემს თვალში, რო-  
გორც მხატვც გამოჩნდებოდა ზელოვნური  
ღრუბლის ღვიძლი იმ ავადმყოფ, გახივებულ,  
წადეღლაქვეულ დედასთან შედარებით... და  
მე ვაფიქრე, აი, თუ სიცოცხლეს ავადა, ზე-  
ფრანადვრდი, მოდი, მეც ასევე აღწერე მის,  
როგორც ისტორიას, დოკუმენტურად, სადაც  
მხოლოდ იმდენი სიტყვა იქნება, რამდენიც  
სახლა ან მოკლენაც დაიბადა, გააჩნა. ეტყინა.  
ატირდა... კაცის სიცოცხლეს მხოლოდ აღწე-  
სსავენ და მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია“.

შეგრამ შეიძლება ფაქტების ანაზარა და-  
ტოლო სასომხიდილი ადამიანი? შეიძლება მათი  
ფაქტების რეალობის სისახტიკისა და შეუ-  
ვლობის მხოლოდ კონსტატაცია, ზუსტი აღ-  
წესება საკმარისი აღმოჩნდეს ადამიანის ეთი-  
კური ნორმებისთვის?

ამ კითხვის დასმით იწყება ნაწარმოების შე-  
ორე, სრულიად კონტრასტული სტილისტოეუ-  
რი „მომხიფერო“, გაჭერებული ღრმა პოეზიით,  
გოდების უანრული თავისებებით, ეგზისტენცია-  
ლისტური ეთიკის მოტივებით. ნაირა გელაშ-  
ვილის აზრით, მწერალი არა მარტო შეამაე-  
და ცოცხალ ფაქტსა და მასთან მუშანურ შე-  
ურავებლობას შორის, იგი არა მარტო ვერ  
შეურავდება შეუწყნარებელ, გულღრმ სინა-  
მდეილეს, იგი მოგვიწოდებს, რომ ჩვენ თვი-  
თონ შევიზარალოთ ეს დიდი სინამდეილი, თა-  
ნავრწინა და წესრიგი შევიტანოთ მთელს  
სამყაროში. შევიცოდოთ სამყარო მისი უსულ-  
გულღრმის წიაღში: „...და მინაც ვარსულავე-  
ბისკენ უნდა იარო და სხვებისკენ აიღო  
გეზი, შენ მხოლოდ და მიუსაფარო, უზილავ-  
დედა იაოეო... დე. მუდამ გქონდეს დაუშ-  
რებელი საუნჯე ცრემლას და არ დაივიწყო:  
მითი ზარ უძლიერესი, რომ შენ ერთადერთის  
შეგიძლია შევიცოდო მთელი სამყარო...“ ეგზის-  
ტენციალისტური ეთიკის ამ პათოსს იმდენად  
ემღევა მოთხრობებში, საერთოდ, მნიშვნელო-  
ბა, რამდენადაც სეროზულად არის იგი შეე-  
ნობილი მკითხველს მიერ: „

მწერალი კალი ვერაფრით ურავდება თავის  
„უძღურებას“, რომ მხოლოდ უნდა ხატოს თუ  
წეროს იმ აზრების შესახებ, რაც სულის შეძ-  
რამდე აფორიაქებს, იგი, თავისებურად,  
„დედობრავ“ ინსტიტუტს ადევნებს დიდი  
სინამდეილის მიმართ. „დედობრავი“ წარმო-  
დგენებით, ზრუნვით და ურყევ სურს ჩააბა.  
როს მკითხველს თავისი გმირი, გიორგი გიორ-  
გობიანი. პეტრონოვისიფი ამგვარ დამოკიდე-

ბულებას იგი არა მარტო კონცეპტუალურ მხა-  
რედ, არამედ სტილურ ხერხადაც ქცევა, ეს  
კონსტრუქცივისტულად აგებულ „მოთხრობას“  
„ჩვენება (ანაბეჭდება)“ არ წარმოადგენს  
მოთხრობას მოთხრობაზე, არამედ — მოთხ-  
რობას ავტორზე, საერთოდ, მწერალზე. მოთ-  
ხრობის აღქმა მკითხველს ზოგჯერ უძიარს, რა-  
დგან ამოსაცნობია, რომ მის მთავარ პე-  
რსონაჟს სწორედ თითონ ავტორი წარმოად-  
გენს. მწერალი სამყაროში — ამგვარია მოთ-  
ხრობის თემა. ზოგჯერ ინტონაციურად (ნ. გე-  
ლაშვილს შეტად ახსიათებს თავისუფალი ინ-  
ტონაციები) ავტორის ხმა და მეტყველება ძა-  
ლზე უზღოვდება გმირის, გიორგი გიორგო-  
ბიანის, დედის მხატვრული მეტყველების გა-  
სნაკურთხებულობას და მის სულიერ ანტიპა-  
სს.

ყოველ შემთხვევისთვის ვიტყვით, რომ მო-  
თხრობის ნამდვილ პეტრონოვებდა ქვეყლია  
რეალური ავტორი (საერთოდ, მწერალი, აქე-  
დან კი: უმაღლესი პასუხისმგებლობით აღჭუ-  
რდილი ყოველი პაროვნება), რიგობა მკითხვე-  
ლი და, თუკი ასე შეიძლება ითქვას, „ნომი-  
ნალური“ გიორგი გიორგობიანი, თავისი შო-  
ლებითორთ. მკითხველს ახსოვს, რომ მოთხრობის  
ავტორი ვამუღმებულად თანამონაწილეობს ნა-  
წარმოების მოქმედებაში, კულში ხდევს თავის  
პეტრონაჟს, გიორგი გიორგობიანს, მაგრამ,  
ცხადია, მისი ცხოვრების სახედისწერო ამბე-  
ბში კორექტივის შეტანა არ შეუძლია: გმირის  
ცხოვრება ერთადერთი შესაძლებელი გზით მი-  
იზარებდა. თავისი თვალსაზრისი რომ უქე-  
გვამცნოს, ავტორი არ ურიდება პარადოქსურ  
ვითარების შექმნას. მოთხრობის თითქოსდა მთა-  
ვარი პირი, გიორგი გიორგობიანი ავტოკატას-  
ტროფის შედეგად ვარდაცულება რაიორულ  
საავადმყოფოში. ვარდაცულებაამდე რამდენიმე  
საათი ადრე საავადმყოფოში ვხედავთ მოთხ-  
რობის ავტორს, რომელიც, უზოლოდ შეუფო-  
ბებული, სთხოვს მორავე ექთანს, რომ, რო-  
გორც დასახიჩრებულის ახლობელი, არ გა-  
ძევონ და ავადმყოფთან ამყოფონ, მაგრამ ირ-  
კვეა, რომ მან (ავტორმა) არ იცის რა მქეია  
კატასტროფაში მოყოლილს, არ იცის მისი სა-  
ხელი (გიორგი გიორგობიანის „ნომინალური“  
სახელი), რითაც ძალზე გააკვირვებს საავად-  
ყოფოს მორავე ექთანს. ავტორმა არ იცის  
თავისი პეტრონაჟის სახელი ჭერ თითქოს იმი-  
ტომ, რომ მის მეთვალყურეობაში მყოფ გე-  
ბრონაჟში ყოველი, თითოეული ადამიანი ავ-  
ლისხმება. შეუძლებელია ყველა ადამიანის სა-  
ხელის ცოდნა, სახელის ცოდნა თითქმის არა-  
ფერს იძლევა, არსებითია პასუხისმგებლობა  
მათ წინაშე (ამიტომაც ყოველი ადამიანი „ახ-  
ლობელი“, თანამომე, მოუვასი). მეორე მხრივ,  
რეალურად, ავტორი მართლაც არ იცნობს ჭერ  
თავის პეტრონაჟს და მხოლოდ კატასტროფის  
შემდეგ აზუსტებს მის ვინაობასა და ეცნობა მის

მწუხარე, „განუხორციელებულ“ ცხოვრების გზას.

ავტორი ავტოკატასტროფის შემდეგ ეცნობა თავისი პერსონაჟის, გოგრაჟი გიორგობიანის ცხოვრების „ანაბეჭდებსა“ და „ჩვეწებებს“, მაგრამ ეს მხარე მოთხრობაში ფსიქოლოგიურად მკარადად აღიქმება, აღნაბ, იმიტომ, რომ ამ გარემოების არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ნაწარმოების ბოლოს „მოწმის“, „მარტოე პირის“ ნიღბით ავტორი კვლავ შეწოდის მოთხრობის მოქმედებაში. მაგრამ ეს შემოსვლა და ამბის მსვლელობაში თავსებური თანამონაწილეობა ჩვეულო ლიტერატურული ხერხის კი არაა, არამედ, ვიწროებთ, მოთხრობის წმინდა კონცეპტუალური ნაწილია, მაღალი ჰუმანიტარული აზრის შემცველია; ასეთი მხატვრული აქტა რეალური მიწების გადაღების წინაპრობა მსვლელობა, „მთელი სამყაროს შეხრალების“ ეგზისტენციალისტური მოდელია.

ავტორის რწმენით, „მწერლობა დაპირება“, მაგრამ არა განუხორციელება; მწერლობა პირობის მიცემა და აღიქმის მიცემა, მაგრამ განამდებლობა, ასრულება და რეალურ სინამდვილეში აცხადება მას არ უწერია, ავტორის წინაპრობა იდეალიზმი არ სცნობს სახეობის თავის მიჯანყებაში იგი მთლად აუხდენელისკენ, გადაულაზრე სამანებისკენ მიიწევს. და როგორც კი რაციონალურად შეხედავს თავისი სწრაფების განუხორციელებლობას, იპურობს ეგზისტენციალისტური სირცხვილი; მორალურ ვალდ მიიჩნევს, პატრება ითხოვოს მკითხველთან, დანაშაულის კომპლექსი, თვითბრალდების გამწვავებული განცდა, წინაპრობა ცოდვილების აღიარება (რადგან მწერალს არ შეუძლია უშუალოდ კორექტირება ადამიანის ტანჯული ცხოვრებისა) — ნაწარმოების უღრმეს აზრობრივე მოყოლო პლატებშია ჩაფხებული.

საჭიროდ მიმჩნია მოვიტანო მოთხრობიდან ერთი შესაბამისი ადგილი, რომელიც სწორედ ავტორისეულ „ტიტეს“ წარმოადგენს, ნაწევრება მისი დიალოგიდან ანონიმურ რიგით მკითხველთან, „მრცხვენია მწერალი ვურდო ჩემს თავს. მრცხვენია, როცა სხვები ვერე ამბობენ... მრცხვენია... მე, როგორ ვითხრათ, მინდა სხვებზე ხელეები ავიფარო, მინდა, მამატივით გრმანამოქარბებულობა, ცხარე ცრეპლით ვითხრო და მიწაში ჩაფხვრე სირცხვილისგან. არა, მხოლოდ მატიკომ არა, მხოლოდ პოოფისიული სიყრუის გამო არა, რომ მწერლები ათსჯვარ ამბავს იგონებენ და, რაც ძალი და დონე აქვთ, ხალხს არწმუნებენ, მართლა მოხდაო... ბოლოს და ბოლოს, რაკი ეს ამბავი მათ სულში ხდება, ესე იგი, მართლაც ხდება... თანაც ტანჯვა და აზრი, რაც ითხოვს გემოქმას, ხომ მართლა არსებობს და ამიტომ გამოკონილიც სიმართლე... ასე რომ, მხოლოდ ამიტომ არა... შეიძლება

ვერც ვითხრათ, ეს ძალიან ძნელია, ძალიან ძნელი; მხოლოდ ერთს გეტყვით, და ერთადერთხელ: დაპირება, რა და, მწერლობა უწვლავზე დიდი დაპირებაა, რადგან სიტუცია: ლექსი, მოთხრობა... ადამიანს კი ისე ძალიან უჭირს, როგორც არასდროს და ამდენად მწერლობასაც ისე უჭირს, როგორც არასდროს, რადგან ეს დაპირება უმეტესად ფერადი ბუნებით ლაპლაპებს მაერში და ის... ვინ და, ადამიანი, აქ სრულად მართლა: ბავშვის ავადმყოფობის, შიშის, შამშილის, გაწმინდებისა და სიკვდილის დროს და ვერავითარი ლექსით მოთხრობა მისი ყოფიერების ამ ვიწრო წრეში, ადამიანის ვარემოცველი წრეებიდან სულ პირველში, უახლოესში ვერ აღწევს, სადაც ის დგას გულდაწყვეტილი, ამაოდ მომლოდინე მხრით, როგორც კაცი, რომელსაც ხელსეგულში ხიჭვი აქვს, მას კი ხელისგულის საინტერესო ხაზებზე ესაუბრებიან ისტატურად, იდუმალი ჩურჩულით ან სულაც ხიჭვის შემადგენლობას განუმარტავენ ხომღერ-სიმღერით, ან სულ სხვა, შორეულ საგანზე საუბრით სურთ გაართონ, დაავიწონ მწარე ტივილი. ამასობაში კი ხელი სივდება, ჩირქდება...

...მე თვალწინ მქონდა მთელი ცხოვრება, სადაც ვერ ჩავერთე... და გადაწყვეტიე, ახე პირდაპირ გამომქვეყნებინა ეს დაყოფიერებები, როგორც ნამდვილი რეალობა, როგორც... როგორ ვითხრათ, ჩემი სასჯელი, როგორც ფაქტი, რომელიც სიტუციის უფლებას მართებდა“.

ნაირა გელაშვილი მოთხრობაში, როგორც ვიცით, უხვად იყენებს პოეტურ პროზას, მაგრამ ამ პროზის სტილური ღირსება, აჭრევე, იდეური დანიშნულებისა, მოვარგონით კეთილად „ძველი წიგნი, ბიბლიოთეკის შიფრით № 100, გვ. 17“. მაღალი პოეტური წვდომით შესრულებულ ამ ქვეთავში, ადამიანის (გიორგი გიორგობიანის სახეში რომ უნდა განვევტრეტო) ბედზე მოთქმა-გოდებას რომ წარმოადგენს და გულის შემწერელად გულწრფელია, ავტორი ეგზისტენციალისტური პერსონული ეთიკის ერთ-ერთ მთავარ თემას გვაწვდის, როგორც ბედისწერის მარწმუნებლად ვამოსავლს, როგორც ჩვენ სიმტკიცის კვერთხს, როგორც სხვის, გზის მაჩვენებელს („დე, მუდამ გქონდეს დაუშრეტელი საუნჯე ცრემლის და არ დაავიწყო; იმიო ხარ უძლიერესი, რომ შენ ერთადერთს შეგეძლია შეეცოდო მთელი სამყარო“...), ეს ქვეთავი, როგორც ზოგადად ამავე სტილისტიკით შესრულებული კეთილად, შელოცვის დარად აკითხება, მაგრამ მაღალი პოეზიით გაჭრეებულ მოთხრობის ამ ნაწილში სიღრმისეული ფსიქოლოგია და ფსიქოანალიზის წვდომები უხვადაა მოწველიებული. მწერალი ქალი მთლად იდებს ევრდობა, თუნდაც იგი ოტო რანკის ან სხვა ფსიქოანალიტიკოსის ექოფნოდებს და გაააზრებს მას (იდეას) მებრად ორგანოლად, პოეტური სიღრმის მიხა-

ტებით, გაზრდილი (ამავე კვეთიდან მოტანილი შესახამისი ადგილი ნადვილად იგარგებს ამის ნიშნად: „...სად და როდის გაგახსენდება დედის სხეულის თბილი გვირგვინი, შენ რომ მაშინ გამოიარებ, როცა სიცოცხლე შეშინსდები, წყალსა, ცრემლებს და სისხლსა განათლდები, ამ რა გვირგვინი ვახვალ აქედან... სად და როდის დაგალონებს ის მოგონება, როცა სხეულის თბილ ბუდეში ნახად ვათბობდნენ, ამან თუ აღგიოქვ: ბედნიერება, იქ დაგალოდნენ აღერსს, სიყვარულს, იქ მიგაჩურებს და ეძებ, ეძებ შერე შენს გზაზე შედამ ჩიუტად...“).

ამავე მშენიერ კვეთიდან მოცემული მოთხრობის „ჩვენება (ანაბეჭდები)“ შეგონება, რომლის პოეტურად ეგზალტირებულ მეტაფორულ უმადლესი მოჩაღის მოწოდება რეაგირირი განცდის სუბსტრუქციითაა გაცხადებული. ადამიანი იქამდე იქნება მარტო და მათუხარის, ვიდრე საკუთარ მარტოობაში არ შემოიყვანს და „დასახლებს“ უკველ შესაძლებელ ადამიანს, ვიდრე საკუთარ მარტოობაში თუ მათუხარობაში არ გაზრდის კაცობრიობის საზღვრამდე, ვიდრე ისევე არ იფიქრებს სამყაროს მიუხაფრობაზე, როგორც საკუთარზე. თუკი მტკივნეულად განვიცადებო, რომ ყველა ერთნაირად განხეული და დაცულიყვედნული, ასეთი თანაგანცდა იძლევა ზნეობრივ სოლიდარობის გრძნობას, მარტოობას ახალი ადამიანური თვისობრიობა მიენიჭება, გამაერთიანებელ ძალად იქცევა.

თავს უფლებას მიეცემო მხოლოდ რამდენიმე სტრაჰონი მოვტანოთ ამ ჰუმანურა (იქნება არც თუ უტოპიურა) ვრცელი შეგონებიდან: „...დედის მოქიამდე, შეგაყავებს, თორემ შენი ცხოვრების მხოლოდ ვიწრო წრით, შენი თავის და თითო-ორილია შენიანის მხოლოდ მტკივარი — ჩაიყარებო წუთისოფლის მზრუნავ ნისლეში, როგორც ცას მოწვეტილი ვარსკვლავი სამყაროს მტკივრი... მაგრამ უკეთეს სხვა ატყავდება, ბერის სიცოცხლის, მთელს კვეყანას თუ ატყავებს, მოინდომებს კიდევ, რომ სახლი ღურ მრავალთათვის, ზერო და წყალი... მაკენ მიიღტვას ნათელი, ვინც თავად ანათებს და ბედნიერაა პატარა კიბი — დადლოლთათვის კარგადებული — მის მზე ადებია... ეს გადაგარჩენს...“

მართლაც, ეს მოთხრობა დაწერილია ადამიანის ზნეობრივ ხსენებე უჭირით და ამგვარი ღირსების ფიქრთა აღსაქრებად. ადამიანი უნდა ვისხნათ და მის გადასარჩენად სიტყვამ, შწერლობამ ყველაზე რადიკალური გზები უნდა მოსინჯოს. არავითარი ზნეობრივი რელი-

ტივიზმი, მხოლოდ ჰუმანიზმის ახალი, მკვიდრი საყრდენების კლავა, უწყება, ქადაგება, რიტმული პროზითაა აგრეთვე, შერეული, სოცრად შთაბეჭდილავი და ძლიერი დატორების ადგილი (საერთოდ, მოთხრობა თითქოს მთლიანად დატორების ეანრს განეკუთვნება). ბიბლიური ამოცანისა და სახლური დატორების ტექსტებს რომ ენათესავება — მხოლოდ იქნავ მოდერნიზებულიად. ესაა ადამიანის გაუმეტებლობის დატორება, მის წარმავლობასთან დედობრივი შექიდება, მაგრამ, ამავე დროს, საკუთარი მწერლური ბედის, თავისი ზნეობრივი შეურაცხებლობის, ზნეობრივი მიუღებლობისა და დაუშვებლობის დატორებაც. კვეთავის სათაური, რომელშიც ეს გლოვა-ზარია დარისხებული, ამაგარადაა გაუცხოებული: „...მალი წიგნი, ბიბლიოთეკის ბეჭედი № 1990“. ამ მხრივ, მოთხრობა მუდამ გამოირჩევა ემოციური და პლასტიური ტაქტით.

ჩვენ ადრევე ვთქვით, რომ ავტორის ღრმა პოეტურობით გაქრებული ტექსტები გამიზნულ კონტრასტს ქმნის ემპირიული უოფის ამახვილ შშრალ, ელიან, დროისდაუყარავ, წყვეტილ, საოქმო ენასთან. ექვს არ იწვევს, რომ მწერლის მოწოდებების სიზმარული, მეტრნავო, რყვნანარევი თუ მოწინარევი სიტყობით გაწავებული, მაგრამ სიმწარით სავსე, სულიერ თერაპიის მიზნავებული მხატვრული მეტყველება არის კიდევ მწერლის უპირატესობა დანარჩენ სამყაროსთან, დანარჩენ კაცობრიობასთან. რა თქმა უნდა, ეს „უპირატესობა“ გამოყენებულია ისე, რომ მწერლის მოწვევებზელი, ბორკვეული ფიქრი მტლად დაედოს ადამიანს, მკითხველის ცნობიერებას.

ვის მიმართავს ამ მოთხრობის ავტორი? ყველას, მაგრამ, პირველ რიგში, იმ კატეგორიის ადამიანებს, რომელთაც კარგად ესმოთ გიორგი გიორგობაიანისა.

მოთხრობის ბოლოს, როგორც მკითხველს ახსოვს, მოტანილია ქერ ისევ მეორე კლასის მოწაფის, გიორგი გიორგობაიანის ფაქსიმოლეთი შესრულებული საკლასო რვეულის ამონაწერა. და ამ ბიჭს, თომას შანის ტონით კრიოვირით (თანაკლასელ ჰანს ჰანშენთან პირველ საღაბაში) რომ მგრძნობიარე და ამ დართულ „საკონტრაფლო წერაშიც“ ამდღავნებს თავისი სულის სინატიფებს, სკოლის ქართულის მასწავლებელი სამიანს (დამაკმაყოფილებელს) უწერს.

მკითხველო, ჩვენ რაღა ნიშანი უნდა დავუწეროთ ამაგარ ქართულის მასწავლებელს?



**თეიმურაზ მაღლაშვიტი**

**ტიციან ტაბიძე**

ტიციან ტაბიძე ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1936 წელსაა დაწერილი და მისი რჩეული ლექსების ტომს წინასიტყვაოდ ერთვის, აღნიშნავდა: „დავიბადე 1895 წელს, 2 აპრილს, დასავლეთ საქართველოში, სოფელ შუამთაში — ორპირის მახლობლად.“

...ადრეულ ბავშვობიდანვე უცნაური პეიზაჟებით ვივარე ვარემოცული. ტროიკული გვირგვინი, ღონეები, ქაღრებისა და ალვის ბუჩქების ხშირი რიგები და ალაგ-ალაგ ქოთბანი სახანავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ შიან რადისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გვირგვინს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა შიის ჩასვლა რიონისპირა ველზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ პალისტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე და ცხს სანახევროდ კოლოები ფარავდნენ.“

და იქვე:

„ჩემს თვალწინ ციებისაგან იფლიტებოდა მთელი სოფლები, წვევლა-კრულით სტოვებდა ხალხი შეჩვეულ ადგილებს. ამ ამბის ხილვა მაგონებდა ფრანგი პოეტის ლოტრეამონის ლექსებს. გომბეშოს მონოლოგი „მადლოთარის სიმღერებიდან“ — ეს იგივე ორპირის ბაყაყების უცვლელი ორპირის, იგივე ვადაგვარების სიმღერა იყო.“

ასეთ ვარემოში იზრდებოდა ყრმა ტიციან ტაბიძე, ასეთი იყო მისი ბავშვური თვალთ პირველხილული სამყარო. აქვეა მოსასვენებელი ის ვარემოებაც, რომ პოეტის მამა, იუსტინე ტაბიძე, თავისი დროისათვის გახათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ცხოვრებისეულ ეთარებათა გამო იძულებული გამხდარა მღვდლობა დაეწყო. ამ ფაქტს ღრმა ვეალი დაუტოვებია ტიციანზე. გათვის ხანი და სიამაყილეთი მიღებულ შთაბეჭდილებებს ასე გააკოცლებს პოეტი 1916 წლით დათარიღებულ ლექსში „მაგი წინაპარი“:

„გარქილა უამბი, მღვდელმსახურებს რაც ჩე-

მი გვარი. ვინ დათელის წირვას, რაოდენი გამოიყენებს. ახლაც ეზოს წინ დაღვრემილი მოჩანს საუფარიო, ეს გერბი არი, იმაყ შგოსანს რომ დამოხატეს. ლოცულობს მამა მწუხრის ლოცვას, მუნჯად ვუცქერი, ფსალმუნი სულში შეფრინდება და იმარბება.“

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მშობლიური ორპირის ეგზოტიკური პეიზაჟი, ციებით გათანგული, გამარტახებული სოფლები, მამის მისტიკური განწყობილებანი მომეალ პოეტს დეკადენტური პოეზიით განპირბებულ ასოციაციებს აღუძრავდა, რაც შემდგომ ფართოდ აისახა კლდე მის შემოქმედებაში.

1905 წლის რევოლუციას ყრმა ტიციანისათვის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაში მოუწერია. „ჩვენმა გიმნაზიამ რევოლუციას და უახლოეს მემარცხენე პოეზიის თავისი ხარკი გადაუხადა. ბევრმა მკობხეულმა იცის ამის შესახებ ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიიდან, რომელიც ჩვენს გიმნაზიაში აღიზარდა და თითქმის ჩემი ტოლი იყო“, — აღნიშნულია იმავე ბიოგრაფიაში. გიმნაზიაშივე გასწავლობა ტიციან ტაბიძე თავის მომავალ მეგობრებს, თანამოკლებებს, რომლებთან ერთადაც, რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოყალიბებს „კოსთერკუანულ“ პოეტთა ჯგუფს და აქტიურად იმოდევნებს ქართულ პოეზიაში ახალი სიტყვის თქმისათვის.

ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების ქუთაისის თაიისებური კოლორიტის ქალაქი გახლდათ. ისევე ტიციან ტაბიძის ბიოგრაფიიდან:

„წერა ძალიან ადრე დაიწყო. ბეჭდვა კი მეექვსე კლასიდან. თადეამირველად ქუთაისის გახეთქებში ებეჭდავლი, შემდეგ თბილისში, ორიგინალური ლექსების გარდა, მამის მთელი რიგი თარგმანებში დაბეჭდვ: ა. ბლოკის, ე. ბრიუსოვისა, თ. სოლოვუბისა, ი. ანენსკისა და ფრანგი პოეტებისა. აგრეთვე.

თ. დოსტოევსკის „ლეგენდა დიდ ინვეზიტორ-სზე“.

არ. ასე და აქედან იწყება პოეტის შემოქმედებითი გზა. ეს გზა ან ყოფილა მარტივი და სწრაფი, პირიქით, მრავალ წინააღმდეგობათა და, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ერთიერთგამომრიცხველი ტენდენციების შემსრულებელი კი გახლდათ. მაგრამ მას უკმაყოფილო ახასიათებდა შინაგანი, ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს კანონზომიერებანი არ ემთხვევა და არც არის სავალდებულო, რომ ემთხვეოდეს, სოციალურ-პოლიტიკურსა თუ სხვა რიგს მოვლენებს, რათა ასე მდიდარი იყო ჩვეთნის საინტერესო ეპოქა, ე. ი. XX საუკუნის პირველი ოცდაათწლიანი პერიოდი. შემოქმედებიდან გამომდინარე, ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში, ჩვენი დავიყრებით, რამდენიმე „ფაზა“ უნდა გამოიყოს:

1. 1910-1915 წლები, როცა სულ ახალგაზრდა, უბნები პოეტი პირველ ნაბიჯებს დგამს ლიტერატურულ სარბიელზე, საკუთარი პიროვნებისა და სტილის დადგენების მტკიცედულ პროცესს განიცდის და, ბუნებრივია, იმდროინდელი ქართული და არამხოლოდ ქართული ლიტერატურის ფონზე ერთგვარი „შეგვირდის“ როლში წარმოგვიდგება.

II. 1916-1925 წლები. ამ ათწლეულში, რომელიც გრანდიოზული სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული ხასიათის კატაკლიზმებით ხასიათდება, ტიციან ტაბიძე ამგვარად თავს, როგორც პირველხარისხიანი „ციხურყანწელი“ პოეტი და ამავე ჩვეულის თეორეტიკოსი. იგი ღირსეულად ატარებს მიძიმე უღელს ე. წ. „ქართული სიმბოლიზმის“ პრაქტიკის პოეტისა და იდეოლოგიური მებრძოლისა და, თანამოკალმე შეგობრებთან ერთად, მიზნად აქვს დასახული „ქართული ლექსის მსოფლიო რადიუსით გამართვა“.

III. 1926-1937 წლები, როდესაც პოეტი თავისუფლდება „ციხურყანწელთა“ შორის შინაგანად მომწიფებულ პოეტური კრიზისისაგან და შემოქმედებას ახალ პირიზონტებს მიმართავს, სადაც ის საბოლოოდ პოეტობის საკუთარ თავს, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, და ქვეშაირი შედეგებით ამდრეებს ქართულ პოეზიას.

1910-1915 წლები, რომელთაც პოეტის შეგარდობის ხანა ეწოდეთ. ქართული ლიტერატურისათვის მრავალმხრივ გახლავთ საინტერესო. ეს ის დროა, როცა ჩვენ კიდევ არ მიმწვდარა ილია ჭავჭავაძის სახარული მკვლევლობით გამოწვეული ექო. შემოქმედებით მუშაობას აგრძელებენ XIX საუკუნის დიდი კლასიკოსები — ავაკი და ვაჟა (მათმა უნიკო წამბაძელებმა ლამის წაიღეს პროზა და პოეზია). მუშაობას აგრძელებენ, აგრეთვე, დ. კლდიაშვილი, ე. ბარნოვი, შ. არაგვისპი-

რელი... მეტეორივით გაივლებს და გაქრება კოლა ლინათივით, რომელიც „სრულდება“ (ანუ გზასავალს ვაუზნის ქართულ მხარეს) (ტიციან ტაბიძის სიტყვებით). დიდი იმედის მომცემ პირველ პროზაულ ოპუსებს აქვეყნებენ მ. ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიჩაძე...

ქართული ლექსის მოდერნიზაციის ანუ გაახლების დიდ საქმეს ეკიდებიან საიმდროოდ უჩვეულოდ პოპულარული იოსებ გრიშაშვილი, ალ. აბაშელი და ს. შანშიაშვილი. 1914 წელს გამოდის გალაკტიონის პირველი წიგნი, სადაც უკვე იგრძნობა მომავალი გენიალური პოეტის ძლიერი პერსონა და რომელზედაც იგივე ტიციან ტაბიძე მშვენიერ წერილს აქვეყნებს სათაურით „მარტოობის ორდენის კავალერი“. არჩილ ჯორჯაძე წერილებს სერხით „ურწმუნო მწერლებს“ (1908), „პოეზიის ანტილოგიაში“ (1909 წ.), „ნათესაურდელის ძიებაში“ (1910 წ.), „წერილები იგრიშის წისკვილიდან“ (1911 წ.) და სხვ. ერთგვარ ფილოსოფიურ საყრდენებს უქმნის და ნიადაგს უზრუნველს მომავალ ქართულ მოდერნიზმს, რასაც შემდგომში ხაზგასმით აღნიშნავს ტიციან ტაბიძე ერთნაწილ „ციხურყანწელი“. დაიწყოება არ გემართებს ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა, კეტა აბაშიძისა, ფილიპე გოგიანიშვილის, ჭაბუკ ინგოროყვას, გერონტი ქიქოძის, ვახტანგ კორტეშვილისა და სხვათა, რომლებიც სწორედ ამ დროს იწყებენ ინტელექტუალურ მოღვაწეობას და ბალავარს უყრიან მომავალ დიდ ქართულ კულტურას. ყოველივე ამას უნდა დაემატოს უამრავი, სხვადასხვა დასახელების ეურჩალი და ვახუთი, რომლებიც მაშინ გამოდიოდა საქართველოში და ჩვენ ზელო გვაგონება XX საუკუნის პირველი ოცწლეულის კულტურული ცხოვრების მებრძოლებად სრული სურათი.

აი, ასეთ ვითარებაში გამოჩნდნენ ლიტერატურის სარბიელზე ვერ კიდევ უწყვეტული უბნები — ტიციან ტაბიძე, პოლო იაშვილი, ეალერთან გაფრინდაშვილი და სხვები, რომლებმაც შემდგომში „ციხურყანწელთა“ ჩვეუი შეადგინეს.

ტიციანის ავტობიოგრაფიიდან ზემოხსენებული ფრაზა „ბეჭდვა მეექვსე კლასიდან დაიწყო“, ნიშნავს, რომ ყრმა პოეტი ბრესაში 1910 წელს გამოსულა. ამ წლიდან მოყოლებული, ეალერე 1915 წლამდე, მას დაუწყრია 33 პროზაული თხზულება და 14 ლექსი, აგრეთვე, წერილები — „ომის თემა ქართულ მწერლობაში“ და „მარტოობის ორდენის კავალერი“.

შორს წავიყვანდა ამ თხზულებათა დეტალური განილივა. არ უნდა დავავიწყდეს, რომ მთიო შემქმნელი ვერ კიდევ ყმაწვილი კაცია და ნაღველი ლიტერატურული საზო-

მეტი მით განისხილველად. ვაით არ გამოგვიდგება. მაინც უნდა ითქვას: ტიცაან ტაბიძის ადრინდელი პროზა XX საუკუნის დასაწყისის ქართული პროზის თემიტურ და ფორმალურ მონაპოვრებზეა ამორბილი და გარკვეულ ნათესაობას ამქლავინებს კოლა ლომთათიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ია ევალაძის, ჟაჟუ ჟორჯიასა და სხვათა შემოქმედებასთან. ზოგერთი მინიატურა ბარათაშვილის პირდაპირი გავლენით არის დაწერილი (გვხვდება ფრაზეოლოგიური შეხვედრები „ხმა იღვშალთან“, „შემოღამებსთან მოაქმინდაზე“, „შეზანთან“). სავითოდ, ძირითადი ტონა, რაც შოლიანად მსჭვალავს უმაწვილი პოეტის იმეამინდელ შემოქმედებას, არის ნაფლიანი, კაეშინი, უაზვლო განწყობილება, რაც, ალბათ, 1905 წლის რევოლუციის დამარცხებითა და ეროვნული იდეალების ბედითი მსხვერვეთაც ახსენებამეტყი ტიცაანის ასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ლტერატურული ერუდიცია და ფართო განათლება ეჭვს არ იწვევს. მინიატურებსა და ლექსებში ძვირფასი თვლებითი ბრწყინავს ანტონიუსი და კლეოპატრა, შილონის ტყვე, ბიბლიისა და სახარების ძალზე საფუძვლიანი ცოდნა, დანგრეული ილითაის მწუხარე ამრდილი, ვეფას „მთანი მალღანი“, მარკუს ავრელიუსი, ვეგარ პოს „უორანი“, აპოკალიპსის სულისშემკრელი ჩვენებანი, ბაზილი და მეტერლინი, ანდრეი შენიე და კენტ პამსუნის „პანი“, ბერლიოზი, მეფე ყაროსი და ბალთაზარი, ვერლენი, რემზო და ბლოკი... ამ უკანასკნელთა სახელები შემდგომში მისი პოეზიის მუდმივი თანამდევნი იქნებიან, მაგრამ ეს მოხდება ცოტა მოგვიანებით, 1915 წლიდან, ახლა კი, 1913 წ. ტიცაანი მოსკოვს იმყოფება, უმაღლესი განათლების მისაღებად.

„1913 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ამ დროს უნივერსიტეტში ავტონომია საბოლოოდ ვააუქმა განათლების მინისტრმა — ბნელეთის მოციქულმა კასომ. მოწინავე ლიბერალმა პროფესორებმა დატოვეს ჩვენი უნივერსიტეტი. ვისმენდი ლაზარევის სახელობის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის ზოგიერთი პროფესორის ლექციებს. ამ პროფესორებიდან განსაკუთრებული სიყვარული ვიხსენებ ავადემიოს გ. ნ. როზანოვს, რომელიც კთხულობდა აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქის კერსს.

ამასობაში I მსოფლიო იმპერიალისტური იმი ახლოვდებოდა და პეტრში დენთის სენიტრიალებდა. ავსტრიის ერკ-პერკოხის მკვლელობა ჩვენი ცხოვრების წყალგამყოფი აღმონანდა. 1914-1915 წლებში ლტერატურული მოსკოვი ჟერ კედვი სიმბოლიზმის ტყვე იყო, თუმცა უკვე იგრძნობოდა სიმბოლიზმის კრიზისი. შევიცარიიდან ახლადამარცხებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა თავისი მუნდო-

ვანი მისტურული დამანულობა, ცხარე კმათი გოთეზე და ლექციები ექსტრემიზმის მხებრზე. მახსენდება სკრიპინის „მეცხველქა და მისი დაკრძალვა სკრიპინისავე მუსიკის ელტრ, იგორ სვეერიაინის პოეზიის უთვალავი საღამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სხდომებზე და ფორმული „კახიტადან პრუდონამდე“, რუსეთის ჯარის წასვლა გერმანიის ფრონტებზე, მარინეტისა და ეშოლ ვერპარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ეთეტიკა საზოგადოების“ სხდომა ლტერატურულ-მხატვრულ წრეში და ელერი ბრიუსოს განმოსვლა, ავტორიტებისა და „აღმოსავლების“ შეტევა სიმბოლიზტების წინააღმდეგ, ნაცნობობა ბალმონტთან, რომელიც შამინ „ვეფხისტყაისას“ თარგმნდა, გატაცება ბლოკთა და ინიკენტი ანენსით და ბოლო, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ შარაიუსკის, ხოლო უფრო გვიან — ზლი-ბნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მადლელებდა და მიტაცებდა, და, ასე თუ იაე, ათასბა კიდევ ჩემს შემდგომ მუშაობაში“.

ეჭვს არ იწვევს, რომ სწორედ მოსკოვში ყოფნისას მოუწიფდებოდა და შეეშოშუადებოდა ტიცაან ის შეხედულებანი ხელოვნებაზე, ელტურფილოსოფიანზე სავითოდ, კერძოდ კი ქართულ ლტერატურაზე, რამაც შემდგომ დაკრისტალეზული სახე მიიღო მის ნაწერებში. ეს შეხედულებანი, უზოგადესი სახით ვადმოცემული, ასეთ იქნება:

ქართული მწერლობა, ქართული ლექსი თემატურადაც და გამომსახველობითი საშუალებებითაც უკიდურესად გაცვდა, ბანალური, ერთფეროვანი გაზდა, დაკარგა ოდიხელი უნივერსალური ხასითი და პროვინციულობამდე ჩამოქვეითდა, ჩასაც, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო კვლი არ დაეჩნია ქართველი კაცის აპროვინების მანერაზე, მისი ცხოვრების წესზე, არ მოედუნებინა ერის საარსებო მფეთქავი ნერი, აედდან გამომდინარე ყველა სახიფათო შედეგით. ამიტომ სასიკოცხლო აუცილებლობა იყო მშობლიური ლტერატურის ავანგარდში ჩადგომა და ვადახალსებისა და განახლებისათვის დაუცალეებო ბრძოლა, ხშირად თენდაც ეს ბრძოლა აგრძალეული იდეებითაც ყოფილიყო წარმოებული, რადგან აქ თუითონ ბრძოლა კი არაა მთავარი. არამედ შედეგები, მიღებული ამ ბრძოლებიდან. ხლო უკველივე ზემოთქმული ეარეული აღორძინების ემბაზში რომ უნდა ყოფილიყო განმანალი და საქართველოს დროს სიყვარულით, მის მომავალ გზებზე მტკიცეული დაფიქრებით შთაგონებულ, ეს ჩანს ლექსიდან „თეთრი სიზმარი“. რომელიც 1915 წელსადა დაწერილი და ტიცაანის ადრეული ლირიკის მიღწევად უნდა ჩითავალოს: „საქართველოთი ვინ არ დ.მწერა, ი ვის არ სტი-

რის საქართველოზე, უძილო ღამემ ცრემლით დასვერა წარსულ დიდების დაღვრემილი მზე. ბევრი ვიტყვი... ბევრი ვიტყვი, ვარდაიქმენით სისხლის მდინარედ, ცრემლებითა ვრწყავთ სამშობლოს ქალებს, სულ ჩვენვე ვაცემეთ მწუხარე ძაძებს. დღესაც საეუთარს მივსდევთ ჩვენ კუბოს, სასაფლავს გზა რად არ იღვევ! სურვე არ არი, რომ დაიგუბოს სასომხობელი შექარა, წყევმ! თეთრი აზრდული მისდევს ჩვენს კორტევს, თეთრი აზრდული — თეთრი მადონის გზა არ იღვევ... თუმც მუწამულ მზეს ამა, საცაა ზღვა დაიწონის. მივდევთ ასე შორეულ გზაზე, ვარსკვლავი ჩვენთან გლოვობენ ცხებ, ჰკვივის ხარნაშო... ჰკვივის აფთარი, შავი ნალღვლის გაცემს შავი ქარი. მადონა, სატრფოვ, გოკნი დალაღებს, ჯარცმული ერის მადონა დედავ. საღ დავისუნებთ, საღ დავაწვთობ ძელებს, გემუდარებთ — გეთხარა, დედავ!

ძნელი მიახვედრა არ არის, რომ მოხმობილი ლექსი სრულიად ახლებური ნიმუშია პატრიოტული ლირიკისა როგორც ქართული ელასიკური, ისე საიმბროო პოეზიის ფონზე. ახლებურია იგი თეთი ტიკიან ტაბიძის შემოქმედებისათვისაც. ამ ლექსიდან იღებს გენერაციურ სათავეს „ქალღეა ქალაქების“ მთელი ციკლი, „ცხენი ანგელოზთ“ და საერთოდ, პოეტის მთელი პატრიოტული ლირიკა, რომლისთვისაც მკაფიოდაა დამახასიათებელი სამშობლოს გადრასული ისტორიისა და, თუ გნებავთ, თანადროულობის ტრაგიკული, ღრმად ემოციური განცდა.

„უაღდის პროფილი... ცისფერი თვალები... სარკესი იმალება თმათური ინფანტა, ილიის დაცოცნი მღელ ვეღალები, მწვენი ტალღები, თმებმა რომ დაფანდა. მისწევს ელოდხენ დათლილი თითები, ჭირთს რომ ელიან ფეხმარდი ცხენები, სხვანაირ მუსიკას დღეს მზანნ ზვირთები, ძვირფასად ვინთები ლექსების სსენებთი. აზიურ ხალათში, ვით ფაშა-ფეფენდი, ვოცნებობ ბაღდადზე მოდლილი დეხდი, ვფერცლავ მალარმეს „Divagation“-ის იყავი, რაც გინდა შავი, საცოდავი, ცხოვრებავ, ხელში მავს შე შენი სადავე, რომ ეს ჭოჭოხეთი სამოთხედ გაქციო“.

ეს ლექსი ტიკიან ტაბიძის ცნობილი „ავტოპორტრეტი“ ვახლავთ, დათარიღებული 1916 წლით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთგვარი შესავალია პრელუდიას ლექსებისა და თეორიული წერილების იმ ციკლისა, რომელსაც ქრონოლოგიურად 1916-1925 წლებში თავსდება და რომელსაც ჩვენს პირობითად, პოეტის შემოქმედების მეორე ფაზა ვუწოდებთ. ეს წლები „ცისფერყანწულთა“ თვითდამკვლავებისა და მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობის ხანა გახლდათ. სწორედ 1916 წელს შეიქმნა „ცისფერი ორდენი“ პოეტებისა და გამოვიდა პურნალი „ცისფერი ყანწების“ ორი

ნომერი, მაგრამ, ვიდრე ამის თაბაზე საუბარს გაეაგრძელებდეთ, აქ უნდა მოვხუცდეთ პაოლო იაშვილისა და ვალერიან ჭავჭავაძის შეილის ლექსები, რომლებიც პირდაპირ ეხმიანებიან ტიკიანის „ავტოპორტრეტს“.

„პაოლო იაშვილს მომეწინა ყვითელი დანტი, ვაქბდი შექამბის, მაგრამ ფარდა, შექამბის უარი, რა ვნა, რომ ჩემთვის ბუთოვენი მხოლოდ ყრუ არი და რომ წაასულმა ვერ გადმოვცა მე ანდამატი. ვფიქრობ ლექსებით ჩქარი და თაბ გველით ხანტი, მაგრამ ყოველთვის მარჩენია ციკლის ანთება, ჩემი ოცნების ნაპრწყლები ხალხს გავუფარებ ეუკადება ციხ ხელებით მე მელანდება“ (ლექსი დაბეჭდილია „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში).

რაც შეეხება ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოქმის მონოლოგს“, იგი, შეიძლება ითქვას, დეკადენტობის ნამდვილი მხატვრული ენციკლოპედიაა: (მოწყაეს კუბირებით) „სამარტხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა, ვარდა თვითმკვლელობის. არა მუსრს ვიყო ვიტორ პიუგო, ან აკაი, მე მირჩენია დავიღლო, როგორც ბოქმა სამარტხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა, ვარდა სიცივის. არა მუსრს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეთე. სამარტხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა, ვარდა ქლექისა! პოეტისთვის მე ვიწამე ეს კარიერა: სიცივე, ქლექი და თვითმკვლელობა. საღამი შენ — ტროტუარის პოეტი! უთოოდ ჰქონდა ზუსალი „ფაუსტის“ ავტორს. გივი ედგარ პო ნახეს ქუჩაში მთვრალი და მომავლავი. მე შეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა, მისთვის ეიწამე სამუდამოდ ეს კარიერა: სიცივე, ქლექი, აქოპოლი ან თვითმკვლელობა!“

მე აქ განგებ მოვიფანე ერთად სამი, ცხოვრებითა და შემოქმედებით უმკიდროვსად დაკავშირებული პოეტის ლექსები, რომლებიც ერთდამავდ დროს (გაფრინდაშვილისა — ოდნავ მოგვიანებით) არის დაწერილი. მათხველი უკომენტაროდაც შეამჩნევს, რომ ამ ლექსებს ბევრი რამ აქვთ საერთო, უპირველეს ყოვლისა ეს ის, რომ სამივე პოეტი ჭიბრად ცდლობს ამდროინდელი ქართული პოეზიის საწინააღმდეგო ესთეტიკასა და პოეტის დაშვარებას, ეს არის აბსოლუტური, სრული გამოყენა ჩვენს ლიტერატურაში მიღებული, თითქოსდა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული შეხედულებებისაგან. რა ვუყოთ, რომ სამივე ლექსებში ქარბმი იგრძნობა პოზიაც და ნილაბით, განგებ უტრირებული და გამოშწვევი ტონი; ნუ დაგვაიწყდება, ავტორები 20-21 წლის ბიჭები არიან, აქ მთავარი ისაა, რომ მათ ახლის თქმის წყურვილი ახრნობთ და გაქავებდენ, ფილისტერულ წარმოდგენათა წინააღმდეგ სალაშქროდ აქვთ შეხუბი შემართული. მაგრამ ყოველივე ეს მაინც პოეტური პრაქტიკის ფარგლებს ვერ გასცი-

ლდება, თუ ე. წ. „თეორიითაც“ არ იქნება დასაბუთებული და გამაგრებული. სწორედ ამიტომ იწერება პაოლო იაშვილის „პირველ-თქმა“ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში და, რაც მთავარია, ტიციან ტამბის თეორიული ხასიათის წერილები, მათთვისებელი ამავე ყურნალის ორთვე ნომერში. ტიციან ტამბემ სცადა თავის წერილებში გამართლება ახალი სალიტერატურო სკოლისა საქართველოში, „სადაც ბატონი შაბლონი დღეს ძალა-ფრებს გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანი, მრავალფენიანი და კომპარატიული აწვეს ქართულ სინამდვილეს. და იქვე: „თქმეცა სიმბოლოში კარგა ხანია კლასიკურ შკოლად იქცა და ერთი თვალთ უყურებს კიდევ თავის საფლავს, ჩვენში სიმბოლოში ლამეც არ გაუთეგია. მხოლოდ ახლა იწყება ხახნა; მხოლოდ დღეს ზდება ეს შე-ჭველება“. სიმბოლოში სენების განსაზღვრისას ტ. ტამბე რგმი დე გერმონს იშველებს: „სიმბოლოში ახასიათებს: ინდივიდუალიზმი, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმლების უარყოფა, ლტოლვა ყოველივე არაწველებრივისადმი, უცნაურობისადმი კი“...

„ცისფერყანწელთა“ გამოჩენამ, მათმა პოეტურმა და თეორიულმა დეკლარაციებმა შეაძრწუნა იმდროინდელი ქუთაისისა და პრაზარტო ქუთაისის საზოგადოებმა. იოქვა და აღიწერა არაერთი განმაქმედებელი სიტყვა „ცისფერი ორდენის“ წინამდებე, მაგრამ კრიტიკოსთა უმრავლესობამ თავი აარიდა იმ უცხო-ლობელი ფაქტის აღნიშვნას, რომ „ცისფერი ყანწები“, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული ფენომენი იყო. სამდროოდ ცისფერყანწელთა სითამამე მართლაც საზღვარდადებელი ჩანდა, მაგრამ ეს შემოქმედებითი სითამამე ვახლდთ და არა ეთიკური ნორმების შელახვის უკუიწებდა მათ, ვიდრე სალიტერატურო ნორმებიდან გადახვევას, რაც, რაღა თქმა უნდა, კრიტიკის დაბალ დონეზე მეტყველებდა.1

თუკცა „ცისფერი ყანწები“ თავის დეკლარაციებში აკვართ დადგა სიმბოლოში პოზიციებზე, მაინც, სხვა მრავალთა შორის, ერთი რამეც განასხვავებდა მას ორთოდოქსული სიმბოლოშიისაგან. ეს იყო სამშობლოს სიუფარული და ქართული პოეზიის განახლებისა და წინსვლის უშრეტლი წყურებელი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ზწირად ცისფერყანწელების სიმბოლოში არ სცილდება მხატვრული მეთოდის ფარგლებს და „გულდიან ზორცად გამოტანილი“ მათი ლექსი ეწინააღმდეგება კიდევ სიმბოლოშიის დოგმატებს.

ქართულმა სიმბოლოშიმა ვერ შეძლო ნათლად მოეცა ერთიანი სისტემა — ქმნატურულად შემოქმედებით დასაბუთებულს სისტემას, ამიტომ „ქართული სიმბოლოში“, თუ ეს გადაჭარბება არ იქნება, მხოლოდ სამუშაო ტერმინად შეიძლება გამოგვაადგეს. მით უმეტეს, რომ ამას თვით ტიციანი აღიარებს („სიმბოლოში აქამდე რჩება მხოლოდ ერთგვარ ლიტერატურულ განწყობილებად“, ბარბაკაძე, 1922 წ.).

სიახლეს მოწყურებულმა „ცისფერყანწელებმა“ ქართული პოეზიის ევოლუციებდ აქციეს ე. წ. „ახალ პოეზიაში“ გაბნეული სახეები. მათი სწრაფვა ორიგინალიზმისადმი, პარაქსებისადმი, ზოგჯერ აშკარა პოზის ნათევი იყო, ზოგჯერ კი — გულით გამოჩატანეი. ეკლექტიზმი, თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ზოგჯერ თვით სიმბოლოშიის გამოზრცხევი მისაზრებანი მეტიკედ გვაფიქრებინებს, რომ „ქართული სიმბოლოში“ პირობით ცნებად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ თუ ეკლექტიზმობა ჩვეულის ერთგვარ სისტეტეს მოსწიეებდა, სამაგიეროდ, უმთავრესი მიზნისათვის — ქართული პოეზიის ნათევისათვის, ფართო ვსაქანს იძლეოდა. „ცისფერყანწელებმა“ სიმბოლოში მიმართეს, რადგან საქართველოში პოეზიის „მსოფლიო რადიუსით გამართველი“ ძალა არ ეგულუბოდათ, ზოლო, როცა ქართული პოეტური წარმისახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთავსდა სიმბოლოშიის ფარგლებში, სრულიად უმტკივნეულოდ და უყოყმანოდ გაარღვიეს ეს ფარგლები. ამიტომ, ზომ არ არის დრო, „ქართული სიმბოლოშიის“ მაგიერად ვიხმართთ გაკილებით უფრო ზელმარჩვე ტერმინი „ქართული ავანგარდისმი“ ავანგარდისმი ფართო ცნება და გულისხმობს სიახლეს ლიტერატურაში, ზელოვნებაში, ეკლექტრუაში საერთოდ. ამ თვალსაზრისით ცისფერყანწელები სწორედაც რომ ავანგარდისტები იყვნენ, რა-ღა დაბეჭოთებით აღნიშნავს კიდევ იტალიელი ლეფი მავაროტო თავის ერთეულ გამოკველვაში — „ქართული ავანგარდისმის ისტორია და თეორია“ — ვენეციაში გამოცემულ წიგნში „ავანგარდისმი თბილისში“ (ამ წიგნის თამბაზე უაღრესად დადებით, ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა „მნათობში“, № 6, 1964). სხვათა შორის, რეცენზენტები მავაროტოს გამოკველვას „იშეათი ვრუდიციით დაწერილი, საკმაოდ ვრცელ და კომპეტენტური“ გამოკველვას უწოდებენ).

აქ ჩვენ ურობდებინ მიღმა ვერ დაეტოვებთ ისეთ პირობულმურ საკითხს, როგორცაა ცისფერყანწელთა დამოკიდებულება ქართული კლასიკური ლიტერატურის მიმართ. ამან თავი იჩინა, როგორც უკვე ენახეთ, პაოლო იაშვილის („მოქმეყწყინა ყვეთელი დანტე“, „ბელოვინი მხოლოდ ვრუდ კი“, „წარსულში ვერ გადამოქცა მე ანდამატი“) და ე. ვაჭარინდაშვილის

1 ლალი ავალიანი, პაოლო იაშვილი, თბ., 1977 წ.

ლექსებში („არ მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო, ან აკაი“, „არ მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეთე“), მაგრამ წარსულის მოღვაწეთა უარყოფა აშკარად და მეტისმეტი სიმკვეთრით, თანაც თეორიულ პლანში, გამოვლინდა ტიპ. ტამბის წერილში „ცისფერი ყანწებით“ („ცისფერი ყანწები“, კმ 2), რომელიც მოთავსდა ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვას რუსთველიდან — ცისფერყანწელთა „მახლობელ წინაპრებამდე“.

60-იანი წლების თაობაზე ბრძოლა ტ. ტამბის წარმოდგება, როგორც „ძველი ქართული და ახალი რუსეთის იდეოლოგიების“ პაექრობა, როცა „ქართული პოეზიის ყვეილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად... მწერლობა გაიხადეს სამიტიწო ზალად და პოეზია გახვდა“... ავტორი თქმის პრინციპულად არ ღებულობს ილიას და აკაის შეხედულებებს მწერლის დანიშნულების შესახებ, მხვილს მეტი სიძლიერით ეპიგონებისაკენ მიმართავს: „აკაი და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდახან ნახელობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ მათმა მკოლამ მიიღო კარაკატურული სახე“.

ავტორის აზრით, „სამოციანელთა“ შემოქმედება „არ ამაყოფილებს როგორც საზოგადოთ ზედონების, ისე ქართული ძველი ხელოვნების მოთხოვნებით“ და, ცოტა მოგვიანებით, გაზეთ „ბარაკადში“ (1924, № 1) მისიხანედ აცხადებს: „საქართველოს პანთეონში ახალი მართალი არშინით უნდა გაიზომოს ყველა პოეტიკალი, ვადიფსიდეს ყველა ღირებულება!“

„პოეზიის ისტორიას არ ახსოვს, რომ გამოაუღოეს პოეტი და მიეღოს წინანდელი შემოქმედება“, — აცხადებს ტიციან ტამბე, და, ამ თეზისიდან გამომდინარე, იწყებს ლაშქრობას XIX საუკუნის ლიტერატურის წინააღმდეგ, უსაყვედრებს მას ჩამორჩენილობას, საკუთარ ნებუქში გამოყეტვას. შემოქმედებას მათას „ქუტუში მჭადარ აღამიანის სიმღერას“ უწოდება. ირონია და, ამავე დროს, გულისტეილი იგრანობა სიტყვებში: „როცა ბოდლერი 48 წლას ბარაკადებზე იბრძოდა და სიმფაიკდერ გაზეთ „ბარაკადში“, მშინ სასქართველოში არც იყო დაწყებული დევა ილია ჭავჭავაძესა და კენინა ბარბარე ქორჯაძეს შორის. მშინ შინ ვაზრდილი კენინა სრული დაეუკვებლობით სწავლობდა ანანთთეთორტეკას და ან ვის გაახსენებოდა ის ამბავი, რომ პოეზიის ხერხემალი სწორად მშინ ტუდებოდა“ (ირონია და ცინიზმი, „მეოცნებე ნიამორები“, 1923, № 9).

XIX საუკუნის ქართული მწერლობის კრიტიკურად უარყოფით ცისფერყანწელნი ხელოვნურად გაემიყნენ მის უწყებტ დინებას. ეს გახლდათ იმ ტრტის მოქრა, რომელზედაც ისინი იხსდნენ. ამიტომ იყო, რომ „ერთენული

პოზიციის“ გამიგრების მოსურნე ცისფერყანწელები დაეინებით ეძიებდნენ, რაყენით შეინამორბედებს ქართულ მწერლებზე. იქნებ თქმა უნდა, ეს არ იყო იოლი საქმე. სხვადასხვა დროს ისინი უშუალო წინაპრებად სახადენდნენ ბესიკს, დავით გვრამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს...!

ერთადერთი პოეტი, XIX საუკუნიდან, რომელც არამართო გადაურხა ცისფერყანწელთა თავდასხმებს, არამედ მათი მუდმივი თავყანისცემითაც სარგებლობდა, ვაჟა-ფშაველაა. ტიციან ტამბე დაეინებით მოთხოვნიდა ვეას „ვეულანის ფენომენის“ ახსნას, მის აზრით, ვაჟა განმარტოებით დგას XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რადგან „ვაჟა მოცემულია, როგორც მთა, როგორც მზე, როგორც პლანეტა. პოეტები მას გრძნობენ, როგორც აღამიანი მზესა და ღმერთს“ (მახტრონი, 1922, № 6).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ „ცისფერში ორდენმა“ და კერძოდ მთმა თეორეტიკოსმა ტიციან ტამბემ, მომდევნო წლებში, 1923 წლიდან, საფუძელთანდ გადასინჯა შეხედულებანი ქართული მწერლობის მიმართ და ახლებურად გაიზრა იგი. ტიციან ტამბის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისი გულისყური, ყოველთვის, ნეგატიურად თუ პოზიტიურად, ქართული მწერლობის ვერობულ დონეზე აწევისაკენ იყო მიმართული. სახელმძღვანელო დევიზით — „სიკვდილი, ან განახლება“ — მან მცირე ხნით უაყო ქართული მწერლობის ზოგერთი მონამოფარი, რათა ევროპული პოეზიის უახლეს მიღწევათა გათვალისწინების შემდეგ, კვლავ მისკენ მიეშართა მზერა.

ამ თვალსაზრისით ტიციან ტამბე, მოაზროვნე და პოეტი, მონოლოტური პირთვნება გახლავთ, რსაც კარგად ადაპტრებს მისი 1916-1925 წლებში დაწერილი ლექსები. აქ, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ საპროგრამო „ქალდეას ქალაქები“, რომელიც სათავეს უდებს ქალდეას ციკლს. როგორც ცნობილია, ერთ დროს ფეხმოდგმული იყო ისტორიული კონცეფცია ქართველთა ქალდური წარმოშობის შესახებ, რამაც ტიციანის წარმოდგენაში პოეტური, ძალზე თავისებური ხორცშესხმა პოეა. მაგრამ ეს ლექსი მხოლოდ ამით არაა საინტერესო. იგი ყურადსაღებია იმით, რომ ტიციანი თავის პოეტურ კრედას გვიუხვადებს დაუფარავად. „გაფიზის ვარდ მე პრუდომის ზაფერ ვაზაში, ბესიკის ზღში ვრგავ ბოდლერის ბორტ ყვავილებს“, — აცხადებს პოეტი და აქ შეუძლებელია არ გავაზნდეს ცისფერყანწელთა მოღვაწეობის ერთი მთავარი თეზისთავანი: „მომავალ დიდ ქართველ“

1 ლალი ავალიანი, პაოლო იაშვილი, თბ. 1977 წ.



შატავაში უნდა შეხედეს რუსთაველი და ძა-  
ლამე\* (ტ. ტაბიძე, „ცისფერ-ყაწვიბი“, № 1).  
ცისფერყაწვილებს პოეზიაში ფრანგული ორი-  
ენტაციის მიღება შიშობიერი ლიტერატურის  
ჩიხიდან გამოყვანის გზად მიიჩნევათ. „სიმბო-  
ლოზში რომ ჩვენში უცხოეთიდან მოდის, ამა-  
ში აზაფერის საფრთხე არ არის... რაკა ბაღ-  
დაშვილი სხვისაგან რამეა, იმან თავის ზრმე-  
დში ატარებს. ნაციონალური ავტორიტეტის ძა-  
ლით ვრი ითვისებს იმას, რაკ მის ეროვნულ  
თავისებურებას ეგვება. რაკაც იმასთან ახ-  
ლობელი ვაჭიარი აქაა. — წერს იქვე ტიციან  
ტაბიძე.

ევროპული ორიენტაციის მიღებით ცისფერ-  
ყაწვილები ფიქრობდნენ ბოლო, მოკლეთ  
ჩვენი ლიტერატურის ე. წ. ჩამორჩენილობი-  
სათვის, მოესპათ მისი „შინაზეტილობა და  
საყუთარ წვეწმი დელილი“ (პ. იაშვილი). აი,  
სწორედ ამ აზრის მეტაფორულ გამოხატულებ-  
ად უნდა მივიჩნიოთ ტიციანის ლექსის „სტრი-  
ქონი „ბეაჯის ბაღში ვრგავ ბოდლებას ბო-  
რატ ყვავილებას“. და ეს, ერთი შეხედვით,  
ძნელად დაბნელები სიმბოლო ორი პოეტისა,  
ტიციან ტაბიძისათვის, რომა სიმბოლოა აზ-  
რის მქონე გახლავთ. აქვეა მოსახატებელი  
„ქალღვას შვე“, მშვენიერი ლექსი, სადაც თი-  
თქმისა ფიხიერად „გარნობა ესაზღვრობაში  
გაშლილი გზა, ძველი, აწ დაინატებული ქა-  
ლაქი, შთამბეჭდვი სტრიქონი — „დაწვეულ  
კიბეს მე ვაწვენებ, უკან მიყვები“ და ფინა-  
ლი: „დიდ სიმღერისათვის ჩემი გული ეყვი  
შხად არა, მბრძანებულ ჩადილთა მოწოდებას  
მხოლოდ მოველი“. ლექსში „უბეჯარონი“ უკ-  
რავლებას იქცევს სტრიქონი: „მომი შედენა-  
რანი, შებლმეკრულნი და უბეჯარო, მოჭრინა,  
რემბო, ერედია, ენოლ ვერპარნი“, საერთოდ,  
„ქალღვას ქალაქების“ ციკლში პოეტი, რო-  
შელიც ამ დროს მხოლოდ 21 წლისაა, საკმა-  
ოდ გაიფიქრე ისტატად წარმოგვიდგება. მან  
მკაფიოდ იცის რა უნდა და ჩინაფქვის ზეს-  
ტად რეაღიზებაც ხელწიფება.

შალვა აფხაიძე, თავის მშვენიერად დაწე-  
რილ ესეში — „ტიციან ტაბიძე“, აღნიშნავს:  
„სიმბოლისტური ლიტერატურით გატაცე-  
ბული, იგი ეროვნული კოლორიტის ძიებაში  
იყო. არა მხოლოდ კოლორიტი. მისი პირვან-  
დელი ლექსების უმრავლესობა სწორედ ამ  
ეროვნული ტიპოლით, რაკაც გამოუთქმელი  
ბოლოთა და დარღილ არის გაფენილი. ეს  
შეყენებელი ეროვნული პათოსი იგრძნობა  
ტიციანის ადრინდელი ლექსების ციკლში, რო-  
შელიც ცნობილია სახელწოდებით „ქალღვას  
ქალაქები“. ეს ლექსები მას ბოლომდე უყ-  
ვარდა, აღბათ ფიტომ, რომ მათში გამოხატა  
თავისი ქაბეტური ოცნება, უტოლვა, თავისი  
რომანტიკული ხილვა მას აწაბდა „ბესიკის  
ბაღში დავრკო ბოდლებას ბორკიტების ყვა-  
ვილებში“, ემდგრა ქალღვაზნი, რომელსაც თვლი-

და ქართველი ხალხის პირვანდელ ყრავღ ემ-  
ღერა „ესაზღვრო გზებზე“. „ქალღვას ქალღვას  
ქალღვას ძველი ქალღვას მათისი მათისი მათ-  
წოდებულად თვლიდა „ქარის ლექსებში“  
ემღერა დიდებულ წარსულისათვის და სწა-  
მდა, რომ „უხში ბუღბუღსაც დაიფასებდა  
ქართული ბალი“ ავი გრძნობდა, რომ დიდი  
სიმღერისათვის მისი გული ეყვი შხად იყო  
და ეს სიმღერა, შლიერ აწვეულ რევიტრებში,  
მან შემდგეში შესანიშნავად დაამღერა, წინა-  
პართ აჩრდილებს ხორცი შესახა, ძარღვებში  
სიახლი აედულა ტიციანმა სწორედ ლექსების  
ამ ციკლით შეაღო ქართული პოეზიის კარი,  
„ქალღვას ქალაქებში“ გაიყავა მომავალი და  
პოეზიის დიდ შარავნაზე გაეღა“.

ამავე პერიოდში იწერება ლექსები, რომლე-  
ბშიც ივეთება ტიციანისათვის სიმბოლოდ  
საყვარელი, ავიატებელი თემები: რუსთველის  
ფატმანის ინერციით შექმნილი სონეტი „ფი-  
ტმანახათინი“, „ბალავანი“, „პერიო და კო-  
ლომბინა“, „დედელი და მალარია“, „ეუბოში“,  
„ბიჩანაშის ტყე“, „ვანქის ტაძარი“ და სხე-  
ეს ლექსები ტიპური დეკადენტური გამოსახ-  
ვის საშეღებებით არის შექმნილი და პოე-  
ტის პლურენიალების, ავიდმყოფურ განწყო-  
ბილებათა ნაყოფია დაშლილია ლოკური  
ყაწვირი პოეტური სახეთა და სტრაფებს შო-  
რის. მას ადამიანები წარმოედგენილ-  
ყაყაყ ეონგლიორებად, გამბაზებად, მოქმედება თი-  
თქმის სრულად ირეალურ სამყაროშია გად-  
ტანილი. მოქმედი პირები ამ ლექსებისა არი-  
ან თავისმკვლელები, ლაპარაკა ფინტასტიკური,  
წარმოედგენულ ამბებზე. მავალითად: „შოპ-  
ყავთ არტური ავადმყოფ ტინებს, მოწყვეტი-  
ტილ ფეხთ კიანრს უკრავს, თავისმკვლელები  
ავაებენ ტოქებს და ულოყვენ ამყ მორფას,  
ყვითელ მალაღეს მოსდგეს პოლო, ფარშე-  
ვანგების მოწყვება ალყა, და ოფელიამ თვალი  
მოავლო — ელერანამა პალეტეს გაარტყა  
დგება ტაძარი საბრძობელაზე...“ („ბიჩანაშის  
ტყე“, 1919 წ.).

თუ რაოდენ თავისებურად აღიქვამს ტიცი-  
ანი ამ პერიოდში სამყაროს და, კერძოდ, ისეთ  
უზარმაზარ სოციალურსა და პოლიტიკურ კა-  
ტაკლიზმას, როგორიც იყო ოქტომობრის რე-  
ვოლუციო მოწოდებს ლექსი „პეტერბურგი“,  
დაწერილი ცხელ გულზე, 25 „ოქტომობრის,  
რევოლუციის დამეს, ქეთაისში, ლექსი საე-  
სეა აპოკალიპტური ჩვენებებით და სალვა-  
დორ დალის სიურეალისტურ ნახატებს მოგ-  
ვიაგნებს. აქ ოდნავადაც არ იგრძნობა მო-  
ღენაში ფხიზლად წყდომის სურვილი. მთელი  
ლექსი რაკაც ფარული ყრფილია და ქაო-  
ტური მოლოდინით არის საყვ.

„ყენებლებიდან მოჭრის ქარი დაუდგეა-  
რი, აწვება ქეჩებს, ყუზმარების ცეცხლით  
გადაშწარის. თუ სკევა ვინმეს, როსკიების  
ხროკან გადამთვარას, ჩრდილებს სუსში მო-

ღის ლანდი თვითონ ედგარის. ჟერ არ ყოფი-  
ლა შებრალება ანუ შედგარი, ახდის სიძყრა-  
ლე შინელები გაგდელდ მყარულს, რეცხავს  
მოკა მატროსების გვიმებს ჩაყურსულს, თუ-  
ყის მხედარსაც ებნელები გული ბედპირი.  
ვინ გამოქმედა ვინ დაჰქვარს, ვინ დაჰკავებს?  
ჭაობის ნისარსი სიშწრის ფფლი გამოსდის  
მელავეებს, მოიგონებენ მარტო ერთი ლენინის  
სახელი. გასიებული ძირს ეშვება პოლანდიე-  
ლი, სოველი ჭინკა — დაბლა უყუფს ანდრეი  
ბელი და უერთდება პეტერბურგი ქაოსის ნა-  
ხველს“.

ამსობაში გადაიგრიალეს თებერვლიანა და  
ოქტომბრის რევოლუციებში, საქართველოს  
სათავეში მოექცა მთავრობა შეწვევივებისა.  
გამცდლა ქაოსი, ნგრევა, შოშილი, სპეველა-  
ცა, კონფორმისში, ადამიანებში დაყარვეს  
რწმენა და ერთიერთდობა. 1918 წელს ოს-  
მალეთი აჭარას და ბათუმს დაეპატრონა. ტი-  
ციანი ამ ეროვნულ ტრაგედიას გამოეხიზურა  
ლექსით „ორი ამბილი“: „ბათუმი მიიყენს და  
ორპირზე მოდიან თათარი, ატმის ყველით  
სისხლიანი სტარის ამბილი“... და ჭინკალი:  
„საყუთარ თავის და ქალღვის ახალ შერახ-  
ვენის ტანჯულ- ფიჭით სამუდამოდ მოვიტა-  
ნებდი. აჰ, მეგობრებო, ჩემი სული ჭეიხტული  
სხვენის, ცრემლით საესეა ჩემი წილი ჭვენი  
ყანწებში“. ლექსი ნაშუადღი რეკვიმია თავს-  
დატებული ეროვნული მებედრებისა. საერ-  
თოდ, 1918 წელმა ფართო ასახვა ჰპოვა პო-  
ეტის შემოქმედებაში. „თვრამეტი წელი, და-  
საწვავი თვრამეტი წელი“ — ამბობს იგი ერ-  
თგან, ხოლო ცოტა მოგვიანებით მიელ პოე-  
მას უძღვნის ამ წელს, სადაღ ღერატურად  
აღწერილი თბილისის მდროინდელი ეთარბე-  
ბა, მთავრობის სრული გაქორტება, ინგლისე-  
ლების შემოსვლა, 26 კომისრის დახე-  
რება და ამ ფონზე მშვიერი პოეტების დიდი  
მეცენარე — ილენისანდრო, რომელსაც კაფე  
„ბუენოს-აირეში“ დაუარსებია თეატრალურ  
შესახვევში და ყოველთვის მზად ყოფილა ზე-  
ლი გაემართა ჭიბეგახერტილ მეოცნებეთა-  
თი.

ამ დროს იწერება ტრაგიკული ინტონაციე-  
ბით გამსჭვალული „დროშა ქიმიერიელთა“,  
რომელშიც ისმის გარტუელი დაღუპვის თე-  
მა: „ყველანი წავალთ, გადატყდება ხმალი ვა-  
დაზე და პოეზიაც სიყვდილის წინ თვალს არ  
გახებულს“. აგრეთვე, სექსისითა და ირონიით  
აღსავსე „ორპირია ოქროპირი“: „ნეტავ მე  
იუ შეყვარდეს პოეზია, ამ თვითმდეგ ორპირი,  
დედაჩემს რომ უყვარს მეწველი ჭროხა“. ან  
კიდევ: „საქართველოში ყოველ ჭორჭლიან ქალს  
თავისი საყუთარი ჰყავდა პოეტო. დღეს ლეთის-  
მშობელი ძირს რომ ჩამოვიდეს, მოთხარით,  
მართლა ვინ ეტყვის ლექსს? — ლექსებისათვის  
ვინც მოაყლის ის რა კაცია? კოხუბ თქვენ  
ნაყნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაური,

ვინ უფრო აღელებს: სტეფან მალარბე თუ  
ღანიელა ტრია?“

საერთოდ, 1921-1924 წლებში მამულა  
დგა ტციანის პოეზიისათვის იმ თვალსაზრი-  
სით, რომ მის ლექსებში შეიჭრა სექსისი,  
ირონიული დამოკიდებულება პოეზიისადმი.  
როგორც ჩანს, იმ ხანებში ტციანი ინტენსი-  
ურად ფიქრობდა ირონიის პრობლემაზე, რის  
დასტურიცაა წერილი „ირონია და ცინიზმი“  
(„მეოცნებე ნიაშორები“). „ირონია არაფე და-  
მთავრება ფრანგულ პოეზიის, შეიძლება ე-  
ყოს მისი ეროვნული გამართლებაც. ყოველ  
შემთხვევაში, ეს არის ნიშანი: ფრანსუა ვიი-  
ონის, არტურ ჩემბოს, ტრისტან კორბიერის,  
ლოტრეამონის... რუსეთმა საფრანგეთის ირო-  
ნიამ ეპასუხა ცინიზმით. შეიძლება ეს ერო-  
ვნული გამართლებაც იყოს რუსული ახალი  
პოეზიის. მაიაკოვსკიმ დაიწყო ლაფორგიტი და  
გათავა ეფრნანისტკიათ და ცინიზმით“.

ტციანს თითქოს აღარა სწამს ლექსის ბა-  
ღისა, აუხსნელ გაორებას ვანიცდის, მასში  
მწიფდება ჩაღაც ახალი, რომელიც მალე ჟე-  
რაც უხილვლ პორიონტებს გაუხსნის, მა-  
გრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, ახლა  
კი, 1921 წელს, იწერება თავის დროზე გაბმა-  
ურებული ლექსი — „ცხენი ანგელოზით“,  
შემუნარე დაფიქრება საქართველოს ისტო-  
რიულ, უშორეულეს გზებზე, დღევანდლობა-  
ზე და ზეაღინდელ გამძლე ბერებმალზე. „ცხე-  
ნი ანგელოზით“ პატრიოტული ლექსია, მაგ-  
რამ ეს პატრიოტიზმი არ ვახლავთ მარტივი,  
სწორხაზოვანი, ერთმნიშვნელოვანი. ეს პატ-  
რიოტიზმი არის რთულ რეფლექსიანთა მთელი  
კომპლექსი და, გარდა პოეზიის აღქმის გა-  
წახველობისა, მეთხველისაგან გარკვეულ ინ-  
ტელექტუალურ დონესაც მოითხოვს. „აქ რომ  
სტაროდა ამბიანი, ვინ გააბარა? აქ რომ სტი-  
როდა რუსთაველი, ვინ გააჩემა? აქ რომ იბ-  
როდა სააკაე, ვინ დააკაე? სწორი ბერებმა-  
ლა — დროშის ტარი ქიმიერიელთა“ და უშე-  
ვავესი ირონიით შეფერილი სტრიქონები, მი-  
ძღვნილი დღევანდლობისადმი. „გრძელი ულ-  
ვაშებით ქონდრის კაცები სიონში მღერიათ  
„არშინ მალა ლან“.

თვითონ ტციანი ამ ლექსის თაობაზე წერს:  
„მამინდელ პერიოდს ვუთვნის (1921 წ.) ჩემი  
დიდი ლექსი „ცხენი ანგელოზით“, რომელიც  
დავწერე, როგორც ერთგვარი დისერტაცია  
4. ეს „შარადობა“ კი იმისთვის დასჭირდა რ. ბურჭულაძეს, რომ კვლავ-და-კვლავ გამოეტანა მცდარი დასკვნა: „ამგვარად ვლტულობთ „ლურჯ მშენ“. ფერთა სიმბოლოაში კი სიკვდილის ერთ-ერთი ფერი ლურჯია“ (გვ. 154). არ ვიცი, რომელ „ფერთა სიმბოლოას“ გულისხმობს მკვლევარი, მაგრამ ხატზე დაიფიქრებ, რომ არც სიმბოლოებისა და არც გალაკტიონის ფერთაფეტუვებშია — ლურჯი სიკვდილის ფერი არ არის პირიქით, სიმბოლოებისტოთან და გალაკტიონთანაც ცისფერი და ლურჯი გამოხატავს ამაღლებულს, საოცნებოს, მშვენიერს და ირეალურს. შეიძლება ეს ფერები, „დეშონური სანქისს“, დაუოცებელი ენის და აღტკინების სიმბოლოდაც აღვიქვათ, მაგრამ არა სიკვდილის და უძრავობის მარწმუნებლად, ამის შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

5. რ. ბურჭულაძე ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ მრავალ უმართებულო აზრს გამოთქვამს (154-161). მათგან აღარ შევჩერდები, რადგანაც, ვგონებ, ისედაც ყველაფერი განსაგებია. მაგრამ აღენიშნე, რომ მას ეს მცდარი დასკვნები და თოჯენი სიარული დასჭირდა იმიტომ, რომ საზოლოდაც ასევე უმართებულო დასკვნა გამოეტანა. მისი აზრით, გალაკტიონის ორბწკარედი „მე გზა არ ვიცი უახლოვს: ერთადერთი გზა არის სიკვდილი“ გადმოგვიქვამს მხოლოდ ფაუსტური კულტურის დასკვნას“ (გვ. 162). აი, ამ დასკვნის გამო მოიგონა მან ფულის სტრუქტურა, დაუკავშირა ის ფულისტის კულტურას, შეაწუხა ე. ლეოვარგის და ფრ. ნიუშენს სულეტი და, რაც შთავარია, მწე გაალურჯა. მაგრამ ვანა ღირდა ჩიტი ბრდღენად? ნუთუ ამისთვის საჭირო იყო ნემსის ურწმუნი გაძრომა და ქამბაზობა? ეს პოეტური კონტექსტი ხომ უკვლავდვარი ოპარკოვნების ვარგე იყოფრება, პოეტი პირდაპირ ამბობს, რომ არ ღირს „სხვა (ანუ მეორე „ირეალურ“) სიცოცხლეზე“ „ფერმიხდილი“ ოცნება, რადგანაც ერთადერთი“ და „უახლოესი გზა“ სიკვდილიაო. რა შუაშია აქ ფაუსტური კულტურის კვლემა. ვანა ასეთივე აზრი გალაკტიონს სხვაგან არ აქვს ნათქვამი: „სიკვდილი

გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა... რაო, აქაც ფაუსტური კულტურის კვლევას რომ არ გავუწევებს ის? საერთოდ, რ. ბურტულაძის მსჯელობა ასეა წარმართული: არაფრისგან — არაფერზე — არაფრის გამო!

რ. ბურტულაძე თავს შედარებითი მეთოდის პიონერად მიიჩნევს. მართალია, მისი თქმით, მანამდეც იყო გარკვეული ცდები პოეტის სამუშაო ამ კუთხით შეესწავლათ. მაგრამ „მეთოდოლოგიური უსისტიემოს გამო“, სასურველი შედეგი ვერ მიიღეთ. ახლა ვნახოთ როგორიღაა მისი მეთოდოლოგიური სისტემა ამ შედარებითი კვლევისა. მავალითისათვის მივმართოთ „ლურჯა ცხენების“ მისივე ანალიზს. მისი აზრით, „ლექსი — სისტემის, ლექსი-გეოსტალტის წყობად აღქმისათვის საჭიროა მისი ანალიზი შემადგენელ ელემენტებად...“ (გვ. 172), ზოგა, ლექსის დასვამ და „ინდიკატორის ძიებამ“ შეკლევარი მიიყვანა შემდეგ სემანტიკურ წავუთამდე: (სამუდამო) მხარე, სული, სამარე, (ლურჯა) ცხენები. ამ სიტყვებს, მისი თქმით, იმდენი სიყვამდე შემოაქვს, რომ აშკარაა, დასახელებული წავუთი... სათავეს ჰკოვებს ბერძნულ ფილოსოფიაში... კერძოდ, პლატონის დიალოგი — „ფედონი“ (გვ. 174), თუმცადა არის სუსტი რგოლიც, როგორც თავად შეკლევარი აცხადებს, „ფედონში“ — არავითარი (ლურჯა) ცხენები არაა ნახსენები. მაგრამ, მისი რწმენით, „სულის უკვდავებაზე მსჯელობის დროს უკვედითვის იგულისხმება პეგასი“, რადგანაც, თურმე, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით „იღვში ცეცხლოვანი ცხენებით დაქრიალ სულები“. ხოლო თუ რ. ბურტულაძისეულ ტრანსფორმაციის სქემას მივიშველიებთ [(წვივის ზეტალი)ზედის ტრიალი] = ლურჯა ცხენები [ტალღების მოძრაობა] = სულის ბედისწერა = პეგასი (გვ. 174), უვლადერი თავის ადგილზე დადებამ.

ზემოთხსენებულ დასკვნებზე კაცმა სერიოზულად არც უნდა იმსჯელოს, მაგრამ მაინც შევნიშნავ: ქერ ერთი, მის მიერ გამოყოფილი სიტყვები — სამუდამო მხარე, სული, სამარე, ცხენი — მსოფლიოს თითქმის უვლა ხალხის მითოლოგიურ, რელიგიურ თუ მხატვრულ აზროვნებაში განსაკუთრებული სიხშირითა და ამბოღურა მნიშვნელობით იხმარება, ასე რომ, მათი მრევეობით კონკრეტულ წყაროზე მითითება უკველგვარ საფუძველს მოკლებულია. მეორეც, როგორც უკვე რეცენზირებამაც შენიშნეს, პეგასის ფუნქცია მითოლოგიაში სახეებით გარკვეულია და მას არა აქვს რამე საერთო სულების ჰადენში მოგზაურობასთან. კონკრეტულ შემთხვევაში არც ლურჯა ცხენებს აქვს რამე მიმართება პეგასთან. ამიტომაც ეს ტრანსფორმაცია სრული გაუგებრობის შედეგია. ისე რ. ბურტულაძის ბოლომდე გულდასმით რომ წაეცინება „ფედონი“,

ერთ რამეში დარწმუნდებოდა: აქ სულებისა და ცხენების ქროლესეუქრუნტეს არაა დამართლი, ხოლო მიცვლელბუღელსეუღუნუნი სამსჯავროზე მოკავს მიცვალბუღელის დემონს (Геній) ფედონი, 107 d-e. მართალია, სხვაგან პლატონი სულს ადარებს „ეტლში შემბული წვეილი ფრთოსანი ცხენის“ და შეტლის ერთიან ძალას“ და სულთა ერთგვარ ქროლესეუ, მშვენიერების აღსაქმელად ერთგვარ შეგობრზეც გვესაუბრება (ფედონი, 246b), მაგრამ, ქერ ერთი, აქ სულთა სეურ ამალეუზაზე საუბარი, და მეორეც რა უფაშია აქ ფედონი და მითუმეტეს პეგასი?!

მაგრამ არსებითი ის არის, რომ რ. ბურტულაძის პლატონის ფილოსოფიურ სისტემაზე დაკრძოდ, მის „ფედონზე“ ნათელი წარმოდგენა არა აქვს: ამიტომაც მისი მსჯელობის კრიტიკას ვერ უძლებს და დღევანდელის დონეზე დაბლა დგას. მისი შედარებითი მეთოდის არსიყ ის არის, რომ, ერთი მხრივ, წარმოდგენს დიალოგი მიმსაქრეთა (კრებობის, სიმოუსის, კრიტონის, სოკრატეს) თვალაზრისების რწმეუბებს საკუთარი „ინტერპრეტაციით“, ხოლო გვერდით, ალბათ, თვალსაჩინოებისათვის, მიუწერს გალაკტიონის ლექსის სტროფებს (გვ. 175-176). რ. ბურტულაძის მსჯელობით გამოდის, თითქოს გალაკტიონს პლატონის დიალოგი საკუთარი კომენტარებით გაილექსოს და ამიტომაც თურმე ამ ლექსში „მთელი ბერძნული ფილოსოფია სულის შესახებ უაღრესი კომპაქტურობით“ გადმოეცეს.

არ ვიცი, როგორ შეიძლება „მთელი ბერძნული ფილოსოფია“ (თუნდაც სულის შესახებ) ერთ ლექსში გადმოეცეს. მაგრამ, თუ რ. ბურტულაძის მსჯელობას ვერწმუნებთ, მაინც გამოდის, რომ გალაკტიონს არა თუ მთელ ბერძნულ ფილოსოფიაზე, არამედ პლატონის ფილოსოფიურ სისტემასა და მის ფედონზე ზერელე წარმოდგენაც კი არ ჰქონია, რადგანაც ის ძირითადი არგუმენტები, რომლებითაც პლატონი ცდილობს სულის უკვდავების დამტკიცებას, ვერ გავუთა და მხედველობის მიღმა დარჩენია. უფრო მეტიც, არ სცოდნია ელემენტარული რამ, რომ ამ დიალოგის ძირითად აზრს სოკრატე გავუწევებს, ხოლო მოკამათეთა თვალაზრისები მხოლოდ ამ აზრის უფრო ნათლად წარმოსაჩენად არის მოხმობილი..

სიტყვა გამოკრძელდა, მაგრამ ერთი მაინც უნდა ვთქვა, რათა რ. ბურტულაძის კვლევის მეთოდის“ კიდევ სხვა არსებით საცდითი კური მხარე წარმოვანიო. ალბათ, უვლას გვაბოვს გალაკტიონის უმშვენიერესი ლექსი „თოლი“, რომლის „მშვენიერულ“ ანალიზს დიდიადგრო უწიარავს რ. ბურტულაძის ნაშრომში. მისი აზრით, ამ ლექსის უსისტემოდ მოცემული რეგრენი (თოლი) — გაძლევს



ამოხსნის საშუალებას. მაგრამ „თუთი „თოვლი“ ხელოვნებაში არასპეციფიკური ან (ჩვეულებრივ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს) და ამის გამოძიება განუწმლად შრომატევადი ხდება“ (ხაზგასმა ჩემია — ე. წ.) (გვ. 121). თუმცა რ. ბურჭულაძე აკონკრეტებს „არტურენს“ და იღებს „იისფერ თოვლს“ (იისფერი თოვლი-ლურჯი სიწმარო-ლურჯი ფიფქი), რის შემდგომაც გამოაქვს ასეთი დასკვნა: „სიმბოლისტურ ხელოვნებაში... იისფერი თოვლი სტ. პშიბიშვეცკის სახელთან არის დაკავშირებული“, კერძოდ, ის მომდინარეობს პიესიდან „თოვლი“. როგორც ხედავთ, დიდი და განუწმლად შრომატევადი (სამუშაოს ჩატარების შემდეგ) გამიან ვიანო გასაღებს. ამას მოჰყვება პიესის შინაარსის ვამოცემა (იხ. 122-124) და ამ გზით ლექსის „ნომინალის“ ახსნა. ერთი სიტყვით, რ. ბურჭულაძემ „გაარკვეა“ „იისფერი თოვლის“ წარმოშობა და გენეტიკა. ახლა უოველი ქანსალი ფსიქიკის აღმნიანი იფიქრებს, რომ სიმბოლისტურ პოეზიაში გვხვდება მუდმივი ე. წ. ინვარიანტული ხატები, რომლებიც საერთო და „შორულ“ ხასიათს ატარებენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ ეს „ხატი“ ვალაკიონის იესხა ზემოსხენებულა პიესიდან. მაგრამ ვახაოციანი ის არის, რომ სტ. პშიბიშვეცკის პიესაში მინიშნებაც კი არ არის იისფერ თოვლზე, რაც უკვე სამართლიანად შენიშნეს რეცენზენტებმა. პირიქით, ამ პიესაში თოვლზე საუბრის დროს ხაზგასმულია მისი სითოტე, როგორც სწინდის სიმბოლო. რა ხდება? იისფერი (ლურჯი) თოვლის გენეტიკურ ძირებს ვეძებთ იმ ნაწარმოებში, სადაც მისი ხსენებაც არ არის, და ვვაიწუდება ის პოეტური საშუარო, რომელიც ეს ხატი მოიპოვება, და რომელიც ვალაკიონისთვის უფრო ახლო იყო, ვიდრე პოლონელი დრამატურგის შემოქმედება. ვაკინხენოთ თუნდაც ა. ბლოკის შემდგომი სიტყვები:

«Тихо все черные тени  
в синих ложатся снегах».

და საერთოდ, ლურჯი, ლავარდი და იისფერი ჩქეფს სიმბოლისტების შემოქმედებებში. ვაკინხენოთ იმავე ა. ბლოკის ფერთა სამუარო:

«Голубые пути и дорожки», «лазурное счастье», «голубой постушок», «в лазурной мгле», «голубой далекий брат», «голубой вечерний зной», «в голубое голубою... волной», «сниняя вечность», «синее счастье», «небо — в зареве лиловом», «лазурная тишь», «в лазурной мгле», «голубая спокойная гладь», «лазуревый туман», «голубые ходят ночи», «гуляет ветер голубой», «в голубой пыли», «лиловые

скаты оврага», «синий призрак»... და სხვა მრავალი.

მაგრამ, როგორც წინ, რ. ბურჭულაძემ დრამატურგომანიაც სჭირს. ამიტომაც თითქმის ეველა ლექსს ამა თუ იმ პიესას ან ლირატოს უკავშირებს. ოღონდაც ახლა უფრო საინტერესოა მისი აზროვნების წესი. მისა მსჭელობა ასე უნდა გავიგოთ: მართალია, პშიბიშვეცკის პიესაში იისფერი — ლურჯი თოვლი არ არის ნახსენები, მაგრამ, რადგანაც პიესის შთავარი მოქმედი პირები „თავიდანვე სასიკვდილოდ არიან განწირულნი, და რადგანაც თოვლში პშიბიშვეცკი მათ ვულისხმობს, ეს თოვლი უმქვედად ლურჯი ფერის უნდა იყოს (ლურჯი, როგორც სიკვდილის გამომხატველი (გვ. 125, ხაზგასმა ჩემია, ე. წ.). თუმცა ლურჯი არ არის ნაწარმოებში, მაგრამ პოეტნიკურად უნდა ვიგულისხმობთ, ამა, სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს? შეიერპოლდმაუც ხომ ეს დრამა ლურჯტონებში გადაწვეტა (ლურჯი თოვლი და ლურჯი პერსონაჟები); მართალია, ეს დადგმა ვალაკიონის არ უნაბავს, მაგრამ „დრამის წაყიბვის დროს რეისორი (ე. წ. შეიერპოლდის სიზუსტით ჩაწვდენს ავტორისეულ ჩანაფიქრს და ამგვარად, უნებლიედ ერთმანეთს დაუბლავდენ“ (გვ. 126), ამა, ასეთ შაკცრ მეცნიერულ შეთოდოლოგიაზე აგებულ მსჭელობას რა დაუდგება წინ, მაგრამ მაინც კადნიერებით რომ ვაკიობოთ, რა უშლიდა ხელს პშიბიშვეცკის თავადვე რომ ვანებორციელებინა „ჩანაფიქრი“ და პიესაში ერთხელ მაინც ეხსენებინა „იისფერი“ (ლურჯი) თოვლი“? თუ ის ვ. შეიერპოლდის და ვალაკიონის იმედზე წერდა თავის პიესას? მაგრამ ამკერად უფრო საუურადლებოა ამ ლექსის ანალიზი. მომიტვეს შეითბევლმა, რომ შედარებით დიდ ადგილს მოვიზობ რ. ბურჭულაძის ნაწარმოიდან:

შე ძლიერ მიუვარს იისფერ თოვლის  
ქალწულეგრვით ხიდიდან ფენა;  
მწუზარე გრძნობა ცივი სისოვლის  
და სიუვარულის ასე მოიშენა.

კაზიშირს უყვარს ბრონკა. ბრონკას და ევას უყვართ თადეუმი. თადეუშს უყვარს ბრონკა და შერეობს მასსა და ევას შორის. როგორც ვხედავთ, იისფერი თოვლისადმი სიუვარულს ვვილა მოუცავს და ძნელდება ლექსის დაკონკრეტება. მაგრამ არჩევანის შემციარების შესაძლებლობას უკვე ტაქის მეორე ნახევარი იძლევა: მწუზარე გრძნობა ცივი სისოვლის და სიუვარულის ასე მოიშენა: კაზიშირის ბრონკასადაც სიუვარულს იომენს, თადეუმი იომენს ევასადაც სიუვარულს ე. წ. აქ თადეუმი ან

კაშიორი იგულისხმება“ (გვ. 127). კაშიორი და თადეუში კი ითმენენ, მაგრამ არა მგონია, პოეზიის მოყვარულმა მკითხველმა მოითმინოს უოველივე ეს.

გალაკტიონის ამვე სახალიწო ლექსში ასეთი მშვენიერი ორბწყარედია:

როგორმე ზემოარს თუ გადავურჩი  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გალაკტიონი და მისი უნატიფესი ლექსები გაღაღურჩა „ზამთრის“ სუსხსა და „ქარსაც“, მაგრამ რ. ბურჭულაძის „შიშვენას“ კი ვერა, და ვერც გალაკტიონის თაყვანისმცემელი გაღაღურჩება გულის ზეთქვას, როს რ. ბურჭულაძისეულ ამ ანალიზს ბოლომდე ჩაიკითხავს (გვ. 127-130).

მრავლისგან მრავალ შემთხვევაში ვერც კი მიხვდებით, რა განზრახვა ამოძრავებს რ. ბურჭულაძეს: წარმოაჩინოს თავისი „ნაკითხოზა“?

არა მგონია, რადგანაც, რასაც ის გვაუწყებს, უველა ლექსიკონსა თუ სახელმწიფოებრივ წერია; შეუტრაცხოვა მიაყენებ(ტეტნს) მტეტს(ტეტს) — ვგონებ, არც ასე გაკადნიერდება. უფრო საფიქრებელია, რომ მას სურს თავისი დილეტანტიზმი და საგნის უფოღინარობა დამაღოს და, რაც მოაეარია, თავისი „ორიგინალური“ და სხვათაგან გამორჩეული აზრებით ბოლო მოგვიღოს. სამწუხაროდ, ის ამ სარბიელზე მართო არ ვახლავთ. ამ ბოლო ზანს მომრავლდა „თარეში“ ფსევდოლოტერატურათმცოდნეთა, რომელთა ნაწერები მოჩვენებითი განათლებიზა და ფსევდომეცნიერული დამაჭერებლობის საბურველშია ვახვეული. გამკითხველი კი არსაიდან ჩანს!... თუ ასე ვაგრძელდა, ცოტა ზანში დედა შვილს ვერ აიუვანს ზელში... მართალია, დღეს ლიტერატურათმცოდნეობა ერთგვარ კრიზისს განიცდის, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ ძალღების წაცვლად კატუნებმა იუფონ.



ნათე ბანაში

## ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ჩეფნები

უკანასკნელ ხანებში თურქი ისტორიკოსები და ეთნოგრაფები დიდ ყურადღებას უთმობენ თურქი ტომების ეთნოგენეზსა და ანატოლიის მოსახლეობის წარმოშობის პრობლემებს. მა. რთლაც, აქ ვხვდებით ბევრ საინტერესო საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია არა მხოლოდ თურქებთან, არამედ ძველი ბიზანტიის და მის წინაპრებთან სახელმწიფოებისა და ხალხების შესწავლასთან. ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას, კერძოდ, მის შავი ზღვისპირა რაიონს, რომელიც შემოფარგლულია მაღალი მთებით, თითქმის არ შეხება ხალხთა გადასახლების პროცესი. მაგრამ, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალ-რელიგიური ფაქტორების გამო, დროთა განმავლობაში აქ ჩამოყალიბდა რამდენიმე საინტერესო ეთნორელიგიური ჯგუფი, მათ შორის ჩეფნებიც.

ჩეფნების სახელით დღეისათვის ვხვდებით მოსახლეობას ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, შავი ზღვის სანაპიროზე და ბალქან-სირის ვილაიეთის რაიონში, მაგრამ ეს ორი ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც ერთ და იგივე სახელს ატარებენ, სრულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეთნოსინათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით, რელიგიითაც კი. ჩეფნებთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს თავთ მათი ეთნომიმი — ჩეფნი, რომელიც, რატომღაც, ყველა ოსმალურ წყაროში (არაბული დამწერლობით) წერია როგორც ჩინი.

ამ ტომს უკვე XVI საუკუნის პირველ ნახევარში ვხვდებით თირებოლუნა და გირესუნის შორის მდებარე სოფლებში მცხოვრებთ<sup>1</sup>, და, მიუხედავად ამისა, რომ ეთნონიმ „ჩეფნი“-ს უფრო ადრე მოიხსენიებენ შამშუდ ქაშ-გარი მის მიერ ჩამოთვლილ „22 ილუზურ ტომს შორის“<sup>2</sup>, და, აგრეთვე, რაშიდ ადლი-

ნი, რომელიც უკვე 24 ტომს შორის მიუთითებს „ქაზნი“-საც<sup>3</sup> ძნელია უძველესობით ვიმსჯელოთ ამ ტომის ეთნიკური კუთვნილების შესახებ. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ამ რაიონში დასახლებული თურქულ-ოღუზური ტომის — ჩეფნის (ჭაზნის) ნაწილი, უმოკრესად შეერწყა ადგილობრივ, ავტოქტონურ, ქრისტიანულ მოსახლეობას, რის გამოც სრულებით დაკარგა თურქმანულ-ოღუზური იერი ზნე-ჩვეულებანი, რამაც განაპირობა ის, რომ მოგზაურები, ამ ტომის აღწერისას, აღარ აუთუვენენ მათ თურქებს. ასე, მაგალითად, ჩარლზ უაილსონი, მცირე აზიის ფიზიკური და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ შენიშვნაში წერს: „ნახევრად მოშობარეთა შორის ყველაზე საინტერესო ტომი არის ჩეფნები. ზამთარში ცხოვრობენ სახლებში, ზაფხულში ფაქებში (ქობებში), მისდევენ ტყის კრას, ნახშირის გამოწვას და კალათის წვნას. მათ არ ჰყავთ იშამები, არა აქვს მერცხეები, არც წმინდა წიგნები (სახლიერო წიგნები, წ. ბ.), ამის გამო მათ უფულუვებელუოდენ როგორც ბანადარი მოსახლეობა, ისევე მოშობარები“<sup>4</sup> რადგან მათი ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ხე-ტყის დამუშავებასთან, თურქი ისტორიკოსები მათ აიგივებენ ტახტაჩიებსა და სხვა ადგილობრივ, რომლებთანაც ჩეფნებს არაფერი საერთო არა აქვთ. მითუ-მეტეს, რომ ტახტაჩიები ამ მხარეში საერთოდ არ ცხოვრობენ<sup>5</sup>.

შაქარ შევქილის „ტრაპიზონის ისტორიაში“ ჩეფნები (ჩინი) უკველთვის ღაწათა და ქართთა გვირდით მოიხსენიებია. კერძოდ, ის წერს, რომ „სულთან სელამის მიერ მათი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, ჩეფნები, ღაწები და ქართველები შტრულად იყვნენ განწყოილნი და

ფადიშაჰის მტრებად ითვლებოდნენ.<sup>13</sup> ქვემო ქარაღენიზში კი, რომელიც ძირითადად შაჰის შეტევით იმეორებს, თავის „ტრაპიზონის ისტორიის“ ანუ წერს: „საქართველოში ნაწარმოები დიდი ომების შედეგად, მოსახლეობა გაიყო სამ ჯგუფად: ჩეჩენებად, ლაზებად და ქართველებად. თუმცა ამ დროიდან ისინი მშორად მტრობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცხოვრობდნენ ქართული წეს-ადებით, ემორჩილებოდნენ მშობლივ თავიანთ ხევეებსა და ადებს და უფლებებდნენ ცენტრალური ხელისუფლებს.“<sup>14</sup> ეთნონიმა ჩეჩენი, როგორც შემოთ ადენიშენთ, თუმცა კი ფიგურირებს თურქულ ტომთა შორის, მაგრამ ისინი უყოველთვის ქართულ ეთნიკურ ჯგუფში, ლაზებსა და ქართველებს, ვარა აზიას, ბერძენთა კანებთან აიგივებს. ამ ტომის უყოველებზე კი ძალიან ვგავონებს ამავე რაოდენებში მცხოვრები ეგრეთწოდებულა კრიპტოქრისტიანების (კრომლები) თვისებებს. მაგალითად: „როცა რომელიმე მთვანე კვდება, უკველებით დაფარულ მის ცხედარს დასტირინ და მოთქვამენ, ქორწინებისას კი ნეტადეოდელს ლეონის ასმევენ. ამ ჩეჩულებებში მოგს აფიქრებია, რომ ჩეჩენები ქრისტიანულ წარმოსახვისან დაიან“<sup>15</sup> მით უმეტეს, რომ ტერატორია, რომელზეც ისინი ცხოვრობენ, უძველესი დროიდან ატარებს სახელს „ქახეთ, განით, ქანკ“<sup>16</sup> თანამედროვე ბერძენი ისტორიკოსები სრული უცებელობით აიგივებენ ჩეჩენებს კანებთან. ანუ, მაგალითად, იონიდიისი და ზოგი სხვაე პირდაპირ აცხადებენ, რომ „ჩეჩენები ძველი მოსიციკები არიან და, საერთოდ, მთელი მუსულმანურა მოსახლეობა შედგება კანების — უძველესი ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ისინი თუმცა მუსულმანები არიან, მაგრამ სულაჲ არ ვვანან თურქუიზილდაშებს“<sup>17</sup> ამასთანავე XXI საუკუნის დასაწყისში „ჩეჩენას ნაიეში იყო 1874 კოში, მათგან 388 იყო მუსულმანი“<sup>18</sup> ამ ნახებს მიწები კი „იყო გირგუნის ციხე-სიმაგრას უფროსის (ციხისთავის), ვინმე მამუა მარტლონის თავისუფალი თამარი“<sup>19</sup> რომლის ვვარია ასევე, მიუთითებს მის ქრისტიანულ წარმოსახვზე. უადი-ოდლუ ისმიად მაყე თავის ნაშრომში — „ჩეჩენები ბალკანისში“ წერს, რომ ისინი იყოლიან ასე: „ლიახლი, ვინე მოქალი, დარილი, იალინ აიკ, ქარდულერ, ავან-

ლარ, ნუსრაეთლი და შურულარ“<sup>20</sup> ვადმოცემით: „ვინმე დავალო-ოდლუ მკანსე დავსხა აივალქის უაზაში მცხოვრებ მტრებებს (ქრისტიანებს, წ. ბ.), მათი ნაწილი აიწვევია, დანარჩენებს კი შიადებინა მუსულმანობა და უწოდა შურულარი“<sup>21</sup> უადი-ოდლუ ჩეჩენებს აღვიტებად თვლის და აერთიანებს მათ „აბადალებთან, არაპირებთან, აღქებთან, ტაქტაჩებთან, თურქმენებთან, უჩოდ დელო ტალიზებთან“<sup>22</sup> თუმცა თვითონვე ამბობს, რომ „ბალკანისის მიდამოებში მცხოვრები ჩეჩენები, უსათუოდ აღვიტები არიან და ისტორიულ წყაროებში ასხნიებიან როგორც თურქმანები, თუმცა თვითონ თავის თავს იტრუქებს უწოდებენ და არა ჩეჩენებს: „ჩეჩენებმა, რომელთა სოფლები ვანდაგებულთა ტრაპიზონის მიდამოებში, შინარე მარშათის გაურლებით, სრულიად დაივიწყეს თავიანთი აღვიტობა. ამ სუნი-ჩეჩენებს შორის იურტთა სტენება კი არ არის“<sup>23</sup> ჩვენ სწორედ ამ ჩეჩენებს შესახებ ვლაპარაკობ.

საქმარ ჩაოდუნობის მახალის უქონლობას გამო, ძნელია კატეგორიული დასკვნების გაკეთება ჩეჩენების კუთვნილების შესახებ ანა თუ ამ ეთნონისადმი. მაგრამ უყოველზე შემოთწმული მისებელი შევივლით ვიშკერლოთ იმის შესახებ, რომ ჩეჩენები—ეს ან კანთა სახელწოდების ადგილობრივი ფორმაა, თავისებურად აღქმული და გაზარებული თურქთა ბერძენი, რაც, ჩვენი აზრითაც, არაა ვამორცხული, ან ეს სწორედ არ თურქულ ტომთა — ქინი, რომელიც გარკვეულ წილად დამკვიდრდა ამ ადგილებში, ათქვიფა ადგილობრივ ბერძენულ-ლაზურ ქრისტიანულ მოსახლეობაში და შექმნა საინტერესო, სამწუხაროდ, დღემდე სრულიად უუსწავლელი მუსულმანურ-ქრისტიანული ეთნიკური სამყარო, რომელსაც ცოტა რამ აქვს საერთო თურქებთან. თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფია, საერთოდ, არ მოიხსენიებს არა მარტო ჩეჩენებს, არამედ ანატოლიის აღმოსავლეთში მცხოვრებ ისეთ მრავალრიცხოვან ტომებსაც კი, როგორც არიან ლაზები, მესხები, კლარჯები და სხვები. ჩეჩენებად კი იწოდებიან „თარბოლუს, გირესუნის, გორებლეს მთიანი სოფლების მცხოვრებნი“<sup>24</sup> რაც ლაზებში „ქან“ ეთნონის გაგებას შეესატყვისება.

შედეგები:

1. გიოქბილიჯინ მ. თ. XVI ს. დასაწყისში ტრაპიზონის ლევა და შაეი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მხარე, თურქეთის საისტორიო საზოგადოება, ბიულეტენი, ტ—XXVI, ანკარა, 1962, გვ. 329. (თურქულ ენაზე).

2 ათალი ბ., „დივანურ ლუღათთ თურქ“-ის თარგმანი, ანკარა, 1939-1941, ტ — 1, გვ. 55-56 (თურქულ ენაზე).  
 3 Рашид ад-Дин, Сборник летописей, т. I, М.-Л., 1952, с. 76.

<sup>4</sup> Материалы для этнографии и географии Азиатской Турции, приложения ко второму выпуску VIII тома ИКОИРГО, сочинение Чарлза Уилсона, Тифлис, 1885, с. 59.

<sup>5</sup> კანსუ შევეთ აზიზ, ერთი ტახტაყიგების სისაფლაო, თურქეთის საისტორიო საზოგადოება, ბიულეტენი, ტ — XXIX, № 115, ანკარა, ივლისი, 1965, გვ. 485-490 (თურქულ ენაზე).

<sup>6</sup> ტრაპიზონულ შაჰირ შევეთ, ტრაპიზონის ისტორია, სტამბოლი, 1877, გვ. 164-165 (თურქულ ენაზე).

<sup>7</sup> ქარადენიზლი ქემალ, ტრაპიზონის ისტორია, ანკარა, 1954, გვ. 68-69 (თურქულ ენაზე).

<sup>8</sup> Материалы для..., ციტირ. ნაშრ., გვ. 60.

<sup>9</sup> „შაი ზღვა“, კულტურის, ხელოვნების,

ეკონომიკის და ტურიზმის ეურნალი, ანკარა, 1969, ივლისი, № 14, გვ. 11 (თურქულ ენაზე).

<sup>10</sup> იოანნიდისი ს., ტრაპიზონის ისტორია და სტატისტიკა, კონსტანტინოპოლი, 1970, გვ. 217 (ბერძნულ ენაზე).

<sup>11</sup> გიოგზილგინი მ. თ., ციტირ. ნაშრ., გვ. 330.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 329.

<sup>13</sup> ქადიოლუ ისმაილ ქაქი, ჩეფენგი ბალოქესირში, ბალოქესირი, 1935, გვ. 13 (თურქულ ენაზე).

<sup>14</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 3.

<sup>17</sup> დიალექტოლოგიური ლექსიკონი, ტ. 3, ანკარა, 1968, გვ. 1144 (თურქულ ენაზე).

## საქართველოს სიმონ ყაუხჩიშვილი

(დაბადების 90 წლისთავის გამო)

აქავემეოცის სიმონ ყაუხჩიშვილი იცუთვნოდა ქართული მეცნიერების აღორძინებისა და აუვაგებისათვის მეტროდ მკვლევართა ამ კლდედას, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღიდან სულითა და გულით, მოუღლებლად, ფანჯაროდ და დაუცხბრომელი მგზნებარებით ემსახურებოდა ეროვნული კულტურის დაცვის, შესწავლისა და განვითარების საქმეს.

სიმონ ყაუხჩიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის მუარსამეცნიერო ნიადაგზე დაშვიდრებასა და განვითარებას. მისმა მრავალრიცხოვანმა შრომებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართულბერძნულ-ბიზანტიურ ფილოლოგიასა და ხისტორიო წყაროთმცოდნეობას. დიდი მისი ღვაწლი ქართველოლოგიის ჩამოყალიბებისა და წარმატების საქმეში. ამ ვერ დავანახებლბთ დარგზე, მას რომ საგრძნობი წვლილი არ შეეცანოს.

სიმონ ყაუხჩიშვილმა, ივანე ჯავახიშვილის ერთგულმა მოწაფემ, თავისთავად დიდი შემეცნებითა და ესთეტიკური ღირებულების ელინურთა ფილოლოგია საქართველოში აქცია ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო დარგად, რომლის მიზანია ქართველოლოგიის უადრესად საურობადეობა პრობლემების ნათელიყოფა, ქართულ-ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის რავადსაუყუნოვანი ისტორიის შესწავლა და ამ ისტორიის ჭერ კიდევ ამოუკითხავი ფურცლების გამოშვებება.

სიმონ ყაუხჩიშვილის სანამუშო სამეცნიერო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ თბილისი კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის საქვეყნოდ აღიარებულ ერთ-ერთ ცენტრად გახადა.

მრავალი ძველი და ახალი ენის საფუძვლანა ცოდნა, რაც აუცილებელია მეშხაროტი ფილოლოგიისა და ისტორიისათვის, ფართო ერთუცია, ოლიმპიური სიღინჯე და კეთილსინდისიერება, საკვლევ პრობლემაში ღრმად ჩახედვის უნარი და შრომის უსაზღვრო სიყვარული — აი, რა ახასიათებდა სიმონ ყაუხჩიშვილს როგორც მეცნიერს. აქავემეოცის კონკრეტი კავებლემ წყარო: სიმონ ყაუხჩიშვილის ტიპის სპეციალისტი მხირად არ გვეხედება არც ჩვენს, საბჭოურს, და არც საზღვარგარეთულ სინამდვილეშიო.

და, მართლაც, არახეულებრივად ფართო გახლავთ სიმონ ყაუხჩიშვილის სამეცნიერო ინტერესთა წრე. ამ ინტერესთა რკალში შედიოდა: კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტიოლოგია, ენათმეცნიერების, ისტორიისა და ფილოსოფიის საკითხები და სავანებოდ აღსანიშნავი ისეთი ფაქიზი დარგები, როგორცაა ხისტორიო წყაროთმცოდნეობა, ტექსტოლოგია, პალეოგრაფია და ეპიგრაფია.

ქუთაისის კლასიკური განზავის დამოავრების შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. ამ უნივერსიტეტის ზელმძღვანელ-მასწავლებლებმა, გამოჩენილმა რუსმა მეცნიერებმა და, უწინარეს ყოვლისა, ივანე ჯავახიშვილმა და გრიგოლ წერეთელთან მუშაობამ განსაზღვრეს სიმონ ყაუხჩიშვილის მომავალი.

1918 წლის დეკემბერში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით სიმონ ყაუხჩიშვილი ახლადდარსებულ ქართულ უნივერსიტეტში დატოვეს ბერძნულ-ბიზანტიურ ფილოლოგიაში სპაროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. ივანე ჯავახიშვილი დიდ იმედებს აშუარებდა



ბერძნული ფილოლოგიის ახალგაზრდა სპეციალისტზე, უკველთვის კმაყოფილებით აღნიშნავდა მის ნიჭსა და დაუცხრომელ შრომისმოყვარეობას.

1920 წელს თბილისის უნივერსიტეტში ბერძნული და ლათინური ფილოლოგიის კათედრის გამგედ პეტროგრადიდან მოიწვიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გრიგოლ წერეთელი. რუსეთში დაწეებული სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა გრიგოლ წერეთელმა თბილისში განაგრძო და ამით მჭიდრო საფუძველი შეუქმნადა საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას.

სიმონ ყაუხჩიშვილი ბეჭითად ამოუდგა მზარხი ივანე ჯავახიშვილსა და გრიგოლ წერეთელს. მან შტკიყედ გადაწვიტა, კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტიოლოგია ქართული კულტურის ისტორიის კვლევის სამსახურში ჩაუყენებინა.

ივანე ჯავახიშვილის რჩევით სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოშვო თემად აირჩია IX საუკუნის ბიზანტიული ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის საისტორიო თხზულება „ქრონოგრაფია“ და მისი ძველქართული თარგმანი, რომელიც შეტრულებულია XII საუკუნის დასაწყისში, არსებ იუდათოელის მიერ. გიორგი ამარტოლის თხზულების ქართული თარგმანის ოთხი ზედწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსაცემად მოაზრდა ტექსტი ვარიანტებითორთ და 1920 წელს გამოაქვეყნა პარაფრაზი კაპიტალური ნაშრომი „ბრონოგრაფიის გიორგი მონაზონისი“ ნაწილი I, ტექსტი). წიგნი გამოცდა თბილისის უნივერსიტეტმა სერიაში — „მონუმენტა გიორგია“.

აღნიშნული შრომის გამოქვეყნებისთანავე სიმონ ყაუხჩიშვილი თბილისის უნივერსიტეტმა სამეცნიერო მუშაობის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ მიავლინა. მივლინების ადგალებად დაუნიშნეს საბერძნეთი და გერმანია. 1920 წლის სექტემბრიდან 1921 წლის იანვრამდე იგი იმყოფებოდა საბერძნეთში — ათენში, სადაც მუშაობდა გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფიის“ ბერძნულ ზედწერებზე და ახალი ბერძნული ენის შესწავლაზე. პარალელურად სწავლობდა ელინური ნოთიერა კულტურის ძებლებს ათენის ეროვნულ-მუზეუმში, ელევსინში და სხვაგან.

1921 წლის იანვარში სიმონ ყაუხჩიშვილი საბერძნეთიდან გერმანიაში გაემგზავრა და ოთხი სემესტრის განმავლობაში მუშაობდა ბერლინის უნივერსიტეტში, კლასიკური ფილოლოგიასა და ბიზანტიოლოგიაში მოამკებულნი ცოდნის გასაღრმავებლად. აქ იგი ისმენდა ამ დარგების დიდი სპეციალისტების, საქვეყნოდ სახელმძოვებელი ელინისტებისა და ბიზანტიანისტების — ულრიხ ვილამოვიც-ჰოლენდროფის

და ედუარდ მაიერის, ედუარდ ნორდენის, ჰერმან დილისის და ულრიხ ვილკენის ვილიელმ შეუდგე და პულ მასის, ვილიელმ შეხარტის, პალერ-გერტინგენისა და სხვათა ლექციებს. ულრიხ ვილკენთან იგი მუშაობდა სიძველეთმკვლდნობასა და საისტორიო წყაროთმკვლდნობაში; პულ მასთან ვადიოდა სემინარებს ბიზანტიოლოგიაში; პალერ-გერტინგენი ეპიგრაფიკაში წვრთინდა, ხოლო ვილიელმ შეხარტთან ბერლინის მუზეუმში ბერძნულ ძალე-ოგრაფიას ეუფლებოდა.

უცხოეთიდან სიმონ ყაუხჩიშვილი 1922 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა. თბილისის უნივერსიტეტში ახალი შემოქმედებითა ხანა იყო დაწეებული. საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფულებს გამარტების დროიდან ქართული უნივერსიტეტის მუშაობა მანამდე არანსული ტემპებითა და მოცულობით ვითარდებოდა. საბჭოთა მოავრობის მზრუნველობის შედეგად თბილისის უნივერსიტეტა მზრებში გასწორდა და ქართულ მეცნიერებას განვითარების უველა-პირობა შექმნა.

1923 წლის შემოდგომაიდან სიმონ ყაუხჩიშვილი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტის ლექტორად ლათინურ-ბერძნული ფილოლოგიის დარგში. 1925 წელს დამატებით მიანდეს საქართველოს შესახებ არსებული ბერძნულ-ლათინურა ტექსტების ინტერპრეტაცია, 1926 წლიდან კი — სალექციო კურსის კითხვა ბიზანტიის ისტორიაში.

1923-25 წლებში სიმონ ყაუხჩიშვილი აქვეყნებს ისეთ სამეცნიერო გამოკვლევებს, როგორცაა: „შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი“, „ტურინოს კომპილიაციისათვის“, „კორინდეთის ბერძნული სახარების ქართული მიწაწერების დამთარგმნისათვის“, „ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში“. „აფიციური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგია“, „პირველი ბერძნული ცნობა თბილისის შესახებ“ და სხვ.

უკვე ამ შრომებიდან ჩანდა, რომ ქართულ მეცნიერებას სიმონ ყაუხჩიშვილის სახით დიდი ძალა ჰყოფდა.

1926 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა შემოთ ხხენებული ბიზანტიელი ისტორიკოსის — გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ შესახებ (გიორგი ამარტოლის ბრონოგრაფი და მისი ქართული თარგმანი“ ნაწილი II, გამოკვლევა). ეს შრომა ავტორმა წარუდგინა უნივერსიტეტის საბჭოს სადოქტორო ხარისხის მოპოვების მიზნით. შრომის დაცვა შედგა 1927 წლის 20 მარტს უნივერსიტეტის საბჭოს საქარო სხდომაზე. ოფიციალურ მომენტებად იყვენ პროფესორები — ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი და კორნელი კეკელიძე. ივ. ჯავახიშვილი თავის რტყენილაში წერდა: „მოივლ წიგნიში ფრთხილი, დავყარებუელი და სათანადო გან-

სწავლული მეცნიერ-მკვლევარი ჩანს და არა-ერთა კრებებში ახალი დებულებათა წამოყენებელი ქართულ-ბერძნული ფილოლოგიისათვის". ი. გამართული პაქრობის შედეგად სიმონ ყაუხჩიშვილს ერთხმად მიენიჭა ბიზანტი-ნოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სადისერტაციო შრომის დაცვის შემდეგ სიმონ ყაუხჩიშვილს მიეცა დოცენტის წოდება. 1930 წლის 28 მარტს კი თბილისის უნივერ-სიტეტის გამგეობამ იგი პროფესორად აირჩია ბერძნულ-ბიზანტიურ ფილოლოგიის დარგში.

1928-30 წლებში ს. ყაუხჩიშვილი თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის მდივანა, 1927-1935 წლებში განაგებდა თბი-ლისის უნივერსიტეტის ბიზანტიანოლოგიის კა-თედრას; დროდადრო შემორჩენილი ჰქონდა ძველი ისტორიისა და შუა საუკუნეთა ის-ტორიის კათედრები. 1939-1940 წლებში მუშა-ობდა მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გრაკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ანტიკური ლიტერატურის ის-ტორიის განყოფილებაში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ბერძნული ლიტერატურის ის-ტორიის აკადემიური გამოცემის მომზადებაში. 1940-1954 წლამდე ხელმძღვანელობდა თბი-ლისის უნივერსიტეტში მისი თანხმობით აღო-რძინებულ კლასიკურ ფილოლოგიის კათედ-რას. 1923-1930 წლებში და შემდეგ 1940-1953 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივე-რსიტეტის „შრომების“ ფაქტიური ხელმძღ-ვანელი იყო. „ამ „შრომებში“, რომელთა გა-მომცემის საქმეს სიმონ ყაუხჩიშვილმა ბერძ-ნულ და დიდი ენერჯია შეაღია, უწინშეუ-ღოვანესი რაღაც შეესარულა უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში.

ს. ყაუხჩიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა და-მდგენ კომისიაში და დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ენის დახვეწის, განვითარებისა და გან-ტავიყვანის საქმეში.

ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ს. ყაუხჩიშვილი დიდ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. 1923 წლიდან განუწყვე-ტლავ უკითხავდა იგი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ასპირანტებს ძველი ბერ-ძნული და ლათინური ენების, ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას, კლას-იკური ფილოლოგიის შესავალსა და პალეოგ-რაფია-ეპიგრაფიკას, სპექტრუმებში ხელმძღ-ვანელობდა სემინარებს.

საგანგებოდაა აღსანიშნავი სიმონ ყაუხჩიშ-ვილის დაუფასებელი მოღვაწეობა თბილისის უნივერსიტეტის სტამბა-გამომცემლობაში. მისი დაუღალავი მშრომუნებლობით მრავალჯერს გამოადრებულა უნივერსიტეტის სტამბის საშ-რატო მუშერეობა.

სიმონ ყაუხჩიშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნი-

ერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახე-ლობის ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტიანოლო-გიის სექტორს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუ-ტის ჩამოყალიბების დღიდან (1960 წლიდან) იგი სათავეში ედგა ამ ინსტიტუტის ბიზანტი-ნოლოგიის განყოფილებას, რომლის წაყოფიერა სამეცნიერო მუშაობა კარგად არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არა-მედ საზღვარგარეთაც.

სიმონ ყაუხჩიშვილი, მეცნიერებისა და სა-ზოგადოების წინაშე დამსახურებისათვის, 1950 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-დემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს ნამდვილ წევრად აირჩია. 1961 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვა-წის წოდება.

მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობით სიმონ ყაუხჩიშვილი დიდი აწვავი დასდო ქა-რთული ფილოლოგიური მეცნიერების თითქ-მის უწყველ დარგს. თავის შრომებში იგი გვე-ვლინება ფართო დიპლომის მეცნიერ-მკვლევ-რად, რომელსაც ანტიკურებს ბერძნული ენა და მწერლობა არა მარტო ანტიკური ეპოქისა, არამედ მისი ბუნებრივი განვითარების ხანის—ბიზანტიური პერიოდისაც.

ს. ყაუხჩიშვილის სამეცნიერო მოღვა-წეობა კლასიკური ფილოლოგიის დარ-გში თანდათან მდიდრდებოდა ბიზანტი-ური შტუდებით. ს. ყაუხჩიშვილი კვლე-ვა-ტიების პროცესში ყოველთვის ითვისწე-ნებდა ქართული მეცნიერების ინტერესებს და დაუცხრომლად ეძებდა თუ რა გამოხმარება ჰქონდა კლასიკურმა და ბიზანტიურმა მწერლო-ბამ ქართულ ხინაზღვილეში და რა წვლილი შეიქვს ქართველოლოგიის ბერძენთა კულტუ-რულ-ისტორიულ ცხოვრების პრობლემათა გარკვევის საქმეში.

ს. ყაუხჩიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი მომენტებია:

1. ბიზანტიური ტექსტების დან-შორებისა და ძველთა კუბლიკა-ცია: კრიტიკა, ინტერპრეტაცია და გამოცემა ძველი ქართული მწერლობის ამ ძველებისა, რომლებიც შუა საუკუნეთა ბერძნული ტექს-ტებიდან მომდინარეობენ. ს. ყაუხჩიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის არსებობა მხარე-ეკვობზე და ვიორგი მოწმიდელეების, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იუდაოელი-სა და სხვა ძველ დიდ ქართველ მოღვაწეთა შიგ შესრულეებული ბიზანტიური მწერლობის ძველთა თარგმანება გაიხდა სიმონ ყაუხჩიშ-ვილმა ყოველდღიური მუშაობის, სერუბლო-ზური ფილოლოგიური ანალიზის საგნად. ასე-თი მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა: ვიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფია“, იოანე პეტრიწის „შრომების“ ორი ტომი (II ტომი — „განმა-რტები პროკლესთან დიადოხოსისა და პლა-

ტორისა ფილოსოფიასთან“ გამოსცა შ. ნუსუბიძისთან ერთად). მიქელ სელონის ტრაქტატები („განმარტობა დღესასწაულთათვის“ და „პირმოხიისათვის“) და სხვ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი XI საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1084 წელს შედგენილი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ავთენტური ბერძნული ტექსტის პირველი მეცნიერული პუბლიკაცია. ტიპიკონის შტად მნიშვნელოვანი ბერძნული ტექსტი პარალელური ახალი ქართული თარგმანითა და საჭირო კრიტიკული აპარატით სიმონ ყაუხჩიშვილმა თავის „გეოგრაფიკ“ V ტომში გამოაქვეყნა. დიდ გამოცდობებსა და ტიპიკონის ძველქართულ რედაქციებზე დაყრდნობით მან გამოავლინა ბერძნული ტექსტის თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტები: გაანწორა ნუსხის ცოთმანდებანი და დეკანოზონი ვანმარტა იშვიითა და საგანგებო ცნობების გამომატებელი სიტყვები, ხოლო ბერძნულ-ქართული ტექსტების შეჭერების საფუძველზე ფრიად სოლიდურა დასკვნები წარმოადგინა.

2. საქართველოს ისტორია. სიმონ ყაუხჩიშვილი იმპოპოტივე დიდი სიყვარულით და პასუხისმგებლობით შოკიდა საქართველოს ისტორიის დაუშუშავებელი საკითხების კვლევადობას და სიმაგალითო ფილოლოგი ჩინებულ ისტორიკოსად და საისტორიო წყაროთმცოდნეობის დიდ სპეციალისტად მოკვეთილია. იგი წლიდან წლამდე ამდებრებდა ქართულ ისტორიკოგრაფიას სოლიდურა შრომებით, რომლებშიც დასმული და ვადაწვევებოდა საქართველოს ისტორიის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკითხი.

სიმონ ყაუხჩიშვილის დაუფასებელი დამსახურებია საქართველოს შესახებ ბერძნულ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობების მოპოვება, მათი თარგმნა და დეტალური ანალიზი. მან მკვადრი ნიადაგი შეუქმნა ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლის საქმეს და უველიანათვის გასაგებ გაზადა, რომ შეუძლებელია საქართველოს წარსულის კვლევა ბერძნულ-ლათინურენოვან წყაროთა გათვალისწინების გარეშე.

სიმონ ყაუხჩიშვილმა, უწინარეს ყოვლისა, ხელი მოკიდა ბიზანტიური წყაროების დაუშუშავებას და ჭერ კიდევ ადრევე გამოაქვეყნა ცალკეული გამოკვლევები: „პირველი ბერძნული ცნობა თბილისის შესახებ“ (1925), „გმელისი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“ (1927), „პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ“ (1931) და სხვ.

1932 წელს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აქტიურა მხარდაჭერით, სიმონ ყაუხჩიშვილი აარსებს ცნობილ სტრასს, რომელსაც ეწოდება „გეოგრაფიკ“ ანუ „ბიზანტიელი მეც-

რღების ცნობები საქართველოს შესახებ“. დიდი დრო და ენერჯია დასჭირდა „მეცნიერული“ მოპოვებასა და ამოკრფას, შეცნობილურს [სტრასს] სითი მათ თარგმნას და კომენტირებას. სიმონ ყაუხჩიშვილს ხშირად უზღებოდა საგანგებო კვლევა-ძიება ზოგიერთი ბერძნული ტექსტის დადგენისათვის.

შესრულდა ნამდვილად საშვილიშვილო საქმე. ამ მომენტურ კორპუსში, რომლის რვა ტომი უკვე გამოქვეყნდა (1934-1970 წწ.), წარმოდგენილია, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანი, IV-XV საუკუნეთა ბიზანტიური მატარების ბერძნულ ტექსტებს თან ახლავს მარალელოური ქართული თარგმანი და ვრცელი ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარია.

სიმონ ყაუხჩიშვილის უდიდესი დამსახურებია ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი წარსულის უმნიშვნელოვანესი მატარების „ქართული ცხოვრების“ გამოცემა.

ჭერ კიდევ 1932 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცა ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“. ეს იყო „ქართლის ცხოვრების“ პირველი, მეცნიერულად გამართული პუბლიკაცია, ვრცელი შესავალი წერტილით და მდიდარი კრიტიკული აპარატით.

სიმონ ყაუხჩიშვილმა შეისწავლა „ქართლის ცხოვრების“ უველი არსებული ზღნაწერი, შეაფერა ნუსხები, ჩაატარა მათი საკონტროლო შემოწმება, დაადგინა ტექსტი, დაურთო დეკანოზონი, საძიებლები, დაწერა ვრცელი გამოკვლევა და 1955-1959 წლებში გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების“ I და II ტომები.

1973 წელს, დიდი შრომისა და რუდეულების შედეგად, გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების“ IV ტომი: ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ („სახბოთა საქართველო“, თბილისი, 1973).

ვრცელ გამოკვლევებაში, რომელიც წინ უძღვის ვახუშტის შრომას, სიმონ ყაუხჩიშვილმა დაადგინა, რომ ეს შრომა არის არა „საქართველოს გეოგრაფია“, როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ „საქართველოს სამეფოს ისტორია“, რომ ვახუშტის მიერ გამოყენებული ტერმინი „აღწერა“ ნიშნავს „ისტორიას“ და არა „გეოგრაფიას“. ვახუშტმა საქართველოს ყოველი სამეფოს ისტორიას ისტორიული პროცესების ზუსტი გაგებისათვის ამ სამეფოს გეოგრაფიული მიზიბილევა წარუშმდევარა. გამოკვლევება დაწერილობითაა განხილული ვახუშტის შრომის შექმნის ისტორია. დადგენილია, რომ ვახუშტის დაწერია არა ორი შრომა („ისტორია“ და „გეოგრაფია“), არამედ ერთი მოლიანი თხზულება „ადწერა“, რომელიც ერთად და მთლიანად არასდროს არ გამოცემულა.

გამოწველილებითაა შესწავლილი უველი არ-

სებული ზელანერი, შექერებულია ნუსხები და გამოცემულია ვახუშტის შრომის წყაროები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ს. უახუჩიშვილის შენიშვნები ვახუშტის ენის შესახებ.

თხულებობს ღრმა ფილოლოგიური ანალიზი დაკვირვებულა ჩინებული ლექსიკონათა და საყოთარ სახელთა კომენტარებულ საძიებლით (გვ. 417-1182).

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემით ჩვენს საისტორიო წყაროთმოდნობას შტიკე საფუძველი ჩაეყარა. ქართულმა შკიოხველმა ფასდაუდებელი ნობათი მიიღო. იგი ტიტანური შრომის შედეგია და მუდამ დარჩება სიმონ ყაუხჩიშვილისათვის დამახასიათებელი ფართო ურდოების, საისტორიო წყაროების ღრმა ცოდნის, ნატოფი ტექსტოლოგიური კვლევა-ძიებისა და დიდი კულტურის ბრწყინვალე ნიმუში.

სიმონ ყაუხჩიშვილის დამახსურება „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის საქმეში თბილისის უნივერსიტეტმა იმით აღნიშნა, რომ დეპუტატილ მკუნიერს ივანე ქავთახიშვილის სახელთ ბიკ პრემია მიაკუთვნა.

კიდევ ერთი დამახსურება სიმონ ყაუხჩიშვილისა ქართული საისტორიო მეცნიერებისა და, საერთოდ, ქართველი ერის წინაშე, ესა დიდი ქართული მეცნიერის ივანე ქავთახიშვილის შრომების გამოცემა. სიმონ ყაუხჩიშვილმა ივანე ქავთახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ უველა წიგნი ზელანლა გამოცემა მისთვის ჩვეული მეცნიერული აკრებისა და დიდი სიუარულით. ახალი გამოცემა გაამდიდრა დამატებებით, ივანე ქავთახიშვილის არქივში მოპოვებული გამოუქვეყნებელი მასალებით.

მ. ბიჭანტიანოვი. ბიჭანტიანოვილის ქართული სკოლის ნამდიდი დამაარსებელი სიმონ ყაუხჩიშვილია. იგი ცნობილი ბიჭანტიანტია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მას ფარგლებს გარეთაც.

ბიჭანტიური ხანის ნათიერი კულტურის ძველთა შესწავლის საფუძველზე სიმონ ყაუხჩიშვილმა ნათელი გახადა, რომ ბიჭანტიის ისტორია მჭიდროდა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ხალხთა წარსულთან, განსაკუთრებით სლავ, ქართველ და სომეხ ხალხთა ისტორიებთან. სიმონ ყაუხჩიშვილის შრომებში მეცნიერულადაა დანდგენილი, თუ რაოდენ დიდი ზოგ ქართული კულტურის წვლილი ბიჭანტიის განვითარებაში. სახელოვანი მეცნიერის მრავალი შრომა ნათელს მხენს ბიჭანტიისა და საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებს და ააშკარავებს ამ ორი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის ბეჭდებს. ამ შრომათაგან აღსანიშნავია: „ლიტკიცები ბიჭანტიის ისტორიიდან“, „ბიჭანტიური

ლიტერატურის ისტორია“, «Грузинские источники по истории Византии» და «ჩვენსი სწავლება».

4. ლიტერატურათმცოდნეობის სიმონ ყაუხჩიშვილის კვლევის ობიექტია ძველი ქართული მწერლობისა და ქართულ-ბერძნულ-ბიჭანტიური ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი საკითხები.

სიმონ ყაუხჩიშვილის ლიტერატურული გამოკვლევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „შებენდობს კრებულის სასწავლო წიგნი“, „ფირისტე-ორესტე“, „ერგრმ შვირე და ბერძნულ-ბიჭანტიური ლექსწყობის საკითხები“, „ახალი ვარიანტი ქართული რომანისა“, „საბრძნე ხალაფარისა“, „ახალი მასალები ქართული პოეზიის ისტორიისათვის“, „მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი“, „რუსთაველზე კლერკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ“ და სხვ.

კოლონალური ერთდიცია ანტიკური და ბიჭანტიური პერიოდების ბერძნული მწერლობის სპეციალურ საკითხებში და ხანგრძლივი კვლევა-ძიებით მუშაობის შედეგად მიღებული დიდი გამოცდობებია წარმოდგენილი სიმონ ყაუხჩიშვილის მონუმენტურ სამტომიან „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ შრომის III ტომი — „ბიჭანტიური ლიტერატურის ისტორია“, რომლის მეორე შეესებული გამოცემა 1978 წელს განხორციელდა. სიმონ ყაუხჩიშვილმა ქართული მასლის უხვი გამოყენებით პირველად შეადგინა ბერძნული მწერლობის ისტორიის ბიჭანტიური პერიოდის ვრცელი მიმოხილვა. მანამდე არც ქართულ და არც რუსულ ენებზე ანალიტიკური ხასიათის შრომა არ მოპოვებოდა. ეს წიგნი მთლიანად აგებულია იმ დებულებებზე, რომ აღმოჩენილი განათლების განვითარების წინების გარეშე, შეუძლებელია ბიჭანტიური კულტურის მოკვლენების გაკება.

5. ენათმეცნიერება. სიმონ ყაუხჩიშვილის დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში. ძველი და ახალი ქართული ენის ბუნების ღრმა ცოდნის საფუძველზე, მან დაადგინა სალიტერატურო ქართულში შეთვისებული უცხოური სიტყვების და ბერძნულ-რომაულ საყოთარ სახელთა გადმოცემის წორები.

ერა დავასებებდით სიმონ ყაუხჩიშვილის თითქმის ვერც ერთ გამოკვლევას, რომელშიც ენათმეცნიერული საკითხები არ იყოს აღძრული. ბერძნულ ტექსტებსა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე მუშაობის დროს მას უყოველთვის უღებოდა სენათმეცნიერო კვლევა-ძიების ჩატარება.

სიმონ ყაუხჩიშვილის გუთონის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ენათმეცნიერების ცალკეულ საკითხებზე. ამთგან აღსანიშნავია: „ბერძნულ მამაკათა სახელების გადმოცემისათვის

ქართულში“, „რეზო სიტუაცია ფონტიკური საკითხები“, „აღმის ხელნაწერის ბერძნულში“, „ბერძნულ-ქართული სემანტიური პარალელები“, „საბერძნეთის მოსახლეობისა და ბერძნული ენის შექმნის საკითხები“, „მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები“, „ლათინურ-ქართული გრამატიკული პარალელები“, „ქალღალისა შიესტატის ბერძნულსა და ქართულ მწერლობაში“, „ბერძნულ-ქართული გრამატიკული პარალელები“ და მრავალი სხვა.

სიმონ ყაუხჩიშვილი ნაუოფიერ მუშაობას ეწეოდა ლექსიკონის დარგში. საგანგებოდაა აღსანიშნავი ბერძნულ-ქართული და ქართულ-ბერძნული ლექსიკონები, რომლებიც მან ბიზანტიური მწერლობიდან მომდინარე ტექსტებს დაერთო. იგი ავტორია ლათინურ-ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონებისა (რუსულ-ქართული ლექსიკონი მან ვარლამ თოფჩიაშთან ერთად შეადგინა).

სიმონ ყაუხჩიშვილისა და მისი მოწაფეების ხანგრძლივი შრომის შედეგად შედგენილია „ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი“, რომლის ერთი ნაწილიც „გეორგიკის“ VII და VIII ტომებშია წარმოდგენილი.

სიმონ ყაუხჩიშვილი ავტორია „ლათინური ენის საბელმძღვანელოს“ რამდენიმე გამოცემისა. მანვე შეუდგინა ძველი ბერძნული ენის შესწავლელ ახალგაზრდობას „სავარჯიშო მასალა ბერძნულ ენაში“ და „ბერძნული ზმნების კლასიფიკაცია“.

6. პალეოგრაფია — ეპიგრაფიკა. სიმონ ყაუხჩიშვილს ეკუთვნის პალეოგრაფიული ხასიათის მრავალი შრომა. მან ჯერ კიდევ 1924 წელს შეისწავლა და დათარგმნა კორინთის ცნობილი ბერძნული ოსოთავის ქართული მონაწერები. მასვე ეკუთვნის პალეოგრაფიული დოკუმენტები ბიზანტიური ხანის ბერძნულ ტექსტებსა და ამ ტექსტებიდან მომდინარე ქართული მწერლობის ძეგლებზე.

სიმონ ყაუხჩიშვილი ამოაკოხა და გამოაქვეყნა, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით უდარესად მნიშვნელოვანი ნოიარის, არმაზისა და მცხეთა-სამთავროს ბერძნული წარწერები. ამ წარწერების ამოწმებზე და უზადო ინტერპრეტაციამ ახალი ფურცლები გადამალე ქართული საისტორიო მეცნიერებაში.

7. თარგმანები. სიმონ ყაუხჩიშვილი დიდ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მას გათვალისწინებული ჰქონდა ის ვითარება, რომ ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ დარბია ანტიკური და ბიზანტიური ძეგლების თარგმნელობით და დროის გარკვეულ ნაწილს მთარგმნელობით საქმიანობასაც უთმობდა.

სიმონ ყაუხჩიშვილი მთელი თავისი ცხოვრებით იყო ქვეშაობიტი მეცნიერი, უხადლო აღზრდილი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, თავისი ერის სასიქადულო მოღვაწე. მისი დახვეწილი კულტურა, დიდი მეცნიერული ნიჭი და შრომის უზაზღვრო სიყვარული შეზავებული იყო სანიშნო თავმდაბლობასთან, მტკიცე მოქალქეობრივ პოზიციებთან.

სიმონ ყაუხჩიშვილის სახელი, მისი მოღვაწეობის ნათელი კვალი წარუშლელი, სამარადისო მშობელი ხალხის ხსოვნაში.

- რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.
- ტელეფონები: რედაქტორის — 92-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 92-55-12, 3/შგ. მდივ. ნის და განყოფილებების — 92-55-15; 92-55-17,

გადაეცა ასაწყობად 21. 11. 85 წ. ხელმოწერილია დისაბექტად 17. 01. 86 წ. ასაწყობის ზომა 71/4X12, კალაღის ფორმატი 70X108, ფოტოკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 05009. ტირაჟი 32.000. შეეე. 2761. საქართულოს კ ცუ-ის გამომცემლობის სტამბა,

640/20

ფაზი 80 333.



საქართველოს  
რესპუბლიკის  
0600360  
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ